# კვირის პალიტრა

32 გვ

ყოველკვირეული გაზეთი

№ 41 (286) ◆ 9 – 15 ოქტომბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## მოქალაქეთა კავშირის ლიდერი ცუდ გუნებაზე სულაც არ არის...

– ბოლო დროს ფრაქციაში ყოფნამ კიდეც დამღალა...
– ნებისმიერი იურისტის ოცნებაა, გახდეს იუსტიციის მინისტრი;
– პარლამენტიდან მაინც ვერავინ მომიშორებს;
– აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლა ჩემს გაძლიერებას ნიშნავს;
– ახლა ფინანსური საყრდენის გარეშე ვართ, მაგრამ გამოჩნდებიან ახლები და მოგვცემენ ფულს...

გვ.7

## ქრისტეს კვართი არის მთლიანი და გაუკერავი

ინტერვიუ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან

გვ.4



## სიურპრიზი! სპეტისხოვლობის საჩუქარს მკითხველს უძღვნის ჟურნალი „გზა“!

– კვირას, დაახლოებით 12 საათზე პრეზიდენტმა შინ დამირეკა და მკითხა – თქვენთან რაიმე უსიამოვნება ხომ არ მომხდარაო...

გვ.6

– თურმე თარგამაძეს თავისმა სამსახურმა აცნობა გაქცევის შესახებ და მან (ჩემამდე) პრეზიდენტს შეატყობინა.



**დ.თ.** – შენ თუ 12 კაცს ასე დარდობ, მაშინ მე რაღა უნდა ვქნა, ნახევარი ჯარი გაქცევაშია.

გვ.31

## ფოტოპალიტრა

## მივმართავ შს მინისტრს...



– დამისახელეთ კორუმპირებული და უვარგისი კადრები და მოვუვლი მასო – ბრძანებს ბატონი მინისტრი და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ: აი, ბატონო, გისახელებთ და გთხოვთ რეაგირებას... პასუხისმგებელი ვარ თითოეულ სიტყვაზე...

*გაგრის ბატალიონის ხელმძღვანელი...*

გვ.8

## ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა!

**4:0**

**საქართველოს ნაკრებმა სტუმრად მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შთამბეჭდავი სტარტი აიღო. წინ იტალიაა!**

გვ.29

## ეს ავტოავარია არც გახმაურდებოდა, რომ არა...



მანქანას ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი მართავდა... დაიღუპა გერმანიის საელჩოს თანამშრომელი.

– ბედისწერაა ეს, უბრალოდ ბედისწერა... ძალიან მიმიყვანა ეშმაკმა იქ და მიიყვანა ის ცხონებულიც...

გვ.5

## სამხედრო თემაზე:

## ქუთაისში „დაბადებული“ „OCA“ აფხაზეთში უკან შემოგვიტრიალდა...



მაშინ რომ ქუთაისის ქარხანას უარი არ ეთქვა თვითმავალი საზენიტო დანადგარების სერიულ გამოშვებაზე, დღეს, 40 წლის შემდეგ, ნახევარი ქალაქი „ქუთეისურის“ ნაცვლად, გამართული რუსულით ილაპარაკებდა.

გვ.9

## ფუნიკულიორზე თბილისური ლას-ვეგასი აშენდება?



– ვინ აშენებს? რატომ აშენებს? ვინ აფუჭებს ქალაქის იერსახეს? (გია შაიშმელაშვილი).

– 100.000-იანი ბინის მშენებელს 200 ლარით რომ დააჯარიმებ, მაგის შეეშინდება? (მამუკა ჩხაიძე) ჩასვამენ მთაწმინდას რკინა-ბეტონში?

გვ.5

## ერთ კლინიკაში უცნაური რამ ხდებოდა...

მოხუც ლიფტიორს, საიდანღაც, ზევიდან ანგელოზების გალობა ესმოდა... ანგელოზები გალობას მას შემდეგ იწყებდნენ, როცა ლიფტიორს მეშვიდე სართულზე აჰყავდა ერთი სიმპათიური მნახველი...

გვ.27

– რა ეკალი, რის ეკალი...

– კაცს უყვარდა... გიჟს ჰგავდა... „ვწუხვარ, არა ვარ მეც მეფეო,“ – მოთქვამდა...

გვ.20

– უშენოდ როგორ ვიცხოვროო... მას სიყვარულმა ჩაადენინა ყველაფერი...

(თემურ წიკლაურმა მურმანის პარტია შეასრულა)



## მაშ, ახლა ვისი დროა?!

ილიას დრო წავიდაო, – ამბობენ ახალი აზრების მიმდევრები.

**(ანუ როგორ ისაკუთრებენ ქართულ მიწებს).**

გვ.3

იგი ყველას აღიზიანებს, მაგრამ ვაშინგტონს, მოსკოვსა და ისლამაბადს სწორედ მასთან მოუხდება ლაპარაკი მშვიდობაზე, გაზზე თუ ჰეროინზე.

იგი ხალხში არ ჩნდება.

გვ.22

## ვერსია „როგორც კი გამოქვეყნებიან, დაახალეთ პირდაპირ... ფეხებში!“

გვ.10

ქრთამის საშუალებით ციხის საავადმყოფოში რიგრიგობით გადმოდიან ექსპრეზიდენტის მომხრეები... შეთქმულებს გარეთ მყოფი პირები ინფორმაციითა და ფინანსებით ამარაგებენ... მათ საავადმყოფოს მინიმუმ ოთხიხუთი თანამშრომელიც ეხმარება...

ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებულია, ოჯახის წევრებმაც არაფერი იციან... გვირაბი ღამის საათებში ითხრება.

პირველ ოქტომბერს ნახევრად დანგრეულ შენობებთან მათ მანქანები ელიან... გარბიან... ყველანი საქართველოში რჩებიან.


## ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო ტელე-კინოაფიშა 9 - 15 ოქტომბერი



გვ. 16-17


Неделя
Коммандос
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
МК
stern
Сегодня
Клюква
Известия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Le Figaro Magazine
Paris Match
ТВ Парк
Лица
Огонёк
daily
Le Nouvel Observateur
Итоги


## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს

## ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ცსკო-მ საპარლამენტო არჩევნები მარტვილის რაიონში ხელმეორედ ჩაატარა. არჩევნებში შვიდი კანდიდატიდან ამომრჩევლები აქცენტს უპირატესად ორ კანდიდატზე აკეთებენ — მარტვილის რაიონის ყოფილ გამგებელ იოსებ გადელიასა და კავშირგაბმულობის ექსმინისტრ ფრიდონ ინჯიაზე! მოკლედ, ინჯიისტებსა და გადელისტებს შორის (ასე უწოდებენ კანდიდატებს მარტვილში) ბრძოლა შაბათს დაიწყო. ხელმეორედ დანიშნულ არჩევნებშიც კვლავ გამეორდა უპრეცედენტო დარღვევები და ბინძური მეთოდები, რაც საქართველოში არჩევნებისას ტრადიციად იქცა... არჩევნების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, სოფელ ლეხაინდრაოში საუბნო კომისიის წარმომადგენელსა და სოფლის მცხოვრებ ჯოჯუას შორის მოხდა ინციდენტი, რის გამოც ჯოჯუა ინფარქტით ადგილზე გარდაიცვალა...

და კიდევ: არჩევნებს სამართალდამცავებმაც, კონკრეტულად, პოლიციამაც დააჩნია თავისი კვალი: სამეგრელო — ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ახალმა უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ „სტაბილიზაციის“ დასამყარებლად თბილისიდან საგანგებოდ გამოიძახა სპეცრაზმები. მარტვილის ქუჩებში გამოჩნდნენ ჯავშანტრანსპორტიორებიც... ჯამბურიას თქმით, ეს აუცილებელი ღონისძიებაა(!). მოკლედ არჩევნები საკმაო ვნებათაღელვით და დაძაბულად წარიმართა, მაგრამ მაინც ჩატარდა. რაც შეეხება გამარჯვებულს, მისი ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

## ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ

ზამთრის მოახლოებასთან ერთად კვლავ შავი ჭირივით გვეპარება მარადიულ პრობლემად ქცეული ელექტროენერგიის უკმარისობა და შესაბამისად, გრაფიკი. გამკითხავი კი აგერ უკვე მერამდენე წელია, არავინაა! ჯერ ოქტომბერია და ენერგეტიკაში უკვე დღეს შექმნილ ვითარებას სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა... კატასტროფას უწოდებს! საქმეს ვერ შველის ვერც მინისტრის დაპირისპირება „ეი-ი-ეს თელასთან“ და კატეგორიული მოთხოვნა, რომ ამერიკულმა კომპანიამ პირობები შეასრულოს! სტრატეგიული ობიექტების, რკინიგზის, პორტებისა და საავადმყოფოების გარდა, ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვები დაიწყო მთელ საქართველოში! 6 ოქტომბერს ენერგოსისტემაში მომხდარმა ლოკალურმა ავარიამ კი მთელი ქვეყნის ენერგოსქემის პარალიზება მოახდინა, მირცხულავას საბოლოოდ დააკარგვინა მოთმინება და ავარიის ძირითად მიზეზად სისტემის იზოლირებულ რეჟიმში მუშაობა დაასახელა. ამასთან, დაადანაშაულა „ეი-ი-ეს თელასი“, რომელსაც თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი ოქტომბერში უნდა ჩაერთო, მაგრამ რემონტი დღემდე არ დაუმთავრებია. შედეგად, „ეი-ი-ეს თელასი“ არღვევს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, რუსეთიდან გაზის მოწოდების ხარჯზე „ეი-ი-ეს თელასი“ თბილისს უნდა აწვდიდეს 450 მეგავატ ენერგიას, ხოლო რადგან ამას ვერ აკეთებს, მირცხულავა მოითხოვს ელექტროენერგიის იმპორტს. „ეი-ი-ეს თელასი“ კი აცხადებს, რომ არ იყიდის ელექტროენერგიას საზღვარგარეთ, რადგან გასულ წელს სომხეთიდან შემოტანილი ელექტროენერგიის საფასური, 7 მლნ დოლარი, დღემდე გადასახდელი აქვს. „ეი-ი-ეს თელასი“ ასევე კატეგორიული წინააღმდეგია იმპორტისა იმიტომაც, რომ საქართველოში შემოსული ელექტროენერგია სხვადასხვა რეგიონში (აფხაზეთსა და ცხინვალში) ნაწილდებაო. ერთი სიტყვით, მე-9 ბლოკის ჩართვამდე უნდა მოვემზადოთ 5 საათიანი გრაფიკისათვის(!). თავად „ეი-ი-ეს თელასში“ კი ე.წ. გათიშვის (გადაჭრის) სამსახურის თანამშრომლებს ამცირებენ და სათანადო კომპენსაციით ქუჩაში, უმუშევართა ბირჟაზე ისტუმრებენ.

## ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ

„რესბალნიციდან“ პატიმართა გაქცევამ იმის გარდა, რომ დიდი ღრიანცელი და „შეშფოთება“ გამოიწვია ხელისუფლებაში, მნიშვნელოვანი საკადრო გადაადგილებების პროცესის დაწყებასაც მისცა გასაქანი. გადადგა იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი. მიუხედავად რიგი ციხეებისა და კოლონიების „ბინადართა“ კატეგორიული მოთხოვნისა, არ გადამდგარიყო გივი ყვარელაშვილი, მან მაინც დატოვა პოსტი და ახლა ინტენსიურად მუსირებს ხმები — რა ხარისხის პასუხისმგებლობას დააკისრებენ ყვარელაშვილს (ბოროტი ენები ამბობენ, ყვარელაშვილს შეიძლება „ძალიან ცუდად წაუვიდეს საქმეო“...), მანამდე კი სასამართლომ უკვე გასცა სანქციები და „რესბალნიცის“ მთავარ ექიმს და კიდევ 10 თანამშრომელს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. დაკავებულთა, უწინარესად, მთავარი ექიმის ვაჟა ჟღენტის დასაცავად უმალ ფეხზე დადგა „რესბალნიცის“ მთელი კოლექტივი, თუმცა ამით აღარაფერი გამოვიდა...

რაც შეეხება გადაადგილებებს, სამშაბათს ალბათ პარლამენტი დაამტკიცებს იუსტიციის მინისტრად მიშა სააკაშვილს, რომელიც ამ პოსტზე პრეზიდენტმა წარადგინა და რეფორმატორიც გარკვეული პირობებით დათანხმდა. საინტერესოა ისიც, რომ როგორც ჩანს, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირიდან“ და უმრავლესობიდან „მეამბოხე“ რეფორმატორს უმტკივნეულოდ გაისტუმრებენ, მის „მტკივნეულ“ პოსტს, ანუ ფრაქციის თავმჯდომარეობას კი რეზო ადამიას გადაულოცავენ.

გივი ყვარელაშვილის ადგილი, ჯერჯერობით, თავისუფალია და გავრცელებული ინფორმაციით, ამ მსუყე პოსტზე ერთ-ერთ მაღალჩინოსანს მიავლენენ... კახა თარგამაძის უწყებიდან. „რესბალნიციდან“ გაქცევის ერთი კვირის თავზე კი ძიებას, ჯერჯერობით, არსებითი არაფერი მოუპოვებია. ეს ითქვა კიდეც ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე. პრეზიდენტმა უმკაცრესი შეფასება მისცა ამ ფაქტს და კატეგორიულად მოსთხოვა ძალოვნებს, დაიჭირონ გაქცეულები(!).

## ᲐᲙᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐᲝ?!

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა: სახელმწიფო ბიუჯეტი ბოლო სამი თვის მანძილზე არ შესრულებულა(!). ამ ფაქტს ფინანსთა მინისტრიც ადასტურებს. საქმე ის არის, რომ სამი თვის ბიუჯეტის გეგმა მხოლოდ მიშა მაჭავარიანის შემოსავლების სამინისტროს აქვს შესრულებული და მორჩა, დანარჩენ რგოლებს, უწინარესად ფონდებს, მნიშვნელოვანი გარღვევა აქვთ, რისი „წყალობითაც“ სამ თვეში ცენტრალურ ბიუჯეტს დააკლდა 19 მლნ ლარი მხოლოდ საკუთარი შემოსავლების სახით... ისმის კითხვა: კი, მაგრამ ამ სამი თვის მანძილზე გამართულ მთავრობის სხდომებზე ყველა ერთხმად გაიძახოდა, ბიუჯეტი 100%-ით სრულდებაო, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს, რომ ეს 100%-იანი შესრულება მხოლოდ მიშა მაჭავარიანის უწყებას ეხებოდა. ანუ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ შემოდგომისათვის დანარჩენებიც შეასრულებდნენ გეგმებს და მერე გამოაცხადებდნენ ამ წარმატების შესახებ. ეს არათუ არ მოხდა, არამედ სერიოზული დარტყმით დაემუქრა ისედაც „შეკრეჭილ-სეკვესტრირებული“ ბიუჯეტის შესრულებას. წლის ბოლომდე კი სამ თვეზე ნაკლები რჩება...

## „ᲙᲐᲙᲣᲑᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ“ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲡ

სკანდალი დაიწყო ყველასგან მივიწყებული, მაგრამ იმავდროულად, ძებნილი და ამჟამად გაურკვეველ ადგილზე მყოფი ბორის კაკუბავას საქმის ირგვლივ. მისმა ადვოკატმა მაია მუხაშავრიამ უშიშროების სამინისტროს მოსთხოვა „კაკუბავას საქმე“, რათა გაეცნოს ყოფილი პარლამენტარისადმი წაყენებულ ბრალდებებს, მაგრამ მუხაშავრიას თქმით, უშიშროება მას ამის საშუალებას არ აძლევს. უშიშროებაში არ სჯერათ, რომ მუხაშავრია მართლაც კაკუბავას ადვოკატია. უშიშროება მოითხოვს მუხაშავრიასგან, რომ თუ კაკუბავას მართლაც სურს ჰყავდეს ადვოკატი, მან თავისი ფიზიკური არსებობის დამამტკიცებელი ცნობა იმ ქვეყნის ნოტარიუსს უნდა დაამტკიცებინოს, სადაც ამჟამად იმყოფება. ამ ანკესზე კი, რა თქმა უნდა, არ წამოეგებიან არც კაკუბავა და არც მუხაშავრია. ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ კაკუბავა კვლავ დარჩება ღრმა იატაკქვეშეთში (საქართველოში თუ მის გარეთ)... ბუნებრივია, ველარც მუხაშავრია თუ სხვა ვინმე შეძლებს მის ადვოკატობას...

## ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲐ

ზუგდიდის იზოლატორში წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით უვადო შიმშილობას განაგრძობს ძმებ ჯგუშიებთან მომხდარი სკანდალისა და მათი ოჯახის წევრებისათვის შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ დაკავებული „ტყის ძმების“ ლიდერი დავით შენგელია. მან ზუგდიდის პროკურატურას ულტიმატუმი წაუყენა, რათა მისი საქმე გადასცენ აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების სამართალდამცავ ორგანოებს. გამოძიებამ მას ახალი ბრალდებაც წაუყენა, რომლის თანახმად, შენგელიამ 6 წლის წინ იარაღის მუქარით ბენზინი და 180.000 რუბლი გაიტაცა. შენგელიას ეჭვი აქვს, რომ რადგან თენგიზ ჯგუშია მაჟორიტარი დეპუტატია ზუგდიდის რაიონიდან, ის ზეწოლას მოახდენს ზუგდიდის პროკურატურაზე და შენგელიასაც საქმე ცუდად წაუვა. ზუგდიდის პროკურატურაში კი აცხადებენ, რომ შენგელიას ეჭვი უსაფუძვლოა და საქმეს ობიექტურად გამოიძიებენ. შენგელიას სოლიდარობას უცხადებენ „ტყის ძმები“ და მის დაპატიმრებაში ხედავენ ხელისუფლების განზრახვას, ბოლო მოუღონ აფხაზეთში ქართული პარტიზანული მოძრაობის არსებობას. ყველაზე „საინტერესო“ კი ის არის, რომ დავით შენგელიას და ზურაბ სამუშიას იზოლაციას კატეგორიულად ითხოვდნენ და ითხოვენ აფხაზი სეპარატისტები.

## ᲬᲘᲚᲙᲐᲜᲨᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲢᲘ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲔᲡ

წილკნის ტაძარში სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი გაძარცვეს. ძარცვა ღამით მოხდა. ქურდებმა ხატს ნახევარ კილოგრამამდე ოქროს ვარაყი და უამრავი ძვირფასი ქვა შემოაცალეს და მიიმალნენ. მრევლი თავზარდაცემულია, გამოძიება კი ქურდების კვალს მიჰყვება...

## ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲕᲐᲙᲘᲡ „ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲘ“

იუსტიციის მინისტრად მიშა სააკაშვილის დანიშვნამ უმალ დღის წესრიგში დააყენა ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატთა ვინაობის გარკვევაც. დღეისათვის ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ადგილის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს სავარაუდო კანდიდატებმა — ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ, შალვა ნათელაშვილმა, მამუკა გიორგაძემ... ჯერჯერობით, არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს მხოლოდ „მწვანეთა“ პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, თუმცა, იმავდროულად, ეჭვი აქვს, რომ მისი თქმით, მმართველი პარტიის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონოპოლიზების პირობებში, იგი წარმატებას ვერ მიაღწევს... მოქკავშირს კი, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ დაუსახელებია თავისი კანდიდატი ვაკის რაიონში.

## ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

მცხეთის რაიონის სოფელ მუხათწყაროში, საკუთარ აგარაკზე, თავი ჩამოიხრჩო გაერთიანებული ქართული ბანკის თანამშრომელმა ზურაბ ახალბედაშვილმა, რომელსაც თვითმხილველთა თქმით, სიკვდილამდე მევალეებთან ჰქონდა საუბარი... მოწმეთა თქმით, გარდაცვლილს მევალეებისა ნახევარი მილიონი ლარი მართებდა. მისი სიკვდილისთანავე მევალეთა ერთმა ჯგუფმა აგარაკიდანვე წაიყვანა ახალბედაშვილის „ვოლვო“... მცხეთის პროკურატურის მიერ მოძიებული მასალების თანახმად, ახალბედაშვილი მეანაბრეებს სოლიდურ დივიდენდებს ჰპირდებოდა და დიდ თანხებს საბანკო ოპერაციების გვერდის ავლით იღებდა... გაერთიანებულ ქართულ ბანკში კი აცხადებენ, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და საერთოდ, გარდაცვლილს უაღრესად დადებითად ახასიათებენ.

## ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ

პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტში გამართულ ხმაურიან განხილვაზე, პარლამენტარებმა არგუმენტების უკმარისობისა და უსუსურობის გამო მხარი არ დაუჭირეს პრეზიდენტის მიერ შეტანილ საკითხს კაზინოების აკრძალვის შესახებ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მიერ წარდგენილი ერთ-ერთი არგუმენტი ის გახლდათ, რომ კაზინოებიდან ბიუჯეტში შესული თანხა არცთუ შთამბეჭდავია და ის სამ მილიონ ლარს არ გადასცილებია. ამასთან, არსებული კანონმდებლობა საქართველოში მოქმედი სათამაშო ბიზნესის გაკონტროლების საშუალებას არ იძლევა... მთავარ არგუმენტად კი ხელისუფლება პრეზიდენტის პოლიტიკურ ნებას ასახელებს(!). ეს ე. წ. პოლიტიკური ნება კი პარლამენტარებმა სხვაგვარად ვერ ახსნეს და ჩათვალეს, რომ პოლიტიკური ნება ნიშნავს პრეზიდენტის პოზიციას და სურვილს — „მინდა კაზინოების გაუქმება და უნდა გაუქმდეს“!

მიუხედავად უარყოფითი შეფასებისა კომიტეტმა მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა კაზინოების ბედის საკითხის პლენარულ სხდომაზე გატანა, რაც ალბათ მიმდინარე კვირაში მოხდება... კულუარული ინფორმაციის თანახმად, შევარდნაძის ამ ინიციატივის მიზეზი ჰეიდარ ალიევის უშუალო თხოვნაა, რადგან უამრავი ბაქოელი თურმე თბილისის კაზინოების ხშირი სტუმარია და კარგა ბლომად ფულსაც ტოვებენ აქ(!). მეტიც, ინვესტორებიც ყოფილან ამ კაზინოებისა... მოელიან, რომ პარლამენტი ჩააგდებს შევარდნაძის წინადადებას, თუმცა პრეზიდენტს შეუძლია ვეტო დაადოს პარლამენტის გადაწყვეტილებას.

## ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲒᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

**(გეა)** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ ქართული მხარე კვლავ გააჭიანურებს მოლაპარაკებათა დაწყებას სავიზო რეჟიმის თაობაზე, რუსეთი 2000 წლის 5 დეკემბერს ცალმხრივად შემოიღებს სავიზო რეჟიმს საქართველოსთან, ვინაიდან ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს წარმომადგენლობისადმი ყველა მიმართვა უშედეგოდ დასრულდა.

## ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ „ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲔᲡ“

ერთი „უცნაური“ საკომიტეტო განხილვა გაიმართა პარლამენტში, სადაც დეპუტატები, მთავრობისა და თბილისის მერიის წარმომადგენლები „გაოცებას და აღშფოთებას“ ვერ მალავდნენ თბილისის პრესტიჟულ უბნებში გაჩაღებული უკანონო მშენებლობების გამო(!). მთელი ამ მარაზმის გემო და მარილი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ უბნებში წამოჭიმულ სასახლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველ ჩინოვნიკთა საკუთრებაა, ხელისუფლებმა კი მხოლოდ ახლა „შეამჩნიეს“...

ჰოდა, „ხმაურიც“ ატეხეს, ბევრი ილაპარაკეს კორუფციაზეც, ქალაქის მერიის წარმომადგენლებმა ამ უკანონოდ აშენებული სასახლეების დანგრევის საკითხიც დააყენეს, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ვერ მიიღეს და საკითხის დაყენების ფაქტითაც კმაყოფილებმა დატოვეს იქაურობა... თბილისში კი გრძელდება ნაძარცვი მილიონებით უნებართვო და უკანონო სრასასახლეების შენება!

## ᲗᲘᲐᲜᲔᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲔᲖᲔᲘᲛᲔᲑᲝᲓᲐᲗ

თიანეთის რაიონის 28 სკოლაშივე მასწავლებელთა მასობრივი გაფიცვის შედეგად დღემდე არ დაწყებულა სასწავლო წელი. მასწავლებლები მოითხოვენ 10-20 თვის ხელფასებს. მათ მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ძლიერი გვალვის შედეგად მოსავალი განადგურდა. ადამიანებს კარს მომდგარი ზამთრისათვის შეშის ყიდვის საშუალებაც არ აქვთ, უკანასკნელი კაპიკებით ისევ ფქვილს თუ ყიდულობენ... ხელისუფლება პასუხს ვერ აძლევს რაიონის მასწავლებლებს, თუ როდის მიიღებენ ხელფასებს. ეს უკანასკნელნი მძაფრი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

## ᲒᲐᲖᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲔᲑᲡ

**(გეა)** საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა და აზერბაიჯანს შორის ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ ზამთარს აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის ადრეული გაზის მიწოდების თაობაზე. ეს გაზი მოხმარდება ქვეყნის შინამოთხოვნილებებს, ანუ იგი მიეწოდება „თბილსრესს“. ამ მიმართულებით საქართველოსადმი დახმარების მზადყოფნა კასპიის აუზის ენერგორესურსების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სპეციალურმა თანაშემწემ, ელჩმა ჯონ ვულფმაც გამოთქვა. გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტთან, ალეკო გოცირიძესთან გამართულ შეხვედრაზე ვულფმა აღნიშნა, რომ აშშ ყველანაირად მზადაა, დააფინანსოს ამ ზამთრისათვის გაზის შესყიდვა. მისივე თქმით, ამ მხრივ დახმარების მზადყოფნა ევროგაერთიანებამაც გამოთქვა.

## ᲗᲮᲘᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ

**(გეა)** საქართველოს პრეზიდენტი კმაყოფილია ძმები როდჰემების მიერ განხორციელებული ინვესტირებით, რაც აჭარის რეგიონში წარმატებით დაგვირგვინდა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ინვესტორები დახურულ კარს მიღმა მიიღო და გაწეული საქმიანობისათვის მადლობაც კი გადაუხადა. შეხვედრაზე პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია თხილის ბიზნესის განვითარება საქართველოს სხვა რეგიონებშიც და ამ საკითხით უფრო სერიოზული დაინტერესება. პრეზიდენტის აზრით, საჭიროა ინვესტორებმა საქართველოში თხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზეც იფიქრონ.




## ᲡᲔᲥᲡ-ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲡ

გასულ კვირას ჰოლანდიელმა პოლიტიკოსებმა და მეძავებმა გამარჯვება იზეიმეს — ამოქმედდა კანონი, რომელიც საროსკიპოების „მოღვაწეობას“ ლეგალურად აცხადებს.

კანონი პარლამენტში ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიიღეს და დედოფალ ბეატრიქსის კურთხევით ა/წ-ის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. მანამდე ჰოლანდიელი ლიბერალი ხელისუფლები თვალს ხუჭავდნენ ნახევრად ლეგალური საროსკიპოების არსებობაზე. პარლამენტში რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ კანონის ძალაში შესვლას, მაგრამ ლიბერალებთან დამარცხდნენ.

ამსტერდამში წითელი ფარნების კვარტალი ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს იზიდავს. ახლა ნიდერლანდების მთავრობას უფრო სტაბილური შემოსავალი ექნება — თუმცა ჰოლანდიურ სექს-ინდუსტრიას ცნობილ „ყავახანებთან“ ერთად, სადაც მარიხუანა იყიდება, ადრეც სოლიდური თანხები შეჰქონდა ქვეყნის ხაზინაში. ამჯერად სექს-ინდუსტრია ქვეყანაში ბიზნესის სხვა სახეობებთან ერთად კანონიერადაა აღიარებული.

## ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲘ

ლონდონში ჩატარდა „ქრისთის“ აუქციონი. სხვა ლოტებთან ერთად წარმოდგენილი იყო სპორტული მაისური, რომელიც 34 წლის წინანდელია. ამ რარიტეტის გარშემო არცთუ სახუმარო ბრძოლა გაიმართა მყიდველთა შორის. ამ №10 წითელი მაისურით ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა ჯეფ ჰიორსტმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში 1966 წელს. დედოფალმა, რომელიც თამაშს ესწრებოდა, ჰიორსტს სერის ტიტული მიანიჭა, გულშემატკივრებმა კი ფეხბურთელი ლეგენდარული ფეხბურთელების რანგში აღაზევეს. ამიტომაც მაისურის შეძენის მსურველი ბევრი იყო. ვაჭრობის შედეგების მიხედვით, უცნობმა მყიდველმა ლეგენდარულ მაისურში 91.750 ფუნტი (140.000 დოლარი) გადაიხადა.

# ილიას დრო წავიდაო... მაშ, ახლა ვისი დროა?

XX საუკუნის დასაწყისში ჰერეთში, იქ, სადაც მეზობელი დაღესტნისა და აზერბაიჯანის საზღვრები იყრის თავს, ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით, იმერეთიდან და რაჭიდან რამდენიმე ათასი ოჯახი ჩაუსახლებიათ და ამ სტრატეგიულ მხარეში ქართველები გამრავლებულან.

იმ დროს ამ კუთხეში უკვე სახლობდნენ მეფის რუსეთის სამხედრო ბაზაში მომსახურენი, თვითნებურად შემოსული და დამკვიდრებული ლეკები, ოსები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების ადამიანები. ამდენად, გასაგები იყო დიდი ილიას სურვილი — კახეთის ამ მადლიან მიწას თავისი პატრონი ჰყოლოდა და საჭიროების შემთხვევაში ქართული მიწა ქართველებს დაეცვათ. ეს პროცესი 1905 წელს დაიწყო და რამდენიმე წელიწადში შრომისმოყვარე იმერლებმა და რაჭველებმა ბაღნარად აქციეს აქაურობა. მომრავლებულმა ლაგოდეხელებმა სხვა ეროვნებათა სიჭარბეც დაძლიეს და კუთხესაც უპატრონეს. თუმცა, ბოლო დროს, აქაც სავალალო დემოგრაფიული ვითარება შეიქმნა. საბჭოთა პერიოდთან შედარებით ხუთჯერ შემცირდა შობადობა, გაიზარდა სიკვდილიანობა, დღითი დღე მატულობს მიგრაცია. მართალია, რაიონის სამშობიაროში ყოველდღიურად ოთხჯერ მეტი ბავშვი იბადება, ვიდრე მეზობელ რაიონებში, მაგრამ, როგორც აქაურები ამბობენ, იქ ქართულ ტირილს ვერ გაიგონებთ.



დღეს ჩვენს ქვეყანაში, ქართველების გარდა, ყველა ეროვნება რომ მრავლდება, „არახალია“. ამის მიზეზად ყოვლისმცოდნენი ჩვენ გაევროპელებულ ცივილიზაციას ასახელებენ, მაგრამ, როცა თითქმის ყოველ მეორე ქართველს ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ წასვლაზე უჭირავს თვალი, განა ჩვენს გვერდზე მცხოვრებმა მოძმე ერებმა ისეთი რა ჯადოსნური ჯავშანი მოირგეს, რომ ჩვენი პრობლემები მათ არ ეკარება?

ეს ყოველივე კარგად ჩანს სოფელ კაბალის მაგალითზე. ამ სოფელში რაიონის მთლიანი მოსახლეობის ერთი მეხუთედი ცხოვრობს და ათი ათას სამას კაცში მხოლოდ ერთი(!) ოჯახია ქართული. საბჭოეთში დაწყებული ყველაფრის მიტევების პოლიტიკამ დამოუკიდებელ საქართველოში კიდევ უფრო საშიში ფორმა მიიღო და წვრილი და მსხვილი ჩინოვნიკების მეშვეობით მოსახლეობის ეს ნაწილი არჩევნებში გამარჯვების „დამკვრელურ“, მართვად რგოლად იქცა. ნებისმიერი სახის არჩევნებში კაბალში გამარჯვება — მთლიანად რაიონში გამარჯვებას ნიშნავს. მაგრამ ნუ იფიქრებთ, ასეთი მართვადი და მორჩილი ელექტორატი თითქოს იმდენად გულუბრყვილო იყოს, რომ ვინმეს ხელაღებით, უანგაროდ უჭერდეს მხარს. ის სისტემატურად მოითხოვს ერთგულების საზღაურს — მიწას და იღებს კიდეც. თუ არა და, მთავრობაში ჩივილს რა უნდა?! როგორც ამბობენ, ამ სოფლის თავკაცი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ისეთი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობს, რაიონის გამგებელს არც კი დაესიზმრება. განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება არსებობს კაბალსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მესვეურებს შორის, რაც საქმეშიც მშვენივრად გამოიხატება.

1996 წელს სოფელ კაბალის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა მიწის მართვის დეპარტამენტს საკარმიდამო და რეფორმის ფონდში გამოყოფილი მიწის ფართობი, რომელიც სარწყავ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ურწყავად „ექცია“(!) და ამით ორჯერ გაეზარდა გასაცემი ნაკვეთების ზღვრული ნორმა. დეპარტამენტი უყოყმანოდ დათანხმდა მოსახლეობის მოთხოვნას მიწის კატეგორიის შეცვლაზე და შესაბამისი წერილიც აფრინა ლაგოდეხის რაიონის გამგეობაში. სამი კვირის შემდეგ გამგეობის თავმჯდომარე სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს უგზავნის ტელეფონოგრამას, სადაც მიუთითებს, რომ მიწის მართვის დეპარტამენტის წერილში გაცხადებული მოთხოვნა უკანონოა, რადგან სოფელ კაბალის საკრებულოში შემავალი მიწის ნაკვეთები მთლიანად ირწყვება წყალუხვი მდინარით.

ერთი თვის შემდეგ მიწის მართვის დეპარტამენტი კვლავ ჯიუტად მოითხოვს სოფლის მოსახლეობაზე გასაცემი ნაკვეთების ორჯერ გაზრდილი ნორმით დარიგებას.

ლაგოდეხის რაიონის გამგეობა კვლავ არ დაეთანხმა მიწის მართვის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას და დაადგინა სარწყავი მიწებისთვის კანონით გათვალისწინებული ნორმა — 0,25 ჰა თითოეულ კომლზე.

1997 წლის 19 მარტს მიწის მართვის დეპარტამენტმა თავისი გუნდი მიავლინა ლაგოდეხში და ადგილზე ჩაატარა (გთხოვთ, კარგად დააკვირდეთ კომისიის სახელწოდებას) „სარეფორმო ფონდში გამოსაყოფი მიწის ზღვრული (მაქსიმალური) ნორმის განსაზღვრის ხელშემწყობი კომისიის სხდომა“.

თბილისიდან მივლინებულმა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის „წამყვანმა“ სპეციალისტებმა — პ. ჟღენტმა და გ. მეტრეველმა, აგრეთვე „წამყვანმა“ პარლამენტარებმა — ა. ცინცაძემ და ი. ნევრუზოვმა ისე წაიყვანეს საქმე, რომ უგულებელყვეს ადგილობრივი სპეციალისტებისა და აგრეთვე მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის დასკვნა და სთხოვეს გამგეობას, 17 თებერვლის დადგენილებაში ცვლილებები შეეტანა. მაგრამ ჩანს, ეს უკვე თხოვნა აღარ იყო — სულ მალე რაიონის გამგებელი და რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსიც გაათავისუფლეს თანამდებობებიდან.

საქმე ამით არ დამთავრებულა. 1998 წლის სექტემბერში პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში შევიდა „საქსახმიწპროექტის“ ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტიური წერილი, სადაც მიწის მართვის დეპარტამენტის საქმიანობის მიმართ გამოთქმულ სხვა პრეტენზიებთან ერთად კაბალის საკითხიც იყო წამოჭრილი. კომიტეტში შექმნილმა კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და დაასკვნა: „საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა, სარწყავი ფართობი ჩაითვალა ურწყავად, რითაც ხელოვნურად გაიზარდა გასაცემი საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმა, დაზარალდა რაიონის ბიუჯეტი“.

კომისიის დასკვნები განიხილა პარლამენტის ბიურომ, რის შესახებაც პარლამენტის თავმჯდომარემ წერილობით აცნობა ქვეყნის პრეზიდენტს. ამ წერილის სამგვერდიან დანართში რატომღაც გაქრა მუხლი „ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში მიწის რეფორმის დროს დაშვებული ხარვეზების შესახებ“, რითაც კომიტეტის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ, რბილად რომ ვთქვათ, დაუმალეს პრეზიდენტს თავისივე კომისიის დასკვნა კაბალთან დაკავშირებით.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და მიწის რეფორმის კომისიების გადაწყვეტილებით, კაბალის მეზობელ და ანალოგიური მიწის მქონე, ოღონდ საზღვრიდან 25 კმ-იანი ზოლის მიღმა მდებარე სოფლებში ურწყავი მიწა თითოეულ კომლზე 1,25 ჰა განაწილდა, რაც, რატომღაც, კაბალის მოსახლეობის გულისწყრომისა და პროტესტის საფუძველი გახდა (განმარტებისთვის: კანონით, სახელმწიფო საზღვრიდან 25 კმ-იანი ზოლის მიღმა მდებარე სოფლის მოსახლეს, თუ იგი დაკავებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობით, ეკუთვნის 1,25 ჰა. ეს არის კატეგორიის მოსახლეობა. თუ სოფელი მოქცეულია 25 კმ-იანი ზოლის შიგნით და მოსახლეობა ამავე კატეგორიას ეკუთვნის, ანუ დაკავებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობით, კომლზე რიგდება 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, თანაც მიწა სარწყავი უნდა იყოს. სოფელი კაბალი სწორედ ამ საზღვრისპირა ზოლის შიგნითაა მოქცეული და მიწაც სარწყავია).

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიჩნია, დათანხმებოდა სოფელ კაბალის ყრილობის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ თითოეულ კომლზე გაცემულიყო არა 0,25 ჰა მიწა, არამედ 0,5 ჰა (აქ კიდევ ერთი განმარტება: 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ მიწა ურწყავია). საზღვრიდან 25 კმ-იანი ზოლის შესახებ კანონი კარგად მოქმედებს და ამიტომ სურთ კაბალელებს მიწის კატეგორიის შეცვლა და მოზომილი მიწის გაორმაგება(?!).

როგორც ჩანს, რაც უფრო დაბლა დახრი თავს, მით უფრო მძიმე უღელს მოგარგებენ — ძალიან მოგვწონს და ჩვენივე ნებით ვყოფთ თავს მონობის ყულფში, რომელსაც მერე დემოკრატიულობის დაცვის ზიზილ-პიპილებით დავიმშვენებთ და მოვიწონებთ.

ჯერ კაბალში არც სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას ითხოვენ და არც საკუთარი ტელევიზიის შექმნაზე ოცნებობენ. თუმცა, რომც მოითხოვონ, რა არის ამაში ცუდი. ხალხი განათლდებაო, — იტყვის ზოგი და მართალიც იქნება; მაგრამ ჩვენს გაუნათლებლობას და ეროვნულ სიბეცეს რა ვუშველოთ, თორემ ჩვენს მიწაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებებს რომ განათლება (სათავისოდ!) არ აკლიათ, ამაზე ჩვენი დაჭრილ-დაჩეხილი ქვეყანაც მეტყველებს.

ნუ გადავაქცევთ საქართველოს კუთხეებს უცხო ტომთა ზრდა-გამრავლების ექსპერიმენტულ ორანჟერეად. ისედაც ცხადია, უამისოდაც კარგად გრძნობენ თავს. იქნებ უფრო უპრიანი იყოს იმ სამას ათასსა და ერთ მილიონზე ვიფიქროთ, საკუთარ ფესვებს რომ მოწყვეტილან და სამშობლოს შეგრძნება ხსოვნად ქცევიათ.

P.S. ლაგოდეხის რაიონის გამგებლის კაბინეტში ილია ჭავჭავაძის ქანდაკების მინიატურული ესკიზი დგას (როგორც გამგებელმა მითხრა, ამ ძეგლს გაზაფხულზე დადგამენ ლაგოდეხში). სულმნათ ილიას ერთი ხელი გულზე აქვს მიდებული, ხოლო მეორე — მოფრთხილებისა და ზრუნვის ნიშნად მიწისკენ აქვს გაშვერილი.

ახალგაზრდა მოქანდაკის ნეველი ჯიქიას ქვაში გაცოცხლებული ილია საუკუნის შემდეგაც იმასვე მოგვიწოდებს, რასაც მთელი სიცოცხლე ქადაგებდა და გვიკიჟინებდა, მაგრამ... ილიას დრო წავიდაო, — ამბობენ ახალი აზროვნების მიმდევრები.

მაშ, ახლა ვისი დროა?

***ფირუზ ფურცელაძე***

# სეკვესტრირებული ბიუჯეტის ვერ სრულდება?!

„ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი რევოლუცია განხორციელდა და უკანასკნელი ტოტალიტარული რეჟიმი დაემხო... სერბეთი უკვე ევროპის ორგანული ნაწილია!“ აი, მოკლე შეფასება, რაც ბელგრადში დატრიალებულ დრამატულ მოვლენებს მისცა საერთაშორისო თანამეგობრობამ... მოხდა კი, მოსალოდნელი, ანუ ერმა არ აპატია მილოშევიჩს და მის რეჟიმს არჩევნების შედეგების გაყალბება, გამოვიდა ქუჩებში და თვითონვე გამოაცხადა ვოისლავ კოშტუნიცა ქვეყნის პრეზიდენტად! ადრეც გვითქვამს და გავიმეორებთ, რომ ბალკანეთში ვითარების დარეგულირების შემდეგ, დასავლეთი სერიოზულად მოჰკიდებს ხელს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარებას და რეგიონის ინტეგრირებას ევროპაში, მაგრამ რას ვახვედრებთ ჩვენ? მიუხედავად ოპტიმისტური პროგნოზებისა, გაირკვა, რომ არ შესრულდა ბოლო სამი თვის ბიუჯეტი და საეჭვოა, რომ წლის ბოლომდეც შესრულდეს, თანაც როგორი ბიუჯეტი — სეკვესტრირებული!!! კვლავ ნულის დონეზეა გაყინული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია... იმან, რომ „რესბალნიციდან“ პატიმართა გაქცევამ თითქოს „ყირაზე“ დააყენა სახელისუფლებო ელიტა, კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი, რომ პარლამენტსა და ხელისუფლებაში ელვისებურად განხორციელებული ცვლილებები, გარკვეულწილად კავშირში უნდა იყოს ამ ფაქტთან, აღარაფერს ვამბობ კიდევ ერთი მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ გამართულ ისტერიაზე რაც, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებთან ერთად ბოლოს და ბოლოს, თუ სახელმწიფო ვართ, შეურაცხმყოფელი უნდა იყოს თითოეული მოქალაქისთვის... როგორც ჩანს, ხელისუფლება ამას ან ვერ, ან არ გრძნობს. როდემდე გაგრძელდება ქვეყნის და ხალხის აბუჩად აგდების ეს პროცესი? საუბედუროდ, ამ კითხვას არც საზოგადოება სვამს. არადა, ვითარება, აღარავითარ ლოგიკას აღარ ექვემდებარება... ვესაუბრები სახალხო პარტიის ლიდერს **მამუკა გიორგაძეს**:

— რაც ხდება, ლოგიკურია მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიმართულებით, რასაც ჰქვია შევარდნაძის მართვის სტილი და ფორმები. არანაირი ადამიანური, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ინტერესების ლოგიკა შექმნილ ვითარებას არ უდევს საფუძვლად. სამწუხაროდ, შევარდნაძე არის ადამიანი, რომელმაც შესანიშნავად იცის სახელისუფლო ტექნოლოგია და იცის, როგორ შეინარჩუნოს „ტახტი“. მისი კარიერა, დაწყებული კომპარტიით და დამთავრებული დამოუკიდებელი საქართველოთი, ამის ნათელი დადასტურებაა. ადრე ანეკდოტიც დადიოდა: „გაიგეთ შევარდნაძის ბიუსტი პოსტამენტზე ვერ შედგესო! ეგ არაფერი, მაგი ისეთი კაცის ბიუსტია, ქვემოთ დადგით და თვითონ ავა პოსტამენტზეო...“



ათი წლის მანძილზე ერთი ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურაც კი არ შექმნილა. არ უნდა ამ კაცს ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა, რადგან საშიში იქნება მისი ძალაუფლებისთვის.

— **ცოტა „უცნაურად“ არ მოჩანს, რომ „მთავარი“ შინამადესტაბილიზებელი, ციხეში გამომწყვდეული და ტერაქტებში ეჭვმიტანილნი, მეტიც გვირაბების თხრაში დახელოვნებულნი ასე უმტკივნეულოდ აღმოჩნდნენ გარეთ?**

— არაფერს ვიტყვი გასულ წელს, არჩევნების წინა პერიოდში დაწყებულ კამპანიაზე „მოსალოდნელი“ დესტაბილიზაციის შესახებ, რადგან წინასაარჩევნო კამპანიაში უფლება გაქვს, რაც გინდა ის იძახო, მაგრამ გაზაფხულიდან მოყოლებული ლამის ყოველთვე ელოდნენ ამ ე.წ. დესტაბილიზაციას და ბოლოს ერთხმად შეჩერდნენ, რომ სწორედ სექტემბერ-ოქტომბერში მოხდებოდა „რაღაც“. არადა, ამას ოპოზიცია კი არ გაიძახოდა, არამედ უწინარესად ხელისუფლება, შინაგან საქმეთა, უშიშროების მინისტრები, გენპროკურატურა, პრეზიდენტი... კი მაგრამ, დალოცვილო, მე რას მიკიჟინებ, რომ დესტაბილიზაცია იქნება? ადექი და მიხედე საქმეს! მაგრამ უბედურება ის არის, რომ მათ შესანიშნავად იციან — არანაირი დესტაბილიზაცია არ იქნება საქართველოში, არამედ მათ სჭირდებათ შიშის ჩანერგვა ხალხში, რათა რიგითმა მოქალაქემ იფიქროს — შიმშილი და გაჭირვება მირჩევნია ომსა და სიკვდილს, არეულობას, ოღონდ ცოცხალი მყავდეს შვილი, ოჯახი... ამასთან, ერთი წლის მანძილზე ქვეყანაში მოხდება რაღაც, ან პატიმარი გაიქცევა, ან აგური ჩამოვარდება, ან გაზის ბალონი აფეთქდება... რაც შეეხება „რესბალნიციდან“ გაქცევის ფაქტს, სახელმწიფო არა გვაქვს და იმიტომ ხდება ასეთი რამ და არც ისე მარტივადაა საქმე, რომ ერთ მორიგე ექიმს და თუნდაც ერთ სამინისტროს დავაკისროთ პასუხისმგებლობა: ის ენერგია, რომელიც მმართველ ძალას გადართული აქვს ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად ადექი შე კაი დედმამიშვილო და სწორად წარმართე: — მე რომ მიყენებ მოსასმენ აპარატურას, ოპოზიციის ტელეფონებს უსმენ, დააყენე ეს მოსასმენი აპარატი აბსანძის საკანში და ერთი „ჩაფარი“ ლოთი ქობალიასაც მიუჩინე!..

— **სერბეთში მომხდარ რევოლუციას ცივილიზებული სამყარო მიესალმა. რუსეთის დუმამ და გენადი სელეზნიოვმა კი დაგმეს კოშტუნიცას გამარჯვება, აი, ეს სელეზნიოვი მალე საქართველოში ჩამოსვლას და აქ „საქმეების გარჩევას“ გვპირებს ნატოსთან ურთიერთობისა და სხვა უამრავი „ცოდვის“ გამო...**

— თავიდათავი მისი ასეთი განცხადებისა არის ის, რომ, როცა შარშანწინ სელეზნიოვი ბრძანდებოდა თბილისში და პარლამენტის ტრიბუნიდან ჭკუას არიგებდა ქართველ პოლიტიკოსებს, მაშინ მოქალაქეთა კავშირი ტაშით შეხვდა მის გამოსვლას! ჩვენ პროტესტის ნიშნად დავტოვეთ დარბაზი და მოვუწოდეთ ყველას, არ ეკადრებინათ საქართველოსათვის, რომ მის პარლამენტში სელეზნიოვის სიტყვა გაჟღერებულიყო! იმავეს იტყვის ახლაც, რომ „საქართველო ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთმა ყველაფერი გაუკეთა, რომ ახლა იხედებით დასავლეთისკენ და ა.შ.“ მიუხედავად იმისა, რომ პატარა სახელმწიფო ვართ, გვაქვს იმისი მექანიზმები, რომ დავიცვათ საქართველოს ინტერესები რუსეთთან მიმართებაში. თუ მოხუცი და ავადმყოფი ელცინის წინაშე სვამდი საკითხს იგორ გიორგაძის გადმოცემის შესახებ, პუტინთან რა ღმერთი გიწყრება, რატომ ერთხელ მაინც არ მოსთხოვე პუტინს გიორგაძის გადმოცემა, რაშია საქმე?!

რაც შეეხება რუსეთისადმი პრინციპულ პოლიტიკას, სახეზე გვაქვს ბალტიისპირელების მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს ყველაზე პრინციპული და მკაცრი პოზიცია აქვთ რუსეთისადმი, მეტიც, რუსულენოვან მოსახლეობას მოქალაქეობას არ აძლევენ, რუსულ ენაზე გაზეთებს არ უშვებენ და ლამის რუსული სიმღერებიც აკრძალეს, მათ არ დაუკარგავთ რუსეთის ბაზარი, ეკონომიკური თანამშრომლობაც ნორმალური აქვთ რუსეთთან, ჩვენგან განსხვავებით...

— **გმადლობთ**

მიმდინარე მღვრიე პოლიტიკურ პროცესებს დაემატა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ გავრცელებული დამაფიქრებელი ინფორმაციაც, რომ წლის ბიუჯეტი შეიძლება არ შესრულდეს. თუ რას ნიშნავს ეს, ამას დიდი ხანია საკუთარ თავზე გრძნობს ქვეყნის სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობა; მაგრამ საქმე ის არის, თუ რატომ, რა მიზეზით აღმოჩნდა ამ ყოფაში უკვე სეკვესტრირებული ბიუჯეტიც კი.

ამ საკითხებზე კომენტარს აკეთებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი **რომან გოცირიძე**.

— მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა ბიუჯეტის სეკვესტრი, ბოლო სამი თვის მანძილზე ბიუჯეტს დააკლდა 19 მლნ ლარი. გეგმა შეასრულა მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ, ხოლო დანარჩენი პარამეტრებით, როგორიცაა არასაგადასახადო და საფონდო შემოსავლები, მნიშვნელოვანი დანაკლისია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფაქტობრივად ჩავარდება პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 29 მლნ-ის ოდენობით (დღეს მხოლოდ 7 მლნ-ია შემოსული და უკეთეს შემთხვევაში შეიძლება 10 მლნ-ს მიაღწიოს), ამიტომ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებში გარღვევა ალბათ სულ მცირე, 20 მლნ ლარი მაინც იქნება, რადგანაც არარეალურია პრივატიზაციიდან ამ რაოდენობის თანხების მიღება. პრობლემებია ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების კუთხითაც და ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებიდანაც. ლაპარაკია მხოლოდ საკუთარ შემოსავლებზე; ხოლო თუკი გრანტები ვერ მივიღეთ, დანაკლისი გაცილებით მეტი იქნება. 9 თვე გავიდა და ერთი თეთრიც არ არის შემოსული ბიუჯეტში გრანტების სახით. დარჩენილ სამ თვეში ბიუჯეტის შესასრულებლად საჭიროა უკვე თვეში 72 მლნ ლარის ამოღება და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკუთარი შემოსავლების ამოღების თვალსაზრისით ამ თვის გეგმაში 60 მლნ-ია ჩადებული, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მთავრობა ან რაღაც სასწაულს ელის, ანუ ნოემბერ-დეკემბერში უზარმაზარ შემოსავლებს, ან მანიშნებელია, რომ ხელისუფლება შეურიგდა ბიუჯეტის შეუსრულებლობას...

— **რაში ხედავთ გამოსავალს? მთავრობის ეკონომიკური ბლოკი თითქოს იმედიანადაა განწყობილი. მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი პოზიტიურად აფასებს საბიუჯეტო პროცესს...**

— ახლავეა თადარიგი დასაჭერი, თუ რა საბიუჯეტო თანხები შეიძლება შეიკვეცოს, ან მთავრობამ უნდა აღიაროს, რომ წლის ბოლოსათვის კვლავ გაიზრდება საბიუჯეტო დავალიანებები. არ ვიცი, რისი იმედი აქვს მთავრობას, მაგრამ ფაქტია, რომ შექმნილ ვითარებაში სეკვესტრირებული ბიუჯეტის შესრულება საეჭვოა. რაც შეეხება სავალუტო ფონდის პოზიციას, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა დადებითი ტენდენცია შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, შესაბამისად, ფონდისთვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია ეს ტენდენცია, ვიდრე რეალური უარყოფითი ვითარება, თუმცა ფონდი, ვფიქრობ, დარწმუნდება, რომ პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლები არასწორად იყო დაგეგმილი... მეც არა მგონია, სავალუტო ფონდმა 19 მლნ-ის დანაკლისის გამო განსაკუთრებული ზომები მიიღოს ჩვენ მიმართ, მაგრამ ვითარება მართლაც არასასურველია! საერთოდ, მიზეზი კი, ბიუჯეტის შეუსრულებლობისა, ტრადიციულია, რასაც შემოსავლების დამალვა ჰქვია. ერთი მაგალითი: ასეთი მძიმე ვითარება სიგარეტიდან შემოსავლების მიღების მხრივ საქართველოში არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ქვეყანას რეალური, ლარით გამოხატული ბიუჯეტი აქვს. წელს სიგარეტის აქციზიდან 22 მლნ ლარი შემოვიდა, რაც ძალიან მცირე მაჩვენებელია. შარშან, ამავე პერიოდში, შემოსული იყო 55 მლნ ლარი, ანუ სახეზეა უზარმაზარი სხვაობა. ასე რომ, კონტრაბანდა და შემოსავლების დამალვა კვლავ მძიმე სენად გვაწევს... მართალია, ბენზინიდან შემოსავლების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ შარშანდელ პარამეტრებთან შედარებით, აქაც იკარგება უზარმაზარი საშემოსავლო თანხები!..

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# მცხეთის ქალაქს მირონი დუღს...

ყოველი წლის 14 ოქტომბერი განსაკუთრებული დღეა არა მარტო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, არამედ მთელი ერისთვის. უფლის კვართი და მირონმდინარე სვეტი, რომელთა ხსენებაც ამ დღეს აღინიშნება, გამორჩეული სიწმინდეებია მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. წელს ეს დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება, ვინაიდან საიუბილეო წელია: ქრისტეშობის — 2000, საქართველოს გაქრისტიანების — 1700, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის — 1500 და ქართული სახელმწიფოებრიობის — 3000 წლისთავი.

მაცხოვრის ხორციელად ცხოვრების დროს მცხეთელ ებრაელებს შორის ხშირად იმართებოდა კამათი იმის შესახებ, თუ ვინ იყო იესო ქრისტე — მესია თუ იუდეველი ხალხის მტერი. პალესტინაში მოსიარულე მომლოცველები იესო ქრისტეს მოძღვრებისა და სასწაულების შესახებ ჰყვებოდნენ, სინედრიონი კი მას მეამბოხედ აცხადებდა. მცხეთელ ებრაელებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ქრისტეს სახელდებდნენ იმ მესიად, ვისზეც წინასწარმეტყველები 14 საუკუნის მანძილზე ქადაგებდნენ.

მაცხოვრის შეპყრობის დროს სინედრიონმა უცხო ქვეყნებში მცხოვრებ ყველა ებრაელს მოუწოდა, მონაწილეობა მიეღო მის დასჯაში, ვინც თავს ძედ ღვთისად აცხადებდა. საქართველოდან რამდენიმე ებრაელი გაემგზავრა, მათ შორის იყო ელიოზი. ელიოზის დედა იყო ელია წინასწარმეტყველის შთამომავალი და ჭეშმარიტი მორწმუნე. ამიტომ შვილს ურჩია, მაცხოვრის მიმართ წაყენებული განაჩენის აღსრულებაში მონაწილეობა არ მიეღო. დამ კი ელიოზს სთხოვა, ქრისტეს ხელშენახები რაიმე ნივთი წამოეღო.

იერუსალიმში ჩასულ მცხეთელ ებრაელებს მაცხოვრის ჯვარცმაში მართლაც არ მიუღიათ მონაწილეობა, შორიახლოს დადგნენ იმ მრავალთა შორის, რომლებიც მოსული იყვნენ იესოს თაყვანსაცემად. როგორც კი მაცხოვარი ჯვარს აცვეს, აღსრულდა დავით მეფის წინასწარმეტყველება: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი" (ფსალ. 21,18). ხოლო უფლის უნაკერო კვართი ელიოზმა გამოისყიდა.

იერუსალიმიდან მობრუნებულ ელიოზს წინ საყვარელი და, სიდონია შეეგება. დამ გამოართვა სანუკვარი კვართი, მკერდში ჩაიკრა, ემთხვია და სული განუტევა.

სიდონიას ხელიდან კვართის გამორთმევა ვერავინ შეძლო. ელიოზმა და მეფის სასახლის ეზოში დაკრძალა.

გავიდა დრო. მცხეთაში ღვთისმშობლის კურთხევით მოციქულთა სწორი წმინდა ნინო ჩამოვიდა. მას სურდა მაცხოვრის კვართის ადგილსამყოფლის ნახვა, მაგრამ ხალხს ეს ამბავი უკვე დავიწყებოდა. სამაგიეროდ, მოეწონა სიდონიას საფლავზე ამოსულ კვიპაროსს, რომელიც სნეულ ფრინველებსა და ცხოველებს კურნავდა. ამის მიზეზი კი არავინ იცოდა.

წმ. ნინოს სასწაულებისა და ქადაგებების ამბავი სასახლის კარსაც მისწვდა. ნინომ დედოფალი ნანაც მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე, მეფე მირიანს, ქურუმთა და პოეტთა წრეში



გაზრდილ სპარსთა მეფის ძეს, წარმართული სამყაროს რელიგიური წარმოდგენები და რიტუალები ძლიერ იზიდავდა, თუმცა გულით ქრისტიანობას მიელტვოდა, ირანის შიშით ვერ ბედავდა გაქრისტიანებას. თხოთის მთაზე დიდებულებთან ერთად სანადიროდ წასულ მირიანს მზე დაუბნელდა... ილოცა ნინოს ღმერთი და უფალმაც სასწაული მოუვლინა: გათენდა!

მეფის ბრძანებით, მთელი ერი მოინათლა. წმინდა ნინოს თხოვნით, დაიწყეს კვართის დაფლვის ადგილის გასუფთავება და იქ ტაძრის აგება. მეფემ ბაღის ულამაზესი ხეებიც არ დაინანა. მოჭრა დიდებული და სასწაულმოქმედი კვიპაროსიც, რომელმაც ირგვლივ საოცარი კეთილსურნელება დააფრქვია. წმ. ნინომ ბრძანა, მოჭრილი კვიპაროსიდან შვიდი სვეტი დაემზადებინათ, გვერდითი ტოტებისაგან გაითალა ექვსი, ხოლო ზრო — მეშვიდე სვეტი უნდა ყოფილიყო.

ექვსი სვეტი განალაგეს და მეშვიდის აღმართვას შეუდგნენ, მაგრამ ვერავინ შეძლო მისი ადგილიდან დაძვრა. წმ. ნინო მოწაფეებთან ერთად მთელი ღამე აღავლენდა ლოცვას და გარიჟრაჟზე ყველამ უჩვეულო რამ იხილა: თითქოს ორი მთა, რომელზეც არმაზისა და ზადენის კერპების ნამსხვრევები იყო, ჩამოინგრა და მტკვარსა და არაგვში ჩაცვივდა. გადმოსულმა წყალმა კი ქალაქი დაფარა. ისმოდა საშინელი ყვირილი. შეშინებულმა მოწაფეებმა გაქცევა დააპირეს, მაგრამ წმ. ნინომ დაამშვიდა ისინი. აუწყა, რომ ეს ქართლის ურწმუნოების მსხვრევის ნიშანი იყო...

გამთენიისას მათ იხილეს ბრწყინვალე ჭაბუკი, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა წმინდა ნინოს, მიუახლოვდა სვეტს, ზეაწია და კვლავ დადგა.

...მეფე მირიანმა ბაღში უჩვეულო ნათელი შენიშნა და იქითკენ გაეშურა. მათ იხილეს, რომ სვეტი ხელუხლებლად ზევით და ქვევით მოძრაობდა. იგი მიწიდან თორმეტი მხრით იყო დაშორებული და მირონი სდიოდა. გაოცებული ქალაქელები სიხარულისაგან ტიროდნენ. ვინც რწმენით შეეხებოდა სვეტს, სნეულებისგან იკურნებოდა.

მეფემ გადაწყვიტა ტაძრის მშენებლობა სასწრაფოდ დაესრულებინა. იგი აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ. მოგვიანებით ტაძარი ვახტანგ გორგასალმა დაამშვენა და მანვე ისურვა, იგი 12 მოციქულის სახელობისა ყოფილიყო. ძნელბედობის ჟამს ტაძარი არაერთხელ დაურბევიათ და ხელუყვიათ, მაგრამ კვართის შეურაცხყოფა ვერავინ შეძლო.

უფლის კვართი შეიძლება შეედაროს სულიერ მზეს, მიწის წიაღიდან უხილავად მაშუქებელს, ანდა მიწისქვეშა წყაროს, რომელიც მცენარეთ უხილავად კვებავს. უფლის კვართი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელით არის ნაქსოვი და გეთსემანიის ბაღიდან გოლგოთამდე მავალი მაცხოვრის სისხლით გამთბარი. ამ სიწმინდის გამო იწოდება მცხეთა მეორე იერუსალიმად, რომლის წყალობითაც საქართველოს ეკლესია მწვალებლობის უღელქვეშ არასოდეს მოქცეულა.

*ანა ჩხეიძე*

# ინტერვიუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან



**— რაში მდგომარეობს კვართის ღვთაებრივი მნიშვნელობა და რას ნიშნავს იგი სრულიად საქართველოსთვის?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული წყალობა ხვდა წილად. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილმა ებრაელებმა საქართველოში ჩამოიტანეს წმიდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი — გამორჩეული სიწმიდე ძველი აღთქმისა, რომელიც ერთგვარ წინამორბედად იქცა იესო ქრისტეს კვართის ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანებისა.

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ხალენის და მაცხოვრის კვართის საქართველოში ჩამობრძანება შეიძლება აღვიქვათ, როგორც სიმბოლო, როგორც საწყისი ჩვენი გამთლიანებისა და გაერთიანებისა ერთმანეთთან და ღმერთთან.

მოგეხსენებათ, იესო ქრისტეს კვართი არის მთლიანი, გაუკერავი. ამ სახით მოიქსოვა იგი ღვთისმშობლის მიერ. მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ არ დარღვეულა მისი მთლიანობა, არ დანაწევრებულა იგი და ასეთივე დაიკრძალა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში. მაცხოვრის კვართი სიმბოლოა ეკლესიის ერთიანობისა და ადამიანის სულიერი განახლებისა.

III საუკუნის დიდი მოღვაწე კვიპრიანე კართაგენელი წერს: „კვართი მატარებელია იმ ერთიანობისა, რაც ზემოდან, ციდან, მამისაგან მოდის: ქრისტეს შესამოსელის ფლობა არ ძალუძს მას, ვინც არღვევს და ყოფს ქრისტეს ეკლესიას... ქრისტეს კვართი არ შეიძლება დანაწევრდეს, მისი კვართი, მთლიანად ნაქსოვი და შეკავშირებული, არ შეიძლება დაიყოს მფლობელთა მიერ"...

ამიტომაც, ის ადამიანი, თუ ჯგუფი ადამიანებისა, რომელნიც ცდილობენ, დაარღვიონ ჩვენი ეკლესიის მთლიანობა, ღვთისაგან სასტიკად დაისჯებიან, როგორც შეურაცხმყოფელნი უპირველეს ყოვლისა კვართისა საუფლოისა და მისი მადლისა.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ქართველმა ხალხმა უფლის კვართზე ააშენა 12 მოციქულის სახელობის ტაძარი. თორმეტი მოციქული სიმბოლოა მთელი მსოფლიოსი, რადგან მათ ყველგან იქადაგეს ქრისტეს სარწმუნოება: „ყოველსა ქვეყანასა განვიდა ხმა მათი". სვეტიცხოველი რომ თორმეტი მოციქულის სახელობისაა და თანაც კვართისა ზედა არის აღმართული, მოგვანიშნებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის მისია არის ჭეშმარიტი ქრისტიანული ერთობის ქადაგება მთელს მსოფლიოში.

**— არის თუ არა უფლის კვართთან დაკავშირებული წინასწარმეტყველება, რომ საქართველო გაბრწყინდება ბოლო ჟამს?**

— მე ვფიქრობ, რომ არის დაკავშირებული. უფალი იწყებს დიდი წყალობით და ამთავრებს დიდი წყალობით. მაგრამ თუ საქართველომ ვერ შეძლო სულიერი გამთლიანება, გაბრწყინება არ მოხდება.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყანა გაუძლებს დროის მკაცრ გამოცდას, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ; იმედი მაქვს, რომ ნაწილი ხალხისა, რომელიც რელიგიური გაუცნობიერებლობის და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სექტანტთა და ცრუ მოძღვართაგან იქნა გადაბირებული, კვლავ დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდება და დადგება ჟამი ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის სულიერი აღორძინებისა და გაბრწყინებისა.

**— რას უსურვებთ ქართველ ერს?**

— ჭეშმარიტების დაცვას. უფალი ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე". ვინც მიაგნებს ჭეშმარიტებას და ემსახურება მას, მარადიული ნეტარების ღირსი გახდება. რაოდენ ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენი ერი ოცი საუკუნეა უფლის და მის მოციქულთა მიერ ნაქადაგებ ჭეშმარიტების გზას ადგას. მძიმე იყო ეს გზა ჩვენთვის, მაგრამ — ერთადერთი და გადამრჩენელი. კვლავაც ერთად უნდა ვიყოთ და ერთად უნდა ვიაროთ უფლისაკენ.

ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!







# ფუნიკულიორზე ლას-ვეგასი აშენდება?

## ვის უჭირავს თვალი მთაწმინდაზე?

ყვარყვარე თუთაბერს რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, ალბათ აღარ იტყოდა: ოქროს „სარაიებს“ აგიშენებთ, ჩემსას რომ მოვრჩები მერეო, არ იტყოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ოქროს „სარაიებს“ პერიფერიებში არ აშენებენ, ელიტარული უბნები კი მშენებარე ობიექტებით ისეა გადატვირთული, რომ ახლის დასაწყებად თუთაბერისეული მლიქვნელობაც ვერას გახდებოდა. მაგრამ დროება შეიცვალა და „თუთაბერმაც“ გაამრავალფეროვნა მიზნის მიღწევის ხერხები და მექანიზმები.



ვინ აღარ იშენებს დღეს ოქროს „სარაიებს“ და „ქოხმახებს“ მთაწმინდაზე, ვაკეში, აბანოთუბანსა თუ წყნეთში. რას ვიზამთ, გვიყვარს ქართველებს კოლორიტით ტკბობა, თორემ გლდანში და ვარკეთილში ვინ რას გვიშლის — ვაშენოთ, რამდენიც გვინდა. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ხედებით ტკბობის ყველაზე დიდი მოყვარულები ძალოვნები არიან, მერე დეპუტატები და მინისტრები, იმათი მოადგილეები და ასე შემდეგ. ისე, ძალიან შორიდან გამომივიდა სათქმელი და სჯობს პირდაპირ დავიწყო. პარლამენტმა გასული კვირის ბოლოს სწორედ უკანონო მშენებლობაზე იმსჯელა. რა თქვა და როგორ, ქვემოთ წაიკითხავთ. ისე კი, ძალიან მიხარია, რომ ქართველებს და მით უფრო ისეთ სერიოზულ ქართველებს, როგორიც პოლიტიკოსები არიან, იუმორის გრძნობა არ ღალატობთ. ყველაზე მეტად კი ყოფილი ძალოვნის პოეტურობა გვანცვიფრებს. ამაზეც ცოტა ქვემოთ.

### გულუბრყვილო კითხვები

ზურაბ ცქიტიშვილი — დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე: რატომ არის ქალაქში ამდენი უკანონო მშენებლობა? რას აკეთებს არქმშენინსპექცია?

გია შაიშმელაშვილი — კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე: თბილისის ისტორიულ უბნებში გრანდიოზული ბინები შენდება. რატომ? ვინ აშენებს? ვინ აფუჭებს ქალაქის იერსახეს. რას ჰგავს, თუ იცით, აბანოთუბანი, მთაწმინდა?

არჩილ გოგელია — დეპუტატი: პარტიული მუშაკები რომ იყვნენ ადრე, ისინი გააკეთებდნენ მაგას.

ირაკლი როსტომაშვილი — კრწანისის რაიონის გამგებელი: რა ვქნა, მე, გამაგებინეთ! გამაგებინეთ და ძალ-ღონეს არ დავზოგავ. ზოგიერთი ისტორიული სახლი ჩემს რაიონში დანგრევის პირასაა და ხალხი გარეთ ვერ გამომყავს. შავთელის ქუჩაზე ბინა ინგრევა. ნინო ანანიაშვილს უნდოდა შესყიდვა. 4 ოჯახი ცხოვრობს იქ. 120.000 აძლია და უარი უთხრეს — 150 გვინდაო. პუშკინის ქუჩაზეც ერთი ავარიული სახლია. პატრონი გაიძახის, პაპაჩემის პაპამ 5 კილო ოქროდ იყიდაო. ვინ გადაუხდის მაგას ამდენს? მომეშველეთ, მირჩიეთ რამე.

რევაზ არველაძე — დეპუტატი: მთაწმინდაზე უნდა აშენდეს გასართობი ინდუსტრიული ცენტრიო. ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, რას ნიშნავს გასართობი ინდუსტრია? მე მგონი, რომ ეს ნიშნავს, გახსნა კარუსელები, სათამაშო ავტომატები, კაზინო. რომ ამბობენ, მთაწმინდა ლას-ვეგასი უნდა გახდესო, ლას-ვეგასი, როგორც ვიცი, კაზინოების ქალაქია.

ზურაბ ცქიტიშვილი: ხართ ხომ, ნამყოფი ლას-ვეგასში?!

### „არ ვარ მე ის კაცი“

სოსო ხარატიშვილი — ურბანიზაციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე: უკანონო მშენებლობებში დამნაშავეა სტრუქტურები — დაწყებული არქიტექტურით, გაგრძელებული ნებართვის გამცემით, დამთავრებული კონტროლის აღსრულებით. კანონს რომ იცავდეს სამივე, ქალაქში ასეთი საგანგაშო მდგომარეობა არ იქნებოდა.

მამუკა ჩხაიძე: — არ გვაქვს, ბატონო, მექანიზმები, რომ აღვკვეთოთ. 100.000-იან ბინის მაშენებელს 200 ლარით რომ დააჯარიმებ, შეეშინდება? მივბაძოთ საბერძნეთს. იქ ასე ხდება: თუ ინსპექცია ასკვნის, რომ მშენებლობა უკანონოა, ობიექტს ანგრევენ, მიწასთან ასწორებენ. ხარჯებს ახდევინებენ კანონის დამრღვევს. შემდეგ ამ უკანასკნელს შეუძლია უჩივლოს ინსპექციას და დაამტკიცოს, თუ მართალია. ჩვენთან რომ ასეთი ერთი პრეცედენტი მაინც იყოს, მშენებლობა შეჩერდება.

რევაზ გეთია — რესპუბლიკის არქმშენებლობის უფროსი: საქმე ასე მარტივად არ არის. აქ მთელი ჯაჭვია. ვაფიქსირებთ რა დარღვევას, ვადგენთ აქტს და პოლიციას ვუგზავნით. თუ მაინც არ შეაჩერეს, მერე სარჩელი შეგვაქვს სასამართლოში. ამ ყველაფერს 1 წელი მაინც ხომ სჭირდება? ამასობაში ის კაცი ამთავრებს კიდეც მშენებლობას.

გიორგი კურცხალია — თბილისის არქმშენინსპექციის უფროსი: ობიექტზე პოლიციის ინსპექტორი რომ მიდის, იმის არ ეშინიათ და ჩვენ რა უნდა ვქნათ? ხელკეტებით ხომ არ დავერევით? 39 საქმე გვაქვს გადაცემული სასამართლოსთვის, მაგრამ რა?! სანამ რაიმე გადაწყდება, შენობა მთავრდება. აშენებულის დანგრევის უფლება კი არ გვაქვს.

### როგორ დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას?

კომუნისტური რეჟიმის ამ ფრთიანი ფრაზის თანამედროვე რეცეპტი სულ ადვილია: თბილისში, ფუნიკულიორიდან კუს ტბამდე დისნეილენდისა და ლას-ვეგასის მსგავსი გასართობი და ტურისტული ადგილები მოეწყობა. ამ იდეის ავტორი არქიტექტორი გიორგი ჩახვავაა. უფრო მარტივად რომ აგიხსნათ იდეის არსი, ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისი ორიარუსიან ქალაქად გადაიქცევა; ანუ გვექნება ქალაქი ქალაქზე. ამ იდეის შესახებ ცნობა პრეზიდენტმა 1999 წლის მაისში მიიღო. მოგვიანებით, იდეამ ზურაბ ჟვანიაც ალაფრთოვანა თურმე. თუმცა, წერილები, რომლებიც მათ დაეგზავნათ, პოეტის ლირიკულ ნააზრევს უფრო ჰგავს, ვიდრე არქიტექტორის და ჩინოვნიკისა.

ახლა თქვენი ცნობისმოყვარეობის სრულად დასაკმაყოფილებლად ამ წერილიდან ერთ ამონარიდს მოგაწვდით. თურმე „თბილისის რელიეფი იძლევა მის ორიარუსიან ქალაქად ქცევის შესაძლებლობას. მეორე იარუსს შექმნის მთაწმინდის ზედა პლატო კუს ტბამდე. მეორე იარუსზე შეიძლება მოეწყოს ტურისტული, გასართობი და სპორტული კომპლექსი. ამასთან, აქ უნდა გავითვალისწინოთ ლას-ვეგასის მომნუსხველი მიმზიდველობა და დისნეილენდის მომხიბლავი შადრევნები. ეს იქნება აღმოჩენა მსოფლიო ტურიზმში; საქართველო ხომ უძველესი მითების ქვეყანაა, მარტო კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე, მედეა და არგონავტები რად ღირს“. ამ ლირიკული ხასიათის წერილს ჩახავასთან ერთად ხელს აწერს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე. ასეთი გულის ამაჩუყებელი წერილის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ პრეზიდენტი გულგრილი ვერ დარჩა. მან წერილი სასწრაფო რეაგირებისთვის — 10 დღის ვადით, მერაბ ჩხენკელს და ვანო ზოდელავას გაუგზავნა. ეს უკანასკნელნი კი, პრეზიდენტის მსგავსად გულჩვილნი სულაც არ აღმოჩნდნენ. თბილისური ლას-ვეგასის უთავბოლო ოდისეა წელიწადნახევარს გაჭიანურდა და ჯერაც არ დასრულებულა. თუმცა, რომელ გულჩვილობაზეა საუბარი: ჩხენკელი ერთმა გაუგებრობამ თუ სიყალბემ განარისხა. როგორც ჩახავამ განაცხადა, კომპლექსისთვის მათ 10 კვ. კილომეტრი მოითხოვეს. ჩხენკელის თქმით, ჯერ ერთი, პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში მათ 7 კვ. კილომეტრი მოითხოვეს და არა 10, მეორეც — იმ წერილში საუბარი იყო საფინანსო ცენტრზე და არა ტურისტულ-გასართობ კომპლექსზე.

რაც შეეხება საფინანსო ცენტრს, მსგავსი რამ იქ ნახსენები არ ყოფილა (აქ ჩხენკელი შეცდა). ჩხენკელს რაღაცები ერევა — ისროლა კიდეც რეპლიკა გიორგი ჩახავამ. მაშინ წერილი წაიკითხეთ — არ ჩამორჩა ჩხენკელიც და ფურცლები აფრიალა (და ამ ფურცლებით საბოლოოდ თქვენი მონა-მორჩილი დაინტერესდა მხოლოდ).

P.S. პარლამენტი საეჭვოდ ცდილობს დააჩქაროს თბილისური ლას-ვეგასის თუ დისნეილენდის დაარსება. პრეტენზია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან — კანონებს არ ასრულებსო, ცოტა ძნელი დასაჯერებელია. ეს ამბავი არახალია, ძველია. უფრო მეტიც, ხშირად სხვა, უფრო ბევრად მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტების არშესრულებაზე არ ძრავს კრინტს პარლამენტი. მეორეც, სხდომას არ ესწრებოდა (და შეიძლება ამ პროცესისგან იზოლირებულიც კი იყო) ძეგლთა დაცვის სამმართველო. წინასწარ ცნობილია, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველო და პარლამენტის კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის ქვეკომიტეტი ფუნიკულიორზე რაიმეს აშენებას არ დაუშვებენ. მთაწმინდა დაცულ ზონაში კულტურული ძეგლების ნუსხაში შედის და მესამეც — მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი კაზინოებს შემოსწყრა, მართლაცდა, სად უნდა წაიღონ მავანებმა აწყობილი ბიზნესი?! ქალაქგარეთ მათი გატანის პერსპექტივა კაზინოების მფლობელებს დიდად არ ახარებთ. შესაძლოა, კაზინოების ქალაქად სწორედ მთაწმინდა იქცეს. სხვა ტერიტორია სხდომის მსვლელობისას, ელემენტარულად არ დასახელებულა. ასეა თუ ისე, ჩვენ ჯერჯერობით, ვერსიების დონეზე საუბარი შეგვიძლია. უფრო ნათელი კონტურები ალბათ მაშინ გამოიკვეთება, როცა ფუნიკულიორს რკინა-ბეტონით დატვირთული პირველი მანქანა მიადგება.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# ეს ავტოავარია არც გახმაურდებოდა, რომ არა...



4 ოქტომბერს გლდანში, შეშელიძის ქუჩაზე მოხდა ავტოავარია. დაიღუპა ადამიანი. ეს ჩვეულებრივი ავტოსაგზაო შემთხვევა იქნებოდა და საზოგადოება მის შესახებ ვერაფერს გაიგებდა, რომ არა ერთი გარემოება: მანქანას მართავდა ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, პარლამენტის დეპუტატი აღორძინების ფრაქციიდან ნოდარ ჯავახიშვილი, ხოლო გარდაცვლილი ფეხით მოსიარულე გახლავთ საქართველოს მოქალაქე, წარმოშობით გერმანელი ფენინგერი, რომელიც გერმანიის საელჩოში დარაჯად მუშაობდა. ნოდარ ჯავახიშვილის მანქანაში ისხდნენ საკრებულოს წევრები — ოთარ ჯანჯალია და მარინა აბულაძე. 29 ოქტომბერს ნოდარ ჯავახიშვილს ვაჟის ქორწილი უნდა ჰქონოდა. კახეთიდან მას ამ თარიღისთვის საკლავი ჩამოუყვანეს მეგობრებმა და პარლამენტარი დილის 11 საათისთვის გლდანში, თავის აგარაკზე ავიდა საქონლის მისახედად. ბინდისას მას ოთარ ჯანჯალია და მარინა აბულაძე ეწვივნენ ქორწილის საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

თბილისში დაახლოებით ღამის 12 საათზე წამოვიდნენ. გზაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდათ. მესამე დღეს ნოდარ ჯავახიშვილი წინასაინფარქტო მდგომარეობით საავადმყოფოში მოხვდა. ჩვენ მას ქალაქის საავადმყოფოს კარდეოლოგიურ განყოფილებაში შევხვდით.

— მე თითქმის არ დავდივარ სოფლის გზით, მაგრამ იმ დღეს რატომღაც ამ გზით წამოვედი. უბედურება ის არის, რომ ის კაციც არ უნდა ყოფილიყო იქ. როგორც გავარკვიე, იგი დაბადების დღეზე ყოფილა თემქაზე. იქ დაულევია. ოჯახის უფროსმა სამარშრუტო ტაქსიში ჩასვა, მაგრამ თურმე სხვა ნომერში ჩამჯდარიყო და გზაზე ჩამოვიდა სხვა ტრანსპორტში გადასაჯდომად. ძალიან ნელა მოვდიოდი. დავინახე, შუა გზაზე კაცი იდგა. კაცი დგასო, — მითხრა ოთარმა. საჭესთან რომ ვზივარ, ნერვებს მიშლის ხოლმე ვინმეს კარნახი. ვხედავ-მეთქი, — ვუპასუხე. 4-5 მეტრი გამოვიარე და ეს კაცი უცებ ჩემი მანქანის წინ აღმოჩნდა. კაპოტზე ამოვარდა. „პარპრიზამდე“ არც ამოსულა, ისე ჩავარდა. ისე ნელა მივდიოდი, რომ მუხრუჭიც არ მიხმარია. მანქანიდან გადმოვედით მე და ოთარი. ვთხოვე, — დამეხმარე, მანქანაში ჩავსვათ და საავადმყოფოში მივიყვანოთ-მეთქი. ის იყო, ფეხებში ხელი მოვკიდე, რომ ვიღაც ბიჭმა, რომელსაც მანქანა გაეჩერებინა, დამიძახა — ხელი არ მოკიდოთ, ექიმი ვარო. იგი ოთარ ქინქლაძე აღმოჩნდა. პულსი რომ გაუსინჯა, თქვა, — მისი განძრევა არ შეიძლება, სასწრაფო გამოვიძახოთო.

ნოდარი იმდენად აღელვებული იყო, ტელეფონის აკრეფა ვერ მოახერხა. მე და ეს ყმაწვილი ვრეკავდითო, — გვითხრა ოთარ ჯანჯალიამ.

საგზაო პოლიციაც მოვიდა. ნოდარ ჯავახიშვილი ნარკოლოგიურში წაიყვანეს სიმთვრალეზე შესამოწმებლად.

— ფაქტობრივად, ნარკოლოგიურში გაიგეს, ვინ ვიყავი, რადგან იქ მკითხეს, — სად მუშაობ.

ავტოსაგზაო შემთხვევის ნახაზი იქვე შეადგინეს. წინასწარი მონაცემებით, ნოდარ ჯავახიშვილს მოძრაობის წესები არ დაურღვევია. მოწმეთა ჩვენებით (ვისი სტუმარიც იყო გარდაცვლილი) დადგენილია, რომ ფენინგერმა დაბადების დღეზე დალია. სწორედ ამიტომაც შეეშალა სამარშრუტო ტაქსის ნომერი.

— მის ორგანიზმს ოდნავი წინააღმდეგობის უნარიც რომ ჰქონოდა, ეს შემთხვევა ასე არ დამთავრდებოდა, — ამბობს ჯავახიშვილი. აღსანიშნავია, რომ ეს ენერგიული ადამიანი იმდენად აპათიური იყო, რომ საუბარიც კი უჭირდა.

— ვწევარ და ვფიქრობ, როგორ შეიძლებოდა თავიდან ამეცილებინა ეს შემთხვევა; ერთხელ, 7 წლის წინ, სააკაძის მოედანზე მოვდიოდი და კატა შემომივარდა ბორბლებში. მანქანა რომ გავაჩერე, ხელ-ფეხი ისე მიკანკალებდა, 20 წუთი მანქანა ვერ დავძარი.

**— თქვენ რას ფიქრობთ, რა მოხდა იმ ღამეს, რა იყო ეს — შეცდომა, უბედური შემთხვევა, თუ რა?**

— ბედისწერა. ეს, უბრალოდ, ბედისწერა იყო. ძალით მიმიყვანა ეშმაკმა იქ და მიიყვანა ის ცხონებულიც. ის მკლავს, რა ცოდვა მაქვს იმისთანა, რომ ეს მომივიდა. მოკვდა კაცი, რომელიც არის ოჯახის მამა, ქმარი... როგორც მეგობრებმა მითხრეს, უპატიოსნესი ოჯახი ჰქონია. მე თავად ჭირისუფალი არ მინახავს, მაგრამ თვალებს რომ დავხუჭავ, ვხედავ, როგორ ტირიან.

**— ამ შემთხვევას რა გავლენა ექნება თქვენს პოლიტიკურ და პირად ცხოვრებაზე?**

— მაგაზე არც მიფიქრია. ვიცი, რომ ეს შემთხვევა არასოდეს დამავიწყდება. ზოგიერთებმა მითხრეს, — მანქანა რატომ გაატანე პოლიციას, საბუთები რატომ აჩვენეო... იმ წუთში ხელბორკილი რომ დაედოთ, წინააღმდეგობასაც არ გავუწევდი. ეს ხომ ის ცოდვაა, რომელსაც ვერსად გაექცევი. ხანდახან ვფიქრობ, ჩქარა მაინც წამოვსულიყავი, რომ ვიცოდე, ბედისწერა არაფერ შუაშია და მე ვარ დამნაშავე.

**— საავადმყოფოდან როდის გაგწერენ?**

— არ ვიცი. გუშინ უკეთ ვიყავი... დღეს დილიდან ასე მგონია, გულს რაღაც უშლის ხელს, რომ გაიშალოს და სულ შეკუმშულია... არ ვიცი, ექიმები გადაწყვეტენ ალბათ.

ნოდარ ჯავახიშვილის ადვოკატის ზაქრო ჩხარტიშვილის თქმით, — შსს-მ შეიძლება ეს საქმე ობიექტურად არ გამოიძიოს.

— ეს საქმე არ არის შსს-ს ქვემდებარე, იგი პროკურატურას ეკუთვნის. ამიტომაც შსს-ს მაშინვე უნდა ჩაერთო გამოძიებაში პროკურატურა და ყველა პროცესუალური ქმედება მასთან შეთანხმებით ეწარმოებინა. მე მივმართე შსს-ს, გაეცნო ჩემთვის საქმის მასალები. მათ ამის უფლება არ მომცეს, პროკურატურას რატომ არ გადასცემენ, ან არ რთავენ ძიებაში, არ მპასუხობენ. არის საშიშროება, რომ გამოძიება გაუმჭვირვალე იქნება. შსს აცხადებს, — საქმეს პროკურატურას, როცა საჭირო იქნება, მაშინ გადავცემო. გუშინ ეს საქმე სამინისტროში განსაკუთრებული განხილვისთვის მოუთხოვიათ, როდის იყო, ავტოავარიას ასე სკრუპულოზურად იძიებდა შსს? საკვირველია პროკურატურის პოზიციაც. ისინი არანაირ ზომებს არ იღებენ, რათა ძიება კანონიერად წარიმართოს.

> ძალით მიმიყვანა ეშმაკმა იქ და მიიყვანა ის ცხონებულიც. ის მკლავს, რა ცოდვა მაქვს იმისთანა, რომ ეს მომივიდა. მოკვდა კაცი, რომელიც არის ოჯახის მამა, ქმარი... როგორც მეგობრებმა მითხრეს, უპატიოსნესი ოჯახი ჰქონია.

ნოდარ ჯავახიშვილის თქმით, მასა და კახა თარგამაძეს შორის არანაირი პიროვნული დაპირისპირება არ ყოფილა. თუმცა შსს რომ შეიძლება არაობიექტური იყოს, ამ ეჭვის საფუძველი მაქვს, რადგან ჩემს საქმეს იქ ყოველთვის არაობიექტურად უდგებოდნენო, — განაცხადა ბატონმა ნოდარმა.

**— აქედან რომ გახვალთ, რას აპირებთ?**

— ჩემთვის მნიშვნელოვანია, გავიზიარო და რაიმეთი შევუმსუბუქო ტკივილი იმ პატიოსან ოჯახს. მე მორალურად გაცილებით დათრგუნვილი ვარ და ნებისმიერი უსამართლო და თუნდაც უკანონო გადაწყვეტილება ჩემთვის ამ წუთში არაფერს ნიშნავს.

რედაქცია დაუკავშირდა ფენინგერის ოჯახს. მისმა შვილმა განაცხადა, — ჯერ ქრისტიანულად დავასაფლავოთ ადამიანი და მერე ვილაპარაკოთო.

გერმანიის საელჩომ, სადაც ფენინგერი მუშაობდა, ყოველგვარ კომენტარზე უარი თქვა — ეს შემთხვევა გამოძიების საქმეა და არა პრესისო.

მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვის გამოძიება. რომც დადგინდეს, ნოდარ ჯავახიშვილი ამ ავტოსაგზაო შემთხვევაში ცამდე მართალი იყო, ეს ინციდენტი მაინც მისი პოლიტიკური და პირადი ცხოვრების მუდმივი თანამდევი იქნება...

***ეკა ჯანაშია***

# ინტერვიუ ყოფილ იუსტიციის მინისტრთან

12 გაქცეულის გზა-კვალს უკვე ერთი კვირაა, ამაოდ ეძებენ. ამ გაქცევას ერთი მინისტრი უკვე შეეწირა — ჯონი ხეცურიანი თანამდებობიდან წავიდა (შესაძლოა მისი ბედი სხვა ძალოვნებმაც გაიზიარონ). ჭორაობენ, ეს გაქცევა იუსტიციის მინისტრს განგებ მოუწყვეს, ხეცურიანი ვიღაცის ინტრიგებს შეეწირა, მასზე ზეწოლა მოხდა და თანამდებობიდან წასვლა აიძულესო. რა მოხდა სინამდვილეში? იყო თუ არა მასზე ზეწოლა და ბოლოს, ექსტრემალურ სიტუაციაში რატომ აღმოჩნდა იგი ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული? ამ კითხვებს „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში თავად ბატონი **ჯონი ხეცურიანი** უპასუხებს.

***— ბატონო ჯონი, ვინ და როდის შეგატყობინათ 12 მსჯავრდებულის გაქცევის ფაქტი?***

— კვირას, დაახლოებით 12 საათზე პრეზიდენტმა შინ დამირეკა და მკითხა, — თქვენთან რაიმე უსიამოვნება ხომ არ მომხდარაო. ვუთხარი — არავითარი ინფორმაცია არ მაქვს, შევამოწმებ და მოგახსენებთ-მეთქი. სასწრაფოდ დავუკავშირდი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოპერატიულ მორიგეს... და მაშინ მითხრეს ყველაფერი. ვიკითხე, — რატომ არ გამაგებინეთ-მეთქი (ყოველთვის მატყობინებდნენ, როდესაც ნაკლებმნიშვნელოვანი ექსცესები ხდებოდა). მითხრეს, ვცდილობდით დაკავშირებას, მაგრამ ვერ დაგირეკეთო — მობილური ტელეფონი გამორთული მქონდა(!).

***— უცნაურია, რომ თქვენს სისტემაში მომხდარი ფაქტი შს მინისტრმა უფრო ადრე შეიტყო.***

— როგორც მითხრეს, თარგამაძეს თავისმა სამსახურმა აცნობა მომხდარის შესახებ. მან პრეზიდენტს შეატყობინა და ამის შემდეგ დარეკა ჩემთან ბ-ნმა ედუარდმა. ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ ვერ დარეკეს ჩემთან, თუკი ვინმე ცდილობდა დაკავშირებას (პრეზიდენტს არ გასჭირვებია ხეცურიანთან დარეკვა! — ი.რ.).

მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში რომ მივედი, ყველა გაოგნებული დამხვდა მომხდარის გამო. ბ-ნი გივი ყვარელაშვილი და ნაულის ქობულია (დაწესებულების დირექტორი) აღშფოთებულები იყვნენ ასეთი თავხედური აქციის გამო. იქ უამრავი ხალხი ირეოდა — პროკურატურა, შსს, უშიშროება, ჩვენი სამსახური. ბ-მა გივიმ თავიდანვე თქვა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა. მეც პირველსავე დღეს განვაცხადე, რომ პასუხისმგებლობას ვკისრულობდი ასეთი ჩავარდნის გამო და სამშაბათს პრეზიდენტს მივმართე განცხადებით გადადგომის შესახებ.

***— ითქვა, თითქოს ვიღაც გებრძოდათ და ამის გამო იყო, რომ ყველაზე გვიან შეიტყვეთ მსჯავრდებულთა გაქცევის შესახებ.***

— არ მაქვს ინფორმაცია, რომ ჩემ წინააღმდეგ რაღაც ძალები მოქმედებდნენ... გაქცევის ფაქტზე უამრავი ვერსია არსებობს, მაგრამ არც ერთი ჯერ დადასტურებული არ არის. ამიტომ ძნელია იმის თქმა, რატომ შემატყობინეს ეს ამბავი გვიან და არა მაშინვე (თუნდაც პრეზიდენტზე ადრე), როცა ცნობილი გახდა.

***— ქობალია აცხადებდა, რომ ციხეში მისი უსაფრთხოება დაცული არ იყო. ამასთანავე კეთდებოდა აქცენტი იმაზეც, რომ აბსანძემ „ბევრი რამ იცოდა". ხომ არ იყო ეს ნაბიჯი გაქცეულთა მხრიდან მოსალოდნელი ანგარიშსწორებისაგან თავის დაღწევის მცდელობა?***

— გამოძიება გაარკვევს გაქცევის მოტივაციას. მე არ ვფლობდი ინფორმაციას, რომ მათ რაიმე ემუქრებოდა. თუ ასეთი რამ მოსალოდნელია, ამის შესახებ სპეცსამსახურებმა უნდა შეგვატყობინონ. ჩემთვის ამ სამსახურებს არაფერი უთქვამთ.

***— თვითონ გაქცევის ფაქტზე რას იტყვით?***

— დაწესებულების თანამშრომელთა დოყლაპიობისა და გარკვეული პირების ხელშეწყობის გარეშე ასეთი გაქცევის ორგანიზება შეუძლებელი იყო. ეს იყო თავხედური ფორმით, ცინიკურად გაკეთებული გაქცევა.



***— ამ გაქცევის შემდეგ უშიშროების საბჭოს მდივანმა ყველა ძალოვანი უწყების მუშაობაზე გამოთქვა უკმაყოფილება. იმასაც ამბობენ, ამ ამბავს თარგამაძესაც გადააყოლებენო.***

— ეს ფაქტი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებაში მოხდა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა იუსტიციის მინისტრს ეკისრება. ამიტომ მივმართე პრეზიდენტს გადადგომის თხოვნით. არ არის მართალი, ზოგიერთის მტკიცება — ხეცურიანს განცხადება არ დაუწერიაო. განცხადება პრეზიდენტს გადავეცი კანცელარიაში და მან ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა. რაც შეეხება სხვა პირების პასუხისმგებლობას, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. როცა ასეთი რამ ხდება, ყველა პასუხისმგებელია. ეს ხომ არ არის რაღაც ლოკალური ფაქტი და რიგითი მსჯავრდებულების გაქცევა.

***— ვიღაცის წყალობით, თითქოს პრეზიდენტს თქვენზე არასწორი ხმები მისდიოდა. მახსოვს, მან კაზინოების გაუქმების შესახებ კანონის დაგვიანებაც გისაყვედურათ.***

— ვერ გეტყვით, ვინ სად ამღვრევდა წყალს. ისე, პრესაში კი წერენ ამის შესახებ. მე რომ ისეთი თანამდებობის პირი ვყოფილიყავი, რომ პრეზიდენტთან ურთიერთობის საშუალება არ მქონოდა, მაშინ შეიძლებოდა ამის დაჯერება. რაც შეეხება კაზინოს აკრძალვის შესახებ კანონის მომზადებას, მას მართლაც დრო დასჭირდა. მაგრამ როცა პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე მისაყვედურა კანონის მოუმზადებლობის გამო, მაშინ კანონი დასრულებული გვქონდა და იმავე დღესვე პრეზიდენტს მაგიდაზე ედო.

***— ამბობენ, გამსახურდიას დროინდელი ერთადერთი მინისტრი ისევ „ზვიადისტებმა" გადაიყოლესო. თქვენ და გაქცეული გურამ აბსანძე ერთ დროს იყავით აღმასრულებელ ხელისუფლებაში. როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?***

— მართალია, გაიქცა ხალხი, რომლებიც იმდროინდელ ხელისუფლებაში იყვნენ და მეც გადამიყოლეს. გურამ აბსანძე, როცა მინისტრად დაინიშნა, მაშინ გავიცანი. როგორც მთავრობის წევრებს, ხანმოკლე ურთიერთობა გვქონდა.

***— გაქცევის ფაქტს მოსალოდნელ დესტაბილიზაციას უკავშირებენ. რამდენად რეალურია ეს საშიშროება?***

— ამ ფაქტმა დესტაბილიზაცია გარკვეულწილად უკვე მოახდინა. გაქცევები სხვა დროსაც გვქონია, მარტო წელს 6 გაქცევა მოხდა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი გაქცევა. აბსანძეს და კიდევ სამ პიროვნებას (გაქცეულთაგან) პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში მონაწილეობა ედებოდათ ბრალად. როცა ციხიდან ასეთი პიროვნებები გარბიან, ბუნებრივია, საფრთხის ქვეშ დგება სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობა და საზოგადოების მდგრადობა. პიროვნებებს, რომელთაც ტერორიზმში ედებათ ბრალი, გარეთ არიან.

***— „რესპალნიციდან" გამოსული ინფორმაციით(!) გაქცევის წინა დღეებში და 1 ოქტომბრის ღამეს დაწესებულებაში დენი არ ყოფილა. ესეც „ჩაწყობილი" ამბავი ხომ არ იყო?***

— სინათლე იქ ხშირად ქრება. როცა გაქცევის დღეს მივედი სამკურნალო დაწესებულებაში, სინათლე მაშინაც ჩაქრა.

***— თანამდებობიდან წასვლის შემდეგ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში ხომ არ გიხილავთ? მით უმეტეს, რომ ზოგიერთი პარტია დაუფარავად გამოხატავს თქვენდამი სიმპათიას?***

— არც ერთ პარტიაში არ მივალ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. როცა იუსტიციის მინისტრი ვიყავი, მათ ჩემთან გაიარეს რეგისტრაცია. საქმის კეთება რომელიმე პარტიის წევრობის გარეშეც შეიძლება. ამ ათი წლის მანძილზე ბევრი ქარტეხილი გამოვიარე და ერთი რამ ვიცი — სახელმწიფო სამსახურში პიროვნების კი არა, საქმის ერთგული უნდა იყო. ვმუშაობდი 9 აპრილის გამოძიებაზე, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხზე, დამოუკიდებლობის აქტზე ჩემი ხელმოწერაცაა, რეფერენდუმის შესახებ კანონი მე შევადგინე, 1991 წელს პრესის შესახებ კანონიც ჩემი მონაწილეობით გაკეთდა, ვარ კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი, სიკვდილით დასჯის გაუქმების ერთ-ერთი ინიციატორი და ა.შ. — ერთი კაცის ბიოგრაფიისთვის ვფიქრობ, ეს საკმარისია. კმაყოფილი ვარ, რომ ამ ცხოვრებით ვიცხოვრე.

***— კულუარული ინფორმაციით, მალე კარგ თანამდებობას შემოგთავაზებენ.***

— პრეზიდენტმა ამის შესახებ თქვა — კიდევ გამოვიყენებთ ბ-ნ ჯონისო. მანამდე... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და სამოქალაქო სამართლის კათედრაზე წავიკითხავ ლექციებს. ეს ერთი წელი იმდენ ჯაფად და ბრძოლად დამიჯდა, რომ დავიღალე. მინდა დავისვენო და გავიაზრო, რაც მოხდა. სამსახურში ფიქრის დროც არ მქონდა...

***— დასვენებისას ალბათ თქვენს ჰობს — ნადირობასაც არ დაივიწყებთ.***

— თევზაობა და ნადირობა ძალიან მიყვარს. არაგვში ანკესით ვთევზაობ ხოლმე კალმახზე. ახლა ნადირობის სეზონია, მაგრამ ალბათ სანადიროდ ვერ მოვიცლი.

***— სად ნადირობთ ხოლმე?***

— საქართველოს გარეთ არასდროს მინადირია. უფრო დასავლეთ საქართველოში მივდივარ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ლეჩხუმელი ვარ, ლაილაშში მაქვს მამაპაპისეული სახლი. ოთხი წლის წინ ვიყავი ბოლოს. ვერ მოვიცალე იქ ასასვლელად. ისე, მინადირია ფოთში, ხონში, თეთრწყაროშიც...

***— გავიგე, ძვირფასი სანადირო თოფი გქონიათ...***

— არა, ძვირფასი არ არის. უბრალოდ, ამ თოფს ძალიან შევეჩვიე. TO3 34-ია, რუსული წარმოების ორლულიანი. ის ორი თოფი, რომელიც კედელზე კიდია (ფარ-ხმალთან ერთად) ოჯახის რელიკვიაა. ნადირობისას მომიკლავს მწყერი, ქედანი, მელა, ღორი...

***— ბოლო კითხვას დაგისვამთ — თქვენს შემცვლელ, იუსტიციის ახალ მინისტრზე რას იტყვით?***

— ბ-ნ მიხეილს გამოცდილება აქვს. ნიჭიერი კაცია. მოქმედებაშიც პრინციპული და გაბედულია, რეფორმების გატარებას სწორედ ასეთი პიროვნება სჭირდება. დაწყებულ საქმეს მისი ხელი ალბათ ძალიან წაადგება.

***იზო რიკაძე***

## „კვირის პალიტრის" რედაქციას

# პეტრე ბერაია იხევ ცრუობს!

გაზეთ „კვირის პალიტრაში" (2-8 ოქტომბერი, 2000წ) გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „რა ვუთხრა მათ მინისტრობას, ვინც ამ დოკუმენტზე ხელი მოაწერა". წერილი შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით (№159, 27 მარტი, 1995წ.) შპს „სამებისათვის" ფოთის ნავსადგურის ტერიტორიიდან 2.21 ჰა ფართობის №7 ნავმისადგომის გამოყოფას ალკოჰოლიანი სასმელების, მინერალური და წყაროს წყლების ტერმინალის მშენებლობისათვის. ამ წერილში ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი პეტრე ბერაია ერთდროულად მძიმე ბრალს სდებს არაერთ ადამიანს, მათ შორის, მეც.

რაც შეეხება სადავო საკითხს: როგორც საგაზეთო წერილიდანაც ირკვევა, შპს „სამებას", რომელსაც ბატონი ზურაბ ტყემალაძე ხელმძღვანელობს, გადაეცა ნავსადგურის ტერიტორიის 2,2 ჰა ფართობი და ეს მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მოხდა. დადგენილებას ხელს აწერს 15 მინისტრი, მაგრამ, ეს, ბატონი პეტრე ბერაიასათვის, როგორც ჩანს, არაფერს ნიშნავს. მას ურჩევნია ამ საქმეში მელიასა და გეგიძის გვარები ამოატივტივოს, მაშინაც კი, როცა ისინი ამ დოკუმენტზე ხელს არ აწერენ. მასზე მართლაც არის მიწერილი, რომ საკითხი შეთანხმებულია ფოთის მერიასთან, არის სათანადო ხელმოწერაც, ოღონდ ეს ხელმოწერა არ არის არც ჩემი, არც რომელიმე ჩემი მოადგილის, მეტიც, ეს ხელმოწერა ფოთში არც არის გაკეთებული. ვიმეორებ, აღნიშნულ დოკუმენტს არ ვიცნობდი, ის მერიაში არ შემოსულა განსახილველად, არც შემოსული წერილების ნუსხაშია აღრიცხული. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ გადაწყვეტილება თბილისში მიიღეს, — უჩვენოდ! თავად ტერიტორიის „სამებაზე" გადაცემის ფაქტის შესახებ კი მეც ახლახან შევიტყვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. მიუხედავად ამისა, არ ვთვლი, რომ ეს უკანონო დოკუმენტია.




ახლა რაც შეეხება ამ საკითხის წამომწევს, ბატონ პეტრე ბერაიას, რომელიც ამაყობს არჩევნებში მოპოვებული წარმატებით, თუმცა, ყველამ იცის, რა იყო და როგორ იყო. მაგრამ ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა ფაქტი ის არის, რომ პეტრე ბერაია სარგებლობს თავისი სადეპუტატო უფლებით და გვიტევს. მაგრამ მას ზომიერება ღალატობს, მან შეურაცხყოფა მომაყენა პირადად მე და მძიმე ბრალი დამდო — ქრთამის აღება! — ასე, 5 ათას დოლარამდეო... ამას დამტკიცება უნდა. მისი წინასწარი თავდაცვა — ვერ დავადასტურებ, ჭორის დონეზე ვიციო, — ვერაფერი საშველია. მას შეუძლია იჭოროს ყველგან, სადაც გაუხარდება, ოღონდ მერე ყოველ ნათქვამ სიტყვაზე პასუხი უნდა აგოს: ყოველ შემთხვევაში, მე ამ პასუხს მოვთხოვ, ცხადია, კანონიერების დაცვით.

რატომ მაინცდამაინც ახლა აფორიაქდა ბატონი პეტრე? რა უგრძნო მას გულმა ამისთანა? რამ აანერვიულა, რომ 1995 წელს გადაცემული ორი ჰექტარი, რომელიც წინა მოწვევის დეპუტატად ყოფნისას არ გახსენებია, ახლა გაახსენდა?

ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს იმ „გამარჯვების" კანონიერების საკითხს, ბატონმა პეტრემ რომ მოიპოვა არჩევნებში, რომლის წყალობითაც ის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა და რომელ უფლებასაც დღეს ასე მოხერხებულად იყენებს. გულწრფელად გეტყვით, მელია — ბერაიას თემაზე რესპუბლკური პრესიდან საუბარი არ მსურდა. არ გამიცია მე მისთვის პასუხი არც მაშინ, როცა ამ ცოტა ხნის წინათ სამთავრობო ტრიბუნიდან ჩემს გვარს ახსენებდა, არც მერე, როცა მისი „უხილავი ხელი" ცხადად ვიგრძენი სხვადასხვა საგაზეთო პუბლიკაციასა თუ სატელევიზიო გადაცემაში, მაგრამ ჩემთან ჭიდაობაში ის ზომიერებას კარგავს. მინდა სიმშვიდისაკენ მოვუწოდო და შევახსენო, რომ ის, უპირველესად, ფოთელია და ჩვენი ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი. მას აქვს იურიდიული, კანონიერი უფლება, რომ ჩამოვიდეს ჩვენს ქალაქში და ჩვენს ავ-კარგზე, ჩვენს საშინაო საქმეებზე აქ, ფოთში ვიმსჯელოთ. სხვა საქმეა, თუ მის, კანონით მინიჭებულ ამ უფლებას მორალური დისკომფორტი ახლავს, უჭირს ფოთში ჩამოსვლა და ცენტრიდან დავა უფრო ეხერხება.

მე მაინც ვურჩევ, შორიდან ქვების სროლას თავი ანებოს, ჩამოვიდეს და საჭირბოროტო საკითხები აქ, ფოთის საზოგადოებასთან ერთად განიხილოს. ხოლო თუ რაიმე აქვს ჩემთან საპრეტენზიო, ამაზეც აქ ვილაპარაკოთ.

***პატივისცემით***
***რომან მელია, ფოთი***


# სიახლე ფირმაში „მედი"– ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმების ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.

მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება – ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, - რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

სხვა, ნებისმიერ ლაზერულ აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი", დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელს კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.

სამედიცინო ცენტრი „მედი", ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა, გთავაზობთ სიახლეს – ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას და კომპლექსურ მკურნალობას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს პაციენტების ჰორმონალური ფონის გამოკვლევა, გინეკოლოგის კონსულტაცია, მცირე მენჯის ორგანოთა ექოსკოპია და სხვა. კომპლექსური მკურნალობის პროგრამა ხორციელდება გერმანულ სამედიცინო ფირმა „შერინგ"-თან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია შესაძლებელია მხოლოდ ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, რაც საუკეთესო და სწრაფ ეფექტს იძლევა.

ფირმა „მედი" - და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

**ი. ჭავჭავაძის გამზ. №70**
**ტელ: 25-02-02; 22-50-43**

# გამინისტრებული სააკაშვილი აღიარებს, რომ მოქკავშირს ფინანსური დასაყრდენი აღარ აქვს...

პატიმრების მიერ გვირაბის გათხრამ მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარეს, მიხეილ სააკაშვილს იუსტიციის მინისტრობა არგუნა. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე პოზიცია-ოპოზიციამ სააკაშვილის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი. ამ კვირას პარლამენტი ახალ იუსტიციის მინისტრს საბოლოოდ დაამტკიცებს. მიხეილ სააკაშვილი პარლამენტიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიდის. ერთნი თვლიან, რომ ბოლოდროინდელი მწვავე გამოსვლების გამო პარლამეტნიდან ტექნიკურად მოიშორეს და გამინისტრებით მისი პოლიტიკური კარიერა დასრულდა. მეორენი კი მიიჩნევენ, რომ უბრალოდ, სააკაშვილი „პატარა წუმპიდან დიდ წუმპეში გადადის“, საიდანაც სუფთად გამოსვლა მის მარიფათზე იქნება დამოკიდებული. თუმცა სააკაშვილი ასე არ ფიქრობს და თვლის, რომ პრეზიდენტის მიერ იუსტიციის მინისტრის პორტფელის შეთავაზება დაწინაურებასაც ნიშნავს და დიდ ნდობასაც... ხუმრობა ხომ არ არის, იუსტიციის სამინისტრო თავისი 5-6 ათასი თანამშრომლითა და 10 ათასამდე პატიმრით მთელი სამყაროა, მინი-სახელმწიფო, რომელიც სააკაშვილმა უნდა მართოს. თავის მხრივ, მოქკავშირის ლიდერი სულაც არ არის ცუდ გუნებაზე და აღიარებს კიდეც, რომ ბოლო დროს ფრაქციაში ყოფნა კიდეც მობეზრდა...

**— ბატონო მიშა, რას ნიშნავს თქვენთვის იუსტიციის მინისტრის პოსტი — დაქვეითებას თუ ზეაღსვლას?**

— მე მგონი, ნებისმიერი ქვეყნის იურისტის ოცნებაა — გახდეს საკუთარი ქვეყნის იუსტიციის მინისტრი; და თუ ასეთი შანსი გაუჩნდება, არც ერთი ნორმალური ამაზე უარს არ იტყვის, სადაც არ უნდა მუშაობდეს. მეორე მხრივ, ყველა ქვეყანაში იუსტიციის მინისტრობა ნიშნავს დაწინაურებას... კარგად ვიცი, რომ ეს სამინისტრო არის ჩავარდნილი, არის ძალიან ბევრი პრობლემა, მაგრამ ჩემეული გაგებით, სამოქალაქო სამსახური ის არის, რომ თუ ადამიანს უნდა რაიმე გააკეთოს, იქ უნდა წავიდეს, სადაც ყველაზე მეტადაა ჩავარდნილი სიტუაცია... ისე, მართალი გითხრათ, ფრაქციაში ყოფნამაც დამღალა იმ გაგებით, რომ რუტინაში გადაიზარდა. ეს რუტინა ყოველთვის მაშინებს, რადგან მიყვარს სიახლეები, ახალი გამოწვევები. იუსტიციის სამინისტრო ამ მხრივ მთელი სამყაროა — ეს არის 10 ათასამდე პატიმარი, 5-6 ათასამდე თანამშრომელი. აქ არის მთავრობის მთელი საკანონმდებლო საქმიანობა და ა.შ. ამ მხრივ ჩემთვის საინტერესო შეთავაზებაც იყო და გამოწვევაც.

**— მაგრამ საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ პარლამენტიდან ტექნიკურად გიშორებენ...**

— ჯერ ერთი, არც ისეთი სულელი ვარ, რომ ვინმეს თავი მოვაშორებინო და მეორეც, პარლამენტიდან მე ვერავინ მომიშორებს, რადგან ყოველ კვირას მაინც გამოვჩნდები და შეიძლება რამდენჯერმეც. იუსტიციის მინისტრი არის ის მინისტრი, რომელიც სულ საპარლამენტო ტრიბუნაზე უნდა იდგეს. პულტი არ მექნება, თორემ ჩემი ხმა არანაკლებ ინტენსიური იქნება პარლამენტში.

**— რამდენიმე დღის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ იუსტიციის სამინისტროში გადასვლით უკეთესად განახორციელებთ თქვენს პროგრამას — „ფეოდალური ბიუროკრატიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლას. თქვენი მინისტრობის დროს თქვენ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შესაძლოა, პარლამენტმა არ დაამტკიცოს. მეორე მხრივ, პარლამენტი არის ის ორგანო, რომელიც ქმნის და იღებს კანონებს. თქვენ, როგორც დიდი ფრაქციის ხელმძღვანელი, პარლამენტიდან უკეთესად არ შეძლებდით თქვენი პროგრამის განხორციელებას?**

— დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტში რჩება ჩემი გუნდი, რომელიც ჩემს შეხედულებებს იზიარებს და მათი მხარდაჭერა მექნება; სხვა შემთხვევაში, წასვლა სრული სისულელე იქნებოდა. ამ სიტუაციაში პოლიტიკურად ჩემთვის მომგებიანია მინისტრობა. მე უფრო ის მაშინებს, რომ ჩემ მიერ წამოყენებული წინადადებები შეიძლება მთავრობის დანარჩენმა წევრებმა არ გაიზიარონ... სხვათა შორის, მთავრობის ხუთი თვის წინანდელი შემადგენლობა რომ ყოფილიყო, არც დავთანხმდებოდი მინისტრობაზე.

**— ვის გულისხმობთ?**

— იმავე ძველ სახელმწიფო მინისტრს, ასევე ბაკურ გულუას... მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში სახელმწიფო მინისტრი პოლიტიკურად და იდეურად ჩვენი მოკავშირეა. ასეთი სიტუაციები, ვფიქრობ, მთავრობის შიგნით კონსენსუსის მიღწევა შეიძლება. გარდა ამისა, სრული გარანტია მაქვს პრეზიდენტის მხარდაჭერისა და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს და ჩვენ ბევრ საკითხში ყოველთვის განსხვავებული აზრი გვქონდა, კარდინალურ მომენტებში ყოველთვის გვიჭერდა მხარს.

**— ბატონო მიშა, აცხადებთ, რომ პარლამენტში თქვენი გუნდის მხარდაჭერის იმედი გაქვთ. იმ გუნდის იმედი გაქვთ, რომლის დაშლა პრაქტიკულად დაწყებულია?**

— მე არ მგონია, რომ იშლება. თუმცა კი იყო ინტერესების მიხედვით დიფერენციაცია, მაგრამ პირველი გასვლები მოქკავშირიდან ხომ ჯერ კიდევ 1995 წელს მოხდა. როცა ჩვენი საპარლამენტო სია დგებოდა, 40% გამოიცვალა. ამჟამად კი ინტერესების მიხედვით ხდება კრისტალიზება. ვფიქრობ, რომ



ეს არის კარგი, რადგან ერთი მხრივ მართალია, ვკარგავთ ხმებს, მაგრამ მეორე მხრივ, ხელს გვიხსნის, უფრო რადიკალურები ვიყოთ. დარწმუნებული ვარ, ტექდათვალიერებას მოჰყვება პასპორტების გაიაფების საკითხი, შემდეგ სახელმწიფო მოხელეების მიერ სახელმწიფო ქონების უკანონო მითვისების გამო, კანონების გადახედვა ქონების დაბრუნების მიზნით. თუ ამ გამოცდასაც გავუძლებთ, მერე დარწმუნებული ვარ, დაშლა აღარ მოხდება.

**— მაგრამ თქვენი პარტია ამჯერად საკმაოდ სერიოზულმა ფიგურებმა დატოვეს, რომელთა უკან სერიოზული ფინანსური დასაყრდენი დგას. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე პლუს ანზორ ბურჯანაძე პლუს ბადრი ბიწაძე, სიორიძე პლუს გაერთიანებული ქართული ბანკი და მის უკან მდგომი უზარმაზარი ფინანსური ძალა, კახა ჩიტაია პლუს ნუგზარ შევარდნაძე, ანუ პრეზიდენტის ახლობლების ჩამოშორება. თუ ამას დავუმატებთ ჭორებს, რომ თქვენს რიგებს დატოვებენ ჯანსუღ ჩარკვიანი, ამაღლობელი, გიგინეიშვილი, შენგელაია, ასევე თქვენც, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიდიხართ, მგონი, დაშლისთვის საკმაოზე მეტი მიზეზია...**

— ჯერ ერთი, ჩემი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლა ჩვენს გაძლიერებას ნიშნავს: უმრავლესობას პლუს იუსტიციის მინისტრის პოსტი; და მეორე, თქვენ მიერ ჩამოთვლილ ფიგურებს შორის მე არ გავავლებდი პარალელს. მაგალითად, იმავე კახა ჩიტაიას ვფიქრობ, არანაირი კავშირი არ აქვს ნუგზარ შევარდნაძესთან. უბრალოდ, თვითონ ზედმეტად ბევრი ილაპარაკა. მას რომ კავშირი ჰქონდეს რომელიმე ფინანსურ დაჯგუფებასთან, დიდი ხანია შემჩნეული მექნებოდა. უბრალოდ, ჩიტაია პიროვნულად იყო დაპირისპირებული ჩხობაძესთან. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, იგი გარკვეული წრის გავლენის ქვეშაა და მიზეზი არ არის მხოლოდ რჩეულიშვილი. მართლა არ მინდა ახლა ამაზე ღიად საუბარი. მოვა ამის დროც.

**— მამამისს და მეუღლეს გულისხმობთ?**

— არც მამამისს მინდა ვაწყენინო, მაგრამ იყო უდავოდ წრის გავლენა, ინტერესები. მაგალითად, ზაზა სიორიძე პიროვნულად ღირსეული ადამიანია, მაგრამ იქ არის სერიოზული ფინანსური დაჯგუფება, დგას კონკრეტული წრე. როდესაც მათი წრისა და ჩვენი ინტერესები არ ემთხვევა, სამწუხაროდ, მათი გავლენის ქვეშ ექცევა.

**— ბატონო მიშა, თქვენ არგუმენტებზე მესაუბრებით, მაგრამ ხომ ნიშნავს ეს მოქკავშირის დაშლას?**

— მართალია, ჩვენ დავრჩით სერიოზული ფინანსური საყრდენის გარეშე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სამ წელიწადში, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე გაიზრდება გარკვეული ფენა — საშუალო კლასი, რომელიც დაინტერესებული იქნება არა მსხვილი ლობირებებითა და სამთავრობო სავარძლების ხელში ჩაგდებით, არამედ იმით, რომ გავუუმჯობესოთ საქმიანი გარემო და ამიტომ მოგვცემენ ფულს. პარლამენტი არ არის ბაზრობა, სადაც ადგილი უნდა იყიდო და მერე ბიზნესი ატრიალო... მართალი გითხრათ, ცოტა იმედი გამიცრუეს იმ ახალგაზრდა ბიზნესმენებმა, რომლებიც ჩვენ შემოვიყვანეთ და ახლა, ლამის ისე წარმოადგინონ თავი, თითქოს მათ შემოგვიყვანეს. ლევან გაჩეჩილაძე ჩემი მეგობარია, მაგრამ მისი შემოყვანილი პარლამენტში ნამდვილად არ ვარ. რა თქმა უნდა, ფინანსები დიდ როლს თამაშობს პოლიტიკაში, მაგრამ ფული არ არის ყველაფერი. მჯერა, გამოჩნდება სხვა ხალხი, რომელიც ფულს მოგვცემს არა იმიტომ, რომ პარლამენტში შემოვიდეს, არამედ იმისთვის, რომ ქვეყნისთვის გააკეთდეს საქმე.

**— ერთ კითხვას დაგისვამთ, ოღონდ გულწრფელად მიპასუხეთ. გიშლიდათ თუ არა ხელს ბოლო პერიოდის საქმიანობაში ის ფაქტი, რომ მოქკავშირის ხელმძღვანელი პრეზიდენტია...**

— ჩვენი პრობლემა პრეზიდენტზე მეტად იყო კონკრეტულ თანამდებობის პირებზე ლაპარაკი. საერთოდ, პოლიტიკური თამაში ზედმეტი პრობლემების გაჩენას ნიშნავს. ერთი მხრივ, ყველა მოითხოვს, იყო უკომპრომისო, დაასახელო გვარები, დაუპირისპირდე ყველას, მაგრამ როგორც კი დაუპირისპირდები, მერე რეკავს დამრეკავი და ამბობს, სააკაშვილს ცუდი ხასიათი აქვს, ყველას უპირისპირდებაო... მერქმევა სახელი სკანდალისტის, რადიკალისტის...

**— მე ვიგულისხმე, თუ მოხდა პრეზიდენტის ინტერსებთან შეჯახება...**

— ერთი რამ ნათელია: ჩვენ პოლიტიკაში შევარდნაძის ზურგით მოვედით. მე არ ვიცნობ პოლიტიკურ ძალას საქართველოში, რომელიც გამუდმებით არ ცდილობდეს შევარდნაძის კეთილგანწყობის მოპოვებას. დღეს თუ ვინმე აფიქსირებს საჯაროდ უთანხმოებას პრეზიდენტთან, ისევ ჩვენ. რამდენიმე ძალა იბრძვის იმისთვის, რომ რაღაცნაირად შევარდნაძის ფრთის ქვეშ ჩვენ ჩაგვენაცვლოს. მეორე მხრივ, შევარდნაძის სტილი ძალიან საინტერესოა — იგი არასოდეს არ ეგება ასეთ ანკესსა და აღმოსავლურ მლიქვნელობაზე.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტი დატოვებს თქვენს გუნდს?**

— მგონი, არა და აი, რატომ: ამდენი ჭორის, მითქმა-მოთქმის შემდეგ ერთ-ერთი მთავარი, წამყვანი პოსტის შემოთავაზება, პოსტისა, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის უშიშროება და უსაფრთხოება, ამისი ნიშანი იყო მთელი ფრაქციისთვის.

**— ვიცი, რომ პრეზიდენტთან თითქმის მთელი საღამოები მოლაპარაკებები გქონდათ. ამბობენ, ულტიმატუმი წაუყენეთ...**

— ულტიმატუმი არ წამიყენებია, მაგრამ გაოცებული ვარ, რამდენად დამთმობი აღმოჩნდა. პრაქტიკულად, სრული თავისუფლება მომცა ნებისმიერ სფეროში. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. მე მინახავს იგი ულტრარადიკალურ სიტუაციებშიც, სადაც მას ყველაზე ახლობელი ადამიანები გაუშვია მოლოდ იმის გამო, რომ ასე ჭირდებოდა საქმეს.

**— ბოლო პერიოდში თქვენი და თარგამაძის დაპირისპირება ძალზე გამწვავდა, თქვენ მისი ტონი და პარლამენტის მიმართ დამოკიდებულება მიუღებლად მიიჩნიეთ. იმავე გახმაურებულ ე.წ. თვალთვალთან დაკავშირებით... თუ ეს ასეა, რატომ არ დააყენეთ მისი იმპიჩმენტის საკითხი?**

— პარლამენტის იურიდიული კომიტეტი იკვლევს ამ საკითხს. ამ კვირას საგამოძიებო კომისია იქმნება. იგი შეისწავლის ერთ-ერთ საკითხს, თუ რა ხდება შსს-ში. მე პიროვნებებზე ნამდვილად არ მაქვს აქცენტი. ევროსაბჭოში მოხსენებით გამოვიდა ადამიანის უფლებების დაცვის კომისარი, რომელმაც რადიკალურად დააყენა მომავალი წლისათვის ევროსაბჭოდან ჩვენი გარიცხვის საკითხი, თუ წინასწარი გამოძიების სფეროში და პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები არ აღიკვეთება. ასე რომ, ძალზე სერიოზულად არის საქმე და სიტუაცია რომ გამოსწორდეს, ამით მინისტრიც უნდა იყოს დაინტერესებული... კახა თარგამაძის ინტერესი კი არ მაქვს, აქ დგას სისტემის საკითხი — ჩამოყალიბდა მანკიერი სახელმწიფოებრივი „რეკეტი“ და განუკითხაობა ამ სფეროში და დროა, ეს აღმოიფხვრას.

**— ბატონო მიშა, დავუშვათ, სასჯელთა აღსრულების რომელიმე დაწესებულებიდან კვლავ გათხარონ გვირაბი და თქვენი მინისტრობაც ამას შეეწიროს. მაშინ რას იზამთ?**

— ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ გათხარონ. მე მჭირდება 5-6 თვე, რომ იქ სიტუაცია მოვაწესრიგო. საბოლოო ჯამში, თუ მაინც გათხარეს გვირაბი და ყველა ციხე დაინგრა, ეს უკვე მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს პრობლემა კი არა, მთელი ქვეყნის პრობლემა იქნება.

*მარინა მამისაშვილი*



# მივმართავ შს მინისტრს კახა თარგამაძეს

— გაგრაში ტყვედ ავიყვანე ერთი ძალიან ღარიბულად ჩაცმული საეჭვო პიროვნება. გავჩხრიკე. აღმოვუჩინე ჩვენი პოზიციების რუკა, სადაც ცენტრალური შტაბის კოორდინატებიც ჰქონდა აღნიშნული. ტყვე შტაბს ჩავაბარე, მაგრამ მეორე დღეს ქუჩაში შემეფეთა. თავის საქმიანობას განაგრძობდა. შტაბში მივაბრუნე, მაგრამ იგივე გამეორდა. ხელახლა დაპატიმრებისას მითხრა, — რამდენჯერაც არ უნდა დამიჭირო, იმდენჯერ გამათავისუფლებენო. ისევ იმავე ადგილას მიბრუნებას აზრი არ ჰქონდა, მაინც გაუშვებდნენ. ამიტომ ბოძზე მივაბი და რამდენიმე საათის შემდეგ, ვეღარაფერი რომ ვერ მოვუხერხე, თვითონვე გავუშვი. იმ საღამოს ჩვენი პოზიციები დაიბომბა, მათ შორის შტაბიც, — მითხრა გაგრის ბატალიონის ხელმძღვანელმა მერაბ ლორთქიფანიძემ. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა იმ ქართველი სამხედრო იერარქების გვარების დასახელებას, რომლებმაც შეგნებულად თუ უცოდინრობის გამო დანაშაული ჩაიდინეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მისი თქმით, ზემოაღნიშნული ფაქტის დროს გაგრის შტაბს ხელმძღვანელობდა გენერალი თენგიზ შუბლაძე, რომელიც უქონლობის მომიზეზებით ტყვია-წამალს არ იძლეოდა. არადა გაგრის დატოვების შემდეგ აფხაზებს შტაბიდან სატვირთო მანქანებით გაუტანიათ ტყვია-წამალი. რატომ აკეთებდა ამას შუბლაძე, დღემდე გაურკვეველია და ვფიქრობ, ფართო მსჯელობის საგანია. ამჟამად, — განაგრძო ბატონმა მერაბმა, — პროკურატურაში ბატონ დათო ჯინჯოლავასთან დევს საიდუმლო ბრძანება №38, რომელიც გაგრაში პირადად მივიღე გენერალ ვალერი ქვარაიასგან და არ შევასრულე, რადგან თუ შევასრულებდი, სოფელი შრომაც დაეცემოდა და ბატალიონიც გაწყდებოდა. ჩემი დაუმორჩილებლობის მიუხედავად, იმ სასაკლაოზე მაინც გაუშვეს მერვე ბატალიონი, რომელიც მთლიანად გაწყდა და სოფელიც დაეცა. ისინი ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ და მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რითი იბრძოლებდნენ, მზად იყვნენ, შიშველი ხელებითაც ეომათ. აი, ასეთი ხალხი გაწირეს.

1992 წლის 3 სექტემბერს გაგრაში ბრძანება მოვიდა, მძიმე ტექნიკამ და შენაერთებმა უკან უნდა დაიხიონო. მეორე დღეს განკარგულების შესრულება დაიწყო. გაგრაში ძალიან ცოტა მებრძოლი დარჩა. ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც იხვეწებოდა, — იარაღი დაგვიტოვეთო. ყურად არავინ იღო.

8 სექტემბერს საშინელი დაბომბვა დაიწყო. ცხრაში, დილით, შტაბიდან ბრძანება მივიღეთ — მტრის პოზიციები უნდა დაგვეზვერა. ექვსნი წავედით. ერთ-ერთ სახლში უნდა შევსულიყავით, მაგრამ იქამდე მისვლა ადვილი არ იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ, ოთხი სროლას დაიწყებდა და ორნი ბინაში შევიდოდით. დათქმულ დროს ორმა შევირბინეთ ეზოში, იმის მოლოდინში, რომ ჩვენი მხლებლები ცეცხლს გახსნიდნენ. მაგრამ შეეშინდათ და ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ. ჭიშკარი გავაღეთ თუ არა, აფხაზებმა ხელყუმბარა გვესროლეს. ორივე მძიმედ დავიჭერით. ამას ჩვენი ზურგი უყურებდა, მაგრამ არ მოგვშველებია, — მიგვატოვა. იმ ოთხიდან ერთ-ერთმა გაბედა და სროლით შემოირბინა. მას სამხედრო აკადემიის ბიჭები მიეხმარნენ და დამხვდურთაგან ორის მოკვლა მოახერხეს. ბაგრამიანის ბატალიონის მებრძოლები აღმოჩნდნენ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ილუზიას ქმნიდნენ, ვითომ ქართველები ომობენო და ამისათვის ხალხს სწირავდნენ. თურმე თავიდანვე გაყიდულები ვყოფილვართ. თამაზ მეფარიშვილის ბიჭებიც ასე გაწირეს და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი...

## გეტყვით, ვინ არ ჩადიოდა ბუნკერში

გაგრის დაცემის შემდეგ, სოხუმში დაბრუნებულს შევარდნაძის რეზიდენციის დაცვა დამავალეს. ეს იყო სტალინის ყოფილი დასასვენებელი სახლი. ნებისმიერი მთავრობის წევრი, ვინც იქ ჩამოდიოდა, ჩემთან უნდა მოსულიყო. ჩამოდიოდნენ და ე.წ. ბუნკერში, სადაც ატომური ბომბიც ვერ აღწევს, სხდებოდნენ და ქეიფობდნენ. განსხვავებულ სასმისებს სვამდნენ სტალინის ნაქონი სერვიზით. ახლა არ დავასახელებ, ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ გეტყვით, ვინ არ ჩადიოდა ბუნკერში საქეიფოდ. ესენი არიან: შევარდნაძე, კულტურის მინისტრი დათო მაღრაძე, ჯაბა და მომღერალი ოთხი გია, რომლებიც პოზიციებზე, გასამხნევებლად განუწყვეტლივ მღეროდნენ. დანარჩენი, უკლებლივ ყველა, პირგაუჩერებლად ილხენდა და მაიძულებდნენ, ჯარისკაცების ულუფა მათთვის მიმეტანა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბიჭები შეიკრიბნენ და — ყველა უნდა დავხვრიტოთო, — მითხრეს, — ჩვენ სისხლს ვღვრით და ესენი აქ ქეიფობენო... ვერაფერს იტყვი.

გადავწყვიტე, შევარდნაძისათვის მეთქვა ყველაფერი. თუ სიმართლე გინდათ, ვილაპარაკოთ-მეთქი, შევთავაზე. არ მომისმინა, საუბარიც არ მოინდომა. არადა იცით, რა ხდებოდა, როცა შევარდნაძე პოზიციებზე გადიოდა? ერთი ადგილიდან მოხსნიდნენ ნაწილს და სადაც მას უნდა გაევლო, იქ გადაისროდნენ — ნახეთ, ბატონო ედუარდ, რამდენი ხალხი გვყავსო. ნამდვილი „პოტიომკინის სოფელი“ გამართეს... ატყუებდნენ შევარდნაძეს და მასაც სჯეროდა, ანდა ასე აწყობდა! ამას გარდა, მინდა დღემდე გასაიდუმლოებულ ფაქტს ფარდა ავხადო: საქმე ეხება გენერალ გენო კალანდიას მკვლელობას. მისი დაღუპვის ზუსტი დეტალები ვინც იცის, ისინი კოლონიებში სხედან და არც ესა არის შემთხვევითი. მაგრამ მე დანამდვილებით გეტყვით, სოხუმი უკვე დაცემული იყო. იქ შესვლა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ გენო არ იყო ის კაცი, თავისი ხალხი მიეტოვებინა, ამიტომ ქალაქში შებრუნდა და უკნიდან, ანუ ისევ ქართული პოზიციებიდან მის ავტომანქანას ყუმბარმტყორცნიდან გასროლილი ჭურვი მოხვდა, რაც აფხაზებს დაბრალდა. გავა დრო და ყველაფერი გაცხადდება. სოხუმშიც იგივე სცენარი გათამაშდა, რაც გაგრაში. დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე ტექნიკა და შეიარაღებული ნაწილები, ბრძანების თანახმად, გავიდნენ. სოხუმი დაეცა და მასთან ერთად რამდენი ვაჟკაცი...

*ძალიან მძიმე წერილი რომ არ გამოგვსვლოდა, ბატონმა მერაბმა რამდენიმე იუმორნარევი შემთხვევაც გაიხსენა.*

— ძველი გაგრის ახლოს, სოფელ კოლხიდაში პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა. ერთ სახლში აფხაზები იყვნენ, მეორეში — ქართველები... უნივერმაღის წინ მდგარ სახლში გავმაგრდით. ღამე უნდა გაგვეთია, თუმცა ადვილი არ იყო, რადგან იქ აკადემიის 11 კურსანტი ჩაცხრილეს. ბინა დავათვალიერეთ და კარადაში, ყუთებში ერთნაირი მარკის ჯინსები, ერთი ფირმის ფეხსაცმელები, „რეიბანის“ სათვალეები და მაისურები აღმოვაჩინეთ. სახლი უნივერმაღის დირექტორისა ყოფილიყო, რომელმაც ომის დაწყებისას მაღაზიის საქონელი შინ გადმოიტანა. დასვრილებმა სასწრაფოდ გამოვიცვალეთ სამოსი და ყველანი ერთნაირად გამოვეწყვეთ. დილით ბიჭებსაც მივასწავლეთ. ხელმძღვანელობა გაოგნდა, — ეს რა ახალი სამხედრო ფორმა მოიგონეთ, ყველას ერთნაირად როგორ გაცვიათო.

...ერთმა სვანმა ნაღმზე გაიარა. ნაღმი აფეთქდა. ფეხი ძარღვებზე ეკიდა. იმ წუთშივე „შტიკნოჟი“ ამოიღო და თავისივე ხელით მოიჭრა. რას შვრები, ბიჭო, — გაოცებულებმა ვკითხეთ. მან კი სვანური კილოთი მოგვიგო, — აბა, სადამდე ვათრიოო... ახლა ის ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს.



ანუ საკუთარ ხალხთან ბრძოლა გრძელდება?

## ჰერიო, ბიჭებო!..

სოფელ კოლხიდაში, ერთ-ერთ სახლში გავმაგრდით. ტყვიები გაგვითავდა. ალყაში მოვექეცით. თითოს სამი-ოთხი ტყვია გვქონდა დარჩენილი, გარდა მინდია კერესელიძისა, რომელსაც ხელის ტყვიამფრქვევში ზუსტად ოცი ტყვია ედო. დახმარების იმედი არ გვაქვს, გარშემო მტერია. ტყვედ ჩაბარებას არ ვაპირებთ, რადგან გვაწამებდნენ და მერე დაგვხოცავდნენ. რაღა დაგვრჩენოდა. სიმღერა დავიწყეთ. მინდიას შესანიშნავი ხმა ჰქონდა, პირველს ჭქდა. „ჰერიო, ბიჭებოს“ ვმღეროდით. მტერმა გინებაც შეწყვიტა. ყველანი გაისუსნენ, გვისმენდნენ. მხოლოდ ერთმა თქვა, — შეხედე, სულელები არ არიან, იხოცებიან და მღერიანო და ისიც უცებვე გააჩუმეს. უცბად მინდიამ გვითხრა, — კარს გავაღებ, ცეცხლს გავხსნი და თქვენ გაიქეცით, თუ გამოვედი, ხომ კარგი, თუ არადა ყველას სიკვდილს ერთისა სჯობიაო. ასეც მოხდა. კარი გააღო და მოულოდნელად სროლა დაიწყო. ამას ისინი არ ელოდნენ. ყველამ მოვასწარით გაქცევა. მინდია დაეცა. მე და თემურ არაბული უკან მივტრიალდით, მინდია გამოვიყვანეთ... მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ გადარჩა...

## ბატონო მინისტრო, ვასახელებ და გთხოვთ რეაგირებას

აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, სამოქალაქო ომის დროს ფოთის პორტის კომენდანტად დამნიშნეს. აი, იქ ვნახე ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა. ბრძანება მქონდა, რომ პორტიდან არც ერთი გემი არ გამეშვა. ერთ-ერთ გემზე ნაძარცვი ავტომანქანები ელაგა. ჩამოვტვირთე და როცა პორტში პატრონი საბუთს წარადგენდა, მანქანას ვატანდი. ასე დავარიგე ყველა, გარდა ერთისა. ამ უკანასკნელსაც მოაკითხა ვიღაც ფოთელმა, რომელსაც თან ახლდა ყარყარაშვილის მებრძოლი. ფოთელმა ავტომანქანის დაბრუნება მთხოვა, მაგრამ საბუთები ვერ მაჩვენა და, რა თქმა უნდა, არ გავატანე. მაშინ კატარღა „ქარიშხალაზე“ მანიშნა — 80 ათას დოლარად მომეციო. დავეჭვდი, დავათვალიერე და რას ვხედავ, უამრავი სპილენძი და სხვადასხვა ძვირფასი ნივთი არ არის შიგ? არც ეს გავატანე. გამწარდა კაცი. ორი დღის შემდეგ პორტი უშიშროების თანამშრომლებს ჩავაბარე და წამოვედი. გავიდა წლები. 1996 წლის 1 მაისს მომაკითხეს შსს-ს წარმომადგენლებმა და წამიყვანეს. შს სამინისტროს სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსის ზურაბ ხუნჯუას ოთახში (რომელიც ამჟამადაც იქ მუშაობს) დაიწყო ჩემი წამება. ჯერ ექვსმა კაცმა სკამის ფეხი მირტყა. ნეკნები ჩამიმტვრიეს, სეიფზე მიმაბეს და მაგრად მცემეს, თანაც არც ვიცოდი, რატომ. მერე ფანჯრიდან მაგდებდნენ... ვეკითხებოდი, რას მერჩით-მეთქი... პასუხს არ მაძლევდნენ. ოცი ათასი დოლარი მთხოვეს. საიდან-მეთქი, გამიკვირდა. ჩამსვეს „ბმვ“-ში და ფოთში წამიყვანეს. თან მახლდნენ ხუნჯუა და გამომძიებელი ვანო ბაშარული. გზაში ბაშარული მიხვდა, რომ უაზრო იყო ჩემი წამება და ბოდიშიც მომიხადა, მაგრამ რაღა დროს, მისი მოქნეული ფეხით ოთხი ნეკნი ჩამემტვრა. თეკლათის „ტეკზე“ ხუნჯუამ მანქანაზე მიმაბა, იარაღი შუბლზე დამადო და მიბრძანა, მეღიარებინა, — ვითომ ფაბრიკის დირექტორს 20 ათასი დოლარი გამოვძალე. ცხადია, უარი ვუთხარი. მაშინ ფოთელებს შენს თავს ჩავაქოლინებო. ასე მაწამებდნენ და მატარებდნენ ფოთი-ქუთაისის გზაზე. წარმოიდგინეთ, რა ნაცემი ვიყავი, რომ ქუთაისში სისასტიკით ცნობილმა პოლიციელმა ბადრი დეისაძემ ხელი არ დამარტყა — შევეცოდე. ფოთში, როცა ხუნჯუამ და კრიმინალური პოლიციის უფროსმა წამების განახლება მოინდომეს, პოლკოვნიკი თენგიზ მიქაძე გამომესარჩლა, — ხომ იცით, უდანაშაულოა, რატომ სცემთ, სინდისიც კარგი საქონელიაო. სამძებროს თანამშრომელმა შოთა ბერაიამ სასწრაფოს გამოუძახა და ასე გადავრჩი, თუ ამას გადარჩენა ჰქვია. ერთი წლის მანძილზე ოთხი სასამართლო გაიმართა. პროკურორმა ბოდიში მოიხადა და თან გამაფრთხილა — გაგიშვებ, ოღონდ არ იჩივლოო. გამიშვით და ხმის ამომღები არ ვარ-მეთქი. ისეთ დღეში ვიყავი, ყველაფერზე დავთანხმდებოდი, ოღონდ გავეთავისუფლებინე. ასე აფხაზები არ აწამებდნენ ტყვეს... 1996 წლის 1 მაისს დაწყებული საქმე 1997 წლის 9 ივლისს დამთავრდა. ახლა გეტყვით, რატომ დამაპატიმრეს: როცა პორტის კომენდანტი ვიყავი, მაშინ პოლიციელ ხუნჯუას ძმა ყოფილა პორტის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი, რომელსაც საქმიანი კავშირი ჰქონდა იმ გემის საქმესთან, რაც ჩაეშალათ, ნაძარცვი ვერსად გაიტანეს. ამით გამწარებულებმა გადაწყვიტეს, ჩემგან ფულის გამოძალვა და წამება. მაინც გვარდიელია და საქმეს ადვილად შევუთითხნითო, იფიქრეს. ფული ვერ იშოვეს, მაგრამ წამებით გული იჯერეს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო შს მინისტრ კახა თარგამაძეს, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, — დამისახელეთ კორუმპირებული და უვარგისი კადრები და მოვუვლი მათო. აი, ბატონო, ვასახელებ და გთხოვთ რეაგირებას. პასუხისმგებელი ვარ ყოველივეზე.

იმის შემდეგ, რაც ხუნჯუამ პასპორტი ჩამომართვა, ახლა უკვე პირადობის მოწმობის გარეშე დავრჩი, აღრიცხვაზე აღარ ვარ არსად. საქართველოს მოქალაქეს, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლს, მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა არ მაქვს. არადა ოთხი შვილი მყავს სარჩენი, ვის არ მივმართე, ვის არ ვთხოვე დახმარება, მაგრამ არაფერი მეშველა. საკუთარი თავის ძებნისას აღმოვაჩინე, რომ რეგისტრირებული ვარ შსს-ს საინფორმაციო ცენტრში. ამის გარდა არსად არ ვირიცხები. როგორ მოვიქცე, გეკითხებით ყველას.

ეს საკუთარ ხალხთან ბრძოლას ჰგავს.

***ესაუბრა თამაზ ხაბეიშვილი***

# Враг абхазского народа...

იმ შორეული მოგონებებით ვართ მდიდარი... ამ მოგონებებში ხან ღიმილი გამოკრთება, ხან თვალში აბრჭყვიალებული ცრემლი. დღევანდელი რესპონდენტი სოხუმელი **დალი გვასალია** გახლავთ.

## ამბავი პირველი

ხომ იცით, ადრე როგორი კანონი იყო. თუკი უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდებოდი, აუცილებლად სამუშაო სტაჟისთვის სადმე მუშაობა უნდა დაგეწყო. სკოლის დამთავრებისთანავე მამამ „სოხუმხელსაწყოს“ ერთ-ერთ საამქროში მიმიყვანა, სადაც „ჩემნაირები“ დამხვდნენ. უცებ დავმეგობრდით მე, მერაბ ადლეიბა, რუსლან სანგულია, ნაზი ბგამბა და ნატო ცაავა. ყველგან ერთად დავდიოდით და დაუშორებელი ხუთეული შეგვარქვეს სამსახურში. მერაბ ადლეიბას დედა რუხაძის ქალი იყო. მერაბი აღმერთებდა დედამისს, ქართულიც კარგად იცოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. რუსლანი (წარმოშობით გუდაუთიდან იყო). მერე სხვადასხვა სასწავლებელში ჩავაბარეთ და თითქოს გავიფანტეთ, თუმცა მერაბი არ ივიწყებდა ძველ მეგობრობას და უკვე ქმარშვილიანს, ხშირად გვსტუმრობდა ხოლმე ოჯახში. ომი რომ დაიწყო, სოხუმში ხმა დაირხა, მერაბის დედა მოკლესო. ვიტირეთ, ვივიშვიშეთ, მაგრამ მერე და მერე ისე გახშირდა ახლობელთა სიკვდილი, რომ აღარაფერი გვიკვირდა. გავიდა დრო. ომი დამთავრდა. აფხაზეთი იქაური ქართველისთვის ვარდისფერ ოცნებად გადაიქცა. მე ჩემი ქმარ-შვილით თბილისში ჩამოვედი, ჩემი დედ-მამა და ძმა მოსკოვში წავიდნენ. ერთხელაც, ჩემიანების მოსანახულებლად მოსკოვში გავემგზავრე. იქ ჩასულმა მერაბის ადგილსამყოფელი და ტელეფონის ნომერი დავაზუსტე და შევეხმიანე. ისე გაუხარდა, სულ Моя радость მეძახა. დამაფიცა, რომ იმ დღესვე მივსულიყავი მასთან. იმდენად თბილად მიმიღეს, რომ ძველი დრო გამახსენდა. მხოლოდ ერთი რამ მეუცხოებოდა: არაჩვეულებრივად მოქართულე მერაბი რატომ მელაპარაკებოდა რუსულად. როცა ვერ მოვითმინე და ეს ვკითხე, მოკლედ მიპასუხა: Жизнь так заставила. გავჩუმდი, მაგრამ ის, რაც ჩვენ ყველას გვაწუხებდა, არ იყო მისაფუჩეჩებელი ამბავი, ამიტომაც კვლავ აფხაზეთს, ომს და ქართველ-აფხაზთა ურთიერთობებს მივუბრუნდით. შევატყვე, მერაბი დროდადრო აენთებოდა და „ყურით მოთრეული“ არგუმენტებით რაღაცებს მიმტკიცებდა. გული მატკინა მერაბის აგრესიულობამ, ხმა აღარ გავეცი და გაბუტული გავემართე დასაძინებლად. მერე ცოლმა მითხრა, მერაბის დედა ოჩამჩირეში იყო ომის დროს და ქართველებმა წამებით მოკლეს, აფხაზისგან შვილები რატომ გააჩინეო. ვერაფრით გადავარწმუნე, რომ ეს შეიძლება ჭორი ყოფილიყო, მიმტკიცებს, რომ დაზუსტებით ვიცი იმ ქართველების ვინაობაც კი, რომლებმაც დედა მომიკლეს, ამიტომ მე ქართულად ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი პროტესტის ნიშნადო. ამის გამგონე, დავიზაფრე, მაგრამ მეც ვირწმუნე, რომ ამის ჩამდენი „მესამე ძალა“ იყო, რომელსაც ქართველებსა და აფხაზებს შორის „წყლის ამღვრევა“ საუკეთესოდ ხელეწიფებოდა.

მერაბმა მანქანით წამომიყვანა. თითქმის საათნახევრის განმავლობაში ჩუმად ვისხედით. როცა მანქანიდან გადმოვედი, ქართულად დავემშვიდობე, უცებ ხელზე ხელი მომკიდა, შემაჩერა და მითხრა: Дали, я не вернусь в Сухуми до тех пор, пока там не будут жить такие, как ты. მან ისე უცებ დაძრა ავტომობილი, რომ ვეღარაფერი ვუთხარი. რაც დრო გადის, უფრო მტკივნეულად მახსენდება მისი ნათქვამი, არადა, მან თავისი ბოლო სიტყვებით ბევრი რამ თქვა. მერაბი და მისნაირი აფხაზები რადგან ფიქრობენ, რომ უჩვენოდ სოხუმში (და სხვაგანაც) გაჩერება არ შეიძლება, ეს უკვე წარსულის მონანიებასაც ნიშნავს და იმასაც, რომ ქართველებს აფხაზეთზე ხელის ჩაქნევა არ გვმართებს.

## ამბავი მეორე

ქალაქის ცენტრში, ფრუნზეს ქუჩაზე ვცხოვრობდი. ჩემი ოჯახის უერთგულესი მეგობარი იყო აფხაზი ბიჭი, სახელად ოთარი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). როცა ომი დაიწყო, აფხაზებმა მოუხშირეს მასთან სიარულს. ერთ-ერთი ასეთი ხალხმრავლობის დროს მის სახლთან მისულმა ნაცნობმა შემაჩერა და საუბარი გამიბა. ჩემმა 3 წლის ბიჭმა კი მკვირცხლად აირბინა კიბე და ოთარის ბინაში შევიდა. ცოტა ხანში მეც ნელ-ნელა ავუყევი კიბეს. ამ დროს მესმის ხმამაღალი ლაპარაკი: Отар, надо воевать с грузинами, — უმტკიცებდა ერთი აფხაზი. ოთარმა თვალი მოჰკრა კარებში მდგარ ჩემს ბიჭს და გააფთრებით შეუტია სტუმრებს: Вот, маленький грузин. Давай, воюй с ним. Знаешь, что я тебе скажу, Если ты его хоть пальцем тронешь, клянусь, я убью тебя. აფხაზები კუდამოძუებულები გამოიკრიბნენ მისი ოთახიდან. ოთარმა კატეგორიულად არ მოკიდა ხელი იარაღს. ახლობლებმა ბერძნული გვარით გამოაპარეს სოხუმიდან, მერე ბომბივით გასკდა აფხაზეთში ეს ამბავი, ოთარმა გვიღალატაო და იგი გამოაცხადეს, როგორც Враг абхазского народа.

## ამბავი მესამე

1993 წლის აღდგომის წინა დღეს საოცარი სიმშვიდე სუფევდა ქალაქში. მე მშობლებთან და ბავშვებთან ერთად შინ ვიყავი. საოცრად გვსიამოვნებდა იდეალური სიწყნარე. ბავშვები დასაძინებლად დავაწვინე. ის-ის იყო, დედამ პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო, ყველანი კარგად მიმყოფეო, — თქვა და ჩვენს ყურამდე მოსულ წუილის ხმას მომენტალური აფეთქება მოჰყვა. ასე მეგონა, ცა ჩამოგვემხო. უბანში წივილ-კივილი ატყდა. მამაჩემმა ჩემი შვილები ლეიბიანად აიტაცა და სასწრაფოდ ქვედა სართულზე დავეშვით. სულ ათი წუთი გაგრძელდა ზათქი. მერე ყველაფერი ჩაწყნარდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. უცებ ჩვენი მეზობლის, ჩიჩუების ბინიდან წივილ-კივილი მოგვესმა. კაკო ბიძია ეზოში ყვირილით გამოვარდა: მეზობლებო, მიშველეთ, ირმა (მისი ქალიშვილი — მ.ბ.) მიკვდებაო. ერთ-ერთმა ფანჯრიდან მანქანის გასაღები გადაუგდო, მაგრამ კაკო ბიძიას მანქანის ტარების თავი აღარც ჰქონდა, ხმამაღლა ღრიალებდა და თავში ხელებს იცემდა. ირმა საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა.

სოხუმიდან 21 სექტემბერს წამოვედი. მანამდე კი ბევრჯერ გამაგონეს მოქირქილე აფხაზებმა — სანამ ქართველები ოქრო-ვერცხლს ყიდულობდით, ჩვენ „ჩვენი მიწის“ დასაცავად იარაღს ვაგროვებდითო.

## ამბავი მეოთხე

ბიჭვინთელი მეგობარი მყავდა — ნინო ხაზარაძე. სილამაზით განთქმული გოგო იყო. ნინოსა და აფხაზი გოჩა ცაავას (არადა, მეგრული გვარია) სიყვარული სკოლის მერხიდან დაიწყო და თანდათან ისე გაღრმავდა, რომ სულ მალე მთელმა ბიჭვინთამ იცოდა მათი რომანი. ნინო და გოჩა, გოჩა და ნინო — ამ ორ სახელს ცალ-ცალკე აღარც წარმოთქვამდნენ.

გოჩას მამა უშიშროებაში მუშაობდა. მას ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბაგრამიანი ეძმაკაცებოდა. თურმე, ხშირად უთქვამს: კაცო, ქართველი რძალი როგორ უნდა შევიყვანო ოჯახშიო. შეძახილებმაც, გარემოებებმაც და დამძიმებულმა ატმოსფერომაც თავისი ქნა და აღარც ნინოს მხარეს სურდა აფხაზის სიძეობა. გოჩამ ორჯერ მოიტაცა ნინო და ორივე მხარემ ორჯერვე „აქტიური“ მონაწილეობა მიიღო „საბუდარში“ ახალგაზრდების დაბრუნებაზე. მერე ომიც დაიწყო და ყველაფერი აირია. ქართველებმა დატოვეს იქაურობა. ნინოს ოჯახი ჯერ თბილისში ცხოვრობდა, მერე კიევში გადავიდა საცხოვრებლად. როდესაც ნინომ თბილისში მომინახულა, ცრემლის ყლაპვით მიამბო, როგორ დაურეკა გოჩას და სთხოვა, შეხვედროდა, სადმე „ნეიტრალურ“ ადგილას, თუნდაც სოჭში. გოჩამ დიდი ხნის პაუზის შემდეგ ასე უპასუხა: Я уже не тот Гоча, которого ты знала. ამ სიტყვების შემდეგ, ნინომ ის ლამაზი სიყვარულიც ისევე დაკარგულად ჩათვალა, როგორც თავისი სახლ-კარი. ორი წლის წინ ნინო გათხოვდა იქაურ კაცზე, გოჩამაც რუსი ცოლი შეირთო და ყველას გასაკვირად, თავის გოგონას ნინო დაარქვა... ის შორეული ფესვები, რაც მუდამ აკავშირებდა ქართველს და აფხაზს, დღესაც უხილავ ძაფებს ქსოვს...

უკვალოდ არაფერი იკარგება: არც მეგობრობა და სიყვარული, არც მტრობა და შუღლი, მაგრამ მე მაინც ქართული წიაღიდან აღმოცენებული სიტყვების მჯერა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ბათუმი, ფოთი, ბაქო, გროზნო — მუდმივი სამიზნეები

ბათუმის დასანგრევად სულ დღე-ნახევარი იყო „გამოყოფილი“, ფოთისთვის ერთ დღეზე მეტს არ „იმეტებდნენ“, გროზნოს მიწასთან გასასწორებლად 12 დღე ეყოფოდათ, ხოლო ბაქოს გასაცამტვერებლად ორ კვირაზე მეტი დასჭირდებოდათ...

დაკვირვებული მკითხველი ალბათ ადვილად გაავლებს პარალელს — ყველა ამ ქალაქს ერთმანეთთან ან ნავთობმრეწველობა აკავშირებს, ან ნავთობპროდუქტების საზღვაო პორტებით გატანა.

სწორედ საბჭოთა კავშირის ამ ქალაქების მასობრივ საჰაერო დაბომბვებს ითვალისწინებდა 60 წლის წინ დაგეგმილი საიდუმლო ოპერაცია სახელწოდებით „კავკასიური ნავთი“.

რა თქმა უნდა, ეს ჰიტლერის გეგმაა, რომელიც ომის დაწყების წინ სტალინს ბენზინისა და დიზელის საწვავის გარეშე დატოვებდა! — იტყვის მკითხველი, მაგრამ მწარედ შეცდება...

1940 წლის აპრილში საფრანგეთ-დიდი ბრიტანეთის კოალიციურმა ძალებმა დაგეგმეს საჰაერო შეტევითი ოპერაცია, რომელიც „ბაქოს, გროზნოს, ბათუმისა და ფოთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისა და საპორტო ინფრასტრუქტურის სრულ განადგურებას“ ითვალისწინებდა. ამ საჰაერო ოპერაციის განსახორციელებლად ფრანგებს ექვსი (90-100 თვითმფრინავი), ხოლო ინგლისელებს სამი ესკადრილია უნდა გამოეყოთ — ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თითოეულ გაფრენაზე ეს საჰაერო არმადა ფოთს ან ბათუმს არანაკლებ 70 ტ საერთო წონის საავიაციო ბომბებს დააყრიდა.

თანაც ფრანგი და ინგლისელი გენერლები არ გამორიცხავდნენ, რომ კავკასიონის ცაში მათ ბომბდამშენებს გერმანული „ლუფტვაფის“ გამანადგურებლები დაერეოდნენ. არ ვცდებით, როცა ამას ვამბობთ — 1940 წლისთვის პარიზსა და ლონდონშიც საკმაოდ რეალურად ეჩვენებოდათ საბჭოთა კავშირისა და ფაშისტური გერმანიის სამხედრო კავშირი, რომელიც პირველ რიგში დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

სიმართლე რომ ითქვას, დასავლეთს ამგვარი ეჭვის საფუძველი ჰქონდა. მოგეხსენებათ, პირველ მსოფლიო ომში გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ამის გამო აეკრძალა სამხედრო ძალების ყოლა და საბრძოლო ტექნიკის გამოშვება, თუმცა ვერმახტის გენერლები თავის ტანკისტებსა და მფრინავებს, სტალინის თანხმობით, წლების განმავლობაში ჩუმად ამზადებდნენ საბჭოთა კავშირში.



ცოტაც და ინგლისური „ბლექჰეიმები“ ფოთსა და ბათუმს დაბომბავდნენ

ყოველივე ამას დაემატა გახმაურებული რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი, რომლითაც ბერლინმა და მოსკოვმა პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის, ბესარაბიისა და ბალტიისპირეთის ტერიტორიები ერთმანეთში გაინაწილეს.

ამასთან საფრანგეთის მაშინდელი ხელმძღვანელობა გრძნობდა, რომ პოლონეთის შემდეგ გერმანია საფრანგეთს შემოუბრუნდებოდა, რადგან ჰიტლერს მესამე რაიხისთვის ვერსალის ხელშეკრულების სირცხვილის ჩამორეცხვა სურდა. ამიტომაც ოფიციალური პარიზი ლონდონთან ერთად, ყოველმხრივ ცდილობდა, ერთმანეთისთვის დაეჯახებინა ბერლინი და მოსკოვი. თუმცა, როგორც მოვლენებმა აჩვენა, ჰიტლერმა ჯერ საფრანგეთი „გადაყლაპა“ და შემდეგ დაიძრა მოსკოვისკენ, მაგრამ უზარმაზარი საბჭოთა კავშირი „ყელზე დაადგა“.

გროზნოს და ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების და ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტების განადგურება ამჯერად უკვე გერინგის ასებისთვის გახდა უპირველესი მიზანი.

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ნავთობი მსოფლიოში დღესაც ომების უპირველეს მიზეზად გვევლინება.

აქტუალურობა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, არ დაუკარგავს არც ბაქოს, არც ფოთსა და ბათუმს.

გროზნო კი მართლაც ნანგრევებად იქცა. თითქმის ასრულდა მაშინდელი ფრანგი, ინგლისელი თუ სულაც გერმანელი სტრატეგების ოცნებები, თუმცა გროზნო მათ მფრინავებს არ გაუცამტვერებიათ.

ეს „საგმირო“ საქმეები თავად რუსმა პილოტებმა ჩაიდინეს.

დღეს აღარავინ უარყოფს, რომ ჩეჩნეთის ორივე ომში ლომის წილი სწორედ ნავთობს მიუძღვის. იქ იკვეთება რამდენიმე ქვეყნის თუ სახელმწიფოთა ჯგუფების სასიცოცხლო ინტერესები.

დაახლოებით მსგავსი ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ მავანთ ჩვენი ქვეყნის მიმართაც, როგორც სახმელეთო-სატრანზიტო თვალსაზრისით, ისე ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტების სახით.

ყოველი მათგანი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს მიეკუთვნება და ნურავინ გამორიცხავს, რომ მავანთა (ზესახელმწიფოებისა თუ ახლომდებარე ქვეყნების) სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ (და მათი სახით მთლიანად საქართველოს) გარკვეული საშიშროება დაემუქროს.

ტყუილად როდი უწოდებენ ნავთობს „შავ ოქროს“...

P.S. პარიზისა და ლონდონის 60 წლის წინანდელი საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვა კავკასიის ნავთობის წინააღმდეგ ბერიას დაზვერვას ნამდვილად არ გამოჰპარვია. სწორედ ეს გარემოება იძლევა იმის ახსნას, რომ 1941 წლის 22 ივნისამდე სტალინი არავის ენდობოდა და საბჭოთა კავშირზე სავარაუდო თავდასხმას არა მარტო გერმანიიდან, არამედ საფრანგეთიდან და ინგლისიდანაც მოელოდა.

# ქუთაისში „დაბადებული“ „ОСА“, აფხაზეთში შკან შემოგვიტრიალდა

სასიამოვნოა, რომ „კვირის პალიტრის“ გვერდის, „სამხედრო თემაზე“ პუბლიკაციას „არშემდგარი ქართული ჯავშანტრანსპორტიორი“, გამოეხმაურნენ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველები.

ჩვენ დაგვიკავშირდა პროფესორი ისიდორე ქოჩიაშვილი, რომელიც 40 წლის წინ ქუთაისის ავტოქარხნის სწორედ იმ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საამქროს უფროსი იყო, სადაც 1960 წელს შეიქმნა ქართული ჯავშანტრანსპორტიორი.

სწორედ მაშინ ქუთაისში აიწყო პირველი საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორი „ობიექტი-1015“, რომელიც მთლიანად (ზემოდანაც) შეჯავშნული იყო. მანამდე, 1956 წელს, უნგრეთში სახალხო გამოსვლების ჩასახშობად მოსკოვმა ზემოდან ღია ჯავშანმანქანები გამოიყენა, რომლებშიც ცეცხლგამჩენ ბოთლებს — „მოლოტოვის კოქტეილს“ — უნგრელი ახალგაზრდები კალათბურთელებივით მარჯვედ „ათავსებდნენ“. სწორედ ამიტომ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ახალი, დახურული ჯავშანტრანსპორტიორების შექმნას.

ბატონი ისიდორე იგონებს, რომ ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორი საქარხნო გამოცდებს გადიოდა მდ. ცხენისწყლის ნაპირზე, სოფელ ნინუაკუთხის ტერიტორიაზე, ყოფილ სამხედრო აეროდრომზე. 1960 წლის ზაფხულში გამოცდები გაგრძელდა აჯამეთის ტყის ახლოს, აგრეთვე მდ. რიონსა და პალიასტომის ტბაზე.

იმ დროს, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკის გადაადგილება და, მით უმეტეს, უახლესი საგამოცდოსი, „სრულიად საიდუმლოს“ გრიფით ხდებოდა. ამიტომაც ახალი ჯავშანტრანსპორტიორი გამოსაცდელად გარეთ ღამით გამოჰყავდათ — საღამოს 11სთ-ზე ჯერ ქუთაისის ავტოქარხნის ჭიშკარი იღებოდა, შემდეგ საიდუმლო საამქროს ის კარი, საიდანაც დიდი სისწრაფით გამოვარდებოდა „ობიექტი-1015“ და უკუნ ღამეში გაუჩინარდებოდა. მას, როგორც წესი, არანაკლებ ორი გამცილებელი მანქანა ახლდა თან, რომლებშიც КГБ-ს შეიარაღებულ თანამშრომლებთან ერთად კონსტრუქტორებიც ისხდნენ. მათ თან ჰქონდათ არანაკლებ 60 კვმ ფართობის ბრეზენტი, საჭიროების შემთხვევაში ჯავშანტრანსპორტიორის შესანიღბად.



ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორი „ობიექტი 1015“

ერთხელაც, 1960 წლის თებერვალში, შუაღამისას ეს „საიდუმლო კოლონა“ მთელი სისწრაფით „შეიჭრა“ ქ. ხონის (მაშინდელი ქ. წულუკიძის) ცენტრში. ამ დროს საცდელი ჯავშანტრანსპორტიორი სრული სვლით — 90კმ/სთ სიჩქარით მიქროდა და თანაც შუქფარები გამორთული ჰქონდა — მძღოლი-მექანიკოსი ღამის ხედვის მოწყობილობით მართავდა 18 ტონიან საბრძოლო მანქანას. ქალაქის ცენტრში, უნივერმაღთან, მკვეთრი მოხვევის დროს ჯავშანტრანსპორტიორს წინა მარჯვენა თვალი მოსძვრა, რომელიც საშინელი სისწრაფით შეასკდა ორ ვიტრინას შორის მოქცეულ უნივერმაღის კედელს, იქიდან ასხლტა და უკან მომავალ „კოლხოზნიკს“ გადააფრინდა. არადა ამ მანქანაში მოსკოვიდან ჩამოსული ოთხი საბჭოთა გენერალი იჯდა, რომლებიც გამოცდებს ესწრებოდნენ.

გენერლები კი გადაურჩნენ ჯავშანტრანსპორტიორის 200 კგ-იან თვალს (თუმცა დიდი შიში კი ჭამეს), მაგრამ მან უნივერმაღის ვიტრინაში გამოფენილი სამი უძვირფასესი იაპონური სერვიზი შეიწირა.



ვასილ მჟავანაძე ქუთაისელ ავტომშენებლებს საბრძოლო მანქანის მომავალზე ესაუბრება. ისრით მინიშნებულია ისიდორე ქოჩიაშვილი. 1961 წლის 16 ივნისი.

ხმაურზე გამოცვივდნენ ძაფსაღები ფაბრიკის ღამის ცვლის მუშა-მოსამსახურეები — ქუთაისურ საიდუმლო ჯავშანტრანსპორტიორს „ვინაობის“ გამჟღავნება დაემუქრა. თუმცა სუკელებმა მოასწრეს ბრეზენტით (ხედავთ, რა დროს გამოადგათ?!) მისი „შეფუთვა“.

სასაცილო ის არის, რომ შემთხვევის ადგილზე მოსულმა უნივერმაღის დირექტორმა დაზიანების აქტი მხოლოდ 45 მანეთზე შეადგინა, თუმცა ზარალი — სამი იაპონური სერვიზის და სხვა დამსხვრეული ძვირფასეულობის საერთო ფასი — 4-5 ათას მანეთზე ნაკლები ნამდვილად არ იქნებოდა. თანაც ქუთაისის ქარხანა თანახმა იყო, აენაზღაურებინა ზარალი. როგორც აღმოჩნდა, ზარალის დასადგენად უნივერმაღს აუცილებლად საგანგებო კომისია უნდა სწვეოდა, რაც დირექტორს სულაც არ აძლევდა ხელს — მაშინ საბჭოთა საკუთრების დამტაცებლებს ძალიან მკაცრად სჯიდნენ, ხოლო იმ დირექტორს, ეტყობა, რაღაც ჰქონდა „ნამაიმუნარი“.

ქუთაისელების „საიდუმლო პირმშოს“ ნამდვილად არ აკლდა ყურადღება — მის გადაღებას ცდილობდნენ როგორც უცხოელები, ისე ჩვენებურები.

მდ. ცხენისწყალთან გამოცდისას ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟმა შეამჩნია ახალგაზრდა, რომელიც მანქანას ფოტოებს უღებდა. უცნობს დაედევნენ, მაგრამ მან იმარჯვა და ველოსიპედით ყანებში მიიმალა. КГБ-მ სასწრაფოდ შეყარა მთელი სოფელი და რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ „დამნაშავეც“ იპოვეს — იგი თბილისიდან დასასვენებლად ჩასული ფოტომოყვარული სტუდენტი აღმოჩნდა. „ყურის აწევის“ შემდეგ ჭაბუკს დამალული ფოტოფირი მოატანინეს და გაუშვეს.

ეს თბილისელი სტუდენტი შედარებით ადვილად გადაურჩა КГБ-ს „კლანჭებს“, რასაც ვერ ვიტყვით სხვა „ფოტომოყვარულზე“.

საქარხნო გამოცდების შემდეგ ორივე „ობიექტი 1015“ ეშელონზე დატვირთეს (ხის კონსტრუქციებით გეომეტრიული ფორმები შეუცვალეს და ბრეზენტითაც საგულდაგულოდ შენიღბეს) და ქუთაისიდან მოსკოვის მახლობლად, კუბინკის პოლიგონზე გაგზავნეს. პოლიგონის დატკეპნილ თოვლზე გამოცდისას, როდესაც ჯავშანტრანსპორტიორი წრეს წრეზე ურტყამდა, მისმა ეკიპაჟმა შეამჩნია სამოქალაქო პირი, რომელიც იქვე მდგარ ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლს (ომის დროს სწორედ იმ ადგილებში აწამეს გერმანელებმა ეს რუსი კომკავშირელი გოგონა) სურათებს უღებდა. აკრძალულ ზონაში უცხო პირის გამოჩენა საეჭვო იყო, ამიტომაც ჯავშანტრანსპორტიორის რაციით გადაცემულ შეტყობინებას КГБ ელვისებურად გამოეხმაურა და 20 წუთში პოლიგონზე „ძერჟინსკის პირმშოებით“ სავსე შვეულმფრენი დაეშვა. ცოტა ხანში ჩეკისტებმა ის უცნობი „ფოტომოყვარულიც“ დააკავეს, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ატაშე აღმოჩნდა. ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლის გარდა მას ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის 14 სურათის გადაღება მოესწრო. ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟს სათანადო სიფხიზლისთვის 30-30 მანეთი დაურიგეს.

იმავე 1960 წელს კუბინკაში უახლესი ჯავშანტექნიკის გამოცდა-გამოფენა მოეწყო. პირველ დღეს ახალ საბრძოლო ტექნიკას გენერლები ეცნობოდნენ, მეორე დღეს — მარშლები, ხოლო მესამე დღეს უნდა მობრძანებულიყო ნიკიტა ხრუშჩოვი ამალითურთ.

საპოლიგონო გამოცდების პირველმა დღემ უჩვენა, რომ ორი ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორი „ობიექტი-1015“, ბევრად სჯობდა თავის მთავარ კონკურენტს — გორკის ავტოქარხნის БТР-60П-ს, როგორც ხმელეთზე, ისე წყლის ზედაპირზე მანევრირებითა და გამავლობით.

თუმცა, როგორც წინა სტატიაში მოგახსენეთ, უპირატესობა მაინც გორკელებს მიენიჭათ. ეს, მრავალი პოლიტიკური მიზეზის გარდა, წმინდა საბჭოთა მენტალიტეტის საქმეც იყო. ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის ახალი დეტალების რაოდენობა 70-80%-ს აღწევდა (მათ შორის იყო საბორტე რედუქტორები და თვლების ჰიდროპნევმატიკური საკიდრები, რომელიც, სხვათა შორის, საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ ფრანგულ „სიტროენს“ მოპარა და ქუთაისელებს გადასცა), ხოლო გორკის БТР-60П ძირითადად სერიული სატვირთო ავტომობილის ГАЗ-53-ის დეტალებისგან შედგებოდა. ამიტომაც საბჭოთა გენერლებმა ქუთაისელების იმ დროისთვის თანამედროვე საბრძოლო მანქანის შეიარაღებაში მიღებას ამჯობინეს ნაცადი დეტალებით აწყობილი, მაგრამ უარესი ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლების მქონე გორკის ჯავშანტრანსპორტიორი.

თუმცა ამით ქუთაისელი ავტოქარხნელების მოღვაწეობა საბრძოლო ტექნიკის შექმნისათვის არ შეწყვეტილა. ვიეტნამში ბრძოლების გაჩაღებისთანავე უსტინოვმა მოსკოვში დაიბარა ქუთაისის ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი დიმიტრი ქართველიშვილი და მას „ობიექტი-1040“-ის დიდი სერიებით გამოშვება უბრძანა.

„ობიექტი-1040“ „ობიექტი-1015“-ის მოდიფიკაციას წარმოადგენდა და სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის იყო განკუთვნილი, რისთვისაც ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის სადესანტო ნაწილი გაუქმდა და მასში 5 ტ. საერთო წონის რადიოელექტრონული ხელსაწყოები და რადიოლოკატორი განთავსდა. თავად რადიოლოკატორის ანტენების გვერდებში სამ-სამი (სულ ექვსი) საზენიტო რაკეტა დამონტაჟდა.

ეს 1967-68 წლებისთვის საკმაოდ თანამედროვე მობილური საზენიტო დანადგარები იყო. ვიეტნამელებს ამერიკული ავიაციისგან მოსვენება არ ჰქონდათ და ეფექტურ საზენიტო საშუალებებს სთხოვდნენ კრემლს. ამიტომაც უსტინოვმა აქცენტი გააკეთა ქუთაისელ ავტომშენებლებზე. მათ ათასობით ასეთი საზენიტო კომპლექსი უნდა დაემზადებინათ. ეს კი ძალზე რთული და შრომატევადი საქმე გახლდათ. ამას ქუთაისელები ნამდვილად ვერ მოერეოდნენ.

ქუთაისის ავტოქარხანაში საგანგებოდ ჩავიდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, რომელმაც მოინახულა საბრძოლო მანქანების ამწყობი სპეციალური საამქრო და ესაუბრა ქარხნის დირექციას. საბრძოლო გადაწყვეტილება ერთად იქნა მიღებული — ქუთაისის ქარხანა უარს ამბობდა თვითმავალი საზენიტო დანადგარების სერიულ გამოშვებაზე და საცდელ კომპლექსებს რუსეთის ერთ-ერთ ქარხანას გადასცემდა.

არადა, მაშინდელი საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უხვად იძლეოდა დაფინანსებას სამხედრო პროექტებზე — ოთხ საცდელ თვითმავალ საზენიტო დანადგარში „ობიექტი-1040“ მოსკოვმა ქუთაისის ქარხანას 28 მილიონი მანეთი გადმოურიცხა. ეს იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა იყო. მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი პერსპექტივისა, ქუთაისელებმა მაინც უარი თქვეს, რაც შეიძლება განპირობებული ყოფილიყო კიდევ ერთი ნიუანსით — სერიული წარმოების ასაწყობად რუსეთიდან ქუთაისში აუცილებლად უნდა ჩამოეყვანათ არანაკლებ 600 სპეციალისტი ოჯახებით, რაც საერთო ჯამში 2000-მდე უცხო ტომის წარმომადგენლის დასახლებას ნიშნავდა. ეს რომ განხორციელებულიყო, ალბათ დღეს, 40 წლის შემდეგ, ნახევარი ქალაქი „ქუთეისურის“ მაგივრად, გამართული რუსულით ილაპარაკებდა.



ქუთაისელების საზენიტო კომპლექსს რუსებმა ორი თვალი მოაკლეს და „ОСА“ უწოდეს. იგი აფხაზეთში ქართულ თვითმფრინავებს ებრძოდა.

თუმცა დღეს უკვე ძნელია თქმა, ზემოხსენებული არგუმენტის გამო განაცხადა უარი საქართველოს მაშინდელმა პირველმა კაცმა — მჟავანაძემ, თუ უბრალოდ სამხედრო გეგმის ჩავარდნისა შეეშინდა.

რუსეთში გაგზავნილმა ქუთაისურმა „ობიექტი-1040“-მა მალე სახე იცვალა — მას ერთი ღერძი მოაკლეს, მიალამაზ-მოალამაზეს და მალე დღის სინათლე იხილა სახმელეთო ჯარების ПВО-ს ერთ-ერთმა მთავარმა კომპონენტმა — მობილურმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა „ОСА“-მ, რისთვისაც სახელმწიფო პრემიები და ჯილდოები ქართული კონსტრუქტორების მაგივრად სულ სხვებს ხვდათ წილად.

ამ საინტერესო მოვლენებიდან 20 წლის შემდეგ კი „ОСА“-ს კომპლექსები კვლავ გამოჩნდა ქართულ მიწაზე, ოღონდ უკვე მოწინააღმდეგის როლში — კოპიტნარის აეროდრომიდან აფრენილ ქართულ Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებს აფხაზეთის ცაში რუსები „ОСА“-ებით „უმასპინძლდებოდნენ“.

გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

# „როგორც კი გამოძვრებიან, დაახალეთ პირდაპირ... ფეხებში!“

***ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თორმეტი პატიმრის გაუჩინარების შესახებ არა მხოლოდ საქართველოში მსჯელობენ. რუსეთის მასმედიის დიდი ნაწილი ამ შემთხვევის თაობაზე ერთგვარი ირონიით საუბრობს. ინტერესს იჩენენ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებიც, თუმცა, ისინი, ძირითადად, მხოლოდ მშრალი ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებიან. ერთი სიტყვით, აჟიოტაჟი დიდია და ამასთან, რაც დრო გადის, მით უფრო იმატებს უპასუხო კითხვათა რაოდენობა...***

## ინფორმაცია

ციხეში „ნასედკას“ რა გამოლევს! ამდენად, ცოტა უცნაურია ის გარემოება, რომ სამართალდამცავებმა არაფერი იცოდნენ შეთქმულების თაობაზე, მაგრამ როგორც ირკვევა, „ზვიადისტთა“ თორმეტკაციან ჯგუფს თავი იმდენად დამოუკიდებლად და კონსპირაციულად ეჭირა, რომ „ნასედკებს“ სათანადო ინფორმაციის მიღების არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ამბობენ, რომ გაქცევის შესახებ არაფერი იცოდა „რესბალნიცაში“ მყოფმა კანონიერმა ქურდმა ანდრომაც, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ სცოდნოდა კიდეც, არც საქმეში ჩაერეოდა და არც ვინმეს ეტყოდა რამესო... ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ არავის მოსვლია აზრად, თუ როგორ შეგროვდა ერთ პატარა საავადმყოფოში ერთი კუთხის თორმეტი წარმომადგენელი, საიდანაც სამი კაცი ერთი სოფლიდან იყო, შვიდი — ერთი რაიონიდან, სუყველა ერთად კი გამსახურდიას მომხრე ბრძანდებოდა.



ეს პირები გროვდებოდნენ, თათბირობდნენ, ალბათ, გაქცევის გეგმას ადგენდნენ და მის შემადგენელ პუნქტებს კიდეც ახორციელებდნენ, სამართალდამცავებს კი ამ დროს ღრმად ეძინათ. რას იზამ, ინფორმაცია არ ჰქონდათ...

## კოშკურა

ამ დღეებში სამართალდამცავთა მიერ არაერთხელ ითქვა, რომ გუშაგის ერთ-ერთი კოშკურა (სქემაზე — №3) ზედ გვირაბიდან ამოსასვლელის თავზე მდებარეობს და გუშაგს იქიდან უეჭველად უნდა შეენიშნა ხვრელიდან ამომძვრალი პატიმრები. შემთხვევის ადგილის დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

ჯერ ერთი, №3 კოშკურა არა გვირაბიდან ამოსასვლელის თავზე, არამედ მისგან დაახლოებით 20 მეტრში დგას. მეორე — მართალია, მთელი პერიმეტრი პროჟექტორებითაა განათებული, მაგრამ მავთულხლართს გარეთ მათი შუქი თითქმის არ აღწევს. გარდა ამისა, როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, გვირაბიდან ამოსასვლელთან მდგომ ადამიანსა და კოშკურაზე მყოფს შორის აღმართული მავთულხლართის მესერი, მახვილი კუთხით, ღამის სიბნელეში გუშაგის თვალისთვის ლამის ყრუ კედლად აღიქმება. ერთი სიტყვით, მესამე კოშკურის მორიგე ვერაფრით დაინახავდა მიწიდან ამოსულ ტუსაღებს (მით უმეტეს, ვერ დაინახავდნენ მათ მეორე კოშკურიდან), მაგრამ აქ მეორე კითხვა იბადება: ნუთუ, ფიჩხით, ბუჩქებითა და ნაგვით მოფენილი ტერიტორია გვირაბს გამოღწეულებმა ისე უხმაუროდ გაიარეს, რომ გუშაგებმა ვერაფერი გაიგონეს?

პასუხი: იმ ღამით წვიმდა, ქარიც ქროდა და შესაძლოა, გაქცეულთა ფეხის ხმა იხშობოდა... და კვლავ ჩნდება მორიგი კითხვები: რა გარანტია ჰქონდათ აბსანძესა და მის მეგობრებს, რომ სწორედ იმ ღამით გააავდრდებოდა? ნუთუ, შესაფერისი ამინდის ლოდინში შესაძლოა რამდენიმე დღით შეყოვნებულიყვნენ? განა, უფრო ლოგიკური არ იყო, სხვა რამ ეღონათ? მაგალითად, ჯარისკაცები მოექრთამათ...

საეჭვოა, რომ ასეთი დონის ოპერაციის დაგეგმვისას, მისი ორგანიზატორები მხოლოდ იმის იმედად ყოფილიყვნენ, ეგებ, კოშკურაზე მდგომებმა ჩვენი ფეხის ხმა ვერ გაიგონონ და არც განგაში ატეხონო. უფრო სავარაუდოა, რომ დამნაშავეებმა გუშაგები მოისყიდეს — ალბათ, არც ისე ძნელია კოშკურაზე მდგომი რიგითი ჯარისკაცის მოქრთამვა, რომელსაც ხელფასი მხოლოდ 70 ლარი აქვს და იმასაც ყოველ მეორე თვეში „უყინავენ“. გვარიანი გასამრჯელოსთვის ასეთი ადამიანი, შესაძლოა, არც პატიმრობას შეუშინდეს, მით უმეტეს, რომ სამსახურებრივი გულგრილობის („რესბალნიცის“ 10 თანამშრომელი ერთი და იმავე ბრალდებით არის დაკავებული — 342-ე მუხლის ნაწილით — „თანამდებობრივი გულგრილობა, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა“) გამო სასჯელის ვადა არც ისე დიდია — 4 წელი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ყველაფერი შესაძლებელია, 4 წლის განახევრებაც (ან გამეოთხედებაც!) დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. მთავარია, გქონდეს ფული...

მივყვეთ ამ ვერსიას: პატიმრები გვირაბს ტოვებენ, ხევში იკრიბებიან, შემდეგ ხშირი ბუჩქნარით დაფარულ გორაკზე ადიან და ერთმანეთის დახმარებით (ან მათთვის წინასწარ მომზადებული კიბით) ლახავენ არხის სამმეტრიან კედლებს. იქ მათ უკვე მანქანა (მანქანები) ელოდებათ.

## გვირაბი

გვირაბის სიგრძე 32 მეტრია, დიამეტრი 60-70 სანტიმეტრი. ის აბსანძის პალატის ერთ-ერთ კუთხეში იწყება და მავთულხლართს მიღმა, რკინის ვიწრო ხიდის ქვეშ ამოდის. პალატიდან გვირაბი დაახლოებით სამი მეტრით ვერტიკალურად ქვევით ეშვება, შემდეგ თითქმის ჰორიზონტალურად მიდის და ბოლოს 45-გრადუსიანი კუთხით მიწის ზედაპირზე ამოდის. წარმოიდგინეთ, გულით ავადმყოფი და აბსანძის გაბარიტების კაცი ვიწრო ხვრელში, სამმეტრიან სიღრმეზე თავით ეშვება და 29 მეტრი უჰაერობაში მიხოხავს... ან კიდევ, მეორე ვარიანტი — თავდაპირველად, ფეხებით ეშვება, მთელ გვირაბს უკანსვლით გადის (რადგან შემობრუნების საშუალება არ არის) და ბოლო ორი მეტრი, ასევე უკანსვლით, აღმართში ამოდის... ორივე ვარიანტი, ცოტა არ იყოს, ძნელად დასაჯერებელია, თუმცა გამორიცხული სულაც არ არის.

12 წლის წინ ცნობილი რუსი ქილერი — სოლონიკი 80 სმ დიამეტრისა და თითქმის 1 კმ სიგრძის საკანალიზაციო მილში გახოხდა და საპატიმროს ამგვარად დააღწია თავი. მართალია, აბსანძე და სოლონიკი აღნაგობით ერთმანეთს ნამდვილად არ ჰგვანან, მაგრამ, ეტყობა, თავისუფლებას მოწყურებული კაცი სასწაულებს ახდენს...




## სამართალდამცავები მხრებს იჩეჩენ და წამებას განაგრძობენ

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, საპატიმროში შეთქმულების დაწყებას ხელი შეუწყო ერთმა ასეთმა ფაქტმა: არცთუ დიდი ხნის წინ რუსეთის ციხიდან საქართველოში გადმოიყვანეს პატიმარი ხვიჩა მანჩხავა — წარმოშობით მარტვილელი და ამჟამად აბსანძესთან ერთად გაქცეული. რუს კანონდამცველთა ინფორმაციით, ეს პიროვნება უწინ არაერთხელ იყო შემჩნეული გვირაბების გათხრაში. „რესბალნიცაში“ მყოფი პატიმრების ცნობით, მანჩხავა იმდენად ყოფილა გაწაფული მიწისქვეშა ხვრელების გაყვანაში, რომ მისთვის მეტსახელად „შახტიორა“ შეურქმევიათ. როგორც ჩანს, „შახტიორამ“ თავისი ნიჭი და გამოცდილება ორთაჭალაშიც გამოიყენა და მისი ხელმძღვანელობით 32-მეტრიანი გვირაბი საკმაოდ კვალიფიციურად გაითხარა.

ისმის კითხვა: რაღა ფინანსთა ექსმინისტრის პალატიდან დაიწყო მუშაობა, როცა შეეძლო თავის ოთახში შესდგომოდა თხრას? ეგებ, იმიტომ, რომ გულით ავადმყოფ აბსანძეზე ეჭვს არ მიიტანდნენ და მის საკანსაც არავინ შეამოწმებდა? თანაც, გამსახურდიას მთავრობის წევრის ოთახი საავადმყოფოს ხელმძღვანელების კაბინეტებს შორის იყო მოქცეული და ვინ წარმოიდგენდა, რომ დამნაშავეები ასე გათავხედდებოდნენ და თხრას უფროსობისგან ზუსტად ორ ნაბიჯში დაიწყებდნენ?

უეჭველია, რომ გვირაბი პალატის მხრიდან გაჰყავდათ და არა პირიქით, ან კიდევ, ორივე მხრიდან. ამას ადასტურებს აბსანძის პალატის საპირფარეშოში დახვავებული, ზეწრებისგან დამზადებული, მიწით სავსე ტომრები. გვირაბის ამოსასვლელთან კი დაყრილი მიწის ნასახიც არსად ჩანს, ანუ გვირაბის უკანასკნელი მეტრის გათხრის დროსაც მიწას უკან, 32 მეტრ მანძილზე მიათრევდნენ, პალატაში აჰქონდათ და ტომრებში ყრიდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც რაღაც გაუგებრობაა: წესით, ტუალეტში 17-20 კუბურ მეტრამდე მიწა უნდა აღმოეჩინათ, იქ კი დაახლოებით ამის ნახევარი იყო. შესაძლოა, დანარჩენი მიწა სხვა პალატებში, სათავსოებსა ან სულაც, ეზოში იყოს გაბნეული. კანონის დამცველები ამის თაობაზე მხრებს იჩეჩენ და კრინტსაც არ ძრავენ — ეტყობა, თავადაც ვერაფერს მიმხვდარან...

ამასობაში, საქმეში სამართალდამცავთა ჯალათებიც ჩაერთნენ. 4 ოქტომბერს, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს შენობაში საკუთარი თვალით ვიხილეთ ციხის საავადმყოფოს დაპატიმრებული თანამშრომლები, რომელთა დიდი ნაწილიც სასტიკად იყო ნაცემი. ერთ-ერთი მამაკაცი წამებისგან იმდენად დაუძლურებულიყო, რომ ბადრაგმა ხელში აიტაცა და დარბაზში ასე შეიყვანა. ევროკავშირში გაწევრებულ ქვეყანაში აღიარებების მოპოვებას ინკვიზიციის ჯოჯოხეთური მეთოდებით ცდილობენ. ეს არავისთვის — არც ადამიანთა უფლებების დამცველებისთვის, არც პოლიტიკოსებისთვის, არც ჟურნალისტებისთვის — არ არის საიდუმლო, მაგრამ რად გინდა... წერე და იკითხე, იზოლატორის საკნებიდან და სამართალდამცავთა კაბინეტებიდან კი კვლავაც ისმის ნაწამები ადამიანების სულისშემძვრელი ხმები.

## ჩიხი?

გაქცევა მხოლოდ გუშაგის დონეზე არ მოხერხდებოდა, მასში გაცილებით მაღალი რანგის ჩინოვნიკები უნდა იყვნენ გარეულები. დაცვის თანამშრომლებზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ რამ აიძულა შემოსავლიან თანამდებობაზე მყოფი ციხის საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ასეთ საქმეზე წასულიყო? რა იყო ეს — მატერიალური დაინტერესება თუ პოლიტიკური მოტივი?

ამჟამად ბევრს ახსენდება ზაფხულის ცხელ დღეებში გაკეთებული განცხადებები: სექტემბერში გაცილებით დაცხებაო — მოსალოდნელ დესტაბილიზაციას გულისხმობდნენ... ფაქტია, რომ სწავლის გადადებაც ამ მიზეზით მოხდა — ხელისუფალთ, ალბათ, ხელს არ აძლევდათ, რომ შესაძლო არეულობაში ახალგაზრდობა ჩართულიყო... ბევრი იხსენებს ერთ-ერთი „ზვიადისტი“ პატიმრის მეუღლის საჯარო ნათქვამსაც, თუ არ შეიწყალეს, მალე ჩვენები მაინც გარეთ გამოვლენო... ახლა უკვე აშკარად საუბრობენ ციხის ექიმთა საეჭვო ქმედებაზე: ლოთი ქობალია დიდხანს უჩიოდა გულის ტკივილებს, მაგრამ საავადმყოფო არავინ აღირსა, შემდეგ კი პატიმარს გრიპის მსუბუქი ვირუსი შეეყარა და ის უმალ მიაბრძანეს „რესბალნიცაში“...


**ავტორის ექსპერიმენტი: „აქ აბსანძეც გაძვრებოდა“...**

პატიმრები გაუჩინარდნენ და თითზე კბენაც დაგვიანებულია. საქმის „ცხელ კვალზე“ გახსნის მცდელობა კრახით დასრულდა. უკანასკნელი ინფორმაციით, ძიება ვერაფრით ადგენს გაქცეულთა ადგილსამყოფელს, არადა, რაც დრო გადის, სულ უფრო რთულდება პატიმართა პოვნა.

## „ვერსიის“ ვერსია

შეთქმულება დაახლოებით ორი-სამი თვის წინ დაიგეგმა. მოვლენები დაჩქარდა მას შემდეგ, რაც გურამ აბსანძეს შეწყალებაზე უარი უთხრეს. ქრთამის საშუალებით ციხის საავადმყოფოში რიგრიგობით გადმოდიან ექსპრეზიდენტის მომხრეები. შეთქმულებს საპატიმროს გარეთ მყოფი პირები (სავარაუდოდ, იმავე პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფნი; ხელისუფლებაში მოკალათებულნი; ქვეყნის გარეთ მცხოვრებნი) სათანადო ინფორმაციითა და ფინანსებით ამარაგებენ. „ზვიადისტ“ პატიმრებს ციხის საავადმყოფოს მინიმუმ ოთხი-ხუთი თანამშრომელიც ეხმარება. ინფორმაცია „ლონისძიების“ შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებულია — პატიმართა ოჯახის წევრებმაც კი არაფერი იციან. გვირაბი ღამის საათებში (პატიმართა საღამოს შემოწმებიდან დილის შემოწმებამდე), დაახლოებით ერთ კვირაში ითხრება. პირველ ოქტომბერს, კვირას, გამთენიისას ტუსაღები ხვრელის გაყვანას ასრულებენ და გარბიან. საავადმყოფოს მახლობლად ნახევრად დანგრეულ შენობებთან მათ მანქანებით ელიან. კვალის აბნევისა და კონსპირაციის შენარჩუნების მიზნით, გაქცეულები იქსაქსებიან: ზოგი თბილისში რჩება, ზოგიც რაიონებს აფარებს თავს. პირველი ოქტომბრის 11 საათამდე, ანუ იმ დრომდე, როცა ციხეში მათი არყოფნა შეიტყვეს, თორმეტივე „ზვიადისტი“ უკვე სამშვიდობოსაა გასული. საზღვარგარეთ წასვლა უდიდეს რისკთანაა დაკავშირებული (გაქცეულებმა იციან — სამართალდამცავებმა ერთ-ერთი მათგანიც რომ შეიპყრონ, უმალ დააფქვევინებენ ინფორმაციას), ამიტომ ყველა საქართველოში რჩება.

## რაც მაგრები ვართ...

საქართველოს საპატიმროებში გვირაბების გაყვანა ერთობ პოპულარული საქმეა. უკანასკნელი წლების მანძილზე ქვეყანაში ორი ისეთი შემთხვევა დაფიქსირდა, მსოფლიოში ყველაზე ცნობილ გაქცევებს რომ არაფრით ჩამოუვარდება.

1993 წელს ქსნის კოლონიაში მყოფმა პატიმრებმა 22 მ სიგრძისა და 70 სმ დიამეტრის გვირაბი გათხარეს და 13 იანვარს, გამთენიისას საპატიმროს ტერიტორია დატოვეს. იმ პერიოდში სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებიდან ტუსალთა გაქცევა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, მაგრამ ქსანში მომხდარი შემთხვევა მაინც განსაკუთრებული იყო — იქ მყოფი 284 პატიმრიდან გაიპარა ნახევარზე მეტი, 153 კაცი! და კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: ამ ფაქტის გამო მაშინ კოლონიის ხელმძღვანელობიდან არავინ დასჯილა!

1997 წელს, ღამით, რუსთავის ერთ-ერთი კოლონიის თანამშრომელმა, რომელიც საპატიმროს შიდა პერიმეტრის მორიგ შემოწმებას ახდენდა, ყრუ ხმაური გაიგონა. ოფიცერს მოეჩვენა, რომ ხმა მიწიდან ამოდიოდა, თითქოს გვირაბს თხრიანო...

ატყდა განგაში, გამოიძახეს შინაგანი ჯარის დამატებითი ძალები და სამასამდე ადამიანმა მთელი კოლონია საფუძვლიანად გაჩხრიკა. საეჭვო ვერაფერი იპოვეს, თუმცა, კოლონიის ხელმძღვანელები არ გამორიცხავდნენ პატიმართა მიერ მიწისქვეშა გვირაბის გაყვანის შესაძლებლობას. გადაწყვიტეს, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ყრუ ხმა ისმოდა, ოღონდ საპატიმროს კედლის გარეთ, ჩასაფრება მოეწყოთ.

მეორე ღამით ჩასაფრებულებმა შენიშნეს, რომ საკონტროლო ზოლთან (მიწის მოხნული ზოლი კოლონიის გარშემო) მიწა გაიხსნა და მთვარის შუქზე ადამიანის ხელი გამოჩნდა. ხელს თავი მოჰყვა, მერე — სხეულიც. პატიმარმა მიმოიხედა და მოკურცხლა (მისი დაჭერა ვერ მოახერხეს). იმწამსვე ორმოდან მეორე ტუსაღმა ამოყო თავი, მაგრამ გაქცევა ველარ მოახერხა. საფარში მყოფებმა ის უმალ შეიპყრეს.

უცნობია, თუ რამდენი ადამიანი აპირებდა მაშინ გაქცევას. პროფესიონალთა ვარაუდით, ამ მხრივ რუსთავში, შესაძლოა, ქსანში დაფიქსირებული რეკორდიც კი გაუმჯობესებულიყო. სამაგიეროდ, რუსთავში სხვა რეკორდები გაუმჯობესდა — გვირაბის კეთილმოწყობისა და სიგრძის.

თხრა ტუსაღებს კლუბის დარბაზში მდებარე სცენის ქვემოდან დაეწყოთ და ყოველივე ისე ოსტატურად იყო შენიღბული, რომ დაკვირვებული თვალიც კი ვერაფერს შეამჩნევდა. გაოცებულმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს, რომ გვირაბი აღჭურვილი იყო ელექტრონათურებითა და ვენტილაციით... მისი სიგრძე 85 მეტრს აღწევდა...

და კიდევ ერთი რეკორდი: 1992 წლის დასაწყისიდან დღემდე საქართველოს საპატიმროებიდან გაქცეულია (ამნისტირებულებში არ შეგეშალოთ) 2000-მდე ტუსაღი!

(მასალა მომზადებულია შაბათს, 7 ოქტომბერს)

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## სად წახვალ, შენი დედა კი ვატირე!



ჩემს ბავშვობაში სოფელში ერთი სკლეროზიანი კაცი ცხოვრობდა, ლადო ერქვა. ერთხელ, დიდი კაცებისაგან წაქეზებულმა, გავაბრაზე და ლადო გინებითა და ქვების სროლით გამომიდგა. ქვებისაგან რომ თავი დამეცვა, უშველებელ გაუქმებულ წყლის მილში შევძვერი, რომელიც 50 მ სიგრძის იყო და ბოლოში გასასვლელი ჰქონდა. ლადო მილში აღარ შემომყვა, მაგრამ „დამიდარაჯდა“ ორი უშველებელი ლოდით ხელში, თან იმუქრებოდა:

— სად წახვალ, შენი დედა კი ვატირე, აქ არ გამოხვალ ისევ?

როგორც უკვე აღვნიშნე, კაცი სკლეროზიანი იყო, ეს გამოვიყენე — მილის მეორე ბოლოში გავძვერი, „დადარაჯებულ“ ლადოსთან სერიოზული სახით მივედი და გამარჯობა-მეთქი, ვუთხარი.

— გაგიმარჯოს, შვილო! — მომიგო ლადომ, ხელიც კი ჩამომართვა, შემდეგ კი ისევ მილში შეყო თავი და დაიძახა:

— ჰაი, სად წახვალ, შენი დედა კი ვატირე, ისევ აქეთ არ უნდა გამოძვრე?

**კობა ხატისაშვილი, საგარეჯო**

## „მარშრუტკის“ მძღოლის ნაამბობი



ყველასათვის ცნობილია საგზაო ინსპექტორებისა და მძღოლების ურთიერთობა: ინსპექტორი აჩერებს მძღოლს, ეს უკანასკნელი ჩამოდის მანქანიდან, „წესრიგის დამცველს“ მეგობრულად ართმევს ხელს, რომელშიც უდევს ერთი ან ორლარიანი. ამის შემდეგ მძღოლი უპრობლემოდ აგრძელებს გზას.

ერთი „კამაზის“ მძღოლი დაკვირვებია ამ პროცესს და ისე მოსწონებია, რომ თურმე ყველა ინსპექტორთან აჩერებდა მანქანას, ჩამოდიოდა და განცვიფრებულს ართმევდა... ცარიელ ხელს!

**კობა ხატისაშვილი**

## ქურდის დამყაჩაღებელიც ცხონებულია



დევნილებისათვის გამოყოფილი შემწეობის თანხა — 36 ლარი ავიღე და მეუღლესთან ერთად „დეზერტირების“ ბაზარს მივაშურე. ბაზარში, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო. ერთ-ერთ დახლთან შევჩერდით და მეუღლემ დამანახვა იქვე „მომუშავე“ ჯიბის ქურდების ჯგუფი. ხელი შარვლის მარცხენა ჯიბისაკენ გავაქანე (ფულს ყოველთვის მარცხენა ჯიბეში ვიდებ) და ადგილზე გავქვავდი, ტანში ჟრუანტელმა დამიარა და შურისძიებით აღვივსე, განრისხებულმა ერთ-ერთი ქურდის მზერა დავიჭირე და მისკენ გავემართე, ქურდმა იგრძნო საშიშროება და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა, მეც თან მივყევი. ის იყო, ბაზრის ქვედა სართულზე აპირებდა მიმალვას, რომ საყელოში ვწვდი და გაცეცხლებით ვუთხარი, — გარეწარო! დევნილს ფულს როგორ პარავ-მეთქი და გადავედი აქტიურ შეტევაზე. ქურდმა დაინახა რა ჩემი აქტიურობა, დამშვიდება დამიწყო, — ოღონდ არ იხმაურო და შენს ფულს დაგიბრუნებო. მართლაც ამოიღო ჯიბიდან ფული და გამომიწოდა. მეც ხელი გავუშვი, რადგან ვიცოდი, ვერაფერს გავაწყობდი. ავედი მეორე სართულზე, გაბადრული სახით გამოვეცხადე მეუღლეს და სიამაყით ვახარე, ფული დავიბრუნე-მეთქი. როცა პროდუქტების ყიდვა დავიწყეთ, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, დაბრუნებული ფული 36 ლარის მაგივრად 57 ლარი აღმოჩნდა. გავიკვირვეთ, მაგრამ ქურდს ძებნას ხომ არ დავუწყებდით განსხვავებული თანხის გადასაცემად... როცა შინ მისულმა პიჯაკის ჯიბიდან საბუთები ამოვიღე, დევნილის მოწმობასთან ერთად შემწეობის თანხა — 36 ლარიც აღმოვაჩინე.

ვიფიქრე, ქურდის ქურდი ცხონებულია და ალბათ მისი დამყაჩაღებელიც-მეთქი და გულიანად ვიცინეთ.

**ენგული იობაძე**

## — მიეცი, დედი!



ერთხელ მე და დედაჩემი ველისციხის ბაზარში ღორის საყიდლად წავედით. ერთი ღორი მომეწონა, პატრონს ფასი ვკითხე. საკმაოდ იაფი დამიფასა. დედას ვუჩურჩულე:

— ამოიღე ფული და მიეცი ამ კაცს.

ღორი იწვა და დედაჩემმა კარგად ვერ შეათვალიერა, ამიტომაც მთხოვა:

— უთხარი ამ კაცს ააყენოს და მივცემ.

მე მის გულუბრყვილო პასუხს ყურადღება ვერ მივაქციე და შებუხუნებით ვუთხარი:

— მიეცი, ქალო!

მანაც ხმას აუწია:

— ააყენოს ამ კაცმა და, მივცემ!

**გმირო, ჩუმლაყი**

## „მუსიკა“



გასვენებაში მივდივართ მე, მიშა და ვაჟა. ჩემი „ნივა“ ჭიათურის აღმართებს შეუდგა. ვაჟა წინა ღამით მორიგე იყო სამსახურში და სოფელ კაცხთან ჩაეძინა — გულიანი ხვრინვა ამოუშვა. ავთომ სავარცხელი გამომართვა, ზედ ქაღალდი დაახვია, ტუჩთან მიიტანა და მედუდუკეს შეშურდებოდა, ისეთი სამგლოვიარო ჩაარაკრაკა. ვაჟამ თვალი გაახილა, ღილები შეიკრა და ზემოიმერული კილოთი იკითხა, — რავა, გამოიყვანეს უკვე? იცოცხლე, ატყდა ხარხარი მანქანაში.

**ჯანო ონიანი**

## — ვაი, ომარი!



ერთი ჩემი ნაცნობი ექიმი დილის შემოვლაზე პალატაში შევიდა ავადმყოფების გასასინჯად. ხედავს, ერთი მოხუცი ქალი გულამოსკვნით ტირის. ექიმი მიუახლოვდა და თანაგრძნობით ჰკითხა:

— ქალბატონო, რა დაგემართათ, რატომ ტირით, რამე ხომ არ გტკივათ?

— ომარი ექიმო! ტკივილით არაფერი არ მტკივა, მაგრამ თქვენთვის მოსაცემი ფული ბალიშის ქვეშ მედო და ვიღაცამ მომპარა — უთხრა ექიმს და ტირილს უმატა.

ექიმმა თავში წაიშინა ხელი და წამოიძახა:

— ვაი ომარი, ამას კი არა, მე მქონია სატირლად საქმე!

**სენაკელი**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მატჩნელებმა ხიდი დაწვეს, — ახმეტიდან ყვავები გადმოდიან და სიმინდს გვიჭამენო.

**ზურა და ზვიადი, არალი**



წელზევით ტიტველი რაჭველი რაჟიკო ზამთარში შეშას ჩეხდა. მეზობელი ეკითხება:

— არა გცივა, რაჟიკუნა?

— არა! — შეიფერა რაჟიკომ.

მეზობელმა აიღო შეშა, მკლავზე დაიწყო და თავისი სახლისკენ გაეშურა.

— რას შვრები, შე კაცო! — იყვირა რაჟიკომ.

— რად გინდა, კაცო, შეშა, მაინც არ გცივა, — უთხრა მეზობელმა.

**ჯანო ონიანი, ქუთაისი**

ქართველი ებრაელ მოშესთან ფულის სასესხებლად მივიდა.

— კი, დაგენაცვლე, უარს როგორ გეტყვი, მოდი ხვალ 3 საათზე და მოგცემ — დაიბარა მოშემ.

ქართველი მესამე დღეს მივიდა.

— ვერ გენდობი, დაგენაცვლე, ვერ მოგცემ!

— რატომ, ხომ შემპირდი? — გაიკვირვა ქართველმა.

— შენ წასაღებად არ მოდი დროზე და მოსატანად მოხვალ?

**ქეთი არჩვაძე, თბილისი**





ჭიჭიკიამ „პლაჟზე“ მაგარი ქალი დაინახა და ჰკითხა:

— ქალბატონო, თქვენ ბოზი ხართ?

— კი! — ააგდო ქალმა.

— წამომყვებით სახლში?

— კი, როგორ არა. მხოლოდ დღეში სამჯერ მაჭამეთ და 30 ლარი მომეცით.

— ქალბატონო, თქვენ ბოზი კი არა, კალატოზი ყოფილხართ!

**პაატა, ხაშური**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

# ალმოჩენილია ჩეჩნური კვალი




ეუთოს მისიის დამკვირვებლების მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ალმოჩენილია ჩეჩნური კვალი. იტარ-ტასის ცნობით, დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ ულელტეხილის ამ უბანზე რეგულარულად გადაჰყავთ ადამიანები და გადააქვთ ტვირთი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა მოხსენებას კომენტარი გაუკეთა: ამ უწყებას არავითარი მონაცემები არ გააჩნია საზღვარზე ჩეჩნური კვალის ალმოჩენის შესახებ. მაგრამ თუ იქ ნამდვილად რეგულარულად გადადიოდნენ ბოევიკები ან საჭაპანო პირუტყვის მეშვეობით გადაჰქონდათ იარაღი, ამაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა მარტო ქართულ მხარეს, არამედ რუსეთის მესაზღვრეებსა და მედესანტეებს, რომლებიც უკვე ერთი წელიწადია, აკონტროლებენ ყველა გადასასვლელს და ეუთოს მოხსენებაში ნახსენებ რუსეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიას.

თბილისის აზრით, პარადოქსული სურათი იქმნება: რუსეთის ძალოვანი უწყებანი, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, დაახლოებით სამი ათასი მესაზღვრე და მედესანტე აკონტროლებს ჩეჩნეთის მონაკვეთს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე და ისინი ან ვერ ხედავენ (რაც სრულიად გამორიცხულია), ან მოლაპარაკების თანახმად, უშვებენ საზღვარზე ბოევიკებსა და მათ ტვირთს. გარდა ამისა, გაზეთ „კომერსანტის" წყაროს თანახმად, საქართველოს სასაზღვრო სამსახურში ეყრდნობიან რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის სერგეი ივანოვის განცხადებას, რომელმაც თბილისში ყოფნისას თქვა: „რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ყველა ბილიკი დანაღმულია და იქ გასვლა შეუძლებელია, ხოლო კლდეებზე გადასვლას მხოლოდ ალპინისტი თუ შეძლებს".

პანკისის ხეობაში ფუნქციონირებს ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი. სწორედ იქ მივყავართ ჩეჩნურ კვალს.

***კომერსანტი №185***



# გაზეთ „კვირის პალიტრის" რედაქციას

ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრის" რედაქციამ ამერიკიდან, კერძოდ, ნიუ-ჯერსიდან ქალბატონ ნინო ხეცურიანის წერილი მიიღო. ის უკვე სამი წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობს და როგორც თვითონ იწერება, მწარედ უხდის ხარკს „ნოსტალგიის დამთრგუნველ გრძნობას".

ქალბატონი ნინო გამოეხმაურა 15-25 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას იზაბელა მოლაშვილის შესახებ.

მომყავს ციტატა ნინო ხეცურიანის წერილიდან: „...მათრახივით გადამკრა თქვენმა სიტყვებმა, რომლითაც სტატია მთავრდება: „იზაბელა მოლაშვილს ურჩევნია, უწინარესად თავისიანს დაედოს სალბუნად, ვიდრე უცხოეთში უცხოს დაუამოს ტკივილი, თუნდაც დიდი საზღაურის ფასად... თქვენ იცით, ძვირფასო მაია, რა საზღაურის ფასად ვიტანთ ენით აუწერელ დამცირებას? რაც ქართველი მანდილოსნისათვის სიკვდილის ტოლფასია?! მოთმინებით ვიტანთ, რადგან იმ საზღაურს, რასაც თქვენ მოიხსენიებთ, საქართველოში ჩემს ოჯახში ცხრა ადამიანი ელოდება?! თქვენი აზრით, ის მილიონ ორასი ათასი ქართველი, ვინც რესპუბლიკა დატოვა დიდ საზღაურს ეძებს საზღვარგარეთ? (ამ რიცხვს ასახელებს ქალბატონი ნინო და გვინდა, არ გვინდა, ჩვენც ტკივილით ვაფიქსირებთ — მ.ყ.) არა, ჩემო ძვირფასო მაია, ჩვენ ჩვენი ახლობლების არსებობისათვის, გადარჩენისათვის ვიბრძვით!"...

თქვენი გულისტკივილი უცხო არ იქნება ჩვენგან შორს მყოფი ყველა იმ ქართველისათვის, ვისაც პატრიოტიზმის მცირე გრძნობა შერჩენია. გარწმუნებთ, ქალბატონო ნინო, იმ „დიდ საზღაურში", თქვენ რომ ასე „გულზე მოგხვდათ", ჩვენ საქართველოდან ლტოლვილი ქართველები არ ვიგულისხმეთ, ჩვენც გვაკლია ის თანამემამულე, ბედის უკუღმართობამ უცხოეთში გადახვეწილს ქართულ მიწაზე სიარული რომ მოანატრა, ჩვენც გვაწუხებს თქვენი ტკივილი, მაგრამ მოკრძალებულად მაინც მოგახსენებთ, რომ ჩვენც იმ „გაჭირვებულ რესპუბლიკაში" ვცხოვრობთ, მილიონ ორასი ათასმა ქართველმა რომ მიატოვა და საზღვარგარეთ ლტოლვილის სტატუსით წავიდა. მშობელ მიწაზე დაგვედგათ მალე ფეხი, თანაც ძლიერზე, გულგაშლილ და მშვიდობიან მიწაზე.

ძალიან მინდა „კვირის პალიტრის" ამ ნომერმაც ჩააღწიოს ნიუ-ჯერსამდე და მოხვდეს ნინოს ხელში, რადგან მინდა ვუთხრა — გამოხმაურებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ გვიხარია, რომ ამერიკაში მყოფი ქართველებიც „კვირის პალიტრის" მკითხველები არიან.

***მაია ყალაბეგაშვილი***

კავკასია

# ირანის გაზი სომხეთს გაივლის

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მუჰამედ ალი მუსევის განცხადებით, ირანის გაზის ევროპაში გატანა ყველაზე ხელსაყრელია სომხეთის გავლით. ამჟამად ირანისა და სომხეთის მთავრობები მუშაობენ იმ ნავთობმომპოვებელი და ფინანსური კომპანიების კონსორციუმის შესაქმნელად, რომელიც დააფინანსებს ამ პროექტს. მალე გამოცხადდება ტენდერი გაზსადენისა — ირანი-სომხეთი-შავი ზღვა — ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლების მოსამზადებლად. ირანის წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრება ირანის ტერიტორიაზე გაზსადენის ასაშენებლად საჭირო თანხის განსაზღვრის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროკავშირი პროექტის ერთ-ერთი მხარდამჭერია, შესაძლოა ისე მოხდეს, რომ სომხეთის გავლით გაზსადენის მშენებლობამ მოაგვაროს კასპიის რეგიონიდან ევროპაში გაზის ექსპორტის პრობლემაც.


**რ. ქოჩარიანი კმაყოფილია**

დაახლოებითი გაანგარიშებით, ირან-სომხეთის გაზსადენი 120 მლნ დოლარი დაჯდება. ეს თანხა დასჭირდება სომხეთის ტერიტორიაზე 36 კმ და ირანში 100 კმ სიგრძის გზის გავლას.

***არგუმენტი ი ფაკტი №40***

# „თბილისი დაინტერესებულია რუსეთისა და ნატოს ინტერესთა ჰარმონიზაციით"...

გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ელჩთან რუსეთში — **ზურაბ აბაშიძესთან.**

**— საქართველოსა და ნატოს „განსაკუთრებული ურთიერთობები" აკავშირებთ?**

— შვიდი წელი ვიმუშავე ნატოსთან არსებული ერთ-ერთი მისიის ხელმძღვანელად. არ მესმის, რატომ ლაპარაკობენ რაღაც „განსაკუთრებული ურთიერთობების" შესახებ. საქართველო ისევე, როგორც დსთ-ის სხვა ქვეყნები, მონაწილეობს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის". ამდენად, ჩვენი თანამშრომლობა აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე პროცესია. რასაკვირველია, გვაქვს პრიორიტეტები პარტნიორობის სამუშაო პროგრამების შედგენისას. პირველ რიგში, ეს გახლავთ ნატოს წევრი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელების საქმეში, შეიარაღებული ძალების შექმნის თანამედროვე გამოცდილება, სპეციალისტთა მომზადება დასავლეთის სასწავლო დაწესებულებებში, სამეცნიერო პროგრამები. ჩვენ ვიღებთ ყოველივე პოზიტიურს, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას და შეიარაღებულ ძალებს. მე ვიტყოდი, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება ყალიბდება ნატოსა და რუსეთს შორის, რომლებმაც ორმხრივ შეთანხმებას უშიშროების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 1997 წელს მოაწერეს ხელი. ეს არის მრავლისმომცველი დოკუმენტი. ის, რომ რუსეთში ზოგიერთები ნატოს ნეგატიურ კონტექსტში განიხილავენ, ჩემი აზრით, საბჭოთა პერიოდის რუდიმენტია. საქართველოში კი ასე ფიქრობენ: ნატო არ წარმოადგენს რეალურ საფრთხეს სამხრეთ კავკასიისთვის... ჩვენც და რუსეთსაც სხვა საფრთხე გველის — ტერორიზმი, ექსტრემიზმი, აგრესიული სეპარატიზმი, იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა, რაც არყევს ჩვენი ქვეყნების სახელმწიფოებრიობას.

**— რატომ არ შეუერთდება საქართველო დსთ-ის რიგებს კოლექტიური უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით?**

— ჩვენ რამდენიმე წლის მანძილზე ვიყავით დსთ-ის პროექტში და სასურველი შედეგები არ მიგვიღია. ამ მექანიზმიდან დახმარებას ველოდით. ჩვენ არ გვაქვს არჩევანის საშუალება, დახმარებას მათგან მივიღებთ, ვინც შემოგვთავაზებს. რა თქმა უნდა, რუსეთთან უფრო ადვილად მოვილაპარაკებდით, ვიდრე დასავლეთთან, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და ერთგვარად ვაზროვნებთ.

**— მოსკოვში შიშობენ, საქართველოში ნატოს ჯარები განლაგდებიანო...**

— როგორ მოხდება ეს იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის ნატოს წევრი? ჩემი აზრით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შევარდნაძის ფრაზა კონტექსტიდან ამოგლიჯეს... „საქართველო 2005 წელს მიუკაკუნებს ნატოს კარებსო" — ეს ითქვა იმ კონტექსტში, რომ იმ დროისთვის უნდა დასრულდეს „ევროპის უშიშროების არქიტექტურის" შექმნის პროცესი. ნატო კონფლიქტის გზით სვლას არ აპირებს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

**— ნატომ კავკასია თავისი სტრატეგიული ინტერესების ზონად გამოაცხადა...**

— დღესდღეობით ეს რეალობაა. მათ დიდი თანხა ჩადეს ამ რეგიონში და გაჩნდა სტრატეგიული ინტერესიც. ჩვენ კი სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებულნი, რომ ეს სტრატეგიული ინტერესები ჰარმონიულად ეხამებოდეს რუსეთის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე უფრო საქართველო დაზარალდება. ჩეჩნეთის მოვლენების დაწყების დროს ჩვენ ყველა ქვეყანას მივმართეთ თხოვნით დახმარებისთვის. ევროკავშირის ქვეყნებმა და აშშ-მა დაახლოებით 20 მლნ დოლარი გამოგვიყვეს, რაც საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის გამაგრებას მოხმარდა. ეს ჩვენთვის დიდი ფულია, უფრო დიდი, ვიდრე საქართველოს ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხა მესაზღვრეთათვის.

**— შესაძლებელია თუ არა რუსეთის სამხედრო ბაზების შენარჩუნება ბათუმსა და ახალქალაქში?**

— ჩვენი აზრით, საქართველოში რუსეთის ბაზებმა ამოწურეს თავიანთი თავი. ეს ბაზები სხვა ისტორიულ გარემოში, სულ სხვა სამხედრო-პოლიტიკურ ატმოსფეროში შეიქმნა. დღეს ეს ბაზები არ ესადაგება თანამედროვე მოთხოვნებს. ჩვენ რუსეთის მხარეს



ვთავაზობთ სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ახალ ფორმაზე გადასვლას. გუდაუთისა და ვაზიანის ბაზები საქართველოსთვის ცუდ მოგონებებთან ასოცირდება. მაგალითად, გუდაუთის ბაზა — აფხაზეთის ომთან, რომელშიც ამ ბაზამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. საერთოდ კი, როდესაც ერთი სახელმწიფო იყენებს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიას, მას კიდეც უნდა გადაუხადოს. ჩვენ კი ამ ბაზებიდან კაპიკიც არ მიგვიღია. ბაზების გამოყვანა, ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, აღიქმება როგორც საქართველოდან რუსეთის გამოდევნა-შევიწროება. ამ მოვლენას კი ჩვენი თვალითაც შეხედეთ. სხვათა შორის, დსთ-ის ბევრ ქვეყანაში არ დგას რუსეთის ბაზები. შევუდექით თუ არა საზღვრების დამოუკიდებლად დაცვას, მოსკოვი აღშფოთდა, რუს მესაზღვრეებს ავიწროებენო, მაგრამ რა ქვეყანაა ის ქვეყანა, რომლის საზღვრებსაც სხვა სახელმწიფოს მესაზღვრეები იცავენ.

**— სიტყვამ მოიტანა და, როგორია საზღვრის დაცვის საქმე?**

— საჭიროა, დაგვეხმაროს ყველა, ვინც დაინტერესებულია მისი უკეთესი დაცვით.

**— ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა საქართველოსადმი გაწეულ რაიმე სახის დახმარებაზე დაიყვანება.**

— ჩვენც მზად ვართ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში დავეხმაროთ სხვას. რა გჭირდებათ თქვენ? რუსეთი ნაკლებად არ უნდა იყოს დაინტერესებული საქართველოს ძლიერებითა და სტაბილიზაციით. ჩვენი სტრატეგიული ინტერესები თანხვდება ერთმანეთს. თუ რაიმე გაუგებრობაა ჩვენ შორის, ამაში მხოლოდ ერთი მხარე არ იქნება დამნაშავე. მაგრამ საქართველოს ნამდვილად ესაჭიროება დახმარება, თუნდაც აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად.

**— დიდია თუ არა ცდუნება, მოგვარდეს აფხაზეთის კონფლიქტი ნატოს ხელით?**

— ჩვენს ტერიტორიაზე ნატოს სამშვიდობო ჯარების შემოსაყვანად უნდა ამოქმედდეს უამრავი საერთაშორისო მექანიზმი. ამაზე კი რუსეთი არ წავა. რუსეთს დიდი გამოცდილება აქვს მიღებული იუგოსლავიაში. ამ გამოცდილების ელემენტები შეიძლება გამოიყენონ აფხაზეთში სამშვიდობო მისიის ჩატარებისას. თუ რუსეთი და ნატო მოილაპარაკებენ, ასეთი ერთობლივი აქციის ჩატარება ძალზე კარგი იქნებოდა.

***ნეზავისიმაია გაზეტა №185***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა, რომ ჩემი სურვილისამებრ გავზარდო ლოცვის კანონი, მაგალითად, ჩავრთო იქ „დაუჯდომელი"?**

— ლოცვის კანონის დროს ყველაზე მთავარია მისი ყოველდღიური, რეგულარული შესრულება. ისეთი კანონი უნდა დაიდგინოთ, რომ არც თქვენს ძალ-ღონეს აღემატებოდეს და სინდისიც არ გქენჯნიდეთ სრულყოფილად მისი ვერჩატარების გამო. ამიტომ უმჯობესია რჩევისათვის მოძღვარს მიმართოთ.

**— რამდენად სწორია მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის პირჯვრის ორი თითით გადაწერა?**

— ეს არის ტრადიციის საკითხი. ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, სამი თითით ვიწერთ პირჯვარს — ერთად დაწყობილი სამი თითი ნიშნავს: მამაღმერთს, ძე ღმერთსა და სულიწმიდას, ხოლო მოხრილი ორი თითი — იესო ქრისტეს ორ ბუნებას — ღვთაებრივსა და ადამიანურს.

**— ჩემს მეუღლეს 13-14 წლის ასაკში თავისი ნათლობის ჯვრით სხვა მოუნათლავს. 16 წლის განმავლობაში, რაც მისი მეუღლე ვარ, არც ერთ საქმეში ხელი არ ემართება. გთხოვთ, გამარკვიოთ, ხომ არ არის ეს საფუძველი მისი ხელმოცარულობისა და რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში ნათლობის ჯვართან დაკავშირებით?**

— ხსენებული შემთხვევა არანაირ ვითარებაში არ შეიძლება თქვენი მეუღლის ხელის მოცარვის მიზეზი იყოს. მიზეზი მხოლოდ საკუთარ ცოდვებში და უფლის მცნებების დარღვევებშია საძიებელი, რისი გამოსწორებაც შეიძლება ეკლესიური ცხოვრებით: მარხვით, აღსარებითა და ზიარებით. რაც შეეხება ჯვარს, თქვენს მეუღლეს შეუძლია გულდამშვიდებით იყიდოს ახალი ჯვარი, აკურთხებინოს საკუთარ სახელზე და ატაროს.

**— შეიძლება თუ არა, რომ ქალი ცოლად გაჰყვეს ძმისშვილის ნათლიას, თუკი მათ შორის ნათლობამდე იყო სიყვარულის გრძნობა?**

— იმის გამო, რომ ნათელმირონობის დროს გვერდგამავალთათვის (არაპირდაპირი შტო) დაუბრკოლებელია ქორწინება, შეიძლება!

**— მეთვლება თუ არა ის ცოდვა, რომელიც თავისი ზუსტი სახელით აღსარებაზე მოძღვართან მოვინანიე, თუმცა წვრილმანები არ დამიკონკრეტებია?**

— ცოდვა, როგორც ასეთი, შენდობილია. მაგრამ უნდა გაარკვიოთ დაუკონკრეტებლობის მიზეზი: იყო ეს სირცხვილის თუ მიჩქმალვის გამო. უნდა გათავისუფლდეთ ყალბი სირცხვილის გრძნობისგან. ყოველი ცოდვის დეტალებში აღწერა არ არის აუცილებელი. თუ ფიქრობთ, რომ ჩადენილი ცოდვის რომელიმე ნიუანსს არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ის აუცილებლად უნდა ითქვას, რათა მოძღვრის რჩევამ სულიერი სარგებელი მოგიტანოთ, მით უფრო, თუ მისი უთქმელობა შემდგომში სინდისის ქენჯნას იწვევს.

**— მე მითხრეს, რომ ნათლობის შემდეგ ჩემზე გადმოდის ნათლიის ცოდვებიც. რატომ უნდა ვაგო პასუხი სხვა ადამიანის ჩადენილი ცოდვებისთვის?**

— შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, თქვენ მოგეკითხებათ პასუხი მხოლოდ იმ ცოდვებისთვის, რომლებიც თქვენ თავად შეგნებულად ან შეუგნებლად ჩაიდინეთ.

**— მართალია თუ არა, რომ 11 სექტემბერს, იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს, მძიმე მარხვის დროს, დანის ხმარებაც კი არ შეიძლება: მაგ, პურის დაჭრა და ა.შ.**

— ეს არის ცრუმორწმუნეობა და არა მართლმადიდებლობის წესი ან ტრადიცია.

**— მინახავს სხვადასხვა სახის ჯვარი: წმინდა ნინოსი, ბოლნური, რუსულ ეკლესიებზე აღმართული ჯვარი და სხვ. არის თუ არა მათში მოქმედების ძალისა თუ უნარის მიხედვით სხვაობა?**

— ეს ჯვრები მხოლოდ ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათგან გადმოსული ძალა და მადლი ერთი მნიშვნელობისაა!

**— აღდგომის ხატზე ასახულია ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთიდან მართალთა ამოყვანა. თუ მართალთა სულები არიან ხატზე გამოსახულნი, რა უნდოდათ მათ ჯოჯოხეთში?**

— მხოლოდ ქრისტეს აღდგომის შემდეგ განიხვნა უკუნის კარები — მანამდე მართალნი ჯოჯოხეთში იმყოფებოდნენ, მაგრამ ტანჯვას არ განიცდიდნენ სიმართლით განვლილი ცხოვრების გამო. მათ სამყოფელს უწოდებდნენ — აბრაამის წიაღს. იქ არ იყო ტანჯვა, მაგრამ არ იყო სრული ნეტარება, როგორიც არის სასუფეველში!

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 32*

*თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიგონებენ

**პატარა გვანცა ცქიტიშვილს** მამა დაჰპირდა — ზეგ ცირკში წაგიყვანო. მართლაც, მესამე დღეს წაიყვანეს. მომდევნო დღეს ოთა სთხოვს მამას თოფის ყიდვას. მამა პასუხობს:

— ზეგ გიყიდიო. ამ დროს წამოყოფს გვანცა თავს და ყვირის:

— ზეგ ხომ გუშინ იყო.

***

**2 წლის სოფიკო კევლიშვილის** ბებია ურეკავს სოფიკოს დედას:

— შვილო, გამაგებინე რა უნდა ბავშვს, ტირის და იძახის, „საბარიგოთ წამიყვანეთ“, „წითელ-ყვითელითო“.

შვილმა სიცილით აუხსნა:

— საბაგიროთი, წითელი და ყვითელი ვაგონებით უნდა კუს ტბაზე ასვლა.

***

**4 წლის ირაკლი კალმახელიძე** ზის პიანინოსთან და უკრავს:

— დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი.

— რაკი ნოტები უკვე იცი, — ეუბნება დედა, — ბარემ „ჟუჟუნა წვიმაც“ ააწყვე!

— როგორ უნდა ავაწყო, — მე რა ვიცი „ჟუ“ საიდან იწყება, მე მარტო „დო“ ვიცი!

***

კარაქის შესაფუთ ქაღალდზე აწერია, რომ წეროვანისაა. **5 წლის ირაკლი** დამარცვლით კითხულობს და გაკვირვებული ამბობს:

— ვა, ეს კარაქი წერომ გამოგვიგზავნა?!

***

გადაცემის — „ვის უნდა ოცი ათასი?“-ს მსვლელობის დროს, **1 წლისა და 10 თვის ნიკა ხიტირმა**, რომელიც თამაშით იყო გართული, შოუს წამყვან დუტას ფრაზაზე — „ვის უნდა ოცი ათასი?“ — თავი წამოყო და ხმამაღლა დაიძახა:

— ნიკას!

## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

III




იპოვეთ ორი წყვილი ერთნაირი ფიგურა



## იპოვეთ 11 განსხვავება





## I კროსვორდი




უჯრებში ჩაწერეთ ჩვენი ერის სასიქადულო შვილების დაბადების ადგილები ისე, რომ ყვითელ ვერტიკალურ სვეტში მიიღოთ XII ს-ის უდიდესი პოეტის სახელი და გვარი.

1. ივანე მაჩაბელი; 2. ვასილ ბარნოვი; 3. დავით კლდიაშვილი; 4. სულხან-საბა ორბელიანი; 5. ილია ჭავჭავაძე; 6. ლეო ქიაჩელი; 7. აკაკი წერეთელი; 8. შიო მღვიმელი; 9. მიხეილ ჯავახიშვილი; 10. იაკობ გოგებაშვილი; 11. გიორგი ლეონიძე; 12. ვაჟა-ფშაველა; 13. გალაკტიონ ტაბიძე.

## IV რებუსი




გამაფერადე ფერადი ფანქრებით პირველი ნახატის მიხედვით დაასრულეთ მეორე





## მოთხრობა–გამოცანა



თამუნას ექვსი ცალი ცისფერი და ექვსიც მწვანე წინდა აქვს, რომლებიც არეულად აწყვია კომოდის უჯრაში. წინდების რა მაქსიმალური რაოდენობა უნდა ამოიღოს თამუნამ დახუჭული თვალებით, რათა ერთი წყვილი ერთნაირი წინდა შეარჩიოს?

(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის ყველაზე სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** ნინო ტომარაძემ, გიორგი ოზბეთელაშვილმა, ზურა და მონიკა ტყეშელაშვილებმა, ლერი ხვადაგაძემ, ნათია ქააძემ, მარიკა და ლაშა ცხვარაძეებმა, გოგა გეგეშიძემ, ტარიელ წირღვავამ, ლელა ოჩხიკიძემ, თორნიკე გაგნიძემ, ნინო ხაჭაპურიძემ, ქეთინო ჩომახიძემ, მაკო ჯიქიძემ, ცოტნე ქარქაშაძემ, ინგა ახალაიმ, გიგა გოგოლსაშვილმა, მაია გიგანმა, თამუნა ფუნჩიაშვილმა, სოფიკო გძელიშვილმა, კახა მიქელაძემ, ჯაბა წურწუმიამ, იმედი ცერცვაძემ, მარიკა ალფაიძემ, ალბერტ ცერცვაძემ, სოფიკო ცირგაიამ, მერაბ და ნუგზარ სახიაშვილებმა, თეონა გოგაძემ, პავლიკა იაკობიძემ, ამირან იობაშვილმა, მანანა კუპატაძემ, ლელა გოცაძემ, ჯამბულ ცერცვაძემ, ალეკო ჯიქურმა, აკაკი ცანკიშვილმა, კობა და ვასო ცერცვაძეებმა, დავით და თამარ ნუცუბიძეებმა, გოგა ზურაბიშვილმა, ციაკო გეთიამ, ცირა შანავამ, რეზიკო, ნინო და ნათია დავითაშვილებმა, მარი გაბიტაშვილმა, გიორგი გვერდელაშვილმა, ნინო კავკასიძემ, ნატო ნატრიაშვილმა, ეკატერინე შამათავამ, ნათია ბეკურაშვილმა, ვანო ღვალაძემ, გვანცა ბუაძემ, გიორგი და ლაშა სამხარაძეებმა, მარეხ ფხოველმა, ლაშა ართილაყვამ, მაიკო და ვაკო ფაჯიშვილებმა, ზურა არველაძემ, გიორგი ქამუშაძემ, ხვთისო იმერლიშვილმა.

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** უფროსმა ძმამ დააგროვა 40 ლარი, შუათანამ — 30, ხოლო უმცროსმა — 20 ლარი.

## V

ამ ქართველი პოეტის კალამს ქვემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან მხოლოდ ერთი არ ეკუთვნის. გამოიცანით პოეტი და გამორიცხეთ სხვისი ნაწარმოები.



1) ჰე, მამულო;
2) მერი;
3) ფიქრნი მტკვრის პირას;
4) მესაფლავე.

***აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით 15 წლის ნინო ტომარაძეს***

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***

## II მოძებნეთ საერთო დასაწყისი ცხრავე სიტყვისთვის




## სახუმარო ლექსი

სიტყვას, როცა დავიძახებ,
დედა იწერს ფურცელზე,
პატარა ვარ, მას კი უნდა,
გურამიშვილს ვუსწრებდე.

***გიგა დავითაძე***

# გმირის მნახველი 320 წლის „დიდმოწამე გიორგი“

უცნაური ბედი ერგო დიდმოწამე გიორგის ხატს, რომელიც 1690 წელს შექმნა ერთ-ერთმა საუკეთესო მხატვარმა, რუსეთის სამეფო კარის ხატმწერმა სემიონ უშაკოვმა (1626-1686) კახეთის დედოფლის ელენეს დაკვეთით. ხატი დედოფალმა შესწირა ალავერდის ტაძარს, სადაც იქაურმა ოსტატებმა ვერცხლით მოაპერანგეს. მრავალი ათეული წლის შემდეგ აღარავის ახსოვდა მხატვრის ვინაობა და მას ქართველ ხატმწერთა ნახელავად მიიჩნევდნენ.



აკად. შალვა ამირანაშვილი მას სემიონ კაზანეცის ნამუშევრად მიიჩნევდა. 1637 წელს რუსი ხატმწერები — სემიონ კაზანეცი და ივან (ივაშკო) დანილოვ-კოსტრომიტინი ვოლკონსკის და ხვატოვის ელჩიონს ჩამოჰყვნენ კახეთში, ალავერდის ტაძარში იღვწოდნენ.

ხატის ვერცხლის პერანგი ფარავდა ავტორის ხელმოწერას. 1954 წელს, როცა პერანგი ნაწილობრივ მოხსნეს, აღმოჩნდა წარწერები რუსულ და ქართულ ენებზე. საღებავი აცვენილი იყო და ავტორის ხელმოწერის წაკითხვა ჭირდა. აკად. გიორგი ჩუბინაშვილი ფიქრობდა, რომ ხატი შეკვეთით იყო შესრულებული მოსკოვის ტროიცკ-სერგეევის ლავრაში.

რამდენიმე ხნის წინ, პროფილაქტიკური დათვალიერების მიზნით, ტექნოლოგიური კვლევის განყოფილების თანამშრომლებმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ნონა ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით, ზედმიწევნით შეისწავლეს ხატი და ფიგურის ფეხებქვეშ აღმოაჩინეს ავტორის ხელმოწერა — სემიონ უშაკოვი. მიძღვნითი წარწერა კი იუწყება: „Благоверная царица Елена… во здравие детей моих и в воспоминание государя моего“.

ეს წარწერები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ამ ხატის შექმნისა და მისი საქართველოში ჩამობრძანების ისტორია.

პოლიტიკურმა და სამხედრო მოვლენებმა კახეთის მეფე თეიმურაზ აიძულა, 1652 წელს რუსეთის მეფის კარზე გაეგზავნა უმცროსი შვილიშვილი ერეკლე. უფლისწულს მოსკოვში გაჰყვა დედა-დედოფალი ელენე. ერეკლე ცნობილი იყო, როგორც ნიკოლაი დავიდოვიჩი. თვალტანადი და გონიერი ქართველი ბატონიშვილი დიდად პოპულარული იყო მეფის კარზე. ერეკლემ სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1674 წელს მოახერხა, მაგრამ სპარსეთის შაჰის მოთხოვნით, ერთი წლის შემდეგ ისპაჰანს გაემგზავრა. ამ ნაბიჯს იგი რუსეთის მეფის ალექსეი მიხაილოვიჩისადმი გაგზავნილ სიგელში ამგვარად ხსნიდა, — შაჰს კახეთის აკლება სურს და შესაძლოა, ჩემმა გამგზავრებამ გადაგვარჩინოსო...

ერეკლემ შესანიშნავად იცოდა, რა ელოდა სამშობლოში დაბრუნებისას. იმიტომაც დატოვა დედა მოსკოვში. იგი ახალ მეფეს ფეოდორ ალექსეევიჩს (პეტრე -ის ძმას) სთხოვს, — დიდო ხელმწიფეო, შემოგავედრებ დედაჩემს, რათა უმფარველო, მოიღო მასზე მოწყალებაო...

თავის მხრივ, ელენემ შვილი ალავერდის წმინდა გიორგის შეავედრა და სემიონ უშაკოვს შეუკვეთა ხატის დაწერა...

საქართველოში ოდითგანვე თაყვანს სცემდნენ წმინდა გიორგი-მხედარს, რომელიც შუბით კლავს დიოკლეტიანეს. ბიზანტიური ხატწერისთვის კი დამახასიათებელია მოწამე გიორგის გამოსახულება ჯვრით ხელში. რუსი მხატვრები კი აერთიანებდნენ მეომრის და მოწამის თვისებებს. ამგვარია უშაკოვის ხატიც.

ხატი იმ დროს შეიქმნა, როდესაც უშაკოვმა თავის შემოქმედებაში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. გიორგი მიახლოებულია რეალურ ტიპთან. ეს ნამუშევარი ერთ-ერთი საუკეთესოა, საერთოდ იკონოგრაფიაში.

ალავერდის ტაძარში ეტყობა, აღმოჩნდა არაუგვიანეს 1688 წლისა, როდესაც ირანის შაჰმა ერეკლეს მაჰმადიანობა მიაღებინა და კახეთის ტახტზე ნაზარალი-ხანის სახელით დასვა.

1721 წელს ეკლესიის წინამძღვარმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ხატი ვერცხლის პერანგით შეამკო. 1779 წელს ვერცხლით მოჭედეს ხატის ზურგიც. მას ატყვია გვიანდელი ევროპული ბაროკოს კვალი. წარწერიდან ვიგებთ, რომ იგი მოუჭედავს ვინმე გაბრიელს.

ხატზე დაკვირვებით ჩანს, როგორი ტრანსფორმაცია განიცადა ხელოვნების ამ სახეობამ მე-18 ს-ში. უპირველესად ეს იკვეთება ორნამენტების მოტივებსა და დეკარის ელემენტებში.

ამრიგად, სემიონ უშაკოვის ხატი ნიმუშია XVIIს. რუსული ხატწერისა და XVIIს. ქართული ჭედუროობის ხელოვნების განვითარების ახალი ტენდენციებისა.

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***

# ქართველები ამერიკელებს ასი წელი კაზაკები ეგონათ

## (ამერიკული როდეო გურულების მოგონილი ყოფილა)

1893 წელს თბილისის სასულიერო სემინარია ორგანიზებულმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა. პირველ დეკემბერს მოსწავლეებმა საქართველოს ეგზარქოსს თავიანთი მოთხოვნები წერილობით წარუდგინეს, სადაც სხვათა შორის ეწერა: „თქვენი მაღალსამღვდელოება გვისაყვედურებს ჩვენ, რატომ ავღელდით, მაგრამ შეგვიძლია ჩვენ არ ავღელდეთ, როდესაც ჩვენი ხალხი იღუპება, ართმევენ მას სიტყვას, ენას და სხვას?!“

ტფილისის პოლიცმეისტერის მოხსენებაში გუბერნატორისადმი ნათქვამია: „ეგზარქოსთან ბაასში ზოგიერთმა მოწაფემ გამოსთქვა ისეთი აზრები, რომლებიც ამხილებენ მათ, რომ მოქმედებენ არა მთავრობის მიზნების მიხედვით, არამედ სურთ განახორციელონ საქართველოს განცალკევების იდეია“ (სტილი დაცულია)...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 1894 წლის 31 იანვრის №457 ბრძანებით უწმინდესმა სინოდმა არეულობაში მონაწილეობისათვის თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხა და სხვა სემინარიაში სწავლაც აუკრძალა 87 მოწაფეს. გარდა ამისა, ისეთებს, რომლებიც თბილისში არ ცხოვრობდნენ, აეკრძალათ იქ ჩასვლა. გარიცხულთა სიაში შემდგომში ცნობილ მოღვაწეებთან ერთად (იაკობ ცინცაძე, კონსტანტინე მაჭავარიანი, აკაკი ჩხენკელი, ვასილ ჭრელაშვილი, იოსებ ყანჩაველი, ლადო კეცხოველი) ნახსენებია ალექსი გოგოხიას გვარიც. ალექსი გოგოხია შემდეგ აღარსად იხსენიება საქართველოს არქივებსა და ფონდებში დაცულ მასალებში და ისიც ერთ იმათთაგანად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომლებმაც ახალგაზრდული „თავქარიანობის“ დაცხრომის შემდეგ „პატიოსნად“ ცხოვრება განაგრძეს.

მაგრამ ახლა — საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა მისტერ რიჩარდ ალექსის ჯორჯიანი, რომელმაც ამ კაცის საიდუმლოებით მოცულ თავგადასავალს ფარდა ახადა — რიჩარდ ჯორჯიანი ალექსი გოგოხიას შვილიშვილი ყოფილა. უფრო მეტიც — ალექსი გოგოხია ალბათ არც პირველი და არც უკანასკნელი იყო იმ ქართველ ემიგრანტთა შორის, რომელთა კვალი თითქოს სამუდამოდ გამქრალა და დიდი ხნის შემდეგ ისევ აღმოჩენილა, მაგრამ ბატონი ჯორჯიანის მიერ შეგროვებული ცნობები და მისი საქართველოში ჩამოსვლა ისეთი საინტერესო საკითხის გარკვევას ისახავს მიზნად, რომლის შესახებაც საქართველოშიც კი ფართო საზოგადოებამ მხოლოდ ყურმოკვრით იცის — საქმე ეხება გასული საუკუნის ბოლოს გურულ მოჯირითეთა ფურორით ჩავლილ გრძელვადიან გასტროლებს ამერიკის თითქმის ყველა დიდ ქალაქში.

***სჯობს თვით ბატონ ჯორჯიანს (გოგოხიას) მოვუსმინოთ:***

— 10 წლის წინ მამაჩემმა მთხოვა, რომ მამამისის — ალექსი გოგოხიას თავგადასავალი გამომეკვლია და დამეწერა, რადგან მისი წარსულის შესახებ, სამწუხაროდ, საკუთარმა შვილმაც კი ბევრი არაფერი იცოდა.

სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ ბაბუაჩემს პოლიციამ ზედამხედველობა დაუწესა და მოსვენებას აღარ აძლევდა. ალექსი გოგოხია იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო — მეგობრების შეგროვილი ფულით ნიუ-იორკში 1896 წლის 6 ივლისს ჩავიდა. 1900 წლის საბუთებით, რომლებიც მე მოვიძიე, იგი ოთხ სხვა ქართველ ემიგრანტთან ერთად ისტ ბროდვეის 234-ში ცხოვრობდა და უკვე ხუთივენი ქართველ მოჯირითეთა დასში მუშაობდნენ.

ისიც დავადგინე, რომ ბაბუაჩემს 1900 წელსვე შეუცვლია ამერიკელთათვის ძნელად წარმოსათქმელი გვარი — გოგოხია და ჯორჯიანი (ქართველი) შეურქმევია. საქართველოში ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ ბაბუაჩემს, რომელსაც ქართველ თანამოაზრეებთან კავშირი არ გაუწყვეტია, დაუარსებია ამერიკის კომუნისტური პარტია, მაგრამ 1929 წელს, ალბათ როდესაც სრული ინფორმაცია დაუგროვდა, თუ რას მოღვაწეობდნენ მისი აქაური „თანაპარტიელები“, თავისივე შექმნილი პარტიიდან გამოვიდა.

ბაბუაჩემმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. თავის წარსულზე საუბარი, ალბათ, არ უყვარდა და ამიტომაც იყო, რომ მამაჩემმაც კი ბევრი არაფერი იცოდა მის შესახებ, მაგრამ უკანასკნელ თხოვნად მაინც ეს დაიბარა: ჩემი ცხედარი დაწვით და ფერფლი საქართველოში დამარხეთო. მამაჩემმა ამ ანდერძის შესრულება 60-იან წლებში შეძლო.

ზემოთ აღნიშნული ცნობების შეკრების შემდეგ, მამაჩემის თხოვნა, რომ ალექსი გოგოხიას თავგადასავალი გამომეკვლია, ფაქტობრივად შესრულებული იყო და შემეძლო ჩემი ბიზნესი გამეგრძელებინა. მაგრამ ამ კვლევა-ძიებისას ისეთ ცნობებს წავაწყდი, რომ აგერ უკვე 10 წელიწადია ვეღარ მოვეშვი და არც ვნანობ. საქმე ამერიკაში მოღვაწე ქართველ მოჯირითეებს (უმეტესად გურიიდან) ეხება და რაც მთავარია — ჩემთვის ყველაზე უფრო „გამაღიზიანებელ ფაქტორს“, რამაც მაიძულა ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული ძიება: საქმე ისაა, რომ ამერიკის ყველა არქივსა და მუზეუმში, ყველა წიგნსა და პრესაში, რომლებშიც ძალზე მდიდარი მასალაა დაცული გურულ ცხენოსანთა შესახებ, ისინი „რუსებად“ და „კაზაკებად“ მოიხსენიებიან. მე საქმეში, ბიზნესში კი ვარ ამერიკელი, მაგრამ სულით, გენით და ცხადია, სუფრაზე და მეგობრებშიც ქართველად ვრჩები და, რა თქმა უნდა, გადავწყვიტე — ამერიკელებისათვის დამემტკიცებინა, რომ ის ხალხი, ვისი ოსტატობითაც მათი მამები და ბაბუები იხიბლებოდნენ და რომლებიც თანამედროვე ამერიკული როდეოს ილეთების აბსოლუტური უმრავლესობის ავტორები არიან, ჩემი თანამემამულეები იყვნენ.

1995 წლიდან საფუძვლიან მუშაობას შევუდექი. ხუთი წლის განმავლობაში მოვიარე ამერიკის არქივები და მუზეუმები, მოვიძიე ძველი გაზეთები — ზოგან გაკვრით კი იყო საუბარი გურიაზე, მაგრამ ძირითადად მაინც „რუსები“ და „კაზაკები“ სახელდებოდა.

მაგალითად, დიი ბრაუნი, ველური დასავლეთის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი წერდა: „ჯირითობა როდეოში შემოვიდა ყაჩაღანა კაზაკების დასისგან. დაინტერესდნენ რა კაზაკთა ტრიუკებით, რომელიც სრულდებოდა გაჭენებულ ცხენებზე, ვესტერნმა კოვბოებმა მალე წარუდგინეს მისი სახესხვაობა ამერიკულ როდეოს“.

თუმცა გურული მოჯირითენი პირველად არა ამერიკაში, არამედ ლონდონში გამოჩენილან 1892 წლის 3 სექტემბერს, „ველური დასავლეთის გამოფენაზე“.

იქაც „რუს კაზაკებად“ წარადგინეს, მაგრამ ლონდონის გაზეთებმა მალევე დაადგინეს სიმართლე — ერთ-ერთი მათგანი წერდა: „ისინი საერთოდ არ არიან კაზაკები, ისინი არიან კავკასიის ერთ-ერთი ტომიდან, ქუთაისის გუბერნიიდან. კაზაკებისგან განსხვავდებიან ყველა ასპექტით — რასა, ენა, ჩვევები და ტანსაცმელი. მათ არაფერი აქვთ საერთო“.

მაგრამ სულ სხვა სიტუაცია იყო ამერიკაში. პირველი გამოსვლა 1893 წელს შედგა. მხედრები საზოგადოებას მენეჯერმა ნეით სელსბერიმ წარუდგინა. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამ პირველი „კაზაკების“ ხელმძღვანელი იყო ივანე როსტომის ძე მახარაძე. როგორც დავადგინე, ივანე მახარაძე საქართველოშივე უძლიერეს მხედრად ყოფილა ცნობილი. მასზე ამბობენ, რომ ერთხელ ბახმაროში იმდენ ხანს უჭენებია ცხენი, რომ ბედაურმა ვეღარ გაუძლო და გული გაუსკდაო.



*ალექსი გოგოხია და ივანე მახარაძე 1901 წელი, ნიუ-იორკი*

რაც შეეხება პაპაჩემის „დასს“: 1900 წლიდან ის დაჰკავშირებია ქართველ ემიგრანტებს — ირაკლი ცინცაძეს, გიორგი ჩხაიძეს, ნესტორ ხუხუნეიშვილსა და თეოფანე ქავთარაძეს. ისინი ცნობილი პონი ბილის ველური დასავლეთის შოუს შეერთებიან 1901 წელს. მათ აფიშებში პაპაჩემი მოხსენიებულია, როგორც „კაპიტანი ჯორჯიანი“, „პოლკოვნიკი ჯორჯიანი“ და „პრინც ჯორჯიანიც“ კი. ეს, ცხადია, რეკლამის მიზნით კეთდებოდა. ალექს ჯორჯიანის დასი მონაწილეობდა 1902 წელს ბაქსქინ ბილის და 1903 წელს ფორპაუ-ფიშის შოუში, ასევე ქოლ იანგერისა და ფრენკ ჯეიმსის გრანდიოზულ წარმოდგენებში. მან „ცხენდაცხენ მოიარა“ მთელი ამერიკა და თავისი შოუკარიერა 1905 წელს დაამთავრა.

ეს ყველაფერი დაწვრილებით გამოვიკვლიე. მაგრამ ერთი კაცის ისტორია, არ არის იმისთვის საკმარისი, რათა შეიცვალოს ამერიკელ ისტორიკოსთა ასწლიანი წარმოდგენა, რომ ველური დასავლეთის შოუს მხედრები იყვნენ „რუსი კაზაკები“. ჩემი ამოცანა და საქართველოში ჩამოსვლის მიზანია, მოვძებნო ოჯახური ისტორიები, ზეპირი გადმოცემები და დოკუმენტები, რითაც დავანგრევ ამ ყალბ ამერიკულ მითს კაზაკების შესახებ — ეს შეიძლება ვინმეს ნაკლებმნიშვნელოვან საქმედ ეჩვენოს, მაგრამ დამიჯერეთ — ამერიკელები ამ ისტორიებს ამერიკული შოუბიზნესის დასაწყისად თვლიან და ჩვენთვის საამაყო უნდა იყოს, რომ მის სათავეებთან ქართველები იდგნენ.

მოკლედ, ვფიქრობ, რომ ურიგო საქმეს არ ვაკეთებ — სქელტანიანი წიგნის წერა დავიწყე, რომელსაც ალბათ 2001 წლის ბოლოსთვის დავამთავრებ და შემდეგ წელს გამოვცემ კიდეც.

ამით ჩემი მიზანიც მიღწეული იქნება.

ერთსაც დავამატებ: ალბათ, თუ მინდა, რომ სამუშაო მალე დავამთავრო, ისევ ამერიკიდან უნდა ვიქონიო კავშირი ჩემს მეგობრებთან, თორემ რამდენი ხანიც ამ ორ კვირაში ვიქეიფე, ამდენი იქ დანარჩენ ცხოვრებაში ერთად აღებული არ გამიტარებია სუფრასთან. თუმცა ძალიანაც კმაყოფილი ვარ ამით — მე ხომ ქართველი ვარ.

***ზვიად გურული***

# ეგორ ჩელიევი კი არა — იაგორ ჭელიძე!..

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ცემენტის, ამ უნიკალური სამშენებლო მასალის გამომგონებელი ქართველი გახლდათ. რუსებისგან ეგორ ჩელიევად მონათლული — იაგორ ჭელიძე, რომლის პაპაც, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ვახტანგ V-თან ერთად რუსეთს შეხიზვნია.

1825 წელს, იაგორ ჭელიძემ, მსოფლიოში პირველმა მიიღო „პორტლანდცემენტი“ (თანამედროვე ცემენტის პირველსახე), მაგრამ რამდენიმე თვით ადრე, საავტორო უფლება, ინგლისელ ჯოზეფ ასპდინზე გაიცა, რომლის გამოგონება ხარისხობრივი მახასიათებლებით სულ ცოტა, 30-ჯერ ჩამოუვარდებოდა ქართველი ემიგრანტის მიერ შექმნილი ცემენტის ხარისხს. ამასთან, ისტორიული ფაქტია, რომ ჯერ კიდევ 1812 წელს ნაპოლეონის მიერ დანგრეულ მოსკოვს, სწორედ იაგორ ჭელიძის ცემენტით აშენებდნენ.

საოცარია, რომ ცემენტთან დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებათა ავტორიც ქართველი აღმოჩნდა. ცემენტის შექმნიდან ზუსტად 160 წლის შემდეგ, 1985 წელს საბჭოთა კავშირის გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დაპატენტების სახელმწიფო კომიტეტმა, ცემენტის მარკიანობის და მისი სხვა მახასიათებლების დაჩქარებული მეთოდით განსაზღვრის უნიკალური გამოგონებისთვის საავტორო უფლება აკაკი ირომაშვილს მიანიჭა. სამწუხაროდ, დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე აკაკი ირომაშვილმაც, ბევრი სხვა ქართველი მეცნიერის მსგავსად, თავისი შორეული კოლეგის ბედი გაიზიარა, რუსეთს მიაშურა. მან უცხოელ ინვესტორებთან გააფორმა ხელშეკრულება და ხელსაწყოს გამოშვებას რუსეთში აპირებს.

ვერ გეტყვით სად მოხდება ეს და, სამწუხაროდ, ვერც იმას შეგპირდებით, ერთი საუკუნის შემდეგ, ეგორ ჩელიევის მსგავსად, მასაც აკიმ ირომოვად მოიხსენიებს თუ არა შთამომავლობა.

***ფირუზ ფურცელაძე***

# ვინ მოკლა აღა-მაჰმად-ხანი?!

მკვლევარები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აღა-მაჰმად-ხანის მკვლელობაზე. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იგი მოკლეს არა შეთქმულმა სპარსელებმა, არამედ ქართველმა ჯამბაზმა, სახელად სადუხამ.

მეფე ერეკლეს რუსეთთან დაკავშირების მცდელობით განრისხებული აღა-მაჰმად-ხანი 1797 წლის 7 ივნისს კახეთისკენ დაიძრა. სურდა, ჩვენი ქვეყანა მაჰმადიანურ სახანოდ ექცია, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. 1797 წლის 6 ივნისს ყარაბაღის ველზე დაბანაკებული ხანი სიცოცხლეს გამოასალმეს. ქართული ისტორიული წყაროებით, ამ დროისათვის ხანის კარზე ჯამბაზად იყო გამაჰმადიანებული ქართველი — ვინმე სადუხა. ყარაბაღში დაბანაკებულთა გასართობად მოთამაშე ჯამბაზი თურმე აღა-მაჰმად-ხანს მიუახლოვდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. იგი განრისხებულა და მისი შეპყრობა, დილისთვის კი სიკვდილით დასჯა — უბრძანებია. სადუხა შუაღამისას რაღაც ხერხით საპყრობილიდან გამოიქცა, აღა-მაჰმად-ხანის კარავში შეიპარა, დანით განგმირა იგი და უმალ საქართველოს მოაშურა. მტრის ჯარს კი თავგზა აებნა და დაიშალა.

საგულისხმოა, რომ ერეკლე მეფეს სადუხა ირანის კარზე მზვერავად ჰყოლია მივლენილი. ჯამბაზობა, ისევე, როგორც მაჰმადიანობა, დიდებულებთან დასაახლოებელი საშუალება იყო.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# ქართველს მაშინდელ მსოფლიოში მამაცი მეომრის სახელი ჰქონდა...

საზოგადოდ ცნობილია, რომ ქართველი მამლუქები თუ ლტოლვილები საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებს აღწევდნენ უცხოეთში. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით გამოირკვა, რომ ჩვენი თანამემამულეები ინდოეთშიც დიდი მოხელეები იყვნენ. ქართულ-ინდურ ურთიერთობებზე საგულისხმო ინფორმაციები მოგვაწოდა ბატონმა გურამ გასიტაშვილმა. ინდოეთს ძველთაგანვე მჭიდრო სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა შუა აზიასთან, ანტიკურ სამყაროსა და კავკასიის ხალხებთან, მათ შორის ქართველებთანაც. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ვახტანგ გორგასალს აურაცხელი განძი წამოუღია „ჰინდოთა მეფისაგან“. ქართველთა ინდოეთში ყოფნის თაობაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XVსაუკუნის 70-იან წლებში ინდოეთში მოღვაწე ექიმი ფრანსუა ბერნიე. იგი თავის ნაშრომში დაწვრილებით აღწერს სამხედრო ძალაუფლებაზე დაფუძნებულ დიდ მოგოლთა სახელმწიფოს, ამასთანავე აღნიშნავს, რომ მისი არმიის მთავარ ბირთვს შეადგენდა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სამხედროები. მათ შორის იყვნენ ქართველებიც (ბერნიე წერს — მეგრელები). ქართველს მაშინდელ მსოფლიოში მამაცი მეომრის სახელი ჰქონდა გავარდნილი და მე-17 საუკუნეში საფუძველშერყეული მოგოლთა იმპერიის მეთაურნი დაინტერესებულნი იქნებოდნენ კიდეც, ქართველებით დაეკომპლექტებიათ სეფე-არმია.

ბერნიე მოგვითხრობს, რომ შაჰ-ჯეჰანმა უბრძანა თავის ვაჟს, უფლისწულ აურენგზებს იდუმალ, უომრად დაეტყვევებინა (ფაქტობრივად, მოეპარა!) ჰონკონგის მეფე. უფლისწულმა თურმე თან იახლა 10-12 ქართველი მეომარი და... აღსრულდა შაჰ-ჯეჰანის ნება!

ბერნიეს ნაშრომში მოთხრობილია მეფე რამრასის დროს სამი ქართველის აღზევების ამბავი. მეფე რამრასს ისინი დაუნიშნავს სხვადასხვა ოლქის გამგებლებად. ქართველები ჭკუით და ხმლით იმდენად გაძლიერებულან, რომ მეფე რამრასი ტახტიდან ჩამოუგდიათ, ინდოეთი დაუნაწილებიათ და მეფეებად დამსხდარან.

***ნინო ტარყაშვილი***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:




5. ციტრუსოვანი მცენარე, რომელმაც უკვდავყო ინგლისელი გრაფ გრეის სახელი

6. დედამიწაზე ჩამოვარდნილი კოსმოსური წარმოშობის სხეული



9. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი



10. ხეკაკუნა



12. სილანარევი თიხის გამომწვარი ფირფიტა

13. ერთი და იმავე ფერის ოდნავ შესამჩნევი სხვაობა



17. მთავარი მსაჯი



18. მთავარი არტერია



20. სახსრების ანთებითი დაავადება



21. ქვეყანა, სადაც ნებადართულია ისეთი ხელსაწყოს გამოყენება, რომელიც ეკრანზე რეკლამის გამოჩენისას ავტომატურად გადართავს ტელევიზორს სხვა არხზე



22. გერმანელი ექიმი, ჰომეოპათიის დამაარსებელი



26. დელიკატესი, რომლის დიდი რაოდენობით მისაღებად ფრანგებმა გამოიყვანეს ბატების სპეციალური, დიდი ღვიძლის მქონე ჯიში



27. სანაკეთებო ქვა

28. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა



31. მუსიკალური საკრავი

33. არარეალური, ზებუნებრივი ძალების რწმენა



34. სამხედრო-თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელი



35. კლინიკური მედიცინის სპეციალისტი, რომელიც შეისწავლის ფილტვების, ბრონქებისა და პლევრის დაავადებებს (სასუნთქი ორგანოების ტუბერკულიოზის გარდა)



36. მკურნალობის მეთოდი



37. ძირითადი საკვები

## შვეულად:

1. მორთვა, შემკობა




2. გრძელ მანძილზე მორბენალი სპორტსმენი

3. ხავერდი (ინგლისურად)



4. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე (ზოგადად)

5. მოწყობილობა, რომელიც წინ უძღვება მუხლუხა ტრაქტორს



7. რაიმე ნაკლის კომიკურად, სასაცილოდ წარმომდგენი




8. წრეწირის ორი მოპირდაპირე წერტილის შემაერთებელი მონაკვეთი



11. ხუროთმოძღვრება

14. პლაზმის ხსნადი ცილა, რომელიც ორგანიზმში ადედებს სისხლს



15. ყველაზე უფრო ორგანიზებულ ძუძუმწოვართა რაზმი



16. საქალაქო ტრანსპორტი




18. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება კონცერტის შესახებ




19. ეთილის სპირტის 40-56 მოცულობითი პროცენტის ნაზავი წყალთან, დამუშავებული აქტივირებული ნახშირით



23. ერთი გარკვეული მიზნისათვის განკუთვნილი კომპლექტი



24. ნივთიერება, რომელიც მატულობს შეყვარებულის ორგანიზმში



25. 37-41 კალიგულა, 41-57...(?), 57-68 ნერონი



29. ხოჭო



30. ლეგენდარული საბჭოთა მფრინავ-გამომცდელი



32. მედიკამენტების სტერილურად შესანახი ჭურჭელი



34. ფორტეპიანოს სახესხვაობა

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №40 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. აკვარიუმი; 8. ინდონეზია; 10. ლაქტოფერონი; 11. ელამი; 13. ავაზა; 17. შოტლანდია; 18. ძგიდე; 19. მცირე; 20. ფლანგვა; 21. პლაფონი; 25. დაისი; 26. ბლინი; 27. მისალმება; 28. რევიუ; 32. სარდუ; 33. ექინოკოკოზი; 34. ადრესანტი; 35. ალპინისტი.

**შვეულად:** 1. აკვალანგი; 2. გრილი; 3. ამატი; 4. ენგრი; 5. უნცია; 6. დინოზავრი; 9. აფთიაქი; 12. მანდილოსანი; 14. ვარცხნილობა; 15. მონოგამია; 16. ოინბაზობა; 22. მარმელადი; 23. მოლუსკი; 24. ინციდენტი; 29. უელსი; 30. ენოტი; 31. სკალა; 32. სიონი.

## ბინები

სასწრაფოდ! დიღომში 1 ოთახიანი 8(7) ბინა, რკინის კარით, „ატმოსით“, ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 6.600$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

დიღომში 2 ოთახიანი ბინა 30 კვ.მ მიშენებით (I სართულზე), სარდაფით, ვისისებით, ორმაგი კარებით, ავეჯით, აბანოს სადგომი ავეჯით, ბუხრიანი ... ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

ჩეხური პროექტის, გარემონტებული 4 ოთახიანი ბინა, მუხის პარკეტით, ორმაგი კარ-ფანჯრით, რკინის კარით, კაფელით. მის: გლდანის მე-6 მ/რ. ტელ: 67-04-25; 35-28-85. გულიკო

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2000 კვ.მ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800 კვ.მ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

საგურამოდან 1 კმ-ში, ახალაშენებული, 2-სართულიანი, ევროპული დიზაინის სახლი, შიდა აუზით, ტერასული 4 სართულით, ხის კიბეებით, 4 საძინებლით, ცალ-ცალკე აბაზანა-ტუალეტით, 1200 კვ.მ კაპიტალურად შემოღობილი ეზოთი, დეკორატიული ბაღით (350 კვ.მ), მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით. ტ: 899 57-52-71

## მილოცვა

**მეგი კეკელიას**

ჩვენო საყვარელო მეგი! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ საყვარელით სავსე ... ბედნიერებით.

*ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანატი*

## მადლობა

**პატივცემულო რედაქციავ!**

თქვენი ავტორიტეტული გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ექიმებს, რომლებმაც დამიბრუნეს ჯანმრთელობა. 1997 წლის გაკეთდა ოპერაცია ხორხის ნაწილობრივი მოკვეთის გამო, რის შედეგადაც დავკარგე ჯანმრთელობა. თბილისის ონკოლოგიური ცენტრის პროფესორის — კოტე მარდალეიშვილის გულისხმიერი მოპყრობის შემდეგ, მისივე რჩევით, გადავწყვიტე ოპერაციის გაკეთება ლაზერის აპარატით, მოსკოვში, გერცენის სახ. ონკოლოგიურ კლინიკაში, რადგან აღნიშნული აპარატი საქართველოში არ არის. კლინიკაში მივხვდი საქართველოს მთავარი ონკოლოგის პროფესორ რეზო გაგუას დახმარებით ... კლინიკის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან ბატონ ლევან ვაშაყმაძესთან, რომელმაც საკუთარი ოჯახის წევრივით მიმიღო (ასე ექცევა ის ყველა იქ ჩასულ თანამემამულეს). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვიქტორ სოკოლოვმა დამიბრუნა ჯანმრთელობა. ყოველივე ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორებს: **კოტე მარდალეიშვილს, რეზო გაგუას, ლევან ვაშაყმაძეს, ვიქტორ სოკოლოვს, და კლინიკის მედპერსონალს.**

*პატივისცემით, შრომის ვეტერანი ნოდარ თოიძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ხელფასით, საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული — 1.700 ფრანკი (400 მარკა) თვეში. ტელ: 95-64-18; 96-07-81

სარელიგიო სასწავლო „ზეუსი“ იწვევს სამუშაოდ ახალგაზრდებს სარეკლამო აგენტებად. შერჩევა მიმდინარეობს გასაუბრების საფუძველზე. მის: ვაჟა-ფშაველას ქ. №6. ტ: 98-85-36

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურება ქალაქგარეთ დარეკვით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გოგოლაშვილი

„ფემინა“, ქალბატონებო! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოაშორებს ბალანს და გაუხეშებულ თმას. მას უკვალოდ მორჩენას კი სპეციალისტი უზრუნველყოფს. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: თოსკოლის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ბედიაშვილი

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი. არ არსებობს მოურჩენელი თმა, ამაში უნდა დარწმუნდეთ პირველივე სეანსზე. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკვალოდ გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შემთხვევისა და გართულების გარეშე. არ დაგვეტოვებათ არც ერთი ნაწიბური. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გაწმენდას და მკვებავ საშუალებებს. მის: თოსკინის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ძალიან სწრაფი ეფექტით (შედეგით პირველივე სეანსზე), სახის გაწმენდა, მასაჟი, ნიღბები, ნემსისებრი ყულფიანი კანისთვის, ჭორფლისა და ლაქების მოცილება, ყურის უმტკივნეულოდ გახვრეტა; ეპილაციის სწავლება. ფასი 100$. ტელ: 67-48-44; 897 58-48-54. ქეთინო

ვიბრომასაჟისა და ელექტრომიოსტიმულის საშუალებით გთავაზობთ: 1. გახდომას — ცხიმებისა და ცელულიტების ინტენსიურ დაწვას; 2. სხეულის ფორმის კორექციას — ბარძაყების დავიწროება, თეძო-მუცლის დაპატარავება, გულმკერდის მოცილება, წელის ფორმირება. შედეგი 7-10 სს, 8-10 კგ. მომსახურება შეღავათიან ფასად. მის: კოსტავას ქ. №47. აიხდინეთ ოცნება, ლამაზი გარეგნობა შეცვლის თქვენს ცხოვრებას. ტელ: 92-02-64

ავაკეთებ და დავაკაკადირებ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

სწრაფად ავაკეთებ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი — 1 ლარი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

COMPUTER COMPANY PULSAR — კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაკეთებაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 მაღ. „პულსარი“

განვათავსებთ ან მოგიძებნით ინფორმაციას Internet-ში. შევქმნით Web-გვერდს, დაგეხმარებით გრანტების მოპოვებაში, გაგიხსნით ელექტრონულ ფოსტას. შეგასწავლით კომპიუტერთან მუშაობას. ტელ: 63-37-40 (საღამოს). თამუნა

ვაკეთებ რძილი ავეჯის რესტავრაციას სამუშაოზე. არაბულ ტახტებზე, მატრასებზე, სკამებსა და სხვა რბილ ავეჯზე ვეყლი მალიიებს. ტელ: 95-38-61. ვალერი

იურიდიული ფირმა გთავაზობთ საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო სამართალში, ფირმების და კავშირების რეგისტრაციის ოფისად; კონსულტაციებს, ხელშეკრულებების მომზადებას და ა.შ. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-7 სართ. ოთახი №707. ტელ: 37-69-73; 899 50-24-11. (ყოველდღე)

სამშენებლო და საზღვაო-მარკეტული მაცივრების შეკეთება გარანტიით. ტელ: 69-25-91; 899 55-53-84. მურაზი

ვარემონტებ ნებისმიერ საოჯახო მაცივარს, როგორც სამამულოს, ასევე საზღვარგარეთულს. ტელ: 60-84-00; 899 10-06-81

ვასრულებთ სამშენებლო სამუშაოებს ნებისმიერ სტილში, უმაღლესი ხარისხის გარანტიით: ვაკრავთ მიაზს, ქსოვილს, შპალერს, ვამუშავებთ კარ-ფანჯარას; ლესვა, გალესვა — შეღავათიან ფასად, მინიმალურ დროში. ტ: 60-08-05. ბესო (20 საათამდე)

სილამაზის სალონი „სტილი“ — თმის მოვლისა სახესა და ტანზე მაცხოვრული ლაზერით, ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; სახის გაწმენდა, კანის, ლაქების გაქრობა; თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა — 6 ლარი, დეკორატიული შეღებვა — 15-20 ლარი, შეღებვა Wella-Kolleston-2000 — 15-17 ლარი, ქიმიური დახვევა-გასწორება — 15-20 ლარი. ასევე წარმოებს კოსმეტიკის, მასაჟის და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია; სტილისტი ლალი. ტ: 96-22-89; 94-01-82

აბშმეტელის მეტროსთან სილამაზის სალონ „მარიამ“-ში თმის მოდელური შეჭრა, დავარცხნა-გასწორება, შეღებვა, მელირება, ქიმიური, სამანკიურო, საქორწილო ვარცხნილობები შეღავათიან ფასად; კოსმეტიკა, მანიკიური, პედიკიური უმაღლეს დონეზე, უმაღლესი სტერილიზაციით. ყოველ მე-20 კლიენტს ვემსახურებით უფასოდ. მის: მაღაზია „მარიამი“

არა ყველასთვის! საუკეთესო სტილისტი რაფიკო — მხოლოდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალბატონებს ემსახურება სილამაზის სალონ „ბონამი“. შეჭრა-დავარცხნა — 8 ლარი და ა.შ. მის: გურამიშვილის ქ. №7 (კინო „საქართველოს“ პირდაპირ). ტელ: 61-31-44

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალუქვაძე. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). VI სად. (ეზოდან), ბინა 1. ტელ: 35-20-06. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, 12-16 სთ.

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, წმინდა შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

სამედიცინო ფირმა „ალფა“ გთავაზობთ: კანის ყველანაირი დაავადების მკურნალობას, სახის კანის ჰიგიენურ წმენდას საერთაშორისო სტანდარტებით, უმტკივნეულო ეპილაციას განკურნებით, ყურის ბიბილოების გახვრეტას „პისტოლეტით“. მის: გამსახურდიას გამზ. №14ა. მიღება 10-15 სთ, კვირის გარდა. ექიმი დერმატოლოგი-კოსმეტოლოგი. ტელ: 37-61-84

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ქალაქური მკურნალობა მიოლოგიური უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას 18ა, რეაბილიტაციის ცენტრი. VI სართ. ბიორეზონანსული-თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხარაშვილი. ტელ: 39-01-12 (სამშ. 10-15 სთ); 39-58-77 ბინა

ვარჩენ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექცია), ბეწვის ჩაზრდებას, დაჩირქებულ ფურუნკულს, ნაწიბურს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, გემატომას, მასტიტს, მენისკს (ანთებით პროცესში), შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას, წითელ ქარს და სხვ. ტელ: 68-43-10

> მეჭეჭებისა და სხვა წარმონაქმნების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

სამკურნალო ცენტრი „თეში“ გთავაზობთ მასაჟს სხვადასხვა დაავადებაზე (ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სქოლიოზი, კოჟოზი, ბ.ც.დ. და სხვ.), ასევე ლოგოპედიურს, სპორტულს, პროფილაქტიკურს. ტარდება აგრეთვე ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20. მ. აფციაური, ი. ჯანაშია. ტელ: 94-01-82

> ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი ძალუა ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, სამწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პოლიართრიტს, თავის ტკივილებს, კეფისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში, სრული გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთლიდან“). მიღება ყოველდღე, 13-16 სთ. ტელ: 34-05-69; 34-62-51

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## მასწავლი

გერმანიაში კვალიფიკაციაამაღლებული ახალგაზრდა მასწავლებელი სპეციალური მეთოდით შეასწავლის გერმანულ ენას. ტელ: 39-24-74

ახალგაზრდა პედაგოგი, რომელმაც განათლება მიიღო გერმანიაში, საფუძვლიანად შეასწავლის გერმანულ ენას 5-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს. ტელ: 39-66-26

> სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

ფირმა „ზეუსი“ გიწვევთ კომპიუტერისა და უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე. მეცადინეობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, თქვენთვის სასურველ დროს. ჩვენ დაგეხმარებით შეძლოთ დასაქმებაც. „ზეუსი“ — სწორი არჩევანი თქვენს ცხოვრებაში. მის: ვაჟა-ფშაველას ქ. №6. ტელ: 98-85-36; 899 15-59-31

პრაქტიკა გავიარე გერმანიაში. შევასწავლი გერმანულ ენას. შემიძლია ბინაზე მისვლაც. ტელ: 31-54-82

შევასწავლი გერმანულ და იტალიურ ენებს, საფუძვლიანად. პრაქტიკა გავიარე გერმანიაში. ტელ: 68-71-00

მხოლოდ ბეჯითი აბიტურიენტებისათვის საქველმოქმედო მომზადება ძალიან იაფად, უცხო ენებში, ქართულსა და ისტორიაში. ტელ: 93-60-89; 61-28-40

უმაღლესი სასწავლებლის მაღალკვალიფიციური პედაგოგი შეასწავლის თურქულ ენას ნებისმიერ მსურველს. ტელ: 77-71-64 (18 საათის შემდეგ)

ვასწავლი ფორტეპიანოზე დაკვრასა და ქართულ სიმღერებს სიმღერის მაღალ დონეზე, ბინაზე მისვლით. ფასი თვეში 30 ლარი. ტელ: 95-89-79; 96-35-84

ინტენსიური მეთოდით შეასწავლი გიტარაზე დაკვრას. პროგრამაში პოპულარული სიმღერები ან კლასიკური ნაწარმოებები. ტელ: 74-44-80

მსურველებს ვიწვევთ გიტარის შემსწავლელ კურსებზე. შესწავლება პოპულარული ქართული საესტრადო სიმღერები, კლასიკა (ესპანური), ტექნიკური შესავლები, აკომპანირება, ტექნიკური დახვეწა. სწავლის მაღალი დონე გარანტირებულია. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო ფერადობის გიტარები. ტელ: 96-22-33

## იყიდება

> სასწრაფოდ! კაფე-ბარი „გეა“. მის: კეტუზოვის ქ. №4. ტელ: 99-71-58

ახალი მოდელური ტელეფონები დღიური ფასებში ცალობით და ბითუმად: SONY Z5; NOKIA 8850; NOKIA 8210; ERICSSON T28s, T18s, T10s; MOTOROLA 3690; PANASONIC GD90, SAMSUNG 600 და სხვ. ტელ: 899 57-96-46

საქსოვი მანქანები: „ტოიოტა“ — 200$; „სეკურინკა“ — 80 ლარი. ტელ: 34-30-68

1) ნიგვზის („რაკუშკების“) ფარდა (1.20X2.00). ფასი 80 ლარი; 2) ძველებური, ბრინჯაოს ქალი მძივებით. ფასი 200 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

## შევიძენ

1990-91 წლებში გამოშვებულ ავტომობილების ოხლოგიკურებს და ჩუქურს. ტელ: 95-87-06. დალი

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ქსიულა“. 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

**ზაზა რობერტის ძე მუჯირიშვილის ხსოვნას**



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ტკბილო შვილო, ზაზა. 14 ოქტომბერს 38 წელი შეგისრულდებოდა. ჩემთვის ისევ 19 წლისა ხარ. როგორ მენატრები, როგორ მენანები, ჩემო ზაზუკა. სასუფეველში გამყოფოს ღმერთმა.

*შენი თვალცრემლიანი დედა*

**ქეთინო მოვლილიშვილის გახსენება**



გვენატრები, უზომოდ გვენატრები, ქეთი, შენს მეგობრებს. უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, უშენოდ. ჩვენო ენაკვიმატო, სახელიმდლიანო, თვალებმომცინარე მეგობარო, სულ ჩვენთან ხარ, ყოველთვის გიხსენებთ და გინთებთ სანთელს... 12 ოქტომბერს ხომ 31 წელი შეგისრულდებოდა. კვლავ მუხლს მოვიყრით შენს საფლავთან...

ნათელში ყოფილიყოს შენი სული!!!

*მეგობრები*

**ბეჟან ვაიტაძის ხსოვნას**



უკვე ერთი წელი გასულა, ბეჟან, რაც შენ წახვედი... წახვედი და უზომო სევდა გაიყოლე თან — სევდა სიყვარულის, სევდა მონატრების, უზომო ცრემლიც გაიყოლე თან. რა მოაშუშებს შენი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს და იარას? გვენატრები, ქმარო და მამავ, უზომოდ, უსაშველოდ გვენატრები, დავყურებთ შენს სურათს და გახსენდება შენი კაიკაცობა, შენი უბადლო ხუმრობა, შენი დიდი სიყვარული... ერთადერთი ნუგეშად შენი შვილები რჩებიან. კარგი კაცები, კარგი მამულიშვილები დაიზრდებიან შენი კოტიკო და მამუკა... გვენატრები და გვიყვარხარ — ჩვენს გულებში შენს ადგილს ხომ ვერარავინ დაიკავებს ვერასდროს... ნუგეშად სანთელიღა გვრჩება. ზეციური სასუფეველი დაგიმკვიდროს ყოვლისშემძლემ უფალმა!..

*მარინა, მამუკა და კოტიკო ვაიტაძეები*

**ომარ ლომიძაშვილის ხსოვნას**

ჩვენო საყვარელო პაპიკო, კიდევ ერთხელ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 12 ოქტომბერს, უშენოდ. ძალიან, ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. არასოდეს დაგივიწყებთ.

*შენი გიორგი, ზეზვა, ანი, თიკო*

**მარინა ბაბუნაშვილი-გიორგაძის ხსოვნას**



შემოდგომაა... ცივა... ქარი ქრის... ქუჩები ავსებულა ფერადი ფოთლებით. „რა დრო გასულა, რა დრო“, მართლაცდა რა დრო გასულა, შენი უღვთო იმიერში გადასახლებიდან, „სადაც მართალნი განისვენებენ“, ჩვენო საყვარელო შვილო მარინე, წელიწად-ნახევარი, თითქოს, მთელი საუკუნე.

ისევ მოვიდა ოქტომბერი, რომელიც მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღით იყო მნიშვნელოვანი შენთვის. 10 ოქტომბერი — შენი უსაყვარლესი მეუღლის, გია გიორგაძის დაბადების დღეა, რომელიც მზრუნველობასა და სიყვარულს არ აკლებს ობლად დარჩენილ ორ უმშვენიერეს ვაჟკაცს, ირაკლისა და გეგას, მაგრამ დედის სითბოს, სიყვარულსა და მზრუნველობას ვერავინ შეცვლის, თვით საყვარელი მეუღლეც კი. მოგესწრო უფროსი ვაჟი ირაკლი, რომელსაც 16 ოქტომბერს 13 წელი უსრულდება. გეგა კი ყველაფრით შენ გგავს, შვილო, ქცევით, ხასიათითა და საუბრითაც კი. ამიტომ იმედის თვალით ვუყურებთ იმედდაკარგული მშობლები.

ყველაფრით უხვ, მდიდარ, ამ მშვენიერ დროს — შემოდგომას, კერძოდ ოქტომბერს, აგვირგვინებს შენი ქორწინების დღე — 18 ოქტომბერი. უკვე 14 წელი გავიდა, თითქოს გუშინ იყო ის ბედნიერი დღე, როცა ყველაფრით სრულყოფილი შეპხაროდი სიცოცხლეს. ახლა კი მშვიდად განისვენებ მარადიულ სასუფეველში. ძალიან, ძალიან გვენატრები, დრომ ვერ გაანელა შენი დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი და მონატრება. დღემუდამ შენი სულისთვის ვილოცებთ შენი გაუბედურებული მშობლები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო მშვენიერო შვილო მარინე.

*მარად მწუხარე მშობლები*

**ჯუბას!**



ჩვენო ჯუბა, ხვალ 10 ოქტომბერს შენ 26 წლის გახდებოდი. შენი ახლობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები შევიკრიბებით შენს საფლავთან და სიყვარულით გაგიხსენებთ.

დილა თენდება, მზე ამოდის, მზე სხივოსანი,
თუ მთვარე ნათობს, მოციმციმე ღამის მფლობელი,
დედის გულს მუდამ ელანდება ერთი ზმანება —
მიმზიდ ჯუბა, ტანმოქნილი, ცეცხლისთვალება!
აი, ბურთს დასდევს, საჭეს მართავს, შემოდის სახლში...
დედას უღიმის, ცოლს ხელს ჰკიდებს, შვილს იკრავს გულში...
და მეგობრები სიხარულით ეგებებიან,
როგორც კაცურ კაცს ეკადრება, ისე ხვდებიან...
ოოო... სინამდვილე უფრო მკაცრად მოქმნება
და ცრემლგამშრალებს სანუგეშოდ რჩებათ ზმანება!..
ლამაზო ბიჭო, შენ არა ხარ მხოლოდ ჭრილი,
ხარ ნაადრევად ჯვალოხილი, ცაში აჭრილი!..
ამქვეყნად ყოფნა შენთვის იყო მხოლოდ ზღაპარი
და სამუდამო დაიმკვიდრე თავშესაფარი...
აქ მიწიერ ქარიშხალი კვლავ არხევს ტოტებს...
და სადღაც ვიღაც ნაზად, თრთოლვით აჩერებს ნოტებს.

*ლუიზა აფხაზავა-თვალაძე, 62-ე საშ. სკოლის პედაგოგი; ოჯახი*

**კახა კახურაშვილის ხსოვნას**



ჩვენო კახა! პირველად აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს, 12 ოქტომბერს უშენოდ. ძალიან ძნელია უშენობა. ჯერ პაპუნას სიკვდილი ვერ გაგვეთავისცნობიერებინა, რომ შენი უბედურება დაგვატყდა თავს. ძალიან გვენატრები, არ ვიცით, რით ვანუგეშოთ შენი დედიკო — ერთადერთი შვილის დამკარგავი. შენ ხომ მისთვის ყველაფერი იყავი. 33 წელი ხომ ძალიან ცოტაა. ღმერთმა გაანათლოს შენი სული.

*მედიკო, თეა, ირმა და ნინო*

**ნუგზარ სუხიაშვილის ხსოვნას**



ვინც ღმერთს უყვარს, ისინი ადრე კვდებიან. 2000 წელს ქრისტეს წლოვანებისა გახდი. 2 წელია, რაც შენი ხმა აღარ მესმის. ასაფრენად გაშლილი ფრთები ძირში მომკვეთე და ახლა ვეღარც ცაში ვფრინდები და ვეღარც მიწაზე ვჩერდები. ვეხეთქები უაზროდ, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

შენი მიწიერი ნაბიჯები ზეცის მიერ იყო კურთხეული, ამიტომ იმ გაყინული ციმბირიდან რომ ჩამოგიყვანეს, საქართველოს მზე შემოგეგება. მზე შენი გაყინული სხეულის გათბობას ცდილობდა, მაგრამ ვერც მზის სხივებმა და ვერც ჩვენ ვერ შევძელით შენი გათბობა, შენს სხეულში შენი ლამაზი სულის დაბრუნება. რა უძლურნი ვყოფილვართ ადამიანები. საბოლოო გზაზე გაცილებისას ბუნებაც მწარედ ქვითინებდა და გაცრიდა წვიმის წვეთებს. ძილი შემიყვარდა, იცი?

რადგან მხოლოდ სიზმარში გხედავ მთარულს,
მხოლოდ სიზმარში გესაუბრები,
მხოლოდ სიზმარში გხედავ მე ცოცხალს,
მხოლოდ სიზმარში მოგეფერები.

შენი შვილების თვალებში სევდას რომ ვხედავ, სიცოცხლის სურვილს ვკარგავ, მაგრამ:

ალბათ გაიღიმებს ბაგე, ალბათ გაიღიმებს ცაც!
მე მაინც დარდიანი ვივლი, და აღარაფრის მწამს.

*შენი და*

## ნეკროლოგი

> შპს „თვალის დისპანსერი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე დაწესებულების მთავარი ექიმი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი
>
> **კონსტანტინე პორფილეს ძე თოფურია**
>
> და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს




GSM
ჩართვა
68
SMS
VOICE MAIL
FAX-DATA
INTERNATIONAL ROAMING
საერთაშორისო როუმინგი 300
დეპოზიტი (საერთაშორისო კავშირის ჩათვლით):
საერთაშორისო კავშირი 100
დეპოზიტი:
ფაქსი/მონაცემთა გადაცემა 130
თითოეული სერვისის ჩართვის ფასი:
ხმოვანი ფოსტა 0,288
ჩართვა უფასოა
წუთობრივი გადასახადი:
მოკლე შეტყობინებები 0,06
ჩართვა უფასოა
ერთი შეტყობინების ფასი:
თქვენი ქსელი
ჯ ე ო ს ე ლ ი
*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.
თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

# ავტოინდუსტრიის „მამები“

**ნიკოლ-ჟოზეფ კიუნო (1715-1804)**

ფრანგი ინჟინერი, ავტორი პირველი მოქმედი ორთქლისძრავიანი ტრანსპორტისა. იგი დღემდე არსებობს და საფრანგეთის საავტომობილო მუზეუმში ინახება.

**ნიკოლა-ავგუსტ ოტო (1832-1891)**

გერმანელი კომერსანტი, პირველი ოთხტაქტიანი შიდაწვის ძრავის ავტორი. ავტოძრავები დღესაც მისი დანერგილი „ოტოს ციკლით“ მუშაობენ.

**გოთლიბ დაიმლერი (1834-1900)**



ავტოინდუსტრიის ყველაზე ღვაწლმოსილი ინჟინერი. შექმნა დღესაც მოქმედი „V“ ტიპის ძრავა, რომელიც თხევად საწვავზე მუშაობდა. მასვე, კ. ბენცთან ერთად, ეკუთვნის №34926 პატენტი (1885წ) მსოფლიოში პირველი ავტომობილის გამოგონებისათვის.

**რუდოლფ დიზელი (1858-1913)**

ავტორი „დიზელის“ ძრავისა, რომელიც ბენზინის გამოყოფის შედეგად დარჩენილ ნავთობზე მუშაობს. „დიზელის“ ძრავი ბენზინისაზე 1,5-ჯერ ეკონომიურია და იაფიც.

**ანდრე სიტროენი (1878-1935)**

ცნობილი ფრანგი ავტომეწარმე. მან პირველმა გადმოიღო ამერიკელებისაგან ევროპაში რუსული ავტოწარმოება. ცნობილია იმითაც, რომ „სიტროენის“ რეკლამისთვის ზღაპრულ ფასად დაიქირავა ეიფელის კოშკი. მოგვიანებით „რენოსა“ და „პეჟოსთან“ კონკურენციას ვერ გაუძლო და „მიშელინის“ მფლობელობაში გადავიდა. შეინარჩუნა მხოლოდ მარკა — „სიტროენი“.

**კარლ ბენცი (1844-1929)**



გერმანელი კონსტრუქტორი, პირველი ავტომობილის ერთ-ერთი ავტორი (პატენტი №37435, 1885წ.) ის და გ. დაიმლერი ახლო ქალაქებში ცხოვრობდნენ და მსოფლიოში პირველი ავტომობილები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნეს. ერთმანეთი არასოდეს გაუცნიათ, თუმცა XXს-ის 20-იან წლებში მათი ფირმები დღეს ცნობილ ავტოკონცერნად, „დაიმლერ-ბენცად“ შეერთდა.

**ანდრე და ედუარდ მიშელინები (1853-1931); (1859-1940)**

შექმნეს პირველი პნევმატური (გასაბერი) საბურავი ავტომობილისთვის. იმავე სახელწოდების ფირმა დღესაც წარმატებით მუშაობს, თუმცა მისი პირველი საბურავი 200 კმ-ის გავლის შემდეგ გადასაგდები ხდებოდა.

**ლუი რენო (1877-1944)**

ფრანგი კონსტრუქტორი, ამავე სახელის ავტოკონცერნის ფუძემდებელი. სრულიად ახალგაზრდამ გამოიგონა „კარდანი“ და სამსიჩქარიან გადაცემათა კოლოფი, სრულყო და დღევანდელ სახემდე მიიყვანა საჭე.

**ფრედერიკ ჰენრი როისი (1860-1930)**

თუკი ფორდმა თავისი „-ლიზი“ მოდელით ავტომობილის ყოლის საშუალება ყველას მისცა, როისმა ჩარლზ როლსთან ერთად „როლს-როისით“ მათგან უმდიდრესთა გამორჩევა შეძლო და ეს დღემდე ასე გრძელდება.

**ჰენრი ფორდი (1863-1947)**



ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი. ახალგაზრდობაში ჯერ მუშად, შემდეგ კი ზეინკლად მუშაობდა. პირველი ავტომობილი 1893 წელს ააწყო. 1903 წელს დააარსა საკუთარი კომპანია — დეტროიტში. იგი მსოფლიოს სერიული ავტოწარმოების ფუძემდებელია (ვრცლად იხილეთ მომდევნო ნომრებში ციკლიდან „ავტომობილის ისტორია“.

**ეტორე ბუგატი (1881-1947)**

ამავე სახელწოდების ავტოფირმის ფუძემდებელი. იგი მილანის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში სწავლობდა და მშვენიერებისადმი მიდრეკილება დღემდე გამოჰყვა მის მოდელებს. ისინი დიდი სისწრაფით არა, მაგრამ მოხდენილობითა და გამძლეობით გამოირჩევიან.

**ენცო ფერარი (1898-1988)**



იგი სპორტული ავტომობილების უდიდეს კონსტრუქტორად ითვლება. თავიდან ავტომრბოლელი იყო და „ალფა-რომეოს“ ჯგუფში გამოდიოდა. 1929 წელს დააარსა საკუთარი ავტოქარხანა, სადაც ყველაზე უკეთ შეძლო „ფერარის“ მოდელთან სპორტული და სამგზავრო მანქანების „შეჯვარება“.

**ჰენრი ლილანდი (1843-1932)**

ამერიკელი კონსტრუქტორი, ფირმა „კადილაკის“ დამაარსებელი. ეს ავტომობილები დღესაც კომფორტულობითა და მდგრადობით გამოირჩევა.

**ფერდინანდ პორშე (1875-1951)**

უნიჭიერესი გერმანელი კონსტრუქტორი, ავტორი „ხოჭო-მანქანისა“ და „პორშეს“ დამაარსებელი. ჯერ კიდევ XXს-ში გამოიგონა გადაცემათა კოლოფის ელექტროსისტემა, რომელიც მხოლოდ ახლახან, 80-იან წლებში გამოიყენეს...



**„ავტოსალონი“ განახლებული სახით კვლავ თქვენ წინაშეა. ამიერიდან ამ გვერდზე უამრავი საინტერესო, ფერადად ილუსტრირებული ინფორმაცია დაგელოდებათ. მათ შორის მუდმივი რუბრიკები — „ავტომობილის ისტორია“, „ავტოქრონიკა“, „მიღწევები“, „ავტომობილი და რეკორდები“; „ქართული ავტომობილი“; „ავტომოზაიკა“; და ა.შ. მაშ ასე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „კვირის პალიტრის“ ავტოსალონში!**

## ავტომობილის ისტორია

# ნაწილი I. ისინი ფიქრობდნენ ავტომობილზე...

უკვე XV საუკუნეში მსოფლიოში ათობით თვითმავალი თუ თვითმოძრავი საშუალება გამოჩნდა. მაშინდელი ევროპა „საავტომობილო-შემოქმედებით“ ალში იყო გახვეული. ავტომობილის იდეით შეპყრობილი ადამიანები ათასნაირ საჭირო თუ უსარგებლო კონსტრუქციას იგონებდნენ (ლეონარდო და ვინჩი, ალბერტ დიურერი და სხვ.) ამ საავტომობილო რიარიაში დაიბადა ველოსიპედიც, თუმცა, დამეთანხმებით, რომ მას არაფერი აქვს ავტომობილთან საერთო. ამ ეპოქის ადამიანები, შეიძლება ითქვას, „მასობრივი მაზოხიზმით“ იყვნენ დაავადებულნი — უცნაური კონსტრუქციები იშლებოდა, ფეთქდებოდა ან იმსხვრეოდა. მათთან ერთად იმტვრეოდნენ ადამიანებიც, მაგრამ ისინი არ ჩერდებოდნენ — ისინი ფიქრობდნენ ავტომობილზე...




ბოლოს და ბოლოს, XV საუკუნეში ფრანგმა ინჟინერმა, ვინმე კიუნომ, მოახერხა რეალურად მოქმედი პირველი „ავტომობილი“ აეგო. მის ორთქლისძრავიან მარხილს წინ უშველებელი ორთქლის ქვაბი ეკიდა — მარხილის სამართავად მძღოლის გარდა ცეცხლფარეში, ე.წ. „კაჩიგარიც“ იყო საჭირო. იგი მგზავრობისას გაცივებულ ქვაბს ნახშირით ახურებდა, რასაც იმდენივე დრო უნდოდა, რამდენიც მგზავრობას. კიუნო გამალებით ცდილობდა თავისი მანქანის სრულყოფას, რაც იმით დამთავრდა, რომ მორიგი „გასვლისას“ ორთქლის ქვაბი აფეთქდა. თავად კიუნო და მისი ცეცხლფარეში გვარიანად დაშავებულნი, ხოლო პარიზის საზოგადოება გვარიანად შეშინებული დარჩა.

ორთქლის ავტომანქანები ნელ-ნელა განვითარდა, გაუმჯობესდა და სამგზავრო დილიჟანსებად გარდაიქმნა. მათ მგზავრები გადაჰყავდათ შორ მანძილზე და დიდ კონკურენციას უწევდნენ მატარებლებსა თუ საფოსტო ცხენებს. მათმა მესვეურებმაც ყველაფერი გააკეთეს ორთქლის დილიჟანსების „დასასამარებლად“ — პარლამენტს გადასახადები გააზრდევინეს, ხოლო მოსყიდულმა ჟურნალისტებმა პრესაში დიდი ბუმი ატეხეს „ესოდენ საშიში ტრანსპორტის“ წინააღმდეგ. შედეგად, გადასახადებით დამძიმებულ ავტოპიონერებს მგზავრობის დროს ადგილობრივი მოსახლეობა ქვებს უშენდა, რის შემდეგაც ეს ტრანსპორტი მართლაც რომ „საშიში“ შეიქნა.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ იმავე მოსაზრებას იზიარებდა მსოფლიოში პირველი ორთქლის ძრავის მომგონი, ჯეიმს უატიც, რომელსაც სულაც არ მოსწონდა მის დაუკითხავად ორთქლის ძრავების გამოყენება, რის გამო საჩივარიც აღძრა პარლამენტის წინაშე, „საზოგადოებისთვის საშიში ორთქლის ტრანსპორტის“ აკრძალვის მოთხოვნით.

ავტომობილიზმს უჭირდა. საჭირო იყო უფრო კომპაქტური, ძლიერი და იოლად სამართავი ნამდვილი ავტომობილის შექმნა, რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევდა მეტოქეებს...

***მომავალში შემოგთავაზებთ II ნაწილს: „მათ შექმნეს ავტომობილი“***

# ხვალის ავტომობილი



მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი ავტოკონცერნი გამალებით მუშაობს ალტერნატიული ავტომობილის შექმნისათვის. ისინი ეძებენ ენერგიის წყაროს, რომელიც არ მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს, იქნება გარემოსადმი მეგობრული და ამასთან რესპექტაბელურიც.

„ტოიოტამ“ უკვე ჩაუშვა სერიულ წარმოებაში „ჰიბრიდი“ ავტომობილი, იგი შეთავსებით, ბენზინსა და ელექტროძრავებზე მუშაობს. ამ უკანასკნელის ბატარეები ჩვეულებრივი „შტეფსელიდან“ იტენება, ან — შორს მანძილზე მგზავრობისას მომუშავე ბენზინის ძრავიდან, რომელზეც გენერატორიც არის დამონტაჟებული.

„ტოიოტა“ ავტომობილს 100 ათას კმ-ს ანუ 5 წლის გარანტიას აძლევს.

## ავტომოზაიკა

### ვირთხა ყაჩაღებს ეხმარება

უკრაინაში ვირთხებს მშვენივრად იყენებენ — საკმარისია, ქალბატონი ძვირფასი ავტომობილით წითელზე გაჩერდეს, რომ მაშინვე ვირთხას „უგორებენ“კალთაში... პატრონი წივილ-კივილით გარბის ქუჩაში, მის ავტოს კი მძარცველები მიაქროლებენ.

### საცოდავი მანქანის ქურდები

ჩინეთში, ალბათ, აღარასოდეს მოიპარავენ მანქანას — აქ ეს დანაშაული სახალხოდ დახვრეტით ისჯება.

### პირველი რეკლამა ავტომობილისთვის

1907 წელს „კადილაკის“ დირექტორმა, ჰენრი ლილანდმა სამი ავტომობილი ააწყო, სპეციალურად დამუშავებული დეტალებით. თავისი მანქანების სიმარტივე და გამძლეობა რომ დაემტკიცებინა, სამივე ავტომობილი ხალხით სავსე სტადიონზე გაიყვანა და ხელოსნებს ყველას თვალწინ დააშლევინა. თანაც ისე, რომ ოსტატები ნაწილებს უწესრიგოდ ყრიდნენ. როდესაც სამი შიშველი ძარა და ნაწილების უსწორმასწორო გროვა აღიმართა, ხელოსნებმა ისევ დაიწყეს აწყობა — ნაწილებს კვლავ უწესრიგოდ იღებდნენ და სადაც ხერხდებოდა, იქ აყენებდნენ. ასე ააწყვეს სამივე ავტომობილი, რომლებითაც შემდეგ 800 კილომეტრი გაიარეს ყოველგვარი შეფერხებისა და დაზიანების გარეშე. ასე იქცა „კადილაკი“ საოცნებო, ყველაზე გამძლე და პრესტიჟულ მანქანად.

## ავტომობილი და რეკორდები

**ავტომობილივით ავტომობილის შექმნამ ადამიანი არ დააკმაყოფილა. ახლა მას მოუნდა, აეწყო ყველაზე სწრაფი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე ფართო, ყველაზე გრძელი და ა.შ. ავტომობილი. ერთი სიტყვით, მთავარი იყო, ავტომობილის წინ სიტყვა „ყველაზე“ ყოფილიყო ნახსენები...**

**მაშ, ასე:**

**ყველაზე გრძელი** ავტომობილი ოცდაექვსბორბლიანია და 30მ (!) სიგრძისაა. აწყობილია ჯეი ორბერგის მიერ. ამ ლიმუზინში აუზი, ლუქსი-საძინებელი, სამზარეულო და კაბინეტია მოწყობილი. მას, ძირითადად, ფილმებში გადაღებისათვის იყენებენ.



**ყველაზე მძლავრი** სერიული ავტომობილია „ფერარი — F40“, მისი ძრავი 470 ცხენის ძალას წარმოშობს. გამოშვებულია 170 ცალი;

**ყველაზე მძიმე** სერიული ავტომობილია საბჭოთა ლიმუზინი „ზილი“. იგი 3,3 ტონას იწონის. სპეცდაკვეთით დამზადებული გორბაჩოვის „საძინებელი“ „ზილ-ლიმუზინი“ 6,6 ტონას იწონიდა.




**ყველაზე სწრაფი** სერიული წარმოების ავტომობილია „ლამბორჯინი“ DIABLO. მის „კაპოტქვეშ“ 12 ცილინდრიანი, ტიტანური ძალის ძრავი გუგუნებს და 202 მილს ავითარებს საათში.

# მიღწევა

როგორც იტყვიან, ამერიკელები „ჭკუაზე არ არიან“. ბოლო მოდელის „კადილაკში“, სხვა ათას სიკეთესთან ერთად, ზემძლავრი კომპიუტერული სისტემაა დამონტაჟებული, რომელიც კომპაქტურად იკეცება თავისივე ბუდეში. კომპიუტერი მუდმივ თანამგზავრულ კავშირზეა და მისი საშუალებით შეგიძლიათ სამასამდე ტელეარხის ყურება, სატელეფონო ვიდეოკავშირი მთელ მსოფლიოსთან და ინტერნეტით სარგებლობა. გარდა ამისა, მასში ჩამონტაჟებული სანავიგაციო სისტემა ისევ თანამგზავრის საშუალებით თქვენს მდებარეობას მთელი დედამიწის მასშტაბით სულ 3-6 კმ-ის ცდომილებით დაგიდგენთ; ხოლო თუ იმ ქვეყნის გზები, სადაც იმყოფებით, დისკეტზეა გადატანილი, ამ მდებარეობას უზუსტესად გადაგიტანთ კონკრეტულ გზაზე, ქუჩაზე და გიჩვენებთ თქვენი შესაძლო მარშრუტების ვარიანტებს. ერთი სიტყვით, ასეთი მანქანით მართლა არ დაიკარგებით!



**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით შეგიძლიათ მოგვმართოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, სპეციალურად ამისთვის უახლოეს ნომრებში „ავტოსალონში“ გამოყოფილი იქნება რუბრიკა „ავტოსაგზაო საკითხებზე“.**

**გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა**

CMYK

# აჟიოტაჟი ელენერგიის ტარიფთან დაკავშირებით

როგორც ჩანს, ელექტროენერგიის ახალი ტარიფი (9,8 თეთრი), რომელიც პირველი სექტემბრიდან შევიდა ძალაში, ეჭვს იწვევს ანტიმონოპოლიური სამსახურის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამმართველოში. ეს უკანასკნელი დიდი ხანია ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიისგან დაწესებული ტარიფის ზუსტი ეკონომიკური გაანგარიშების დასაბუთებას ითხოვდა. აღნიშნული დოკუმენტი ანტიმონოპოლიურ სამსახურს დღემდე არ მიუღია.



საერთოდ, ელენერგიაზე გადასახადის განსაზღვრა ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივაა. ზაფხულში, ეი-ი-ეს თელასსა და მარეგულირებელ კომისიას შორის დაპირისპირება კინაღამ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გასარჩევი გახდა. დავის მიზეზი ის იყო, რომ თელასი ელენერგიის ტარიფში თავისი წილის გაზრდას მოითხოვდა ისე, რომ მთლიანი ტარიფი შესამჩნევად არ გაზრდილიყო (ამის უფლებას მას საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებაც აძლევს, სადაც საქართველოს ინტერესები მაინცდამაინც სახარბიელოდ არ არის წარმოდგენილი). მაშინდელი დავა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს ასცდა, მაგრამ ახლა მარეგულირებელ კომისიას ანტიმონოპოლიური სამსახური უჩივის და დიდი ხნის ნალოდინებ დოკუმენტაციას, რომელმაც ტარიფის მიზანშეწონილობა უნდა დაასაბუთოს, სასამართლოზე დაელოდება.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ფართო მოხმარების პროდუქციაზე, როგორიც ელექტროენერგიაა, ტარიფის ზრდა საკმაოდ მწვავედ აისახება სოციალურად ისედაც გაუბედურებულ ჩვენს მოსახლეობაზე.

# მოქალაქეთა კავშირის ახალი ინიციატივა

მოსახლეობის გულის მოსაგებ ინიციატივათა კასკადს არ იშურებს მოქალაქეთა კავშირი ამ ბოლო დროს — ავტომანქანათა ტექდათვალიერების გადასახადის შემცირების თაოსნობის შემდეგ, ჯერი პირადობის მოწმობებისა და პასპორტების სახელმწიფო ბაჟის 2-ჯერ შემცირებაზე მიდგა.

პირადობის მოწმობისა და სარეგისტრაციო ბარათის აღება დღეს 2,5 ლარი ღირს, პასპორტისა — 35 ლარი, ნებაყოფლობითი დაზღვევისთვის კი 20 ლარია გადასახდელი. 2001 წლის ბოლოს საბჭოთა პასპორტს საბოლოოდ უმთავრდება მოქმედების ვადა. ახალი პირადობის მოწმობა კი, 1994 წლიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს მოსახლეობის 40%-ს აქვს მხოლოდ აღებული. პარლამენტში წარდგენილი ახალი კანონპროექტი, პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემის წესის გამარტივებას და ერთიანი საძიებო-საინფორმაციო სისტემის შემოღებას გულისხმობს, რასაც თან დაერთო მოქალაქეთა ფრაქციის ინიციატივა პირადობის მოწმობების უფასოდ გაცემისა და პასპორტის 2-ჯერ გაიაფების შესახებ. აღნიშნული კანონპროექტი გაცემის ვადების შემცირებასაც ითვალისწინებს. ძველი კანონით ვადა 10 დღე იყო, ახალი სისტემის დანერგვიდან კი 3-5 დღემდე შემცირდება.

**ამ ინიციატივით „მოქალაქეებმა" კიდევ ერთხელ ჩააყენეს ფინანსთა სამინისტრო არასახარბიელო მდგომარეობაში, რადგან მოწმობების უფასოდ გაცემის შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს, ერთი წლის ბიუჯეტში, საშუალოდ, 300.000 ლარის გათვალისწინება მოუწევს. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტრო არათუ თანხმდება პასპორტების გაიაფებას, არამედ საკომპენსაციოდ შეიძლება მისი ფასის 37 ლარამდე გაზრდაც მოითხოვოს.**

***მამუკა გიორგაძე***

## „კვირის პალიტრის" რედაქციას

***— ერთ რუსულ გაზეთში წავიკითხე, რა საათები უკეთიათ ხელზე იქაურ თანამდებობის პირებს. ალბათ, ჩვენებიც არ დადიან 10 ლარიანი კვარცის საათებით. იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით ცნობისმოყვარეობა დამიკმაყოფილოთ და გამაგებინოთ, ვთქვათ, რომელ საათს ხმარობს ჩვენი პრეზიდენტი?***

***პატივისცემით იამზე სანაია***

# ჩემი საათი შენსას სჯობს...

წლების წინ საქართველოში სახელმწიფო მეთაურის ამპლუაში დაბრუნებულ ედუარდ შევარდნაძეს საათთან დაკავშირებით კურიოზი შეემთხვა. სტუდენტებთან შეხვედრისას უნივერსიტეტის აუდიტორიის კათედრაზე სიტყვის სათქმელად ასულს საათი მოჰპარეს. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ კათედრაზე ასულ შევარდნაძეს, ჩვეულებისამებრ, საათი მაჯიდან მოუხსნია და კათედრაზე დარჩენია. არაფრით გამორჩეული „ორიენტი" იმავე დღეს ჩააბარეს პატრონს. „მინდა ჩემს საყვარელ უნივერსიტეტს ბოდიში მოვუხადო. ჩემთვის საათის მოპარვას იქ არავინ იკადრებდა", — თქვა მაშინ ჯერ კიდევ სახელმწიფოს მეთაურმა. ახლა უკვე საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თურმე დროს უფრთხილდება და არ კარგავს, არცთუ ისე პრესტიჟულ, მაგრამ გამძლე და მუშა „ორიენტს" მაჯიდან არასოდეს იშორებს.



საქართველოს პრეზიდენტის „მაჯისცემა"

ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, საათს მუდამ თან ატარებს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძეც. ოღონდაც დროის რაციონალურად განაწილებას ის შვეიცარიული „როლექსის" ძვირად ღირებული საათით ცდილობს. ამ საათის ზუსტ ფასზე ვერაფერს გეტყვით, ისე კი „როლექსი" მსოფლიოში უძვირფასესი საათების მწარმოებელი ფირმაა. ამ ფირმის საათების ფასი 2 ათასი ამერიკული დოლარიდან იწყება და ასეულობით ათასს აღწევს.

სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი თურმე დღემდე იმ იაპონური წარმოების „სეიკოთი" სარგებლობს, რომელიც კახეთის გუბერნატორად ყოფნისას მისი ერთგული მეგზური იყო. სამაგიეროდ, მის მოადგილეყოფილს, ამჟამად ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს ვანო ჩხარტიშვილს საათის ტარება მაინცდამაინც არ ჰყვარებია, მაგრამ სამი დარგის მინისტრის სავარძელთან დაკავშირებული საქმიანობა მისგან დიდ დროს ითხოვს და „ვოტჩის" დროის მრიცხველის ტარებას აიძულებს.

სასამართლო რეფორმის „მამა" მიხეილ სააკაშვილი, დროს თურმე არად აგდებს და არაპუნქტუალობითაც გამოირჩევა, თუმცა საათს მაინც ატარებს, ხშირად იცვლის კიდეც. ოღონდ რეფორმის „დირიჟორის" ეს მრავალფეროვნება სულაც არ გამოიხატება პრესტიჟული საათების ხმარებაში. მის მაჯაზე სხვადასხვა დროს ხან „ორიენტის", ხან „ომეგას" და ხან „სეიკოს" დაბალფასიან საათებსაც იხილავთ.

სულ ბოლოს კი მიხეილ სააკაშვილი უცხოეთში 5 დოლარად ნაყიდი „მაკდონალდსის" სასაცილო საათითაც ამაყობდა თურმე.

თბილისის პოლიციის შეფი სოსო ალავიძე სწორებას „კასიო-ჯიშოკზე" აკეთებს — ფაქტობრივად, კომპიუტერულ მექანიზმზე აწყობილ მრიცხველზე, რომელსაც თურმე „ტყვიაც არ ეკარება".

გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი კი დროს „ომეგას" საათზე ამოწმებს. თურმე დროის ეს მრიცხველი მას წლების მანძილზე ერთგულ მეგზურობას უწევს და ამიტომაც მაჯიდან არ იშორებს.

გადეპუტატებული ბიზნესმენის დავით გამყრელიძის გარდერობს, ცნობილი მოდელიერების პროდუქციის გარდა, „როლექსის" საათი შეადგენს. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ თუ მის მეგობრებს ვერწმუნებით, ამ სიამოვნებაში მან 57 ათასი მარკა გადაიხადა.

***სალომე ბადრიძე***



# კითხვა-პასუხი

***გთხოვთ მიპასუხოთ, როგორც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის მემკვიდრეს, მომეცემა თუ არა 1993 წელს დანიშნული პენსია სამუშაო ადგილზე გამოწერილ ხელფასთან ერთად?***

***ვახტანგ რამიშვილი***

მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად პენსიის მიღება ვრცელდება მხოლოდ ომის ინვალიდებზე, მონაწილეებზე, მათთან გათანაბრებულებსა და რეპრესირებულებზე. დღევანდელი კანონით, რეპრესირებულის შვილი იმ შემთხვევაში მიიღებს პენსიას ხელფასთან ერთად, თუ ის გადასახლებაში ახლდა მშობელს და სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშნული ჰქონდა 45 ლარის ოდენობის პენსია.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო***

***ჩვენს სადარბაზოში „ეი-ი-ეს" თელასმა გადაჭრა ლიფტების ძველი ელექტროგაყვანილობა. რა პირობებია საჭირო ლიფტის კვლავ ამუშავებისათვის?***

***თეა ბაგრატიონი, გლდანის I მ/რ***

ახალი მრიცხველების დამონტაჟებისას თელასი მანამ ვერ ჩართავს ლიფტს, სანამ მობინადრენი არ წარმოადგენენ თბილლიფტიდან მოტანილ მოწმობას, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ლიფტი ტექნიკურად გამართულია და მოსახლეობის სიცოცხლისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ამასთან, დადგენილია, რომ ლიფტი დღე-ღამეში დაახლოებით სამი საათის განმავლობაში მუშაობს, და, თუ ჩავთვლით, რომ მესამე სართულიც ლიფტის მომხმარებელია, 8 სართულიანი სახლისთვის ლიფტის თანხა დაახლოებით თვეში 36 ლარია, რაც განაწილდება მობინადრეებზე.

***დ. კუჭაიძე, მერიის ენერგეტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი***

***იქნებ განგვიმარტოთ, ვის ეწოდება ფიზიკური და იურიდიული პირი და რა უფლება-მოვალეობა აკისრია თითოეულს?***

***თქვენი გაზეთის მკითხველი***

ფიზიკურ პირად ითვლება უშუალოდ მოქალაქე, რომელსაც შეუძლია გაწიოს არაეკონომიკური სამუშაო და ინდივიდუალური მეწარმეები, ვინც სასამართლოში არიან რეგისტრირებულნი. ფიზიკური პირის სამოქალაქო უფლება-მოვალეობა წარმოიშობა მისი დაბადების დროიდან. იურიდიულ პირად კი ითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო, კომანდიტური, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და კოოპერატივი. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაცია.

***საგადასახადო ინსპექცია***

***აუცილებელია თუ არა, რომ შვილის სისხლის ჯგუფი ემთხვეოდეს მამის ან დედის სისხლის ჯგუფს?***

***გიორგი, თამუნა სანაძეები, თბილისი***

შვილის სისხლის ჯგუფი შეიძლება ემთხვეოდეს მამის ან დედის სისხლის ჯგუფებს, მაგრამ, ამავდროულად, შესაძლოა არც ემთხვეოდეს მშობლების სისხლის ჯგუფს და სულაც რომელიმე წინაპრის სისხლის ჯგუფის მსგავსი იყოს.

***გ. იოსავა, მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტი***

***მაქვს ოროთახიანი არაპრივატიზებული ბინა, სადაც რძალი (შვილის მეუღლე) ჩაეწერა სასამართლოს განაჩენით არა ფართით სარგებლობის, არამედ — ფართის უფლებით. რამდენად სწორია სასამართლოს გადაწყვეტილება და ფართის რა ნაწილი ეკუთვნის ბავშვთან ერთად?***

***ერ. მთიბელაშვილი***

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ სასამართლოში, რომ რძალს ბავშვთან ერთად დაუდგინონ წილადობრივი საკუთრების თანხის ოდენობა, რომლის გადახდის შემდეგაც რძალი თქვენს სახლში ცხოვრების ნაცვლად სხვაგან იყიდის ბინას. საერთოდ, მშობლის ქონება გარდაცვალების შემდეგ გადადის რიგის მემკვიდრეზე — შვილზე, რომელსაც სავალდებულო წილი ყველა შემთხვევაში ეკუთვნის, მის რაოდენობას კი სასამართლო დაადგენს.

***ნოტარიუსი***

***როგორც ვიცით, შიდსი სისხლით გადადის. ხომ შეიძლება კოღოს ნაკბენმაც დაგვაინფიციროს ამ დაავადებით?***

***კილაძე***

მართალია, შიდსის ვირუსი სისხლით გადადის, მაგრამ კოღოს და სხვადასხვა მწერის ნაკბენით არ ხდება დაინფიცირება, რადგან შიდსის ვირუსი კოღოს ხორთუმზე ისეთი უმნიშვნელო რაოდენობით ხვდება, რომ ადამიანზე კბენისას იგი სისხლძარღვებამდე თუ კაპილარამდე ვერ მიაღწევს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ სისხლში შეჭრილი ვირუსია სახიფათო.

***შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
7 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,9700 |
| **გერმანული მარკა** | | 0,8764 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 2.8474 |
| **ევრო** | | 1,7141 |
| **რუსული რუბლი** | | 0,0708 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,0294 |


თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
აცხადებს მიღებას
**ანიმაციური კინოს**
**მხატვარ-ანიმატორ-რეჟისორთა**
**მაგისტრატურაში**
და მხატვარ-ანიმატორთა კურსებზე
*სწავლა ფასიანია.
*განცხადებების მიღების
ბოლო ვადაა 16.10.2000წ.
92-01-64; (899)551683; (899)102460; ელ. ფოსტა:Animation@artsacademy.edu.ge



**ფირმების რეგისტრაცია**
**თარგმნა და ბეჭდვა**
**სწრაფად, იაფად**
თავისუფლების მოედანი 7,
ცეკავშირის შენობა, VI სართ,
ოთ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91

CHRYSLER Jeep
DODGE EAGLE Jeep PLYMOUTH
✓ მაღალკვალიფიციური ავტოსერვისი;
✓ ახალი და ნახმარი ავტომობილები;
✓ პოლირება ამერიკული მეთოდით;
✓ კომპიუტერული დიაგნოსტიკა;
✓ ხელსაყრელი ფასები.
მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, დიღუბე,
გუდაუთის ქ. და სანაპიროს გადაკვეთაზე.
☎ 34-16-50; 899-51-30-49

**ვმკურნალობთ**
**ქრონიკულ პროსტატიტს**
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

# იუგოსლავიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

სერბეთში ბოლო დღეებში მომხდარი ამბები არ ჩამოდის მსოფლიო პრესის ფურცლებიდან. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ვოისლავ კოშტუნიცა პრეზიდენტად პირველმა სერბეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ცნო. სერბეთის ოპოზიციის ლიდერმა — კოშტუნიცამ ბელგრადის მთავარ მოედანზე შეკრებილებს აცნობა, რომ იგი დაუყოვნებლივ იწყებს ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას და მათ მშვიდობისკენ მოუწოდა. სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ ესაუბრა იუგოსლავიის შინაგანი ჯარების სარდალს,



რომელიც დაჰპირდა, რომ „დაემორჩილება" ახალ ხელისუფლებას. ახალმა პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ პერსონალურად შეხვდა სლობოდან მილოშევიჩს, მაგრამ საუბრის დეტალები არ დაუზუსტებია. სატელევიზიო ინტერვიუს ბოლოს კოშტუნიცამ თავისი ხალხი დაამშვიდა — „იყავით მშვიდად, იუგოსლავიის ჯარი ნამდვილად ჩვენი ჯარია". თავის მგზნებარე სიტყვაში კოშტუნიცამ იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში იუგოსლავია ევროკავშირის წევრი გახდება. რაც შეეხება ნატოს, ჩვენ მისი აგრესია არ დაგვვიწყებია, მაგრამ იზოლაციაში ცხოვრება აღარ გვსურსო.

სლობოდან მილოშევიჩმა თავი ერთ-ერთ სამთავრობო რეზიდენციას შეაფარა, სადაც მას მოულოდნელად ეწვია პუტინის მიერ გაგზავნილი იგორ ივანოვი, რომელმაც კრემლის ერთგულ მილოშევიჩს ურჩია მშვიდობიანად დაეთმო პოსტი.

ი. ივანოვი ვოისლავ კოშტუნიცასაც შეხვდა და რუსეთის პრეზიდენტის მილოცვა გადასცა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა CNN-ით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ პუტინის მილოცვას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამერიკას ამის იმედი ჰქონდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. კოშტუნიცა ევროპის 15 ქვეყნის ლიდერთა სამიტზე მიიწვია.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის თქმით, მილოშევიჩის ერა, როგორც იქნა, დასრულდა და მსოფლიომ, პირველ რიგში კი სერბეთმა, შვებით ამოისუნთქა.

***სი-ენ-ენ-ი***

# კონსერვატორები კონსერვატორების წინააღმდეგ

ქალაქ ბორნმუტში ჩატარდა დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობა. ოპოზიციური პარტია დღეს აღმავლობას განიცდის. საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად, მათ ათი წლის მანძილზე პირველად გაუსწრეს თავის მთავარ ოპონენტებს, რომლებიც ამჟამად ხელისუფლებაში იმყოფებიან — ლეიბორისტებს, პრემიერ ტონი ბლერის მეთაურობით. თორის ლიდერი უილიამ ჰეიგი სერიოზულად აპირებს ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტს ჩაუდგეს სათავეში გაზაფხულზე, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ოპოზიციას სასიხარულო პერსპექტივა კი აქვს, მაგრამ კონსერვატორებს ახალი პრობლემები გაუჩნდათ, — თორის ლიდერის, უილიამ ჰეიგის წინააღმდეგ გამოვიდნენ თავად კონსერვატიული პარტიის ცნობილი წევრები. ყრილობის პირველსავე დღეებში კულუარებში გამოჩნდნენ თემთა პალატის დეპუტატები: ექს-პრემიერი — ჯონ მეიჯორი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი კენეტ კლარკი და სხვები. ისინი მხარს უჭერენ ევროპის ინტეგრაციას, ერთიან ევროვალუტას და ყოველგვარი რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგნი არიან. უილიამ ჰეიგს სძულს ევროკავშირი და ეკონომიკის მიმართ ნეოლიბერალურ ტეთჩერისეულ მიდგომას ქადაგებს. ჰეიგი ჩაუდგა რა სათავეში კონსერვატორებს, თავისი მოთმინებითა და თავშეკავებით განთქმული კონსერვატიული პარტია უკიდურეს მემარჯვენე ორგანიზაციად აქცია. „დიდი ხანია ვითმენთ ამ უმსგავსობას, მაგრამ დღეს, როდესაც რეიტინგებში ჰეიგი ლიდერობს და შეიძლება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრიც გახდეს, უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა უგუნური ხელმძღვანელისაგან", — აცხადებს ყოფილი ვიცე-პრემიერი (კონსერვატორი) მაიკლ ჰეზელთაინი. ჰეიგის პოზიციას ევროვალუტის მიმართ „გიჟური" უწოდა ფინანსთა ექსმინისტრმა. ასე რომ, მთავარი მოწინააღმდეგენი ლეიბორისტები და ტონი ბლერი კი არა, თავისივე კონსერვატორები აღმოჩნდნენ.

***კომერსანტი №185***

# ამერიკაში პრაიმ-თაიმის დრო დადგა...

აშშ-ში საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ სტადიაშია. გაიმართა ტელედებატები პრეზიდენტობის მთავარ პრეტენდენტებს — ვიცე-პრეზიდენტ ალ გორსა და ტეხასის გუბერნატორ — ჯორჯ ბუშს შორის. როგორც უკანასკნელი გამოკითხვის შედეგად გაირკვა, ორივე კანდიდატი პრაქტიკულად თანაბრად მიდის და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შთაბეჭდილებას დატოვებენ ამომრჩევლებზე დებატების მსვლელობაში.



აშშ-ში პრეზიდენტის სავარძლისათვის ტელედებატები 1960 წლიდან დაიწყო. მაშინ საზოგადოების წინაშე პირდაპირ ეთერში წარდგნენ ჯონ კენედი და რიჩარდ ნიქსონი. საზოგადოებრივი აზრის თანახმად, უპირატესობა მიანიჭეს ახალგაზრდა, ფოტოგენურ ჯონ კენედის. ამჟამინდელი კამპანია იმით გამოირჩევა, რომ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე საარჩევნო კამპანიის ფინალი არასოდეს ყოფილა ასეთი გამოუცნობი. დებატების დაწყებამდე დამკვირვებელთა უმრავლესობა გორს აძლევდა უპირატესობას, რადგან მას მეტი გამოცდილება ჰქონდა საარჩევნო კამპანიების ჩატარებაში. — მან თავისი ძალები 1992 წელს და 1996 წელს მოსინჯა, როცა იყრიდა კენჭს ბილ კლინტონის გუნდში და რაც მთავარია, ფოტოგენურია. მაგრამ ბუშსაც, მიუხედავად ენაბრგვნილობისა, არასოდეს წაუგია საჯარო დებატები — 1994 წელს ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა ტეხასის შტატის გუბერნატორის არჩევნებში და ამჟამინდელ კამპანიაში რესპუბლიკური პარტიის ყველა კონკურენტი უკან ჩამოიტოვა.

***სეგოდნია №223***



**ჟოსპენის (მარცხნივ) მიერ შირაკისთვის გამოცხადებულმა ომმა შესაძლოა ორივე შეიწიროს.**

# ვიდეოსკანდალი ფრანგულად

სკანდალი ერთი კვირის წინ დაიწყო, როდესაც ერთ-ერთ მემარცხენე გაზეთში დაიბეჭდა ცნობილი ფინანსისტის ჟან კლოდ მერის ვიდეოზე ჩაწერილი აღიარების სტენოგრამა. ამჟამად განსვენებული ბატონი მერი დაწვრილებით ჰყვება ჟაკ შირაკის პარტიის საიდუმლო ფონდის შესახებ, იმასაც ამბობს, რომ თურმე 90-იან წლებში, როცა გამჟღავნდა საიდუმლო ფონდის არსებობა, შირაკმა, რომელიც მაშინ პრეზიდენტის სავარძლისათვის იბრძოდა, სთხოვა, ამასთან დაკავშირებით ცრუ ჩვენება მიეცა. შირაკი ჟან კლოდ მერის ფულსაც დაჰპირდა, მაგრამ აღარ მისცა.

საფიქრებელი იყო, რომ ფინანსისტის აღიარება საკმარისი იქნებოდა, რათა მემარჯვენეებს მომავალ არჩევნებზე გამარჯვების იმედი აღარ ჰქონოდათ, მაგრამ პრეზიდენტობაზე მეოცნებე საფრანგეთის პრემიერი, სოციალისტი ლიონელ ჟოსპენი, ნაადრევად ზეიმობდა. გაირკვა, რომ სოციალისტებმა ჩანაწერი უკანონო გზით მოიპოვეს — შარშან ვიდეოჩანაწერი მაშინდელ ფინანსთა მინისტრს სტროს კანუს გადასცა ვიღაც ადვოკატმა, რომელმაც სამაგიეროდ მიიღო საგადასახადო შეღავათები თავისი კლიენტის — ცნობილი კუტიურეს კარლ ლაგერფელდისათვის.

ახლა საფრანგეთის გაზეთები ერთხმად წერენ, — სკანდალი ძალას იკრებს და ყველა მისი მონაწილისათვის ცუდად დამთავრდებაო. მსგავსი რამ 90-იანი წლების დასაწყისში იტალიაშიც მოხდა და კორუფციამ და სკანდალებმა ქვეყნის მთელი პარტიული სისტემა გაანადგურა.

***ვლასტი №39***

# ოპიუმი ომარისათვის




***ის აღიზიანებს ვაშინგტონს, მოსკოვსა და ისლამაბადს, მაგრამ მოლაპარაკება მშვიდობაზე, გაზზე, ჰეროინზე სწორედ მასთან მოუხდებათ.***

უკანასკნელ დღეებში თალიბებმა ზედიზედ დაამარცხეს მოწინააღმდეგეები და ტაჯიკეთის საზღვართან გავიდნენ. თალიბებზე ისევ ალაპარაკდნენ, მაგრამ უკვე არა მარტო როგორც მომავალ საფრთხეზე დსთ-ის ქვეყნების მიმართ, არამედ ანგარიშგასაწევ რეალურ პოლიტიკურ ძალაზე, რომელთანაც ურთიერთობა მოუწევთ ავღანეთის მეზობლებს და არა მარტო მათ.

მოძრაობა „თალიბანის" ლიდერის მოლა მუჰამედ ომარის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი: იგი ხალხში არ ჩნდება, არც ქაბულში უცხოვრია როდესმე, ქანდაგარში სახლობს. ჟურნალისტებს ფოტოს გადაღებაზე უარს ეუბნება, ისლამი კრძალავსო. ინტერვიუს „ურწმუნოებს" მხოლოდ ფაქსით და ინტერნეტით აძლევს.

მასზე დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ 40 წლისაა, ჰყავს 4 ცოლი. თავის დროზე საბჭოთა ჯართან ბრძოლაში მარჯვენა თვალი დაკარგა. „მოლას" წოდება პეშავარის მახლობლად ცნობილ მედრესეში მიიღო. თალიბთა დიდი წარმატების მიზეზი მარტივია — ეს მოძრაობა მაშინ წარმოიშვა, როცა რაბანის მთავრობა ერთმანეთთან მებრძოლ ეროვნულ ფრაქციებად დაიშალა. ხელისუფლება ბოევიკების ხელში მოექცა, ისინი ძარცვავდნენ, ჟლეტდნენ ხალხს. მოსახლეობამ მხარი დაუჭირა თალიბებს, რადგან ეგონა, რომ ისინი დაამშვიდებდნენ ქვეყანას. ამჟამად თალიბები აკონტროლებენ ავღანეთის ტერიტორიის 95%-ს.

მსოფლიო საზოგადოებრიობა იძულებულია „თალიბანი" ავღანეთის კანონიერ ხელისუფლებად ცნოს არა მარტო იმიტომ, რომ ისინი თითქმის მთელ ქვეყანას აკონტროლებენ, არამედ იმიტომაც, რომ ავღანეთი დიდი ხანია პლანეტის ერთ-ერთ ნარკოცენტრად იქცა. საბაჟოთა მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიშელ დანე აცხადებს, — ოპიუმის 80%, რომლისგანაც შემდეგ ჰეროინს ამზადებენ, ავღანეთიდან შემოდისო.

თალიბთა რეჟიმმა, რომელმაც თავისი საქმიანობა ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციების განადგურებით დაიწყო, პოლიტიკა შეცვალა და ახლა ნარკოტიკების მწარმოებლებს მხოლოდ მცირე გადასახადს აკისრებს.

მოლა ომარმა მსოფლიო საზოგადოებრიობას შესთავაზა — თუ გვაღიარებთ, ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციებს გავანადგურებთო. ეს საქმიანი წინადადებაა, მსოფლიოს მისი განხილვა მოუწევს.

***იტოგი №39***

# ყველაფერი თავიდან დაიწყო

ისრაელისა და პალესტინის ჯარებს შორის სისხლიანი შეტაკებები კვლავ გრძელდება. ამჟამინდელ შეტაკებებს უფრო სასტიკი და მასობრივი ხასიათი აქვს. მეთვალყურეთა აზრით, ახლო მომავალში ურთიერთზეწოლა თუ არ შეწყდა, სიტუაცია უმართავი გახდება. ისრაელის პრემიერმა ეჰუდ ბარაქმა კაბინეტის სასწრაფო სხდომაზე განკარგულება გასცა, რომ ძალოვან უწყებათა მეთაურებმა ყველა ღონე იხმარონ გამძაფრებული სიტუაციის დასაშოშმინებლად.

შეტაკების საბაბად მიიჩნევენ ისრაელის მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის არიელ შარონის და მისი თანამებრძოლების იერუსალიმში, ალ-აქსას მეჩეთის წინ აქცია-გასეირნებას. სწორედ იმ დღეს გამოაცხადა ისრაელის პრემიერმა თანხმობა იერუსალიმის გაყოფის შესახებ (მათ შორის იუდაიზმის მთავარი სიწმინდის — გოდების კედლისა). ეს „გასეირნება" გახლდათ იერუსალიმის გაყოფის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია. გენერალ შარონის გამოჩენამ (არაბები მას ადანაშაულებენ 1982 წელს ლიბანის ბანაკებში პალესტინელი ლტოლვილების დაღუპვაში) აღაშფოთა პალესტინელები. „მკვლელს", ისრაელის პოლიციელებს და ჯარისკაცებს ქვებით ჩაქოლვა დაუპირეს.

საპასუხოდ ისრაელის წესრიგის დამცველებმა პალესტინელებს რეზინის ტყვიები დაუშინეს. მეორე დღეს ალ-აქსას მეჩეთიდან გამოსულმა პალესტინელებმა გოდების კედელთან მლოცველ იუდეველებს ქვები დააყარეს. არეულობა პალესტინის ავტონომიის მთელ ტერიტორიას მოედო. გაჩაღდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. პალესტინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები სატაბელო იარაღიდან ესროდნენ ისრაელის სამხედრო მოსამსახურეებს. საბრძოლო მოქმედებებმა თელ-ავივსა და გალილეაში გადაინაცვლა. ისრაელელებმა დაბომბეს ქალაქ რაფაკში პალესტინის უშიშროების სამსახურის შტაბბინა. სარწმუნო მონაცემებით, დაღუპულია დაახლოებით 40 პალესტინელი, ათასზე მეტი დაიჭრა. ბილ კლინტონი ტელეფონით ესაუბრა ორივე მხარის ლიდერებს და ცდილობს შეაჩეროს სისხლისღვრა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ისრაელის დამკვირვებლების აზრით, არაფატი დიდი ხანია ეძებდა საბაბს რათა თავისი საბრძოლო განწყობა ეჩვენებინა არაბული სამყაროსთვის და მოხარული დარჩა, რომ გენერალმა შარონმა ამის შესაძლებლობა მისცა. პალესტინელები დაღუპულებს ასაფლავებენ და ყოველი დაკრძალვა ახალ სისხლიან შეტაკებაში გადადის.



**ისრაელის ელჩი რუსეთში — ნათან მერონი**

„თუ ისრაელელებს ნამდვილად სურთ ცეცხლის შეწყვეტა, პირველი ნაბიჯი მათ უნდა გადადგან. უკვე ათი წელია მიმდინარეობს მოლაპარაკებები, კიდევ 100 წელიწადს ხომ არ გავაგრძელებთ?!" — აცხადებს პალესტინის ელჩი რუსეთში .

„სამწუხაროა, რომ ყველაფერი მაშინ მოხდა, როცა დაიწყო შეთანხმება. ეს კვირა გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო. ახლა კი, სისხლის ღვრის ფონზე რომელ შეთანხმებებზეა ლაპარაკი?" — ამბობს ისრაელის ელჩი რუსეთში ნათან მერონი.

ოთხშაბათს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა პარიზში ერთმანეთს შეახვედრა მოწინააღმდეგე მხარეების ლიდერები — ბარაქი და არაფატი. მოლაპარაკება დაძაბულ სიტუაციაში მიმდინარეობდა. სარწმუნო წყაროების თანახმად, ახლო მომავალში ლიდერები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ეგვიპტეში. ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი მოლაპარაკების დასაწყისს დაესწრება, შემდეგ კი მათ „ერთი ერთზე" დატოვებს. სამწუხაროდ, შეტაკებები გრძელდება და მსხვერპლთა რიცხვი მატულობს.

***კომერსანტი №184***

# პრესა და მისი მტრები

წლის დასაწყისში ნიუ-იორკის ჟურნალისტთა უფლებების დაცვის კომიტეტმა ანგოლის პრეზიდენტი, ხოსე ედუარდო დოს სანტოსი, პრესის „ათი უდიდესი მტრის" სიას მიაკუთვნა. ქვეყნის მთავრობამ კომიტეტის წევრები ანგოლაში მიიწვია, რათა საშუალება მიეცა მათთვის, თავად დარწმუნებულიყვნენ ამ შეფასების სიმცდარეში. ნიუ-იორკელი ექსპერტები რამდენიმე თვეში ეწვევიან აფრიკას. მანამდე კი ქვეყანაში ორთვიანი საზოგადოებრივი დებატები მიმდინარეობს. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უკმაყოფილოა არსებული ვითარებით და ჯერ კიდევ დაინტერესებულია მისი შეცვლით, საჯაროდ განიხილავს პრესის ახალ კანონპროექტს. ერთი რამ ნათელია, თუ ეს კანონპროექტი ძალაში შევიდა, პრეზიდენტი დოს სანტოსი სამუდამოდ შეინარჩუნებს „საპატიო ადგილს" პრესის მტერთა ათეულში.

***ეკონომისტი***

# მოკლედ

**გერმანიაში** საზეიმოდ აღინიშნა ქვეყნის გაერთიანების 10 წლისთავი. დღესასწაულს ელფერი დაუკარგა იმან, რომ მასში მონაწილეობა არ მიუღია ჰელმუტ კოლს, რომელიც ისტორიაში გერმანიის გამაერთიანებელ კანცლერად შევიდა.

ცნობილი **ფრანგი** განგსტერი ფრენსის ვანვერბერგი, მეტსახელად „ბელგიელი", რომელსაც „უკანასკნელ ნათლიას" ეძახდნენ, უცნობმა პირებმა მოკლეს პარიზის ერთ-ერთ ბარში. 54 წლის „ბელგიელმა" 12 წელი ციხეში გაატარა.

თვეზე მეტია, **ინდოეთში** თითქმის გადაუღებლად წვიმს. ამჯერად სტიქიამ ძლიერ დააზიანა კალკუტა და მისი შემოგარენი. წყალდიდობამ 1040 ადამიანი იმსხვერპლა. დატბორილია საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები.

**ეგეოსის ზღვაში** ჩაიძირა კიდევ ერთი ტურისტული გემი — „ზევსი-3", კატასტროფამ რამდენიმე ამერიკელი ტურისტი შეიწირა.

# რამდენიმე რჩევა ფეხმძიმე ქალებს

ფეხმძიმობა ყველა ქალს უხდება, მაგრამ ამ პერიოდში ჩნდება ზოგიერთი პრობლემა და თუ წინასწარ გეცოდინებათ, როგორ დააღწიოთ თავი ამ პრობლემებს, კარგი გუნება-განწყობილება გარანტირებული გექნებათ.

ფეხმძიმობის პირველ თვეებში ქალებს ეწყებათ ტოქსიკოზი: გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, მოდუნება და მოთენთილობა. სასურველია, ამ დროს ხშირად დაისვენოთ, ჭამოთ პატარა ულუფებით, ძირითადად ფაფები, რძის ნაწარმი, მოშუშული და მოხარშული ბოსტნეული და ხორ-



ცი. დილაობით სვით გვირილის ან კამის ჩაი. ისაუზმეთ საწოლშივე, რათა თავი დაიზღვიოთ პირღებინებისაგან. სამი თვის შემდეგ იგრძნობთ სიმსუბუქეს. გირჩევთ, თავი შეიკავოთ მაკიაჟისგან, სახე გაიწმინდოთ რბილი გამწმენდით, ექიმის რჩევით რეგულარულად ივარჯიშეთ, ატარეთ ნატურალური ქსოვილის ბიუსტჰალტერი, ისე, რომ არ გიჭერდეთ.

მეოთხე თვიდან ქალი იცვლება, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად. წელის ხაზი სწორდება, მუცელი შესამჩნევი ხდება, წონაში იმატებს. გირჩევთ — ბევრი არ ჭამოთ, უარი თქვით საკონდიტრო ნაწარმზე, ტკბილეულზე, ცხიმიან, შებოლილ და ცხარე, მარილიან საჭმელზე. არ მიიღოთ ბევრი სითხე. ატარეთ უქუსლო ფეხსაცმელი, რათა ხერხემალს მეტი ძალა არ დაადგეს. ფეხმძიმობის ბოლო სამ თვეში ქალი საგრძნობლად იმატებს წონაში. ძალიან ეზრდება მუცელი, იზრდება სარძევე ჯირკვლები, დროა მოემზადოთ მოსაწოვებლად, რაშიც დაგეხმარებათ ყოველდღიური შხაპი — ჯერ თბილი, შემდეგ ცივი და მაგარი ხეშეში ქსოვილის მასაჟი. შეიძლება წონის სიმძიმის გამო ფეხებზე გაგიჩნდეთ ლურჯი ძარღვები, ამიტომ იმოძრავეთ და წოლის დროს ფეხები მაღლა შემოაწყვეთ. ფეხებზე გადაივლეთ გრილი წყალი და პირსახოცით დაიზილეთ ქვევიდან-ზევით.

მშობიარობის წინ, ქალებს მადა ემატებათ, რის გამოც, არა მარტო დედა, არამედ ბავშვიც სუქდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას გაუჭირდება ქვეყნად მოვლენა. ამასთან, მშობიარობის შემდეგ მომატებული წონის დაკლება ძალიან გაგიჭირდებათ.

***ოტდოხნი №38***

# მიენდეთ მთვარის კალენდარს

მთვარის დისკო, როგორც მაგნიტი, ისე იზიდავს და უკარგავს სიმშვიდეს ბევრ ადამიანს. „სასწრაფოს“ ექიმები ყოველთვის შიშით ელოდებიან სავსე მთვარის გამოჩენას, რადგან, ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება როგორც საგზაო-სატრანსპორტო, ისე სხვა უბედური შემთხვევების რიცხვი. სავსე მთვარის დროს ის ადამიანები, რომლებიც საერთოდ მტკივნეულად განიცდიან მთვარის ფაზების მონაცვლეობას, ხდებიან უფრო აგრესიულები, მგრძნობიარენი, ცუდად სძინათ, ტანჯავთ სიზმრები. თავი რომ დავაღწიოთ ამ უსიამოვნო შეგრძნებებს, ექიმები გვირჩევენ, ძილის წინ ვსვათ ვალერიანის ან კრაზანას ნაყენი, სხვადასხვა დამამშვიდებელი ჩაი, თბილი რძე თაფლით ან ბარამბოს ჩაი. ნებისმიერი დაგეგმილი ოპერაცია, მეჭეჭის მოცილება, კანის გასუფთავება და ეპილაცია ჩაიტარეთ სავსე მთვარის გადასვლის შემდეგ. სასურველია სავსე მთვარის დროს დაგეგმოთ მხოლოდ სხვადასხვა გამაჯანსაღებელი პროცედურა.

***ნლო №38***

# მიეფერე მშრომელ ფეხებს

მთელი ჩვენი სიცოცხლე დაგვატარებენ ფეხები. ამისათვის მათი მადლიერნი უნდა ვიყოთ. საჭიროა მოვუაროთ და ფაქიზად მოვეპყროთ ფეხებს. ჯერ კიდევ უძველესი ჩინელები ტერფებს ადამიანის ორგანიზმის „გეოგრაფიულ“ რუკას უწოდებდნენ. სწორედ აქ არის თავმოყრილი ურიცხვი ნერვული დაბოლოება. აქ არის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული გზების საბოლოო პუნქტი, რომლებიც



მთელ ორგანიზმთან კავშირს უზრუნველყოფენ.

მოეფერეთ მშრომელ ფეხებს. ტერფის რეფლექტორული ზონის მასაჟი შესანიშნავი პროფილაქტიკაა ყველა (ფიზიკური და სულიერი) დაავადებისთვის. დღეს უმრავლესობა პედიკიურის გაკეთებას ფეხის მოვლად მიიჩნევს. მაგრამ გვერწმუნეთ, ისინი მეტ ყურადღებას და ზრუნვას იმსახურებენ. კვირაში ორჯერ მაინც გაიკეთეთ ფეხის აბაზანა, რაც ფეხებში სისხლის მიმოქცევას გააუმჯობესებს. ზოგს ფეხები ხშირად უცივდება. ამ შემთხვევაში თბილი (38°) აბაზანები დაგეხმარებათ. ენერგეტიკული გზებით სტიმულირება ტერფის ნაზი და რბილი მასირებით უნდა ხდებოდეს. ძლიერმა ზეწოლამ შეიძლება ზიანი მოგაყენოთ. ფეხის „თერაპია“ თავის ტკივილს დაგიამებთ, დაძაბულობას მოგიხსნით. დიდი მნიშვნელობა აქვს სრულ მოდუნებას (რამდენიმე ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა). თავდაპირველად, დაიწყეთ მარჯვენა ტერფის მასირება. მარჯვენა მხარე გონებასა და ლოგიკაზეა პასუხისმგებელი. მარცხენა კი — ემოციებსა და ყველაფერ ქვეცნობიერზე. ეფექტურია, აგრეთვე, ტერფებით რბილი რეზინის ბურთის თამაში.

***ლიზა №39***

# სიზმარი დიაგნოზია

ანტიკური მედიცინის ფუძემდებელი ჰიპოკრატე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიზმრებს, მიაჩნდა, რომ მათი მეშვეობით ახალდაწყებული დაავადების სიმპტომების ამოცნობა შეიძლებოდა. მისი დაკვირვებით, სიზმრები, რომლებშიც ხმაურიანი ამბები ხდება, აღგზნებული ნერვული სისტემის ნიშანია, მშვიდი და სასიამოვნო სიზმრები ციებით ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებას გვამცნობს, საშინელს კი თავში სისხლის მიწოლა მოსდევს ხოლმე. თუ ადამიანი სიზმრად ურჩხულს ხედავს — ეს ახლო მომავალში ნაწლავების ან ღვიძლის დაავადების ნიშანია...

თანამედროვე მეცნიერებიც სწავლობენ სიზმრებს. ამ სფეროში ფუნდამეტური გამოკვლევა ჩაატარა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. კასატკინმა. 50 წლის მანძილზე თავის კარტოთეკაში 47.000 „ღამის კინოს“ ბარათი დაუგროვდა. მეცნიერმა „სიმპტომური სიზმრების“ რამდენიმე ტიპი გამოყო. გულის დაავადებანი — შესაძლოა, ადამიანმა სიზმრად ნახოს, რომ მიწამ დაფარა ან დაიჭრა, გულზე ქვა მოხვდა და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ სიზმარში განცდილი შიში გამოღვიძების შემდეგაც რჩება.

ფილტვების დაავადება — ხშირად ესიზმრებათ, რომ წყალში იძირებიან, გულზე უეცრად სიმძიმე აწვებათ, ვიწრო გვირაბში მიცოცავენ და იჭედებიან. ზოგჯერ სიზმარში ფიგურირებს ტანსაცმელი, რომელიც მხრებში ვიწრო აქვთ.

სისხლის მიმოქცევის დარღვევა — სიზმარი ყოველთვის უკავშირდება სხეულის იმ ნაწილს, სადაც დარღვეულია სისხლის მიმოქცევა. თუ ფეხებია დაავადებული, ვთქვათ, ტალახში, წყალსა და თოვლში დაგლეჯილი ფეხსაცმლით ან შიშველი ფეხით დავდივართ. ხელის მტევნების დაავადებისას — სიზმრად დაუჯერებელ და დასიებულ თითებს ვხედავთ.

ხერხემლის ართრიტის დროს — ხშირად გვესიზმრება, რომ ზურგით სიმძიმე მიგვაქვს.

უნდა ითქვას, რომ უსიამოვნო ან კოშმარული სიზმარი ყოველთვის როდი მოასწავებს ავადმყოფობას. სიზმრები ხშირად ჩვენი ემოციური განწყობის შედეგია. ხშირად „ცუდი“ სიზმარი მხოლოდ ფაქტორისგანაა გამოწვეული — მოუხერხებელი ბალიშით, ნოყიერი ვახშმით, ზედმეტად თბილი ან თხელი საბნით, ჩახუთული ოთახით. თუ ერთი და იგივე სიუჟეტი რამდენჯერმე მეორდება, მაშინ სჯობს ექიმს მიმართოთ.

„სიმპტომატური სიზმრების“ წარმოქნის მექანიზმი საიდუმლო აღარ არის. ადამიანის ორგანიზმში არის ე.წ. „მესამე სასიგნალო სისტემა“ ანუ ენერგოინფორმაციული კარკასი. ამიტომაც თავის ტვინის „შინაგან ტელეფონს“ მიეწოდება ორგანოების მდგომარეობის შესახებ ელექტრომაგნიტური იმპულსი. მაგრამ ღვიძილის პერიოდში, ჩვენ იმდენ ინფორმაციას ვიღებთ, რომ სიზმრად მიღებული ცნობების გაცნობიერებისას, თუ იგი აქტუალური ხასიათისა არ არის, აღარ ვახდენთ. ხშირად გვესმის ხოლმე: სიზმრებს საერთოდ არ ვნახულობო — და მართალი არ არის. სიზმარს ყველა ნახულობს, თვით ახალშობილიც კი. ღამის მანძილზე ადამიანი ორსაათიან „ფილმს“ მაინც ნახულობს. ბევრს ავიწყდება ნანახი, ზოგი მხოლოდ მეოთხედს იმახსოვრებს.

სიზმრად ნანახის შემეცნება რომ შევძლოთ, ყურადღება მაქსიმალურად უნდა გავამახვილოთ. ღამით თუ გაგეღვიძათ, არ გაინძრეთ, თვალებს ნუ გაახელთ 1-2 წთ. ეცადეთ, აღიდგინოთ სიზმრად ნანახი. თუ ამას შეძლებთ, ჩაიწერეთ დაწვრილებით. ძილის წინ თავს მიზნად დაუსახეთ, რომ ნანახი დაიმახსოვროს.

დილით ისევ შეეცადეთ სიზმრის გახსენება — უმჯობესია, ვინმეს უამბოთ სიზმრად ნანახი.

და საერთოდ, იძინეთ მშვიდად!

***ორაკული №10***


## ხალხური მედიცინა

მაქსიმალური გარანტია!!!

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!!

მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის 87, კაბ. №11

☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97



ექიმი კარდიოლოგი

## გია მაზავრაშვილი

* სუ ჯოკ აკუპუნქტურა;
* ჰომეოპათია და ფიტოთერაპია;
* კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში).

მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11, სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი

☎ 31-55-35; 38-67-56; 899-10-71-09


# რაზეა დამოკიდებული ცოლ-ქმრული ბედნიერება?

იუტას შტატის უნივერსიტეტის დოქტორი ჯეფრი ლარსენი მრავალ ცნობილ ფაქტორთან ერთად ასახელებს კიდევ ერთს, ძალიან უცნაურს, მაგრამ აუცილებელს — მეუღლეების ერთდროულად დაძინებასა და გაღვიძებას.

150 გამოკითხული ოჯახიდან, სადაც მეუღლეები ერთდროულად იძინებენ და იღვიძებენ — 94% კმაყოფილია თანაცხოვრებით, მაგრამ იმ ოჯახებში, სადაც „ბუ“ და „ტოროლა“ ცხოვრობს, 30% უკმაყოფილოა წარუმატებელი ქორწინებით.

მეცნიერების გამოკვლევებით თუ ვიმსჯელებთ, ეს იგივეა, როდესაც მეუღლეებიდან ერთი — სოფლის ბინადარია, მეორე — ქალაქის მკვიდრი და ვერ გადაუწყვეტიათ, სად იცხოვრონ.

მაშასადამე, ხასიათის, ტემპერამენტისა და კულტურის თანხვედრის გარდა, ოჯახური ბედნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეუღლეთა ბიორიტმის შესატყვისობას.

***ლიზა №37***

# ყავა პარკინსონის სამსახურში

ისინი, ვინც უარს ამბობენ ყავაზე, 5-ჯერ მეტად ავადდებიან პარკინსონით, ვიდრე მისი მოყვარულები, ასეთია იმ გამოკვლევების შედეგები, რომელიც აშშ-ში ჩატარდა. მეცნიერები, თვლიან, რომ კოფეინი იცავს ტვინის უჯრედებს, რომელიც გამოიმუშავებს ნერვულ მედიატორს — დოპამინს. იმ პაციენტებს კი, რომლებსაც კანკალა დამბლა აქვთ, ეს ნივთიერება გამოუმუშავდებათ ძალიან უმნიშვნელოდ — ამიტომ მიირთმევენ ყავას.

***ლიზა №37***


## პირველად საქართველოში ლალის კრისტალით მინიჭებული მშვენიერება



ლალის ლაზერული ეპილაცია ეს თქვენი სილამაზისა და მშვენიერების საუკეთესო გარანტიაა. ასეთი უკონტაქტო (ნემსის გარეშე) ეპილაცია პრაქტიკულად უმტკივნეულოა, ძლიერ სწრაფი და ამასთან, უვნებელია. კანის წინასწარი ტესტირებით.

მობრძანდით, ენდეთ ლალის კრისტალურ ეპილაციას.

20 ოქტომბრამდე 10%-იანი ფასდაკლება!

მის ირ. აბაშიძის ქ. №29 ☎ 25-18-88; 25-18-90

გერმანული წარმოების ულტრათანამედროვე აპარატი „RUBY STAR“


# ტესტი ფრთხილად, შიდსია!

შიდსმა კვლავ შეგვახსენა თავი. მარტო სექტემბრის ბოლომდე 17-ზე მეტი ახალი შემთხვევა აღირიცხა! ინფიცირებულთა რიცხვმა კი საბოლოოდ 151-ს მიაღწია. ეს ძალზე შემაშფოთებელი რიცხვია, მით უმეტეს, რომ მეცნიერთა უამრავი სენსაციური განცხადების მიუხედავად, შიდსის განსაკუთრებული წამალი ჯერაც არ შექმნილა და ის კვლავაც განუკურნებად დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ყველა საეჭვო შემთხვევის გამოკვლევა და ინფიცირების შემთხვევაში მათი აღრიცხვა. თუ როდესმე:

1. ჩაგიტარებიათ სამედიცინო პროცედურები არასტერილური ინსტრუმენტებით (შპრიცი);
2. გაგიკეთებიათ ნარკოტიკი ინტრავენურად;
3. გადაგისხამთ სისხლი და მისი შემცვლელები;
4. გადაგიტანიათ ჰეპატიტი B და C;
5. ავად იყავით სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით.

***გქონიათ შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტი პრეზერვატივის გარეშე, დაუკავშირდით შიდსის ცენტრს.***

***ტელ.: 39-80-18***

**ამასთან გაითვალისწინეთ:**

1) უსაფრთხოა ინფიცირებულთან საუბარი, რადგანაც დაავადება არ გადაეცემა ჰაერწვეთოვანი გზით. ინფექცია არ გადადის კოცნით, დახველებით და დაცემინებით.

2. არ არის საშიში ინფიცირებულის მიერ გამოყენებული ჭურჭელი, თეთრეული და ა.შ.

3. ვირუსი არ გადაეცემა მწერების და ცხოველების საშუალებით.


SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

## ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



## ხვრინვის გეშინოდეთ!




### გუდ ნაით სთოფ სნორი — GOOD NIGHT STOP SNORE

გაღვიძებისთანავე ხშირად ვგრძნობთ ყელის სიმშრალეს, უხასიათობას, შეშუპებას, დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებას და აზრადაც არ მოგვდის, რომ შეიძლება ამის მიზეზი ვითომდა „უწყინარი“ ხვრინვა იყოს. თანამედროვე მედიცინის ექსპერტების სერიოზული კვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ ხვრინვა, რომელიც წარმოქმნის ჟანგბადის უკმარისობას, ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიში პრობლემაა, რაც უსათუოდ იწვევს საკმაოდ სერიოზულ დაავადებებს, როგორიცაა გულის შეტევა, წნევა, დამბლა, ნევროზების რთული ფორმები და სხვა. ხვრინვასთან დაკავშირებულ პრობლემებს თქვენ წარმატებით მოგიხსნით შვეიცარიულ-ინგლისური კომპანია „სვისჰელსის“ მიერ შექმნილი უაღრესად ეფექტური და პოპულარული მთელ მსოფლიოში, ხვრინვის საწინააღმდეგო საშუალება „გუდნაით სთოფ სნორი“, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურად ნატურალური, უნიკალური ეთერზეთების ნაერთს; იგი მაქსიმალურად წმინდავს ცხვირ-ხახის სინუსებს და ბრონქებს, ამაგრებს მათ კუნთებს. „გუდნაით სთოფ სნორი“ გარდა ხვრინვისა, წარმატებით გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ცხვირ-ხახის არეში ჩირქოვანი წარმონაქმნებისა და ღრძილების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის.




**გუდნაით სთოფ სნორი — ჯანსაღი ძილის საუკეთესო გარანტია!**
**მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.**

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორეტი“ ☎: 99-87-37

# კატო ბაბოს ნაამბობი

კატო ბაბო ღვთისმოსავი ქალი იყო. სამი სალოცავი ჰქონდა: წმინდა გიორგი, წმინდა მარინე და თავისი ოთახის აღმოსავლეთი კედელი. სამივეს ყოველწლიურად ზვარაკს სწირავდა და სამივეს ერთნაირად ლოცულობდა. წმინდა მარინეს ეკლესიას გუმბათი უკვე მორღვეული ჰქონდა. ზარიც ჩამოეხსნათ, კოლმეურნეობის კანტორაში გადმოეტანათ და თავმჯდომარის კაბინეტში, სეიფის თავზე უმოქმედოდ იდო. წმინდა გიორგის ეკლესიასაც მხოლოდ სასანთლე შემორჩენოდა. ხალხს იქ მისვლასა და ლოცვა-კურთხევას უკრძალავდნენ, მაგრამ სოფელი თავისას არ იშლიდა: დღეობა მაინც იმართებოდა და ლხინისა და დოლ-გარმონის ხმა თავად თავმჯდომარესაც უფორიაქებდა სულს. კედლის სალოცავი კი მუდამ უხმაურო და მდუმარე იყო. საგანგებოდ მოჩუქურთმებულ, მაღალ მაგიდაზე იესო ქრისტეს ჯვარცმის ხატი ესვენა და სანთლით ჩამოღვენთილი სამი შანდალი იდგა, სადაც ყოველ შაბათ-კვირას კატო ბაბო საკუთარი ხელით ჩამოქნილ კელაპტრებს ანთებდა.

იმ ადგილას ერთ დროს მისი უმცროსი ვაჟიშვილის აკვანი იდგა. მერე კი ის საწოლი, რომელშიც ოთხი წლის გიორგიმ დალია სული. ეს სალოცავი გიორგის დაბადების დღეს „დააარსა“ კატო ბაბომ და მაისის ბოლო კვირის თავზე ისეთივე რიტუალს ასრულებდა, როგორსაც გიორგობას ან მარინობას. ამ დღეს მის სახლში თავს იყრიდნენ ნათესავები და მეზობლები. ზოგჯერ უცხო ადამიანებიც მოდიოდნენ და მუხლმოყრილები ლოცულობდნენ ჯვარცმის წინაშე. მერე მწირ სუფრას მიუსხდებოდნენ, მაგრამ ეს არ იყო ლხინი. არ ისმოდა გიტარისა და ფანდურის ხმა, არც დოლ-გარმონზე ცეკვავდა ვინმე. აქ მდაბლად საუბრობდნენ სიკვდილ-სიცოცხლის გარდაუვალობაზე, სააქაო და საიქაო ცხოვრებაზე, ღმერთის ნება-სურვილის უძლეველობაზე. აქ მოსული უკლებლივ ყველა სათითაოდ შედიოდა უფლის ხატთან, სანთელს დაანთებდა, აღსარებას იტყოდა, ცოდვებს მოინანიებდა და შინ განწმენდილი ბრუნდებოდა. ჯვარცმის მაგიდის ქვეშ პატარა, მოხატული, ოთხკუთხედი სკივრი იდგა, ბოქლომი ედო, მაგრამ დაკეტილი არავის უნახავს. კატო ბაბო ამ სკივრში ჩურჩხელებსა და გამშრალ ხილს ინახავდა. როცა მოეპრიანებოდათ, მიცუნცულდებოდნენ მისი შვილიშვილები და პირს იტკბარუნებდნენ ატმისა და ლეღვის ჩირით, ჩურჩხელებითა და ჩამიჩით. რატომ იქცა სიკვდილის სარეცლის ადგილი ჯვარცმის სახატედ, კატო ბაბომ კარგა ხნის მერეღა გამანდო:

„დიდი ოჯახი გვქონდა. აუარებელი საქმე იყრიდა თავს, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, ჯანი მომდევდა და ყველაფერს ავუდიოდი. ჩემი ფუფუნება მაინც ხუთი შვილი იყო — სამი ქალი და ორი ვაჟიშვილი მეზრდებოდა.

ოთხშაბათი თენდებოდა. ბინდ-ბუნდზე დავწველე ძროხები და ბოსლის დასუფთავება დავიწყე. უცბად ვიღაცა დამელაპარაკა. ავიხედე და სვეტზე მიყრდნობილი უცხო კაცი დავინახე. მკერდზე უმტვერო თოვლივით თეთრი წვერი ეფინა.

— შე საწყალოო, — მითხრა სინანულით. რა არხეინად გვი და კი არ იცი, რომ შვილი უნდა მოგიკვდესო. ცივმა ოფლმა დამასხა. ავცახცახდი. — რაო? — გამოველაპარაკე და მივაჩერდი, მაგრამ იქ მუხის დიდი ბოძის გარდა არაფერი დამინახავს. მოჩვენება გაქრა. დავაგდე ცოცხი, ამოვვარდი სახლში და შვილებს საბნები გადავხადე. უფროსებს ტახტზე მშვიდად ეძინათ. პატარა აკვანში შეიშმუშნა და ტკბილი ძილი განაგრძო. მაშინვე სანთლები ავანთე. თითოეულისთვის ვილოცე. მაგრამ იმ დღიდან სულ აფორიაქებული ვიყავი. ასე შიშსა და ელდაში ორ კვირაზე მეტი გავიდა და გიორგი გამიხდა ავად. აქეთ ექიმები, იქით — შინაური წამლები, თან გადავყევით, მაგრამ ვერაფერი ვუშველეთ. ხუნაგი შეეყარა და იმან დაახრჩო.

მას შემდეგ შევიცვალე. ორი წელი გონს ვერ მოვდიოდი. ჩემი ბიჭი ხან ეზოში მომეჩვენებოდა, ხან საწოლში, დავუძახებდი და ვიდრე მივუახლოვდებოდი — მეკარგებოდა. ის უცხო კაციც კარგა ხნის მერე ისევ ვნახე.

ჩემი მაზლი ახალი დანიშნული იყო და პატარძალი ჩემიანებთან რაღაც საქმეზე წამომყვა. საუბარში გართულებს მგზავრი წამოგვეწია. მაღალი, პირხმელი კაცი იყო. წითელპერანგა პატარა ბიჭი მოჰყავდა ხელჩაკიდებული. გავიხედე და ელდა მეცა, ზედგამოჭრილი ჩემი გიორგი იყო. ის კაციც მეცნო — თეთრწვერა მოჩვენება. შეშინებულმა რძალთან ლაპარაკი გავაბი. ნახევარ კილომეტრზე ვიარეთ ასე. გზის აქეთ ნაპირას ჩვენ მივდივართ, იქით — ისინი. გახედვას ველარ ვბედავ. გულს ბაგაბუგი გააქვს და ფერი მერევა. გზაგასაყარზე შევისვენეთ. კაკლის ხის ჩრდილში ჩამოვსხედით.

— ჩვენი მგზავრები საიდღა წავიდნენ? — იკითხა უცებ ჩემმა რძალმა.

— ვინ მგზავრები? — თითქოს სიზმარი გათავდაო — ძლივს გამოვერკვიე.

— წეღან გვერდზე რომ მოგვდევდნენ... ის ბავშვი, ვერ დაინახე?.. როგორ ჰგავდა შენს პატარა გიორგის.

მივიხედ-მოვიხედეთ. არსად ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა. მაშინ გიორგი ხუთი წლის მკვდარი იყო. ჩემს რძალს სურათში ჰყავდა ნანახი...

მარტო მე რომ მეხილა ის უცნაური მგზავრები, ვიფიქრებდი, მომეჩვენა-მეთქი. ავდექი და ჩემს რძალს გული გადავუშალე, დაწვრილებით მოვუყევი, რაც გადამხდა.

ჩემი მაზლის ცოლი ავი დედაკაცი გამოგდა. უქნარა. სანამ ახალი მოყვანილი გვყავდა, ვარიგებდი, ვეხმარებოდი, ბევრ რამეს ვასწავლიდი. მაგრამ არ იქნა და არ გაიწვრთნა. მალე დაწვრილშვილდა, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო. ბალღები მშიერ-ტიტველი დაუდიოდა. მეცოდებოდნენ. შვილებივით ვუვლიდი, ვბანდი, ვურეცხავდი, ვუკერებდი, ვაპურებდი. „ზინგერის“ საკერავი მანქანა მქონდა მზითვად მოყოლილი. ვეხვეწებოდი, — კერვას გასწავლი, იშრომე და ოჯახს ხელი წააშველე-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერი შევასმინე. დღეში სამ-ოთხჯერ უნდა გამოეძინა. დარბოდნენ იმისი შვილები ფეხშიშველები, გასაცოდავებულები. ზაფხულობით თავიანთ ეზოში ხილს რომ მოილევდნენ, მოედებოდნენ სხვის ბაღ-ბოსტანს და რაც მოხვდებოდათ, სვლეპდნენ. ერთხელ სონკამ პატარას მარწყვის კვლებში მოუსწრო და სახრით გვერდები აუჭრელა. დავიწვი იმის ცოდვით, წამოვიყვანე, დაჟეჟილ



ადგილებზე ცივი საფენები დავადე, დავუყვავე, დავბანე, საჭმელი ვაჭამე და დედამისს მივვარდი. ტახტზე წამოწოლილიყო და არხეინად ეძინა. დავეცი ხელი და წამოვაგდე — შე გულმკვდარო, რო გაშხლართულხარ და დააწანწალებ ამ ბავშვებს უპატრონოდ, დაგეთხაროს თვალები, ნახე როგორ დაალურჯა სონკამ-მეთქი. წამომიფრინდა და რას წამომიფრინდა, ჯანიანი ქალი იყო. ორი ჩემხელა გამოიჭრებოდა. გამოიწია ჩემკენ. ჯერ მუთაქას დაავლო ხელი და მესროლა, მერე ნაკვერჩხლის უთოს... ბავშვებმა ტირილი მორთეს. ატყდა ერთი წივილ-კივილი, შეიყარა სოფელი. მაშინ მომიკლა გული! ავსული მეძახა, კუდიანი, მოჩვენებები და მიცვალებულები უკან დაჰყვებიანო — უმტკიცებდა მეზობლებს. სირცხვილით გარეთ თავის გამოყოფა არ მინდოდა. ერთი კვირა მგლოვიარესავით ვიყავ. ვიტანჯებოდი. თან გადაუღებელი წვიმები დაიწყო. კუპრივით ღამეები ჩამოწვა. ერთ დილას გამოველ და რას ვხედავ?! ჩემი ფუტკრის სკები მილეწ-მოლეწილი ყრია, თაფლი წაღებული. გადარჩენილი ფუტკარი ცაცხვის ტოტებზე ახუნძლულა, საცოდავად ბზუის. შინ კაცი აღარა მყავს. ქმარიც ფრონტზეა, შვილიცა და სიძეებიც. მოვიდა მილიცია. გადაჩხრიკეს ეჭვმიტანილების სახლ-კარი. ერთგან ორი დიდი ბიდონი თაფლი ნახეს. ჩაავლეს იმის პატრონს ხელი და წაიყვანეს. იფიცებოდა, მართალი ვარო, მაგრამ ვინ დაუჯერა. ხელები უკან გაუკრეს, მოტოციკლის მისაბმელში ჩასვეს და წაიყვანეს. სანამ შოფერი ფეხით საქოქს აფხაკუნებდა, ვუსაყვედურე:

— არა გრცხვენია, ვასიკო, ეს არის ჩვენი ნათელმირონობა-მეთქი?! ხმა არ ამოუღია. შემომხედა სევდიანი, ალალი თვალებით და ცრემლები ჩამოსცვივდა.

უცებ სხეულში ჭვალმა დამიარა. თავი გამიბრუვდა და თაფლის ქურდი დამიდგა თვალწინ — ჩემი ნათესავი და ახლობელი. ვხედავდი, როგორ გლეჯდა სკებს სახურავებს და ფიჭას არყის სახდელ ქვაბში ყრიდა.

— გაუშვით, თქვენი ჭირიმე, ეს კაცი ქურდი არ არის-მეთქი — წინ გადავუდექ მილიციელებს. გაკვირვებულებმა შემომხედეს, მოტოციკლი დაქოქეს და პასუხის ნაცვლად მტვრის კორიანტელი შემომაყარეს...

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. თვალწინ მედგა ფუტკრებისგან სახედარუმბებული ჩემი ნათესავი და ის უდანაშაულო დამნაშავე. მეორე დღესვე შევკაზმე ცხენი, რაიონში გადაველ და კითხვა-კითხვით მილიციის უფროსს სახლში მივადექი. ახალგაღვიძებული თვალების ფშვნეტით გამოვიდა.

— გაუშვი, შვილო, ის კაცი, მართალია-მეთქი.

გაიცინა. შენ რა, გამომძიებელი ხარ თუ რაო? მაშინ ნამდვილი დამნაშავე უნდა დაგვისახელოო. ვიცი, მაგრამ ხელს ვერ დავადებ-მეთქი, ვერ დაადებ და ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო. ერთი კვირა ვიარე იმ უფროსთან. წამომყვა. ჩემი თაფლიც გავასინჯე და „ქურდისაც“! ხომ ხედავ, რომ ეს ჩემი თაფლი არ არის, — ვუთხარი და მოტოციკლის მისაბმელში ნახევარფუთიანი თაფლის ბიდონი ჩავუდგი. ზედ ერთი ტომარა კაკალიც მივაყოლე. უფროსმა რაღაცნაირად გაიცინა და მეორე დღეს ვასიკო სულ გრიალით თვითონვე ამოიყვანა სოფელში. იმ დღიდან ჩემს სახლში ფეხი ამოვაკვეთინე იმ ჩემ დამაქცევარ ნათესავს. არც ლხინში გავიკარე ახლოს და არც ჭირში. იცოდა, რასაც ვემდუროდი და ხმას არ იღებდა. ჯერ დაყრუვდა, მერე ნაწლავები გადაესკვნა და იმით დაიღუპა საცოდავი. ასე დამჩემდა გულთამხილაობა. არ ვიცი, უბრალოდ გუმანი მკარნახობდა თუ რა იყო ეს საოცრება. რაიმე ნიშნებით კი არა, ცხადად წარმომიდგებოდა ხოლმე, რაც უნდა მომხდარიყო. სად რა იყო დაკარგული და დამალული. ისე დავიტანჯე, არ ვიცოდი, სად გავქცეოდი საკუთარ თავს. უფრო იმისა მეშინოდა, ვინმესთან არაფერი დამცდენოდა. ამიტომაც ენას კბილს ვაჭერდი. ჩემი უფროსი სიძე ომიდან რომ არ დაბრუნდებოდა, თავიდანვე ვიცოდი. ნათლად წარმომიდგა იანვრის თვრამეტს როგორ გაუგლიჯა მხარი ნაღმის ნატეხმა. მეორე ქალი ქალაქში მყავდა გათხოვილი. იმის ქმარიც ფრონტზე იყო. დავიწყებდი თუ არა ფიქრს, იმასაც ვხედავდი მალ-მალე — უცხო ქვეყნის ტყე-ღრეში დაეხეტებოდა და ვერ ვიგებდი, სად იყო.

ომი რომ დამთავრდა, შიმშილობა ჩამოვარდა. მეზობელს ბავშვი გაუხდა ავად. თონეში პური გამოვაცხვე და ავადმყოფის პატრონს რამდენიმე შოთი გავუგზავნე. ჯერ თონე გაცივებული არ იყო, რომ ქოთნით ლობიო ჩავდგი მოსახარშად. კინაღამ ღადარში ჩავვარდი. ისევ გამიბრუვდა თავი და ის პატარა გოგო ყვავილებით მორთულ კუბოში დავინახე. მეორე დილას დედამისის კივილმა შეძრა სოფელი. ერთხელ ნიაღვარი ვიხილე. გაგანია სიცხე იდგა. მე კი დღისით, მზისით, მღვრიე ტალღები სადღაც მიმაქანებდა. გულმა რეჩხი მიყო. ავიღე თოხი და ნიჩაბი და სანიაღვრე არხის გაწმენდას შევუდექი. შვილიშვილებიც მეხმარებოდნენ. გამვლელ-გამომვლელი გაკვირვებული ჩერდებოდა.

რას სჩადი, კატოო... წარღვნა მოვა-მეთქი. იცინოდნენ: მერე შენი გაჩიჩქნილი არხი დაიჭერს წარღვნასაო. მართლაც საშინელი წვიმა მოვიდა. ფერდობებიდან ჩამოსულმა ღვარცოფმა წალეკა ყველაფერი, ხეები ძირიანად ამოთხარა, მეზობლებს ბინის კარ-ფანჯრები შეუნგრია და რიყეზე ჩაიტანა. ჩემი გაწმენდილი არხი ღრმა ხევად იქცა, ეზო კარგად დაიტბორა, მაგრამ სახლს არაფერი ევნო. ნიაღვარმა მართლაც თავისი გზა ნახა.

მე კი საკუთარი თავის უფრო და უფრო მეშინოდა, მაგრამ კარგ ამბებსაც ვგრძნობდი და ვხედავდი წინასწარ. ჩემი უფროსი ვაჟი დაჭრილი ჩამოვიდა ფრონტიდან. გამოჯანმრთელდა თუ არა, ბაქოში უკრეს თავი — მუშათა ბატალიონში. სამი წელი მისგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ერთხელაც კვლავინდებურად ავფორიაქდი. ინდაური დავკალი. ათასნაირი ნუგბარი გამოვაწყვე. შვილიშვილები გავაფრთხილე — ხელი არ ახლოთ მამის მოსვლამდე-მეთქი, ჩემს რძალს გაეცინა. დეპეშა მიიღე თუ რაო? მე მაინც სამზადისში ვიყავ. მთელი ღამე ვწრიალებდი, არ მეძინებოდა. განთიადისას ჩემი შვილი შინ უნდა ყოფილიყო. ვიცოდი, მეორე მატარებელს გამოყვებოდა, რკინიგზიდან ხუთიოდე კილომეტრი გვაშორებდა, მაგრამ ორთქმავლის კივილი მამლის ყივილივით აღწევდა ჩვენამდე. ეს დროც დადგა. მე გული კინაღამ გამიჩერდა, მაგრამ სოფლის ბოლოში ძაღლები რომ აყეფდნენ, წამოვდექი და ფანჯრიდან დავიწყე ყურება. მალე ფეხის ხმა შემომესმა. კიბეზე ჯერ თოფის ლულა გამოჩნდა, მერე — კაცი.

კიდევ ჩემი შვილიშვილი ვნახე, საფრთხე ემუქრებოდა. პიონერთა ბანაკში წაიყვანეს ჯავაში. მე იქ არასოდეს ვყოფილვარ. უცებ თვალწინ დამიდგა ბანაკის ეზო, ლიახვიდან მას მხოლოდ მისასვლელი გზა ყოფდა. ვხედავ, ჩემს შვილიშვილს მიწა ეცლება ფეხებიდან და მდინარში უნდა ჩავარდეს. ავად გავხდი. უკვე ხანში შესული ვიყავი და სიბერეს დააბრალეს. დავიჟინე: ვკვდები, ბავშვი ცოცხალს მაჩვენეთ-მეთქი. იმდენი ვქენი, უკან ჩამოვაყვანინე. ერთ კვირაში ამბავი ამოვიდა ჯავიდან — ლიახვი ადიდებულიყო და ბანაკის ეზო წაელეკა“.

კატო ბაბომ ოთხმოცდათორმეტი წელი იცოცხლა: არც თმა გასთეთრებია, არც სმენა დაჰკლებია და არც კბილი წამოსტკივნია. უსათვალოდ კითხულობდა. გარდაცვალების წინა დღეს დედის სანახავად თბილისიდან ჩამოსულმა ქალიშვილმა „ახალგაზრდა კომუნისტის“ სათაური დამარცვლით წააკითხა და პირველკლასელივით შეეკითხა — რა გამოვიდაო. კატო ბაბომ თვალები ჭერს მიაპყრო, ასო-ასო ერთხელ კიდევ გაიმეორა წაკითხული და „დაასკვნა“: ხალხის საქმე დაზიანდა კომუნიზმისგანაო!

— უი, დედი, ეგ რა თქვი, პოლიტიკურზე ჩაგსვამენო, — შეიცხადა შვილმა.

ველარავინ ჩამსვამს, შვილო, შენ რეზოს უთხარი, ცხენი მოძებნოს, თორემ ამაღამ მგელი შეჭამს, დაბორკილაო. რეზომ ყურიც არ გაიბერტყა.

განთიადისას მახლობელი ტყიდან ცხენის განწირული ჭიხვინი მოისმა.

კატო ბაბოს თვალები დაეხუჭა და საუკუნოდ ეძინა.

*ეთერ თარიმანი*


## ნუ დათმობთ ადვილად სექსუალურ პოტენციას

პრობლემა, რომელსაც სექსუალური პოტენციის დაქვეითება ჰქვია, ადრე თუ გვიან ყოველი მამაკაცისათვის აქტუალური ხდება.

გახსოვთ ცნობილი სიუჟეტი? „მივდიოდი, წავიქეცი, გონზე მოვედი თაბაშირით ხელზე!”

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელი და ძლიერი მამაკაცი საუკეთესო წლებში, დილით ნაწილობრივ ან სრულ იმპოტენტად იღვიძებს. პროცესი, რომელმაც შეიძლება ამგვარი მძიმე შედეგი გამოიწვიოს, დაწყებით ეტაპზე უფრო ხშირად ხანგრძლივი და ნაკლებად შესამჩნევია. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. სიმპტომი მეორადი მოვლენაა. ყოველგვარი სექსუალური დარღვევა, უროგენეტალური ან სხვა პათოლოგია უცაბედად არ დაგატყდებათ თავზე.

მსოფლიოში ასეულობით მილიონ მამაკაცს აქვს პრობლემები სექსუალურ სფეროში. სექსუალური დარღვევების და იმპოტენციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ხშირად, სქესობრივი გზით გადამდები არანამკურნალევი ან არასწორად ნამკურნალევი ინფექციებია. ამგვარ დაავადებათა შედეგი მეტად მძიმეა: უშვილობა, იმუნიტეტის დაქვეითება, სხვადასხვა ორგანოთა დაავადების გამოწვევა და სხვა.

ერექციის დარღვევით და სექსუალური აქტივობის დაქვეითებით გამოწვეული დეპრესია და გახანგრძლივებული ფსიქიური ტრავმა, ხშირად ოჯახის დანგრევის მიზეზიც ხდება.

სქესობრივი გზით გავრცელებადი ინფექციები „წრეში მოგზაურობენ”. ისინი გადადიან ერთი ორგანიზმიდან მეორეში და დროული ჩარევის გარეშე, წრე ოდესმე იკვრება.

როგორც გამოკვლევებმა ცხადყვეს, სადღეისოდ, საქართველოში, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების მხრივ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა.

საკმაოდ გავრცელებულია ქლამიდიებით, გონოკოკებით, ტრიქომონით გამოწვეული დაავადებები.

როდესაც არსებობს პრობლემა, ლოგიკურია, მოიძებნება მისი გადაწყვეტის გზები, მთავარია, არჩეული გზა ყველაზე ოპტიმალური და ეფექტური იყოს.

**სწორედ ეს არის სამედიცინო ცენტრი „მედი”-ს დევიზი.**

თქვენი პრობლემების მოსაგვარებლად აქ შემოგთავაზებენ მსოფლიოს უკანასკნელ მიღწევათა ბაზაზე დაფუძნებულ, მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს.

დიაგნოსტიკას, მკურნალობას და კონსულტაციებს ატარებენ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტები, მათ შორის უცხოეთის წამყვანი კლინიკებიდან მოწვეული ექიმები.

„მედი” წარმატებით წყვეტს პრობლემებს შემდეგი მიმართულებით:

◆მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი;
◆წინამდებარე ჯირკვლის ადენომის ადრეული სტადიების და კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა;
◆პოტენციის დაქვეითება, ერექციის არქონა და სხვა სახის სექსუალური დარღვევები;
◆ნაადრევი ეაკულაცია;
◆სექსუალური შესაძლებლობების და სქესობრივი ფუნქციის ხარისხის გაუმჯობესება.

სამედიცინო ცენტრი „მედი” იცავს თავისი პაციენტების სრული კონფიდენციალობის მკაცრ წესს.

პრობლემა, რომელსაც დღეს აბეზარი ბუზივით ხელს აუქნევთ, ხვალ ბუმერანგივით, გაორმაგებული ძალით მოგაყენებთ დარტყმას და თქვენს და თქვენთვის ძვირფასი ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის.

გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი პრობლემები შორეულ წარსულში დარჩება.

**სამედიცინო ცენტრი „მედი”**
**ზ. ფალიაშვილის ქ. №44**
**ტელ: 29-05-25; 25-27-09**

# მაიას ვარსკვლავთმრიცხველების საოცარი ცოდნა

ეს ამბავი ოთხას წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო. ესპანელი დამპყრობლების ერთი რაზმი თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენებისგან ხარკს იღებდა. დამქანცველი მგზავრობის შემდეგ დაბანაკებულთა ყურადღება ჩამავალი მზის სხივებით განათებულმა კლდეებმა მიიპყრო, რომლებმაც მათ თვალწინ სახე იცვალეს... გაოგნებული და შეშინებული უცხოელები თვალს ვერ სწყვეტდნენ სანახაობას — უზარმაზარი კლდე ადამიანის გიგანტურ თავად გადაიქცა, ვეება ცხვირითა და დიდი გადმოკარკლული თვალებით. ესპანელები ყვირილით წამოცვივდნენ და უკან მოუხედავად გაიქცნენ...

ასე შეხვდა დაუპატიჟებელ სტუმრებს შორეული, ეგზოტიკური და უმდიდრესი ქვეყანა. ძველ ესპანურ ქრონიკაში ამოკითხული ამბით ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში პერუელი მეცნიერი დანიელ რუსო დაინტერესდა, მან გადაწყვიტა ესპანელთა გზით გაევლო და ადგილზე შეესწავლა თითოეული კლდე, გადაეღო სურათები.



ფოტოების შესწავლის შედეგად რუსომ გიგანტურ ქანდაკებათა უზარმაზარი გალერეა აღმოაჩინა. რაც მთავარია, ამ ქანდაკებების დანახვა მხოლოდ გარკვეული წერტილიდან, მზის ჩასვლის წინ შეიძლებოდა. ეს კი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ძველმა პერუელებმა კარგად იცოდნენ ოპტიკის ურთულესი კანონები. რუსოს ამ აღმოჩენამ გააოგნა მეცნიერები, მაგრამ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლამ მეცნიერებას იმდენი სიურპრიზი შესთავაზა, რომ მათ ფონზე „კონკისტადორების საიდუმლოც“ კი გაფერმკრთალდა.

ქვის საკურთხევლის რელიეფი, რომელიც დღევანდელი გონდურასის ტერიტორიაზე, უძველეს ქალაქში იპოვეს, შეიცავს ცნობებს „სამეცნიერო ყრილობათა“ შესახებ, რომლებშიც მაიას ტომის ბრძენკაცები მონაწილეობდნენ. ამ „ყრილობათა“ თემატიკა იმ დროისათვის წარმოუდგენელი იყო: მზისა და მთვარის დაბნელების წინასწარი გათვლა, მთვარისა და ვენერას ფაზების პერიოდულობა, წლის ხანგრძლივობის დაზუსტება და იმ შეცდომების გამოსწორება, რომელიც 52 წლის მანძილზე დაგროვდა. 52 წლიან ციკლს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალური და სამხრეთამერიკელი ხალხების ცხოვრებაში. ციკლის უკანასკნელი 5 დღე ძალზე სახიფათოდ მიიჩნეოდა. მაიას ტომსაც და აცტეკებსაც სჯეროდათ, რომ ამ დღეებში მოსალოდნელი იყო სტიქიური უბედურებები და კატასტროფები. მაიას ტომი გრძელ — 365 და მოკლე — 260 დღიან წელიწადს სცნობდა. მათ ასევე ზუსტად იცოდნენ დასაბამიც — 5.041.738 წელი ჩვენს ერამდე.

ბულგარელი მკვლევარი სტეფან ნიკიტოვი მიიჩნევს, რომ მაიას ქურუმებმა მზის წლის ხანგრძლივობა გასაოცარი სიზუსტით გამოთვალეს! ეს რიცხვი თითქმის უტოლდება დღეს მიღებულ მნიშვნელობას და ცდომილება 5000 წლის მანძილზე მხოლოდ 1 დღე-ღამეს შეადგენს! მაიას ვარსკვლავთმრიცხველებმა ასევე იცოდნენ, რომ მარსი ყოველი 780 დღე-ღამის შემდეგ კაშკაშა „ვარსკვლავად“ გადაიქცევა და შესაძლოა, ეს გარემოება ხსნის მაიას მოკლე წლის (260 დღე) ხანგრძლივობას, რადგან სწორედ სამი ასეთი წელი ქმნის 780 დღეს — „მარსის ციკლს“.

ინდიელთა ცივილიზაციის აყვავების დროინდელი ოსტატების საოცარი ქმნილებაა „მზის ქვა“, რომელიც ამჟამად მეხიკოს მუზეუმშიინახება. მისი დისკოს დიამეტრია 3,6 მ, სისქე — 1 მ, ხოლო წონა 24 ტ. იგი ქურუმებს კალენდრის მაგივრობას უწევდა. ქვაზე ამოკვეთილია კონცენტრირებული წრეები, იდუმალი სიმბოლოები, გეომეტრიული ფიგურები. ისტორიკოსების ვარაუდით, ხელოვნების ამ ნიმუშში აღბეჭდილია უძველესი წარმოდგენები სამყაროზე.

ქვის მონოლითის ცენტრშია მზის ღმერთის ტონატიუს სახე. იქვე მოჩანს ოთხი კვადრატი უცნაური ნიშნებით, რომლებიც კაცობრიობის მიერ განვლილი ოთხი ეპოქის სიმბოლოა. პირველ ეპოქას მართავდა მარადიული ახალგაზრდობის ღმერთი, მეორეს — ქარის, მესამეს — წვიმის ღმერთი, ხოლო მეოთხეს — წყლის ქალღმერთი, რომელმაც კაცობრიობას წარღვნა მოუვლინა. როგორც ჩანს, ამბავი საყოველთაო წარღვნის შესახებ მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის მონაპოვარი არ გახლავთ.

რისთვის სჭირდებოდათ ინდიელთა ტომებს ასეთი ღრმა ასტრონომიული ცოდნა? ზუსტი კალენდრის შესადგენად ხომ ასევე ზუსტად უნდა გამოეთვალათ და ჩაეწერათ პლანეტების მოძრაობა დაახლოებით 10000 წლის მანძილზე! შესაძლებელია კი, ასეთი ხანგრძლივობის ცივილიზაციის არსებობა? იქნებ ქურუმებს ეს ცოდნა მემკვიდრეობით ერგოთ სხვა, მაღალგანვითარებული ცივილიზაციისაგან, რომლისგანაც არავითარი კვალი არ დარჩენილა დედამიწაზე?

დღევანდელი პერუს ტერიტორიაზე ოდესღაც ინკების დიდი იმპერია არსებობდა. ინკებმა კარგად იცოდნენ სამთო საქმე, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის დამუშავება. მათ გრანდიოზული სარწყავი სისტემა შექმნეს. ჯერ კიდევ შემორჩენილია უძველესი ხიდები, გზები, ტაძრები, ციხესიმაგრეები — არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები. ინკები შესანიშნავი მკურნალებიც იყვნენ. 1975 წელს პარიზში პლასტიკური ქირურგიის საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა პერუელი მეცნიერი ზ. აპიანი, რომელმაც გასაოცარი ფაქტები წარმოადგინა. მეცნიერმა ანთროპოლოგიის მუზეუმში 150-მდე ტრეპანირებული თავის ქალა შეისწავლა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინკელი ქირურგები საკმაოდ რთულ ოპერაციებს აკეთებდნენ და თავის ქალის დაზიანებულ მონაკვეთებს ოქროს ან ორგანული მასალის ფირფიტებით ცვლიდნენ.

საუკუნეების მანძილზე მრავალი ერის ფოლკლორში იყო გაბატონებული მითი ორი (ან რამდენიმე) მზის შესახებ, რომლებიც ერთდროულად ამოდიოდნენ ცის კაბადონზე და დიდი უბედურება მოჰქონდათ... ამ ლეგენდარულმა სიუჟეტმა, სრულიად მოულოდნელად, რეალური ასახვა ჰპოვა უკვე ჩვენს დროში გაშიფრულ ბაბილონის ლურსმულწარწერიან ფირფიტებში, რომელიც დიდძალ ასტრონომიულ ცნობებს შეიცავდა. მათში ნახსენებია „გიგანტური ვარსკვლავი“, რომელიც სამხრეთის ორი თანავარსკვლავედის პარუსისა და კორმას მიჯნაზე მდებარეობს. რაოდენ დიდი იყო მეცნიერთა განცვიფრება, როცა მათ 1968 წელს ცის ამ ნაწილში მართლაც აღმოაჩინეს დიდი ციური სხეული — ამ პულსარს 6-8 ათასწლეულის წინ, თვეების მანძილზე, მართლაც შეეძლო მეტოქეობა გაეწია მზისთვის.

ძველი ინდიელები (რომლებიც ახლანდელი ნიუ-მექსიკის (აშშ) ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ) მთვარის ლაქებში ბოცვრის ფიგურას ხედავდნენ. შეგახსენებთ, რომ იმ უძველეს ხანაში, ამერიკელი აბორიგენები ბოცვერს მთვარის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

1054 წლის 5 ივლისის დილას მიმბროსის ტომის ინდიელებმა ცის აღმოსავლეთით, ნამგალა მთვარის გვერდით, მოულოდნელად აკაშკაშებული ობიექტი დაინახეს. ერთ-ერთმა დამკვირვებელმა ეს მოვლენა ჩაიხატა... და მთვარეზე ბოცვერი აღიბეჭდა. სწორედ ეს გამოსახულება იპოვეს არქეოლოგებმა უძველეს თიხის ლარნაკზეც — მასზე გამოხატულია შავი წრე 23 სხივით, რომელსაც ბოცვრის უკანა ფეხები ებჯინება და ზუსტად იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ჩინური ქრონიკების თანახმად, 1054 წელს უიშვიათესი კოსმოსური მოვლენა — ვარსკვლავის აფეთქება მოხდა. აფეთქება ძლიერ კაშკაშა იყო და 23 დღის განმავლობაში დღისითაც ანათებდა!

ეს აღმოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ უძველეს ინკებს უფრო ღრმა ცოდნა ჰქონიათ ასტრონომიაში, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი.

***ნლო №32***

# ახალგაზრდობის ელექსირი



„ადამიანის გაახალგაზრდავება სავსებით შესაძლებელია. ასეთი საშუალება არსებობს“. — წერდა ყველა დროის მკურნალთაგან უძლიერესი პარაცელსი.

„სიცოცხლის ელექსირი“, თანაც სამ ვარიანტად, კაცობრიობას სწორედ მან უძღვნა — დიდმა ფილოსოფოსმა, მეცნიერმა და ექიმმა. პარაცელსი მე-16 საუკუნეში მოღვაწეობდა, ზოგჯერ მას ჯადოქარსაც უწოდებდნენ, ზოგჯერ თეოსოფს, ვინ — ალმერთებს, ვინ კი დღემდე წყევლა-კრულვას უთვლის.

პარაცელსი გერმანიაში, ჰოჰენჰაიმის საავადმყოფოს ექიმის ოჯახში დაიბადა. ასაკის მომატებასთან ერთად უფრო და უფრო ემსგავსებოდა ქალს — წვერი არ ამოსდიოდა. დღემდე შემორჩენილი მისი თავის ქალა უფრო ქალისას ჰგავს, ვიდრე მამაკაცისას. არც ქალებთან ჰქონია ოდესმე ურთიერთობა.

სიჭაბუკეში მრავალმხრივი განათლება მიიღო — მამამ ალქიმია, ქირურგია და თერაპია შეასწავლა. ამიტომაც არ გასჭირვებია ბაზელის უნივერსიტეტში შესვლა. ოფიციალური მეცნიერების გარდა, იოლად შეისწავლა ოკულტური მეცნიერებაც.

პარაცელსი ბევრს მოგზაურობდა. ლეგენდის მიხედვით, ინდოეთში იგი მაჰმადიანებს მოუტაციათ. სწორედ იქ შეუსწავლია აღმოსავლური ოკულტური ხელოვნება. 1527 წელს პარაცელსი გერმანიაში დაბრუნდა და ნიურნბერგის მთავარ ექიმად დაიწყო მუშაობა. კოლეგები არ სწყალობდნენ — თაღლითს, შარლატანს, თვითმარქვიას უწოდებდნენ. საკუთარი რეპუტაცია რომ დაეცვა, უიმედო ავადმყოფების მკურნალობა გადაწყვიტა. ახალგამომცხვარ მკურნალს რამდენიმე ელეფანტიაზმით (სპილოს დაავადება) დაავადებული გაუგზავნეს. პარაცელსმა ყველა განკურნა.

ფრანგი მეფის, ლუდოვიკო XV-ის ექიმი ლეზებიური იგონებს „სიცოცხლის ელექსირზე“ პარაცელსის ჩატარებულ ექსპერიმენტებს, რომელთა მოწმეც თავად ყოფილა. პარაცელსის ერთ-ერთი პაციენტი ყოველდღე სვამდა „სიცოცხლის ელექსირს“. ცვლილება მის გარეგნობას დიდად არ დასტყობია. ამიტომ თავის მოხუც მოსამსახურე ქალს უწილადა წამალი. მოხდა სასწაული — შინამოსამსახურე რამდენიმე დღეში გაახალგაზრდავდა. ახლა ქათამს აჭამა ელექსირში ჩამბალი ხორბალი. მეექვსე დღეს ქათამს ბუმბული გასცვივდა, ორ კვირაში ახალი, ჭრელი ბუმბული ამოუვიდა და კვერცხის დებაც დაიწყო.

პარაცელსის „ახალგაზრდობის ელექსირის“ საიდუმლო დღემდე ვერ ამოხსნეს. ბევრს მიაჩნია, რომ ჯერ ამის დრო არ დამდგარა.

საიდუმლოებითაა მოცული მეცნიერის სიკვდილიც. ხმები დადიოდა, პარაცელსს თავს ბანდიტები დაესხნენ, რომლებიც მისმა მოშურნეებმა დაიქირავესო. პარაცელსი თავდასხმის დროს დაცემულა და თავის ქალა ჩამტვრევია. გერმანელმა ექიმმა ფონ ზემერინგმა გამოიკვლია პარაცელსის ქალა და დაასკვნა, რომ ბზარი თავის ქალაზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში უნდა გაჩენილიყო...

ლეგენდის მიხედვით, პარაცელსის ასტრალური სხეული მის სიცოცხლეშივე აღარ იყო დაკავშირებული ფიზიკურთან. ახლა იგი სადღაც აზიაში ცხოვრობს, საიდანაც თავისი მიმდევრების გონებას მართავს, განსაკუთრებით დაახლოებულ პირებს კი ხორცშესხმული ევლინება.

***ეხო პლანეტი №30***

# ეგვიპტური სასჯელი

როცა ფარაონმა ებრაელები ეგვიპტიდან არ გაუშვა, ღმერთმა მისი დასჯა გადაწყვიტა და მოსეს უბრძანა, მდინარე ნილოსის წყალზე კვერთხი დაერტყა. მდინარის წყალი სისხლივით გაწითლდა, აყროლდა, თევზი გაწყდა, დედამიწა დაიფარა ბაყაყებით, გაჩნდა კოლოების, კალიების უზარმაზარი გუნდები. გავრცელდა საშინელი ეპიდემია, საქონელი დაიხოცა, ციდან წამოვიდა მსხვილი სეტყვა, სამი დღით ყველგან წყვდიადმა დაისადგურა. ეს უბედურება საშინელი ტრაგედიით დამთავრდა. ყველა ეგვიპტელის ოჯახს პირმშო დაეღუპა. მმართველის გამო უბრალო ადამიანები დაისაჯნენ. ნილოსის ნაპირებზე დატრიალებული უბედურება მოხდა ჩვ. წ. აღ-მდე XII საუკუნეში რამზეს I-ისა და მისი ვაჟის მერენფათახის მეფობის დროს.



ამერიკელმა მეცნიერებმა გააანალიზეს ტრაგედია. აღმოაჩინეს მიკროორგანიზმი, რომელიც შესაძლოა გახდა ნილოსის წყლის მომწამვლელი და ყველა უბედურების მიზეზი. ამ მიკროორგანიზმით დაავადებული წყალმცენარეები, განვითარების გარკვეულ ეტაპზე უძლიერეს ტოქსინს გამოყოფენ, რომელიც წყალს წითლად ღებავს და მისი გამოყენება სასმელად და სარწყავად სახიფათო ხდება. გარდა ამისა, იღუპება წყალში მყოფი ყველა ცოცხალი არსება. როცა ნილოსის წყალი მოიწამლა, ბაყაყებმა გაქცევით უშველეს თავს და მიწაზე ამოხტნენ. ბევრი მათგანი გვალვისაგან დაიღუპა, დანარჩენები კი ეგვიპტელებმა გაწყვიტეს.

ბაყაყების განადგურებამ გამოიწვია კოღოების პოპულაცია და ცხენებსა და ცხვრებში აფრიკული ენცეფალიტის არნახული ზრდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი ნილოსის ორივე სანაპიროზე საქონლის განადგურებისა. „და აღარ დარჩათ ეგვიპტელებს არც საქონელი მინდვრებში, არც ცხენები, არც აქლემები და არც ცხვრები“, — გვაუწყებს ბიბლია.

იმ რეგიონების მთავარი უბედურება იყო კალიების შემოსევა. ხოლო რაც შეეხება დამანგრეველ სეტყვას, როგორც ჩანს, ეს იყო ბუნებრივი კატაკლიზმი; სამდღიანი წყვდიადი კი, მეცნიერთა აზრით, გამოწვეული იყო საშინელი ქვიშიანი ქარიშხლით ან მიწისძვრით, რომლის დროსაც მტვრის უზარმაზარი ღრუბლები გადაადგილდა.

ეგვიპტელების თავზე დატეხილი უბედურება ქრონოლოგიურად ამოცნობილი და მეცნიერულად დამტკიცებულია, მაგრამ რით აიხსნება ეგვიპტელი ბავშვებისა და თვით ეგვიპტელების სიკვდილი? სასჯელის ეს უკანასკნელი რგოლი გახლავთ სეტყვისა და კალიების თავდასხმის პირდაპირი შედეგი: ღმერთის შურისძიებით შეშინებულმა, შიმშილითა და მოსალოდნელი სიკვდილით თავზარდაცემულმა ეგვიპტელებმა სასწრაფოდ დაიწყეს ჯერ კიდევ დაუმწიფებელი ჭირნახულის აღება, ხორბალს ბეღელში ათავსებდნენ, სადაც იგი დაობდა და გამოყო მომწამვლელი ნივთიერება. ტრადიციისამებრ, უფროს ვაჟებს საჭმლის ორმაგი ულუფა ეკუთვნოდათ და ბავშვების ჯერ კიდევ სუსტმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ამ ბაქტერიას. ბავშვების სიკვდილს ეგვიპტელები ღვთის რისხვად მიიჩნევდნენ.

იმ უხსოვარ დროს მომხდარი უბედურების ანალიზის შედეგად, მეცნიერებმა გამოავლინეს მიკროორგანიზმი Piesteria Pisicida, რომელიც გამოიმუშავებს ყოველივე ცოცხლის მომაკვდინებელ ნივთიერებას. სულ ცოტა ხნის წინ, აშშ-ის დასავლეთ სანაპიროზე მოიწამლა მდინარის თევზი. მოწამვლის მიზეზი იყო სწორედ ის მიკროორგანიზმი, რომელიც ოდესღაც ნილოსში აღმოჩნდა.

***ორაკული №10***

**სენსაცია**

# ადამიანები მაიმუნს დაემსგავსნენ



ამ ცოტა ხნის წინ ტიბეტის ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა სენსაციური განცხადება გააკეთა იმ ახალი საშინელი დაავადების გავრცელების შესახებ, რომლის წინაშეც უძლური აღმოჩნდა თანამედროვე მედიცინა. ეპიდემიამ მოიცვა სოფლები და დასახლებები. ამ სენით დაავადებულები ძალიან სწრაფად კარგავენ ჩვეულებრივ სახეს და თოვლის კაცს ემსგავსებიან.

პირველად ეს ავადმყოფობა დაფიქსირდა თოვლიან მთებში ჩაკარგულ პატარა ქალაქ ხანგშაში, ქალაქის მცხოვრებნი შეიცვალნენ ფიზიკურად, თავდაპირველად მათ მკერდი, კიდურები და სახე დაეფარათ თეთრი თმით, შემდეგ, ნადირის მსგავსად, გაეზარდათ კბილები, ამავე დროს, შეიმჩნეოდა ფსიქიკისა და ინტელექტის ცვლილება.

დაავადებულები ხდებიან ნერვიულნი, სწრაფად ჭამენ, ველარ ლაპარაკობენ და გამოსცემენ უცნაურ ბგერებს.

ეპიდემიის განვითარების პირველსავე დღეებში, ქალაქის 250 მცხოვრებიდან 100-ზე მეტი დაავადდა ამ საშინელი სენით. 64, პრაქტიკულად, თითქმის მაიმუნს დაემსგავსა და მთებში გაიქცა.

ქალაქში სასწრაფოდ გამოცხადდა კარანტინი, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა, ვერაგმა სენმა მაინც შეაღწია მეზობელ სოფლებსა და პატარა დასახლებებში. ხელისუფლებამ ვეტო დაადო ყოველგვარი ინფორმაციის გავრცელებას ნებისმიერი სიტუაციის შესახებ, რათა ქვეყანა პანიკას არ მოეცვა.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ლუ ინემის ხელმძღვანელობით, უცხოელი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია მაინც ჩაატარა.

სპეციალისტებს, რომლებიც ეპიდემიის ეპიცენტრში იმყოფებიან, ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები ამ დაავადების გამომწვევი მიზეზებისა და მისი მკურნალობის თაობაზე.

დოქტორმა ლუ ინემმა გარისკა და თავისი პირველი მოსაზრება განუცხადა პრესას: „შესაძლოა, დაავადება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ გენების რეგრესიას, რასაც მრავალი ათასწლეულის მანძილზე ატარებდა თავის თავში ხანგშას მოსახლეობა“.

***მეგაპოლის-ექსპრესი №38***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I კროსვორდი**

1. თამარაშენი; 2. კოდა; 3. სიმონეთი; 4. ტანძია; 5. ყვარელი; 6. ობუჯი; 7. სხვიტორი; 8. ბრეთი; 9. წერაქვი; 10. ვარიანი; 11. პატარძეული; 12. ჩარგალი; 13. ჭყვიში.

**II** „კომ“.

**III** ქალამანი.

**IV რებუსი**

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

**V** გალაკტიონ ტაბიძე; „ფიქრნი მტკვრის პირას“.

# ქუჩისა და ეკლესიის აგრესიული მათხოვრები და გულმოწყალე თანამემამულენი

თბილისში მომრავლებულ მათხოვრებზე კარგა ხანია, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. ბევრს აღიზიანებს მათი სიჭარბე ქუჩაში, მეტროში, მიწისქვეშა გადასასვლელებზე, ეკლესიებთან თუ სასაფლაოზე. ახალი არ არის მათხოვართა ერთი გაბედული ნაწილის ეზო-ეზო სიარული და კარზე დაკაკუნებაც.

რას იზამ, მათხოვრობა კანონით აკრძალული არ გახლავთ და მის აღკვეთასაც ვერავის მოვთხოვთ — დრომ მოიტანა! ისლა დაგვრჩენია, უკეთესი ცხოვრების მოლოდინში ჩვენი მწირი ჯიბიდან გაჭირვებულისთვისაც გავიღოთ. უქონლობით გაღიზიანებულნი ვკარგავთ არა მარტო ქრისტიანის, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის სახეს.

რამდენიმე კვირის წინ, სოლოლაკში ერთ განრისხებულ მამაკაცს თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი ფეხქვეშ გაეგდო და უმოწყალოდ სცემდა. გამოირკვა — თურმე ბიჭს ხშირად განიკითხავდა და ისე შემოსჩვეოდა, ყოველკვირა დაბარებულივით გამოეცხადებოდა თურმე მაღაზიაში... ბოლოს, კაცს ნერვებმა უმტყუნა... მაყურებელთაგან რამდენიმემ მამაკაცს დაუჭირა მხარი, უმრავლესობა ყმაწვილს გამოექომაგა და მცემელს უსაყვედურა — თვითონ მიგიჩვევია და ახლა რაღაზე კლავო. ერთი მოხუცი მანდილოსანი სათნო ხმით ეუბნება განრისხებულს: — შვილო, ნება მომეცი, შენ მაგივრად ღვთის წინაშე ცრემლით მოვინანიო შენი შეცდომა. დამშვიდდი, ამ ბიჭუნას ახლა მე წავიყვანო. მოხუცის ნათქვამმა ცეცხლზე ნავთი დაასხა — ეკლესიაო?! — იყვირა კაცმა და უნებურად მოხუცს ხელი ჰკრა, — შენც ღვთისნიერი გამომიჩნდი, იქ რა, უარესი ყაჩაღები არ დგანან? — ორი წელია, ქაშუეთში სანთელი არ დამინთია! ბევრმა კვერი დაუკრა. აყალმაყალი დიდხანს გაგრძელდებოდა, სახელმწიფო კანცელარიის მხრიდან პოლიციელი რომ არ გამოჩენილიყო.

ეკლესიებთან მდგომი მათხოვრების მისამართით ნათქვამი საყვედური ხშირად სხვებისაგანაც გვსმენია. კერძოდ — ქაშუეთის, მეტეხისა და სიონის ტაძარში განსაკუთრებით აგრესიული მათხოვრები დგანან, საკმარისია, ერთს ხურდა ჩაუდო, სხვები იერიშზე გადმოვლენ და შეგარცხვენენ — ზოგი მოგაწყევლის, ზოგიერთი შემოფურთხებას და გინებასაც კი კადრულობსო.

ქაშუეთის ეკლესიასთან ყოველთვის უამრავი მათხოვარი ტრიალებს. ერთ საღამოს, მათი წრე შეთხელებული მეჩვენა. ეკლესიიდან გამოსვლისთანავე იქვე მდგარ წვეროსან მამაკაცს გამოველაპარაკე. თავი **მალხაზ ლუკაშვილად გამაცნო. ადრე ბერი ყოფილა. ბავშვო**ბიდანვე მორწმუნე ვარ... ათი წელი სხვადასხვა მონასტერში ვიღვაწე. ავადმყოფობამ შემიშალა ხელი — ბრონქები მიწყდებოდა. რვაჯერ ნაოპერაციები გახლავართ. შეიძლება ღმერთმა ცოდვებისათვის დამსაჯა. ამჟამად ჯგუფის ინვალიდი ვარ. სამი წელია ქაშუეთთან ვდგავარ და ვმათხოვრობ. ჩემი აზრით, ყველა მათხოვარი და გლახაკი სულიერად ქრისტეს ნათესავია და ღმერთს უახლოვდება. მადლობას ვწირავ ჩემს გულმოწყალე ხალხს, სიცოცხლე რომ შემინარჩუნა!

**— ყველა აქ მდგომი მორწმუნეა?**

— ვერ ვიტყვი. აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი დგას. შეიძლება ბევრი მათგანი მორწმუნეა.

**— მლოცველები გსაყვედურობენ, შეურაცხყოფენ, გწყევლიან, ლანძღვა-გინებასაც კადრულობენო, მართალია?**

— არ დაგიმალავთ — ზოგიერთი ადრე ყაჩაღივით იქცეოდა და გავყარეთ. არა მგონია, ახლა ვინმე თავხედობდეს, თუმცა არ გამოვრიცხავ. უჭირთ და ბევრი თავშეუკავებელია. ზოგჯერ მლოცველს გავლას არ აცლიან...

**— ეკლესიის შინაგანაწესით კარიბჭესთან კინკლაობა, ხმაური თუ სხვა უწესრიგობანი აკრძალულია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეკლესიის კანონებსაც არ ემორჩილებით?**

— ქაშუეთის ეკლესიასთან რაიმე კატასტროფული ამჟამად იშვიათად ხდება. პატარა კინკლაობებს კი მღვდლები გვპატიობენ. მათ კარგად იციან, რომ გლახაკის წყენინება არ შეიძლება. ყველასი მადლობელი ვარ. ხშირად კეთილად გვარიგებენ — ჩვენ ხომ მკაცრი განსჯისთვის არ ვართ დაბადებული?!

**— ამბობენ, მათხოვრები მომსვლელებს აიძულებენ მოწყალება გაიღონო.**

— ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. ეკლესიაში შემსვლელები იძულებულნი გამხდარან, უკანასკნელი გროშიც დაეტოვებინათ, ზოგჯერ მეტროს ჟეტონიც კი. სწყინთ, როცა ერთს მისცემ და მეორეს არა. ათ და ოც თეთრს კი ორმოც კაცს თანაბრად ვერ გაუყოფ... მათხოვარი თავმოდრეკით მდგარი და მდუმარედ ხელგაწვდილი უნდა იყოს და არა საყაჩაღოდ დადარაჯებული. როგორ შეიძლება, ის ხალხი გავანაწყენოთ და დავწყევლოთ, ვინც სიცოცხლე შეგვინარჩუნა — ღმერთმა დალოცოს მათი ოჯახი!

**— ისიც თქვეს, მათხოვრებს ერთი უფროსი ჰყავთ და წილს მას აძლევენო.**

— არა. ჩვენთან ასე არ ხდება. ერთგვარი კონკურენცია მათხოვრებს შორისაც მოქმედებს, მაგრამ წილს არავის ვაძლევთ. ადრე პოლიცია 2-2 ლარს გვთხოვდა. ახლა კარგა ხანია, არავის შევუწუხებივართ.

**— ახალმოსულს აქ არ აჩერებენო, მითხრეს...**

— ბუნებრივია, ყველა მსურველი აქ არ დაეტევა. ეს ყველაზე პრესტიჟული ადგილი გახლავთ და „ნომენკლატურას“ ვიცავთ. აბა, რა ვქნათ? თუმცა ამ საკითხის მოგვარება მე არ მეხება. ამას ქალები თაოსნობენ. მე სამი წელია, ჩემი ადგილი მაქვს — მარცხნივ, კართან, პირველი ვდგავარ. პირადად არავინ გამიგდია. აგერ ახალმოსული, ჩვილბავშვიანი ახალგაზრდა ქალი დგას. ხელს ვუწყობთ. განა ჩვილბავშვიანი დედა უნდა მათხოვრობდეს?!

სალაპარაკოდ ქაშუეთის მოძღვარმა **მამა ელიზბარმაც** გამონახა დრო.

**— მამა ელიზბარ, ხელს ხომ არ გიშლიან მათხოვრები?**

— ღმერთმა აპატიოთ — ხშირად შეუშლიათ ხელი, განსაკუთრებით წირვა-ლოცვის დროს. სამარისებურ სიჩუმეში ტაძარში ასი, ასორმოცდაათი კაცი ლოცულობს. ამ დროს გარედან გნიასი და ყაყანი შემოდის. მორჩილებს ვუშვებ გარეთ მათ დასაშოშმინებლად. ვიცი, ბევრი მლოცველი უკმაყოფილოა, მაგრამ საჩივრებით არ გვაწუხებენ — ვითმენთ! მათხოვრებთან ამ თემაზე ხშირად გვისაუბრია, დაგვირიგებია ისინი, მაგრამ რა გაჭრის ამ გაჭირვებულ ხალხთან, რელიგიური დღესასწაულების დროს აურზაურია ხოლმე. ვიცი, მათ შორის ბევრი შეგნებული ადამიანიც ურევია. ხშირად თვითონ ზრუნავენ წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ ხელმრუდე, ლოთი და თვითმარქვიაცაა მათ შორის — უნდა შევუნდოთ, სხვა გამოსავალს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. ეკლესიაში დავკარგეთ ხატები, ორი ემბაზი, ვერცხლის ქვაბი. მათხოვრებმა ერთ ქალს დაადეს ხელი. სამჯერ დაიბარეს პოლიციაში და არ გატყდა — დღესაც აქ დგას! ერთსაც გეტყვით, ქართველები ეროვნული ნიშნით, არ ჰყოფენ მათხოვრებს, მით უმეტეს, ქრისტიანული ეკლესია. აქ თითქმის ყველა ეროვნების მათხოვარი დგას. აბა, მეჩეთის, სინაგოგისა და სომხური ეკლესიის წინ თუ ვინმეს ნახავთ...

მრევლში ბევრი გაჭირვებული და ავადმყოფი გვყავს. მათზე ზრუნვა ჩვენ გვაკისრია. ძალიანაც რომ გვინდოდეს, ამდენ მათხოვარს ეკლესია ვერ შეიფარებს. გაყრითაც ვერ გავყრით. თავგასულების ალაგმვა კი შეუძლებელია — აქეთ დაგვიწყებენ ჭკუის სწავლებას.

მამა ელიზბარს მადლი მოვახსენე და სიონისკენ გავეშურე. ტაძრის წინ ქუჩაში, ახალგაზრდა ვაჟმა თამამად მთხოვა ფული. განზრახ ვიუარე, მიპასუხა — ღმერთმა დაგლოცოს, ახლა არა გაქვს, ხვალ ღმერთი მოგცემსო! ეზოშიც იგივე პასუხი მომცა მეორე ახალგაზრდამ. შევამჩნიე, სიონთან ახალგაზრდა მათხოვრები — ვაჟები სჭარბობდნენ. ერთ ქალს ვკითხე:

**— თქვენგან ვინმე ზედმეტად ხომ არ აწუხებს ეკლესიაში შემომსვლელს-მეთქი?**

— რა ვქნათ ქალბატონო, თუ ხმა არ ამოიღე, არავინ მოგხედავს. ამიტომაც ზოგჯერ გამწარებული ვიძახი — დამეხმარეთ, ხალხო, დამეხმარეთ-მეთქი!

სიონში დეკანოზი, **მამა ზურაბი** (ანთაძე) წირავდა. აქა-იქ მათხოვრებიც შევნიშნე, მდუმარედ იდგნენ ხატებთან და მხოლოდ თვალებით თხოულობდნენ შეწევნას. საყდარში მათხოვრობა შეიძლება უჩვეულოა, მაგრამ ძალიან ცოდონი არიან და უნდა დავეხმაროთო, — მითხრა მამა ზურაბმა.

მეჩეთთან, სომხურ ეკლესიებსა და სინაგოგასთან მათხოვრები მართლაც არ იდგნენ — ბევრი მლოცველიც არ შემინიშნავს.

**— მართალია, რომ სინაგოგის, მეჩეთისა და სომხური ეკლესიების წინ მათხოვრებს არ აყენებენ? — ვკითხე სინაგოგის ხახამს ბატონ დავით ბუზუკაშვილს.**

— ვინ მოგახსენათ? მათხოვრებს როგორ არ ვაყენებთ, მაგრამ იშვიათად მოდიან. ჩვენს მრევლს გაჭირვებულთა და დავრდომილთა სია აქვს და თვითონ ზრუნავს მათზე. ყველა რელიგია გლახაკისა და უპოვარის ზრუნვას ავალებს მორწმუნეებს. ებრაელთა რჯულიც, ასეთი გახლავთ.

**— მხოლოდ ებრაელებს ეხმარებით?**

— მე რაბინი არ გახლავართ, ხახამი ვარ, მაგრამ უფლებას მივცემ ჩემს თავს და გიპასუხებთ: პირველ რიგში, ჩვენი წესის თანახმად, ჩვენიანზე ვზრუნავთ, შემდეგ კი დანარჩენებზე. ახლახან, ერთი ჩვენი უბნელი ქართველი ჰოლანდიაში წავიდა სამუშაოდ. გზის ფულის თავმოყრა გაუჭირდა და სინაგოგამ, ებრაელების სახელით, მცირე თანხა — 100 ლარი გადასცა. მთავარია სიკეთე და არა — რაოდენობა... აი, მობრძანდით ჩვენთან 9 ოქტომბერს — ქიფური გვაქვს — შენდობისა და პატიების დღე და ყველაფერს თავად ნახავთ. თუმცა ეს გრძნობა ქართველებს სხვებისაგან არ ესწავლებათ, — დასძინა ბოლოს ღიმილით ებრაელმა.

მინდა ეს წერილი მისი სიტყვებით დავამთავრო — პატიება, შენდობა და გულმოწყალება ქართველებს სხვებისაგან არ ესწავლება!

**ლალი გაბედავა**



მალხაზ ლუკაშვილი

# რედაქციაში წერილი მოვიდა

## „დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“

ეს ფრაზა ახლა მოგვაგონდა...

დიახ, ხდება, რომ ვისაც ფიქრობენ დაჯაბნიან, მოერევიან, შეუტევენ. ამჯერად, მხედველობაში გვყავს „ინვალიდთა ლიგა“, რომელზეც ხორციელდება გეგმაზომიერი შეტევები. მერედა, რატომ?! ბიზნესის სხვა მწარმოებლებში, ვითომ ყველაფერი რიგზეა?!

რატომ დაიწყო კომისიები და გამოკვლევებ-მოკვლევები მაინცდამაინც „ინვალიდთა ლიგიდან?!“

ბატონებო! ღმერთიც არ გწამთ, არც ადამიანობა გაქვთ და აღარც მოყვასისადმი ოდნავი მაინც ტკივილი და ცოდვა-ბრალი?

ჩვენს მიზანს სულაც არ წარმოადგენს ამ დიდებული, მაგრამ ბედისა თუ ბუნებისაგან დასჯილ-დაჩაგრული ადამიანების (მართლა ადამიანების!) მიმართ სიბრალული გაგიღვიძოთ. მაგრამ — ასეთი უგულობა?!

ისინი თავის თავს პატრონობენ, ამიტომ უნდა „კრიჭაში ჩავუდგეთ“ და „დავაწიოკოთ“?

თავიანთი ბიზნესი აქვთ და არც გასაკვირია, იმიტომ, რომ ამ ეტლებზე მიკრულ ადამიანებს აქვთ უზრწყინვალესი გონებრივი მონაცემები, აზროვნება და უნარი საქმის კეთებისა. იყენებენ კიდეც თავიანთ ნიჭს. სხვათა შორის, ინვალიდთა ლიგის თავკაცებს ყოველთვის სწორი პოლიტიკური გეზი აქვთ და ამიტომაც მუდამ გვერდში უდგანან ჩვენს პრეზიდენტს და მთავრობას.

ჩამოგვითვალეთ ერთი, რომელმა ბიზნესმენთა ჯგუფმა თუ ორგანიზაციამ გააკეთა იმდენი სასიკეთო საქმე, რამდენიც „ინვალიდთა ლიგამ?!“

ჩვენ ექიმები ვართ და სწორედ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით გვინდა დავიწყოთ: ჯერ მარტო იმის შეხსენება რად ღირს, რომ „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა“ სწორედ „ინვალიდთა ლიგის“ თანადგომით შევძელით საქართველოში 40 ათასამდე ბავშვისთვის სამედიცინო გასინჯვა-გამოკვლევების ჩატარება. მათ შორის 10-მდე ბავშვს უფასოდ გაუკეთდა სხვადასხვა სახის ოპერაცია. უფასოდ ურიგდებოდათ მედიკამენტები.

„ინვალიდთა ლიგა“ უზრუნველყოფდა ჩვენს მგზავრობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში — ქალაქებსა თუ სოფლებში. მათი კომფორტაბელური ავტობუსებით ვერც კი ვგრძნობდით ზამთრის საშინელ სუსხიან დღეებში მგზავრობის სიძნელესა და სირთულეს. ამ ორგანიზაციის წყალობით, დაფინანსებითა და ხელშეწყობით პედიატრებმა შევძელით ჩაგვეტარებინა 4 კონფერენცია, სადაც ექიმებს მიეცათ შესაძლებლობა დებატების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიეღოთ სათანადო რეზოლუციები და დაესახათ ღონისძიებები.

„ინვალიდთა ლიგის“ თავკაცების მიერ გაკეთებული საქველმოქმედო საქმეების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ გვინდა შევეხოთ ზოგიერთ მათგანს: ინვალიდ ბავშვთა ხელოვნების სტუდია „შხელდას“, სადაც ინვალიდი ბავშვები ყოველგვარი გადასახადის გარეშე ეუფლებიან ხელოვნების საფუძვლებს: აქვთ საკუთარი ტელეაპარატურა, ჰყავთ რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი სპორტის სხვადასხვა სახეობაში (წელს პარაოლიმპიურ თამაშებში ავსტრალიაში ვერ მიიღეს მონაწილეობა უსახსრობის გამო). მათ მიერ ათასობით ინვალიდს, პოტენციურად უიმედოს, დახმარება გაეწია საზღვარგარეთ მკურნალობის ჩასატარებლად.

აქვთ ინვალიდთა ეტლების საწარმო. მანამდე კი უცხოეთიდან შემოტანილი ათასობით ეტლი უსასყიდლოდ ურიგდებოდა ინვალიდებს, აკი „პანდუსებიც“ გააკეთეს მთელ ქალაქში, რომ იოლი ყოფილიყო ეტლით გადაადგილება.

საინტერესოა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რატომ დაიწყეთ მაინცდამაინც „ინვალიდთა ლიგით?!“ იმათ რატომ არ აკონტროლებთ, სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულები მილიონობით კრედიტებს რომ ითვისებენ ან „სიდედრის“ და „სიმამრის“ გაურკვეველი შემოსავლებით სასახლეებს იშენებენ, უცხოეთის ბანკებში მილიონობით თუ არა, ათასობით დოლარს აგროვებენ?! მერე ისიც ნახეთ და შეადარეთ, როგორ სახლებში ცხოვრობენ „ინვალიდთა ლიგის“ თავკაცები. რაშია საქმე?! კორუფციასთან ბრძოლას რატომ იწყებთ „ლიფსიტებით“ და არა „ღლავებით!..“ „სად მარხია ძაღლის თავი?!“ ჩვენი ხალხი არც ისე უგუნურია, ამას რომ ვერ ხედავდეს! კერძო და „არასამთავრობო“ ბიზნესს უფრო კარგად ებრძვით, არა?!

ქალაქის №1 საავადმყოფოს ბავშვთა კორპუსი ავარიულ მდგომარეობაშია. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელი წლების განმავლობაში მივმართავდით ყველას, ვისაც ხელეწიფებოდა: იქნებ მოინდომოთ, ჩაიდინოთ ქველმოქმედება, გაამაგროთ კორპუსის საძირკველი (ლაპარაკია 100-150 ათას ლარზე, ზოგისთვის ეს თანხა, შესაძლოა, სასაცილოც კი იყოს!), ზუბალაშვილების გვერდით ჩაიწერებით ისტორიაში-მეთქი, მაგრამ დღემდე არავინ გამოეხმაურა ამ ჩვენს თხოვნას (ისე, ცნობისთვის, ზუბალაშვილებმა საკუთარი სახსრებით აუშენეს ბავშვებს საავადმყოფო, ეს პირველი პროფილირებული საავადმყოფო იყო იმ დროს ამიერკავკასიაში. მალე ამ ისტორიულ ძეგლს, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია 90 წელი უსრულდება). ახლა? სახელმწიფო თანხებით თუ სახელმწიფოსათვის განკუთვნილი კრედიტებით საკუთარს იშენებენ და განძეულობას იგროვებენ, ხედავთ განსხვავებას?!

დიახ, ამ და მრავალმა მსგავსმა ტკივილმა გაგვამწარა და ამოგვადგმევინა ენა...

ვინმემ შეიძლება ჩვენი წერილი გამოქომაგებად ჩათვალოს, კი, ბატონებო, ასე იყოს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც „ინვალიდთა ლიგას“ გამოვექომაგეთ, იცით რატომ? ხალხი ყველაფერს ხედავს, ხალხმა ყველაფერი იცის, ნურავინ ცდილობს ხალხს „თვალში ნაცარი შეაყაროს!“

„ინვალიდთა ლიგის“ დევიზია, „ვიყოთ ერთად!“ სწორედ ერთად უნდა ვიყოთ და არა დავჭამოთ ერთმანეთი, მით უფრო, არ შევჭამოთ ისინი, ვისაც ბედმა ეტლზე მიბმა არგუნა, თორემ...



ხდება ისიც, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ მოდის გონს და შეიგრძნობს სხვის სატკივარს, როდესაც გაჭირვება თუ განსაცდელი მის კართან დაიჩოქებს, ამისგან კი არავინაა დაზღვეული... გახსოვდეთ!!! და ფრთხილად, ფრთხილად, ბატონებო!

**P.S**. მივმართავთ „ინვალიდთა ლიგას!“, ნუ გვიწყენთ, მეგობრებო, თუ ამ წერილით ჭრილობა გაგიახლეთ (თუნდაც უმნიშვნელოდ) გვერწმუნეთ, ეს არ გვინდოდა, მაგრამ იქნებ უნებლიეთ მაინც გამოგვივიდა, გვაპატიეთ, გახსოვდეთ, ჩვენ მუდამ გვტკივა თქვენი სატკივარი, გვინდა გავინაწილოთ კიდეც, რომ ეს შესაძლებელი იყოს...

გვიგულეთ მუდამ თქვენ გვერდით, თქვენს მეგობრებად...

„ვიყოთ ერთად!“

***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები: ლილი ქერქაძე, ირაკლი ციციშვილი, გოგი ჩახუნაშვილი, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტი ვიქტორ მოროშკინი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები: ინგა მამუჩიშვილი, ნუნუ პირტახია, ირინე მჭედლიშვილი, ანზორ რიჟვაძე, დ. დიდებულიძე, ქ. ბერიძე, თ. მარინაშვილი***

# მუსიკა — მკურნალი

რამდენიმე წლის წინ, მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში უცნაური რამ მოხდა: ვახშმისა და ბოლო აბის მიღების შემდეგ, როცა სტაციონარში მხოლოდ მორიგე ექიმები, ძიძები და მოხუცი ლიფტიორი რჩებოდნენ, მოხუც ლიფტიორს, საიდანღაც, ზევიდან ესმოდა ანგელოზების გალობა. ორიოდე კვირის შემდეგ დაკვირვებულმა ლიფტიორმა შეამჩნია, რომ ანგელოზები მას შემდეგ იწყებდნენ გალობას, როცა მას მეშვიდე სართულზე აჰყავდა სიმპათიური მნახველი, ხოლო გალობას წყვეტდნენ ბოლო მნახველის წასვლამდე ხუთი წუთით ადრე. ერთხელ, ლიფტიორმა ვერ მოითმინა და სტუმარს ჰკითხა, — ხომ არ იცით, ასეთ დროს ვინ მღერისო?.. ასთმიანები მღერიანო, — უპასუხა მნახველმა.

ლიფტიორს ძალიან გაუკვირდა. ასთმით დაავადებული მომღერალი იგივეა, რაც უსინათლო ავტომრბოლელი.

ლიფტიორი უფრო გაოცდებოდა, რომ გაეგო — კლინიკაში ექსპერიმენტს ატარებდნენ...

მუსიკალური თერაპია არსებობს თითქმის მას შემდეგ, რაც გაჩნდა გონიერი ადამიანი. ბუნებაში ყველაფერი ემორჩილება განსაზღვრულ რიტმებს და მხოლოდ ადამიანის ფსიქიკაა ურიტმო. ამიტომ მან მუსიკა გამოიგონა ცხოვრების გასაადვილებლად, რათა თავის ფსიქოლოგიურ ცხოვრებას რიტმი და ჰარმონია მიანიჭოსო, — ამბობდა რუსი ფსიქოლოგი რუბინშტეინი და ამით ხსნიდა მუსიკის წარმოშობას.

ძველ აღთქმაში მოთხრობილია, თუ როგორ უმკურნალა დავითმა საულს მუსიკით ნერვული დეპრესიის დროს. დავითის თითქმის ყოველი ფსალმუნი იწყება „გუნდის ხელმძღვანელის“ დამოძღვრით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო ამ მელოდიისთვის — სიმებიანი, სასულე თუ დასარტყმელი.

ძველი ჩინელები მუსიკას იყენებდნენ ტრადიციული მედიცინის სხვა საშუალებებთან ერთად. განსაზღვრული ხმების გამოყენება მიღებულია აკუპუნქტურაშიც (სწავლება ორგანიზმის აქტიურ წერტილებსა და თორმეტ მერიდიანზე).

ინდოელი ფილოსოფოსები ამბობდნენ, რომ კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში არ იყო ენა, არამედ იყო „მუდმივი მუსიკა“. ადამიანები თავიანთ აზრს და გრძნობას გამოხატავდნენ დაბალი და მაღალი, მოკლე და გრძელი ხმებით. ტემბრის სიღრმე მიანიშნებდა ადამიანის ძლიერებაზე, ხოლო სიმაღლე — სიყვარულსა და სიბრძნეზე.

დასავლეთ ევროპაში კარგა ხანია იყენებენ მუსიკას ადამიანზე ზემოქმედებისთვის. სასახლეებსა და ციხესიმაგრეებში დღედაღამ ისმოდა სიმღერა და მუსიკა, რომლითაც იქმნებოდა სასურველი ფონი მმართველობისთვის. მუსიკა ფსიქიატრიულ კლინიკებში მხოლოდ XX საუკუნეში გამოიყენა ფრანგმა ექიმმა ესკიროდმა. ჩინელებისგან განსხვავებით, ევროპელები მიმართავდნენ მუსიკას, როგორც დამატებით ფსიქოთერაპიულ საშუალებას. მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში კუჭნაწლავის ტრაქტით დაავადებულ პაციენტებს ასმენინებდნენ ბეთჰოვენსა და მოცარტს.

ამჟამად საფრანგეთის სისხლის გადასხმის ეროვნულ ინსტიტუტში, ოპერაციის დროს აუცილებლად ჟღერს მუსიკა.

აშშ-ში არაერთი უნივერსიტეტი უშვებს მუსიკის თერაპიის სპეციალისტებს. ეს დარგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა საჭირო გახდა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ფსიქიკის რეაბილიტაცია.

ნუთუ მუსიკა ადამიანზე მხოლოდ ფსიქიკის საშუალებით მოქმედებს? ამ საკითხით დაინტერესდა სერგეი შურშანჯანი.

სიყმაწვილეში იგი ოპერის მომღერლობაზე ოცნებობდა, მაგრამ მშობლების დაჟინებით სწავლა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტში, თუმცა 25 წლის ასაკში მაინც ჩააბარა როსტოვის მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტში. 8 წელი მღეროდა ოპერაში და ექიმადაც მუშაობდა. სერგეი ბედნიერი იყო: ერთი პროფესია მას თვითგამოვლენის საშუალებას აძლევდა, მეორეთი კი ხალხს ეხმარებოდა. მაგრამ, როცა მის ყურს მისწვდა მუსიკალური თერაპიის ამბავი, არჩევანის წინაშე დადგა.

სერგეიმ დაიწყო შესწავლა მუსიკის ზემოქმედებისა ისეთ ცოცხალ უჯრედებზე, რომელთაც არც ფსიქიკა გააჩნიათ და არც სმენა. ექსპერიმენტის წყალობით მან გაარკვია, რომ ცოცხალი უჯრედები აქტიურად რეაგირებენ საეკლესიო და კლასიკურ მუსიკაზე, ხოლო როკისა და პოპის მიმართ გულგრილი არიან.

აი, მეორე, ფანტასტიკური ცდაც:

შურშანჯანმა მუსიკა მოასმენინა ჩვეულებრივ წყალს. აღმოჩნდა, რომ მუსიკა ხელს უწყობს წყალში ჰიდროქსინის (წყლის შემადგენელი დამუხტული ნაწილი) ზრდას. უფრო მეტიც, წყალს შეუძლია თავისი თვისებების შეცვლის შესახებ ინფორმაცია გადასცეს სხვა წყალს, რომელიც მისგან შორსაა. შუა საუკუნეებში, როცა გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია, ქალაქებში განუწყვეტლივ ისმოდა ეკლესიის ზარების ხმა. სჯეროდათ, რომ ზარების ხმა ეხმარებოდა ადამიანებს ამ საშინელ დაავადებასთან ბრძოლაში. ასეთსავე ეფექტს ახდენდა წირვის დროს საეკლესიო გუნდის გალობა.

სერგეი შურშანჯანმა ცდით დაამტკიცა, რომ ის მიკრობები, რომლებიც ისმენენ საეკლესიო გალობას და ზარების ხმას, აქტივობას 40%-ით კარგავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკურთხი წყალი მხოლოდ ვერცხლის ჯვრის ჩადებით და მისი იონებით კი არ გარდაიქმნება წმინდა წყლად, არამედ წირვის დროს გალობის წყალობითაც.



შეიძლება იკითხოთ, რა საჭიროა ვიცოდეთ, რა მოსდის წყალს მუსიკის ზეგავლენით? გაიხსენეთ, რომ ადამიანის უჯრედის 80% წყლისგან შედგება. შურშანჯანის მიერ მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა უჯრედების პროცესების რეგულირებისა, თუკი გავითვალისწინებთ წყლის შესაძლებლობას ინფორმაციის გადაცემის შესახებ შორ მანძილზე.

როცა ადამიანი ავად ხდება, მას ხმა ეცვლება, ჩაეხლიჩება ან ეკარგება. მაგრამ რატომ არავის მოუვიდა აზრად, რომ შეიძლება ავად გახდე საკუთარი ან სხვისი ხმის არასწორი ხმოვანების გამო?

ჩვენ ერთმანეთს ვეხებით არა მარტო ხელებით, არამედ ხმებითაც, ანუ ხმის ტალღების ერთობლიობით. თეორიულად შეიძლება შეირჩეს განსაზღვრული ბგერითი სიხშირეები, რომლებიც იქცევიან განმსაზღვრელი უჯრედული პროცესების კატალიზატორებად, ე.ი. ორგანიზმს ააწყობს ორგანის ან ქნარის მსგავსად. შურშანჯანის აზრით, ასეთი მეთოდი გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ქიმიური ჩარევა და წამლები.

ცდები კვლავ გრძელდება. ჯერჯერობით, ბოლომდე არ არის ცნობილი, თუ როგორ მოქმედებს ადამიანზე მისი საკუთარი ხმა. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ხმას აქვს სიხშირე, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში განსაზღვრული დისბალანსის აღმოცენებას. ე.ი. შესაძლებელია უკუეფექტიც.

ექსპერიმენტმა დაგვანახვა, რომ ბელკანტოს გამოყენებამ საგრძნობლად გააუმჯობესა ასთმით დაავადებულთა მდგომარეობა. ისინი იტანჯებიან იმის გამო, რომ არასწორად სუნთქავენ და ამის შედეგია ფილტვების ჰიპერვენტილაცია.

მუსიკით მკურნალობა ეხმარება სუნთქვაში დიაფრაგმისა და ქვედა ნეკნების ჩართვას. ამ მეთოდის წყალობით, ბევრი ისეთი ავადმყოფი, რომელიც მხოლოდ ჰორმონებით ცოცხლობდა, ოჯახს და სამსახურს დაუბრუნდა.

მედიცინის დოქტორმა სერგეი შურშანჯანმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს ცდები ვოკალოთერაპიის გავლენაზე არა მარტო ფილტვებზე, არამედ სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებზეც. სიმღერის დროს გამოცემული ხმა მხოლოდ 15-20%-ით გადის სივრცეში. ბგერის ტალღის დანარჩენ ნაწილს შთანთქავს შინაგანი ორგანოები და მოჰყავს ისინი ვიბრაციის მდგომარეობაში.

დაავადებული ორგანოების ხმოვანება განსხვავდება ჯანმრთელის ხმოვანებისგან. ამ არასწორი ხმოვანების კორექტირება შესაძლებელია, თუკი ადამიანი ისწავლის სწორად სიმღერას და მაშინ სიამოვნების მიღების გარდა, შეძლებს წამლის გარეშე მოიწესრიგოს თავისი ორგანიზმი.

შურშანჯანმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა ის, რასაც ძველი ჩინელები მიხვდნენ: ღვიძლზე დადებითად მოქმედებენ ხის სასულე ინსტრუმენტები, მაგ. ფაგოტი ან ჰობოი, ხოლო გულსისხლძარღვის სისტემისთვის მისწრებაა სიმებიანი ინსტრუმენტები.

მუსიკალური თერაპია და, კერძოდ, ვოკალოთერაპია იშვიათი საშუალებაა ორგანიზმის სარეზერვო ძალების ჩასართავად და მისი დაცვითი ფუნქციის გასავითარებლად.

***სობესედნიკი №30***

# ჩინელი ქერა ამორძალები



ნაპოვნ მუმიებს სიფრიფანა ქსოვილის განიერი კაბები, ნაქსოვი შარვლები და კუბოკრული ქვედატანები აცვიათ. მხრებზე ოქროსფერი თმები ჩამოშლიათ. შესანიშნავად შენახულ მუმიებს თეთრი რასისთვის ტიპური ნაკვთები აქვთ. ეს „ევროპელი“ მუმიები ჩინეთის დასავლეთით, პროვინცია სინძიანში ათასეული წლების მანძილზე იყვნენ ჩამარხული უდაბნოს ქვიშაში. მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ტენიანობის გამო მუმიების სახეზე მოხატულობებიცაა შენარჩუნებული. ტანსაცმელი ნატურალური, მატყლის ძაფისგანაა მოქსოვილი. ძირითადად, ლურჯი, ყავისფერი და მწვანე ფერები ჭარბობს.

როგორ მოხვდნენ ქერათმიანი უცხოელები აზიის შორეულ რაიონებში? შემდეგ სადღა წავიდნენ? ძველჩინური ხელნაწერები ჩვ.წ. აღ-მდე მე-2 საუკუნეში იხსენიებენ „მაღალ სტუმრებს“, რომელთაც ცისფერი ან მწვანე თვალები, გრძელი ცხვირები და ქერა თმები ჰქონდათ. მუმიების გარეგნობა ცხადყოფს, რომ უძველეს დროში ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონია ადგილი. მათი სიმაღლეც კი შეესაბამება მატიანეებში მოცემულ აღწერილობას.

ფილადელფიელი პროფესორი ვიქტორ მეიერი დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთისკენ ინდოევროპელ მომთაბარეთა გადინება შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთიდან დაიწყო. ამერიკელმა არქეოლოგმა დევის კიმბელმა დაასკვნა: „ამ მომთაბარე ხალხის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა ქალს. იგი იყო წამყვანი რიტუალებისა, ნადირობისა და ბრძოლებისა“. იქნებ სწორედ ისინი იყვნენ ახლა უკვე ლეგენდად ქცეული ამორძალები?

ჩვ.წ. აღ-მდე 450 წელს ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღწერს მამაცი მებრძოლი ქალების ამბავს, რომელთაც მან ამორძალები უწოდა. ჰეროდოტემ ამორძალები სწორედ შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთში ნახა. თვითდამკვიდრებისა და ტერიტორიული ბრძოლების დროს ერთი ტომი მეორემ განდევნა ევროპული ნაწილის სტეპებიდან. ისინიც იძულებულნი იყვნენ გეზი აღმოსავლეთით, კონტინენტის სიღრმისკენ აეღოთ.

***კალეიდოსკოპი №39***

# პრინცესას 18 წელი შეუსრულდა

შვედეთის მეფის კარლ გუსტავის უმცროსი ქალიშვილი, პრინცესა მადლენი 18 წლის გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრესის მიერ ევროპის სამეფო ოჯახებიდან ულამაზესად მონათლულ, მართლაც მომხიბლავ მადლენს ნება ეძლევა, შეასრულოს შვედეთის სახელმწიფოს მეთაურის ყველა მოვალეობა იმ შემთხვევაში, თუ მეფე-მამას, მის უფროს დას — ტახტის მემკვიდრე პრინცესა ვიქტორიას და ძმას, კარლ ფილიპს რაღაც მიზეზის გამო არ ეცლებათ.

მადლენმა დაბადების დღეზე მიიღო თავისი გუბერნიის წარმომადგენლები, რომელთაც მას გადასცეს მისი სახელობის ცხენოსანთა სტიპენდიის ფონდის შექმნის მოწმობა. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან მადლენი ოთხი წლის ასაკიდან გატაცებულია ცხენოსნობით.

პრინცესა ოცნებობს მიიღოს მანქანის მართვის უფლება და დიპლომი. მადლენი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებს. სიყვარულზე ჯერჯერობით არ ფიქრობს, თუმცა ჟურნალისტებმა უკვე დანიშნეს ინგლისელ პრინც უილიამზე.

მადლენ ტერეზია ამელია ჟოზეფინამ მამასთან ერთად პირველად მიიღო მონაწილეობა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს სხდომაში. შემდეგ, ტრადიციისამებრ, კარლ გუსტავმა გადასცა ქალიშვილს უმაღლესი — „სერაფიმის ორდენი“. ამ ტრადიციას შვედეთში ჯერ კიდევ მეფე მაგნუს ლადულოსმა (X ს.) დაუდო სათავე.

***ოტდოხნი №37***



# ფარაონთა უქრობი ლამპრები

ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის მატიანეებში აღწერილია შემთხვევები, როცა უძველესი სამარხების მძარცველები ძვირფასეულობასთან ერთად ლამპრებსაც პოულობდნენ. ისინი იქ საუკუნეების მანძილზე ენთო, მაგრამ როგორც კი ბოროტმოქმედები გამოჩნდებოდნენ, ელვის უსწრაფესად ქრებოდა ცეცხლი.

ასეთი ცნობები ისე ხშირია მატიანეებში, რომ არ შეიძლებოდა მეცნიერები არ დაინტერესებულიყვნენ. ამ ლამპრებს ერთი უცნაური თვისებაც ჰქონდა: არც ერთი არ ბოლავდა. სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი ნათელს ჰფენს უძველესი ეგვიპტის აქამდე ამოუხსნელ გამოცანას: როგორ შეიძლებოდა სიბნელეში კედელზე ფრესკის დახატვა ისე, რომ იგი ჩირაღდნის ან ლამპრის ჭვარტლით არ გაეფუჭებინათ?

1485 წელს ასეთი საოცარი მარადიული ლამპარი იპოვეს რომაელი ორატორისა და ფილოსოფოსის ციცერონის ქალიშვილის საძვალეში. ლამპა 1600 წლის მანძილზე ენთო (რა თქმა უნდა, ჟანგბადი არ მიჰკარებია) და ოქროსფერთმიანი გოგონას სხეულს აშუქებდა. გათხრების თვითმხილველი იყო ერთი ბენედიქტელი ბერი, რომელიც საოცარი ლამპრის სანახავად მიიწვიეს. იმავდროულად, ბერს უნდა დაემოწმებინა, რომ აქ ეშმაკის ხელი არ ერია. სამარხში შესულმა ბერმა, გარდა სავსებით უხრწნელი ნორჩი გოგონას გვამისა, შენიშნა ლამპარიც, რომელიც დაბინდულ მოლურჯო შუქს გამოსცემდა. ლამპარი რამდენიმე დღეში უკვალოდ გაქრა და მეცნიერებმა, სამწუხაროდ, მისი გამოკვლევა ვერ მოასწრეს.

უამრავი ლამპარი აღმოაჩინეს არქეოლოგებმა ერთ დროს მაღალგანვითარებული, ახლა კი გამქრალი ცივილიზაციის ადგილებში. პლუტარქე წერდა, მარადიული ლამპარი ანათებს იუპიტერამონის ტაძარსო; წმინდა ავგუსტინე იხსენიებს ძველეგვიპტური ვენერას ტაძრის ლამპარს, რომელსაც ქარ-წვიმა ვერაფერს აკლებდა. ასეთივე ლამპარი იდგა თურმე 500 წლის მანძილზე (თვით ლამპარზეა ამოტვიფრული თარიღი) ანტიოქიის ქალაქის ჭიშკრის ნიშაში. მსგავსი ლამპრები ინგლისის ტერიტორიაზეც აღმოაჩინეს.

მარადიული ლამპრების შესახებ საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა მეცნიერმა ათანას კირხერმა. „ეგვიპტეში ნავთობის დიდი მარაგია, — წერს იგი, — ალბათ, ქურუმები ნავთობის წყაროებს მილებით აერთებდნენ აზბესტის პატრუქიან ლამპრებთან. მიმაჩნია, რომ ეს არის უქრობი ლამპრების გამოცანის ამოხსნის ერთადერთი გასაღები“.

ზოგიერთმა მკვლევარმა შენიშნა, რომ მარადიულ ლამპრებს იმ ადგილებში პოულობდნენ, სადაც გვამების უხრწნელად შენახვის ტრადიცია მძლავრობდა. ჩვეულებრივ, გარდაცვლილის შინაგან ორგანოებს სარკოფაგის შორიახლო, საგანგებო ჭურჭელში ინახავდნენ, მაგრამ იმ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ...



სულსაც! სწორედ იგი, უძველეს ხალხთა წარმოდგენით, ანიჭებდა სხეულს სიცოცხლეს. უნებურად იბადება კითხვა: იქნებ მარად უქრობ ლამპრებში არც ყოფილა საწვავი, არც პატრუქი და მათ ნაცვლად, გარდაცვლილთა სულები ანათებდნენ? რასაკვირველია, ეს უნაზესი სუბსტანცია თავის არსებობას წყვეტდა, როგორც კი შორიახლო უცხოები გამოჩნდებოდნენ.

ეგვიპტურ „გარდასულთა წიგნში“ არის თავი — სახელწოდებით „შუქისკენ ზეასვლა“, სადაც ნათქვამია, რომ ფარაონს თავისი საძვალიდან გადასვლა ნებისმიერ დროს შეეძლო, საამისოდ მას სჭირდებოდა სასიცოცხლო ძალა, რომელიც იქვე, ლამპარში ინახებოდა...

***ნლო №28***

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი «მზიური» აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მის: ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37
(ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია)
☎ 29-48-60; 23-53-17

შხაპ-მაცივრების (გრადირნია)
რეკონსტრუქცია
რემონტი
☎ 899-53-77-78
8-253-2-14-15

შტამპების და ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
არასამთავრობო ორგანიზაციები
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 38-37-89

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფურცლებში და რულონებში
ტელ: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

# ქართველებმა უცხოელები დაჯაბნეს

## გიორგი კანდელაკმა ზედიზედ მეჩვიდმეტედ გაიმარჯვა

***ამ ბოლო დროს, არცთუ განებივრებულები ვართ ქართველი სპორტსმენების გამარჯვებებით, იქნებ ამიტომაც იყო გამორჩეული ჩვენთვის 6 ოქტომბრის საღამო — ქართველთა მიერ გამართული ორთაბრძოლები, სადაც გამარჯვებულნი ჩვენებურები გამოვიდნენ და იმ მონატრებულ სიხარულს, რასაც ქართველი კაცის უცხოტომელზე გამარჯვება და ძლევა ჰქვია, კვლავაც გვაზიარეს.***

***საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციისა და „რინგს-საქართველოს“ თავკაცთა ინიციატივით ლამაზი სანახაობა გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში. სანახაობა შემთხვევით არ მიხსენებია. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, ხოლო რაც ჯიგრიანი და ნაღდი სპორტული იყო, მოდით, იმით დავიწყოთ.***



### 1. გოჩა რუსია — იგორ სახატაროვი

გოჩა რუსია ფოთელი მოკრივე, ნიჭიერი ბიჭი და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა. საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრიც იყო ბოლო ხანს, მაგრამ, ჩვენში ტრადიციულმა შეჭირვებამ აიძულა, პროფესიულ კრივში გადასულიყო. პარასკევს გოჩას პროფესიული ნათლობა იყო. გოჩამ ივარგა იმ დღეს. პასუხისმგებლობაც დიდი ჰქონდა — საქართველოს სახელით პირველს მას მოუწია რინგზე გასვლა, გზის გამკვალავის ფუნქცია კი იოლი სულაც არ არის.

იგორ სახატაროვს გოჩა რუსიამდე 4 ბრძოლა გაემართა პროფესიულ კრივში და ოთხივე მოეგო. რინგზეც ყინჩად და ამაყად გამოვიდა, ეტყობა, ფიქრობდა, ესეც მეხუთეაო. არ გამოუვიდა. გოჩამ შავი დღე აყარა. ოთხი რაუნდი ეჩხუბა და არაფერი დაუთმო. ორჯერ ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, ბოლოს, სახატიროვს ფეხზე დგომის თავიც რომ არ ჰქონდა, ნოკაუტით მოუთავა ხელი. ის დღე გოჩასი იყო, ყველაფერი გამოსდიოდა, მეტოქეს წარმატების შანსი არ დაუტოვა და ალალად გაიმარჯვა.

### 2. გეგა გეგეშიძე — ვალენტინ დავიდოვი

იმ დღეს სპორტის სასახლეში ზაზა ტყეშელაშვილს უნდა ეჩხუბა. „რინგს-საქართველოს“ სახელით, ზაზა, ტარიელ და ამირან ბიწაძეებთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონია და მისი ბრძოლა მეტ ხიბლს შემატებდა საპარასკევო თბილისურ სპორტულ ბატალიებს. მაგრამ ზაზა ტყეშელაშვილი ტარიელ ბიწაძესთან ერთად, ნაუცბათევად იაპონიას გაემგზავრა და სპორტის სასახლეში თავისი მოწაფე გეგა გეგეშიძე დატოვა. არც თავი შეირცხვინა გეგამ და არც ოსტატი შეარცხვინა. ვალენტინ დავიდოვი ერთ-ერთი საუკეთესო რინგსეულია მსოფლიოში, მასთან ბრძოლა არ არის იოლი საქმე. არც გეგას გაიოლებია თავიდან, დიდი ჭიდილი და ბრძოლა იყო, დავიდოვი კრივისა და კარატეს ილეთებით ცდილობდა ჩვენებურის დამარცხებას, მაგრამ არ გამოუვიდა. გეგა კი ამ ყველაფერთან ერთად საჭიდაო ილეთებსაც კარგად ფლობს, ამის წყალობითაც გაიმარჯვა. ბოლო ხანს, ქართველ რინგსელებს არაერთი ახალბედა და ნიჭიერი ათლეტი შეემატა, მაგრამ გეგა გეგეშიძისთანა ნიჭიერი, თამამად შეიძლება ითქვას, ბევრი არ გამოჩენილა.

### 3. ილია ტლაშაძე — ვალერი სემეშკოვი

ილია ტლაშაძეს ერთი უბედურება სჭირს, რომელიც, ერთის მხრივ, მისი ბედნიერებაცაა: ილია გიორგი კანდელაკის სპარინგ-პარტნიორია. როცა კანდელაკი ლონდონში არ ემზადება ორთაბრძოლებისთვის და გორში, ვარიანში ვარჯიშობს, მას ყველაზე ღირსეულ „სპარინგობას“ სწორედ ტლაშაძე უწევს. მტერს მოხვდა კანდელაკის ხელი — ესეც თქვენი უბედურება! მაგრამ თუ რამე სიკეთე გინდა ისწავლო კრივში და დაოსტატდე, კანდელაკზე უკეთეს სპარინგ-პარტნიორს საქართველოში ვერ მოძებნი.

ანდა, ეძებე და იყავი — უკეთესი არ არსებობს და სად ნახავ. ერთიც არის — ილია ტლაშაძის მწვრთნელი სწორედ კანდელაკის გამზრდელი და დამკვალიანებელი ავთანდილ შოშიაშვილია, ბატონი ავთანდილი კი ისეთი კაცია, „ხელიდან სულ ჩემპიონები გამოსდის“.

ილია ტლაშაძემ ჯიქურ დაიწყო ბრძოლა. ძალიან ეწადა, სემეშკოვი დაენოკაუტებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეორე რაუნდში რუსმა იძალა და დიდი საფრთხეც შეუქმნა ილიას. მარცხენას მარჯვედ ხმარობდა და ორ-სამჯერ რინგის კუთხეშიც ააყუდა ჩვენებური, მაგრამ შოშიაშვილისეულ სკოლას სად წაუვიდოდა — ბოლო ორ რაუნდში ილიამ გვარიანად ბეგვა მოწინააღმდეგე და პროფესიულ კრივში მეორე გამარჯვებაც მიითვალა.

### 4. ბაკურ გოგიტიძე — ვიადკო ცვეტკოვი

ბაკურ გოგიტიძეს ჯერ კიდევ „კლასიკური“ სტილით ჭიდაობისას არაერთგზის უსახელებია საქართველო, რინგსშიც ბევრი წარმატება მოუპოვებია და იმ დღეს მისგან ყველა გამარჯვებას ელოდა. გოგიტიძემ ჭიდაობაც გულიანჯიგრიანი იცოდა და ჩხუბიც ასეთი სჩვევია. ბულგარელი ცვეტკოვი მართლად ააფერადა, ურტყა და ურტყა, დიდხანს არ გაუგრძელებია პაექრობა, არც თავად იწვალა და არც მეტოქე აწერვიულა — 5 წუთში მოუთავა ხელი და მორიგი გამარჯვებაც მიითვალა.

### 6. რამაზ ბებნაძე — მაქსიმ სიდოროვი

გიორგი კანდელაკსა და ავთანდილ შოშიაშვილს ვერც ამჯერად ავერიდები. რამაზ ბებნაძეს მუშტების ქნევა და საკრივო ანი-ბანი სწორედ ავთანდილ შოშიაშვილმა ასწავლა, მერე კი, უკვე მე-5 წელია, რამაზი კანდელაკის შეგირდი და უმცროსი მეგობარია — გიორგის კლუბ „ჩემპიონის“ სული და გულია. რამაზს რეკლამა არ სჭირდება, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: დონ-კინგის მერე მსოფლიო კრივში პირველ კაცად შერაცხული ფრენკ მელოუნი საქვეყნოდ აცხადებს, რომ რამაზ ბებნაძე მისი შვილობილია და ის დიდი ჩემპიონი გახდება; ეს სწორედ ის მელოუნია, 1992 წელს ლენოქს ლუისი კანადიდან რომ წამოიყვანა და გააინგლისელა — ლენოქს ლუისი დღეს მსოფლიო ჩემპიონია. ვის ვის და, ფრენკ მელოუნს ნაღდად დაეჯერება.

ამართლებს რამაზ ბებნაძე ნდობას და მერე როგორ! პარასკევს კანდელაკ-ჯოი გაის მერე თუ რომელიმე ორთაბრძოლა იყო საამოდ საცქერი, სწორედ ბებნაძე-სიდოროვისა, ისიც რამაზის ოსტატობის წყალობით. რამაზ ბებნაძემ რა ტემპშიც დაიწყო, იმავე ტემპში დაასრულა ბრძოლა; 4 რაუნდი კი დასჭირდა მეტოქის დასამარცხებლად, მაგრამ მსაჯებს მანამდეც რომ შეეჩერებინათ შეხვედრა და გამარჯვება ქართველისთვის მიენიჭებინათ, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ, რატომღაც ბოლომდე გაიმეტეს სტუმარი — ბოლო რაუნდში მაქსიმ სიდოროვი გამოთაყვანებული დაბორიალებდა რინგზე და მხოლოდ იმდენი მოახერხა, რომ ნაღდი ნოკაუტით არ დანებდა ჩვენებურს. რამაზ ბებნაძემ ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა, რაკი ბოლო რაუნდის მიწურულს სიდოროვს ბრძოლის გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა.

### 6. ამირან ბიწაძე — საიდ ჰუსეინოვი

„ბევრი შეცდომა დავუშვი. თავიდან, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიხსენი, მოგვიანებით მოვედი გონს. ერთხანს შიშიც შემეპარა, რომ დავმარცხდებოდი, მაგრამ მერე ხელ-ფეხი გამეხსნა, ქომაგებმაც გამომაფხიზლეს და ჰუსეინოვს შევუტიე. მთელი ბრძოლის მანძილზე, ერთი რიგიანი ილეთი გავაკეთე და ისიც მომგებიანი და გადამწყვეტი. ბრძოლა რომ გაგრძელებულიყო, მაინც მოვიგებდი, რადგან კომპლექსი, რითაც ორთაბრძოლა დავიწყე, უკვე მოხსნილი მქონდა. მიხარია, რომ არ გამირთულდა საქმე და გავახარე ჩემი ქომაგები“, — ეს სიტყვები ამირან ბიწაძემ საიდ ჰუსეინოვთან ორთაბრძოლის დასრულებისას მითხრა, როცა ყველაფერი უკან იყო, მანამდე კი, მართლაც, გაუჭირდა. ჰუსეინოვს, რატომღაც, ცნობილი დაღესტნელი რუსის ვოლკ ხანის გვარსახელიანი სპორტული პიჟამო ემოსა. ვის აშინებდა, არ ვიცი. ვოლკ ხანი დიდი მებრძოლია და ჩვენშიც კარგად იცნობენ, მაგრამ არ გაუვიდა ილეთი ჰუსეინოვს — რა „ვოლკი და მგელიც“ იყო, გამოჩნდა. თავიდან ოდნავ დაჩაგრა ამირან ბიწაძე, მაგრამ ამირანი, როგორც თავად აღიარებს, მალევე გამოფხიზლდა. მე-3 წუთზე კი ისეთი ილეთი ჩაუტარა ვოლკ ხანის მოტრფიალეს, მეტოქე ძირს დაეცა და ვეღარც კი წამოდგა. ალალად გაიმარჯვა!

### 7. პაატა ვარდუაშვილი — ლეონტი ვორონჩუკი

პაატა ვარდუაშვილი კანდელაკის „ჩემპიონის“ აღზრდილი, ვარიანელი მოკრივეა. ახლახან გაპროფესიონალდა და ჯერ ბევრი უკლია, რომ თავის ოსტატს შეედაროს. პაატამ ბრძოლა წარმატებულად დაიწყო, ვორონჩუკი ერთხანს რინგის კუთხეშიც მიაყუდა ოროსანი მოსწავლესავით და კარგად უბრახუნა, მაგრამ მერე ამანაც გამოიღო ხელი და ქართველსაც ბლომად უთავაზა. ეს ერთადერთი ბრძოლა იყო, რომელიც ფრედ დასრულდა. მე-2 და მე-3 რაუნდში პაატას ჰქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ წყალს გაატანა. ბოლოს მეგობრობამ იზეიმა და მოშუღარნი დაზავდნენ.

### 8. გიორგი კანდელაკი — ჯოი გაი

კრივის ქომაგნი რომ შეცდომაში არ შეიყვანონ ჩემმა კოლეგებმა, ერთი განმარტება ამთავითვე აუცილებლად მიმაჩნია. ამ ორთაბრძოლამდე, იქვე, სპოტის სასახლეშიც ხმა დაირხა, — ჯოი გაი მსოფლიო ჩემპიონიაო. კი, ბატონო, არავინ ედავება ჩემპიონობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ გაი, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი ჩემპიონია. პროფესიულ კრივში უამრავი (10-12) ორგანიზაციაა და ვისაც არ ეზარება, საჩემპიონო ორთაბრძოლებს აწყობს. აი, ერთ-ერთი ამგვარი ვერსიის ჩემპიონია ეს გაი. რაც შეეხება სამ უმთავრეს ტიტულს, რომელსაც მსოფლიოს კრივის უმთავრესი ორგანიზაციები — კრივის საბჭო (WBC), ასოციაცია (WBA) და ფედერაცია (WBF) მართავენ, ჯერ იქამდე გაის ხელი არ მიუწვდება.

ეს განმარტება სულაც არ ახუნებს გიო კანდელაკის წარმატებას. მან მსოფლიო ჩემპიონი ცემა და რა მისი ბრალია, თუ მსოფლიოს პროფესიულ კრივში ასეთი დომხალია, ვისაც არ ეზარება ფედერაცია-კავშირს ქმნის და თავიანთი ჩემპიონებიც ჰყავს. იქნებ ახლა მაინც მოვიდნენ ეს ამბიციური და პირველობის უაზროდ მოსურნე კრივის ბოსები აზრზე — მათი მსოფლიო ჩემპიონი ჩვენმა ვარიანელმა ბიჭმა ისე მიბეგვა, ფეხზე ვეღარ იდგა ამერიკელი.

კანდელაკს ქადილი და ტყუილ-უბრალო ლაპარაკი არ სჩვევია, თანაც, თუ იტყვის, აასრულებს — სიტყვის კაცია! ამ ბრძოლამდე განაცხადა, მე-3 რაუნდში მოვრჩები საქმესო და აასრულა კიდეც. თუმცა, პირველ რაუნდში არ უჩანდა ასეთი პირი. ჯოი გაი დიდგულად ჩამოვიდა თბილისში — იქადნებოდა, მაგ თქვენს კანდელაკს ნოკაუტით გავაგორებო. წარსულიც ხელს უწყობდა. თბილისამდე 30 ბრძოლა გადაეხადა, 27 მოეგო და აქედან, 15 — ნოკაუტით. კანდელაკიც არ იყო ნაკლებიმედიანად — 16 შეხვედრიდან ყველა ჰქონდა მოგებული, 11 — ნოკაუტით. გაის კოზირი ისიც იყო, რომ მისი თბილისში ჩამოსვლა ბრძოლამდე 2 დღით ადრე გადაწყდა, მანამდე გიორგის მეტოქედ შავკანიან ამერიკელს ქლევლენ ვუდს ველოდით. ვუდს კი ხელი მოუტეხია ვარჯიშზე და ბოლო მომენტში გაიმ შეცვალა თანამემამულე. ჯო გაის კანდელაკის



რამდენიმე ორთაბრძოლის ჩანაწერი, როგორც განაცხადა, ნანახი ჰქონდა, გორელმა მოკრივემ კი ამ საყურიანი ამერიკელის გვარ-სახელი ბრძოლის წინა დღეს გაიგო.

გაი ტანად კანდელაკზე მომცროა, შესაბამისად, უფრო მეტად სხარტი და მოძრავი. ამიტომაც იყო, პირველ რაუნდში გვარიანად შეაშფოთა ქართველი მოკრივის ქომაგები. კანდელაკს ბევრი პრობლემა შეუქმნა, პრინციპში, ყველა მდგომარეობიდან ურტყამდა და ცდილობდა, დაებნია ჩვენიანი. თუმცა, გიორგი არ აჰყვა კრივში, დინჯად იცავდა თავს და, როგორც სჩვეოდა, პირველი რაუნდი მეტოქის შესწავლას, მისი ოსტატობისა და ხერხების ამოცნობას მოანდომა.

მეორე რაუნდში ამუშავდა კანდელაკი, ოღონდ ფრთხილად, მოზომილად. ჩანდა, მოწინააღმდეგეს ბოლომდე არც ეხსნებოდა და, არც ნოკაუტისთვის მუშაობდა. თუმცა, ნება-ნება ჩხუბით ისე წავიდა საქმე, ორჯერ რინგის კიდეზეც მიაგდო ამერიკელი. აქედან უკვე ჩანდა, კანდელაკი აშკარად ძლიერი იყო მეტოქეზე. გამოზოგილი ოსტატობით უკვე ჯაბნიდა მას, დანარჩენი კი დროისა და კანდელაკის შემონახული ოსტატობის საქმე იყო.

მე-3 რაუნდში კი გიორგი კანდელაკმა თავისი ჩხუბი იჩხუბა, იმგვარი, რითაც თავი უწინვე დაამახსოვრა კრივის ქართველ ქომაგებს: გაის გასაქანი არ მისცა, ჯერ იყო და დისტანციური დარტყმებით აუმღვრია თვალები, მერე „კლინჩში“ შემოსვლამდე იმგვარი „აჯახა“, მაყურებელი ფეხზე წამოდგა და ნოკაუტისთვის მოემზადა. რაუნდის ბოლოს კი, მტერს მოხვდა, ისეთი აპერკოტი აგემა ამერიკელს. კანდელაკის გამარჯვება, უკვე უეჭველი იყო, ყველა ელოდა, მეოთხე რაუნდში მოუთავებს ხელს მეტოქესო. ეგ იყო მხოლოდ, დანაპირებს ვერ ასრულებდა — მესამე რაუნდში გავიმარჯვებო.

ამ დროს ჯოი გაი ნოკდაუნში იყო და დაელმებულ თვალებს უაზროდ აცეცებდა. მისი რინგზე გამოსვლა და ბრძოლის გაგრძელება გაის უეჭველად მძიმე ნოკაუტს ნიშნავდა. ეს კი არც ერთ მოკრივეს, მით უფრო პროფესიონალს, ჩხუბით რომ ჭამს პურს, არ აძლევს ხელს. ნოკაუტირებული 3-6 თვე მაინც ჩამოწერილი ხარ და რინგზე არაფერი გესაქმება. ეს ჩემზე უკეთ ჯოი გაის მწვრთნელ-მენეჯერებმა იციან, ამიტომაც, არ გაწირეს შეგირდი და რინგზე პირსახოცი გადმოკიდეს — ჯოი გაი დანებდა გიორგი კანდელაკს, სწორედ მე-3 რაუნდში და გიორგისაც პირუმტკიცობამ არ მოუწია.

ეს კანდელაკის მე-17 სარეიტინგო გამარჯვება იყო. სავარაუდოდ, ამ წარმატებით გიორგი კანდელაკმა ევროპის საუკეთესო მოკრივეთა ათეულში მეექვსედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო მსოფლიოს საუკეთესოთა შორის მე-6-მე-8 ადგილს შორის დაიმკვიდრებს ადგილს. ეს WBC რეიტინგის მიხედვით. შესაძლოა, ნოემბერში გიორგიმ „ინტერკონტინენტალის“ ტიტულისთვისაც იბრძოლოს. ამაზე რა ხანია საუბარია, მით უმეტეს, თბილისში მე-12 სარეიტინგო ბრძოლის მოგების (მაშინ კანდელაკმა ამერიკელი მარკ იანგი სცემა) პარალელურად „ინტერკონტინენტალის“ ქამრისთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვა.

P.S. ქართველთა მიერ გამართული 7 ბრძოლიდან არც ერთი არ დასრულებულა ჩვენებურთა დამარცხებით. სპორტის სასახლეში ასეთი ხმებიც დაირხა — „ჩაწყობილია ეს ჩხუბებიო“, კანდელაკისა და ჯო გაის ბრძოლისას ასეთ ფრაზასაც მოვკარით ყური — ესენი მგონი, მართლა ჩხუბობენო. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისში გამართულ მსგავს სანახაობებზე ხალხის ნაწილმა კარგა ხანია, გული აიცრუა და მიიჩნევს, რომ ნაღდი ბრძოლები ჩვენში არ იმართება და ვითომდა სახელგანთქმული უცხოელი მოჩხუბარნი მხოლოდ შოუს გასამართად და ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩამოდიან ჩვენთან. რასაკვირველია, საკუთარ კედლებს, დიდი უპირატესობის მოტანა შეუძლია და ამას არც არავინ უარყოფს. ისე კი, არა გვგონია, უცხოეთიდან ხალხი გასალახად ჩამოდიოდეს. ჯო გაის ყბებს კანდელაკთან ჩხუბისას ისეთი ხმები გაუდიოდა, ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ორივე მათგანი ალალად ჩხუბობდა. არც დანარჩენ ქართველ მებრძოლებზე ითქმის აუგი — თუმცა იმ ხალხის ძირითადი ნაწილი, რომელმაც სპორტის სასახლის საკმაოდ დიდი ნაწილი შეავსო, მაინც გიორგი კანდელაკის მორიგი გამარჯვების საცქერლად მოვიდა. არც არავინ შემცდარა. შაბათს გამართული უკანასკნელი ბრძოლა თვალსასეიროდაც მშვენიერი სანახაობა გახლდათ და არც ჩვენებურს გაუცრუებია ხალხისთვის იმედი.

***ლევან ჯავახიშვილი***

# სიდნეიდან ათენისაკენ



პარასკევს, გამთენიისას საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა 6 ბრინჯაოს მედლით, წინა ოლიმპიადასთან შედარებით ბევრად გაუმჯობესებული შედეგითა და სრულ დელეგაციასთან შედარებით ოთხი კაცით ნაკლები რაოდენობით. ოთხმა ქართველმა ოლიმპიელმა სამშობლოში დაბრუნება არ ისურვა. მოჭიდავეებმა — ალექსანდრე ცერცვაძემ და გურამ მჭედლიძემ, აგრეთვე ძალოსნებმა — მუხრან გოგიამ და ვალერი სარავამ შინ ჩამოსვლას „მწვანე კონტინენტზე“ დარჩენა ამჯობინეს და სიდნეიდან გამოსამგზავრებელ ქართულ დელეგაციას აეროპორტში არ შეუერთდნენ. ოლიმპიადაზე ვერც ერთმა მათგანმა ვერ ისახელა თავი. ასე რომ, 6 ბრინჯაოს მედალოსნის გარდა, რომლებსაც მთავრობისაგან დაპირებული ფულადი ჯილდო ეკუთვნის, ზემოთ ნახსენები ოთხეული, სხვა ქართველ სპორტსმენებთან ერთად, ოლიმპიადაში მონაწილეობით თუ მოიწონებდა თავს, თორემ სიდნეი-2000-ს მათთვის სხვა სახეირო არაფერი მოუტანია. სპორტსმენებმაც, რომელთაც მატერიალურად სულაც არ ულხინდათ, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს. სავარაუდოა, რომ ავსტრალიაში მეტ-ნაკლებად სარფიან კონტრაქტებს გააფორმებენ და ამგვარი გზით შეეცდებიან თავისა და ოჯახის რჩენას. ალბათ არც ღირს ამ ფაქტისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, ნურც შევაქებთ და მაინცდამაინც ნურც გავკიცხავთ. კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია.

ქართველთა სიდნეიში გამოსვლაზე აუგი არ ითქმის, ექვსი მედალი ჩვენთვის, დღევანდელობიდან გამომდინარე, ურიგო შედეგი არ გახლავთ, უბრალოდ ქართული სპორტის ტრადიციები მოითხოვს მეტს. რაც არ უნდა იყოს, ფაქტია — წინა ოლიმპიადასთან შედარებით, ბევრად უკეთ გამოვედით. იღბალს რომ ზურგი არ ექცია, ოქროს მედლებითაც გავიხარებდით. თუმცა რას იზამ, გამოცდილება, რომელიც ჩვენმა სპორტსმენებმა სიდნეიში მიიღეს, სპორტსმენისათვის აუცილებელია, ყველაზე ძვირფასი კი — იმედია, რომელიც ჩვენმა ბიჭებმა ათენის ოლიმპიადის დაწყებამდე ოთხი წლით ადრე ჩაგვისახეს... კიდევ ერთი: ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა გადადგომის შესახებ განაცხადა, შინ დაბრუნებულმა კი დაადასტურა — გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებო.

# 4 გოლი — კაუნასში, 3 ქულა — ცხრილში, იმედი — იტალიაში

## ლიტვა-საქართველო 0:4

მოხდა ის, რასაც წლების მანძილზე ამაოდ ველოდით. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველივე მატჩში, თანაც სტუმრად და თანაც 4:0! უკეთეს დასაწყისს ალბათ ვერც ვინატრებდით. შედეგი იმდენად შთამბეჭდავია, რომ ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. წლების წინ იყო, ლიტვასთან და მის მსგავს გუნდებთან რომ არაფრად ვაგდებდით მოგებას, თორემ ახლა, როცა ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში, როცა თითქმის ჩაქნეული გვქონდა ხელი ქართული ფეხბურთის მომავალზე, როცა გვეგონა, რომ ჩვენთან წამგები გუნდი მსოფლიოში აღარ მოიძებნებოდა, მოხდა ის, რამაც პირველ რიგში საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნა, კაუნასში გამარჯვება მალამოსავით მოეცხო ბოლო ხანს დაუძლურებულ ქართულ ფეხბურთს. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს — აჰა, ლიტვას მოვუგეთ და დაბრუნდა ჩვენში დიდი ფეხბურთიო — არა, ღმერთმა ქნას, ლიტველთა დამარცხება დიდი გამარჯვებების საწყისად იქცეს, თუმცა ის იმედი, რომელიც შაბათ საღამოს ჩვენმა ნაკრებმა გულშემატკივარს ჩაუსახა, კაუნასში მოპოვებულ სამ ქულაზე ნაკლებად არ ფასობს. თუნდაც ის სამდღიანი მოლოდინი რად ღირს, იტალიასთან თამაშამდე რომ განვიცდით. ვიყოთ გულახდილები და ჩვენებს ანკონაში მოგებას ნუ მოვთხოვთ, ნურც ფრეს. იტალია და იქაური ფეხბურთი ყოველთვის ათი თავით მაღლა იდგა ჩვენზე, იტალიაში ფეხბურთი რელიგიის დონეზეა აყვანილი, იქაურმა ნაკრებმა ლამის ევროპის ჩემპიონატი მოიგო, იტალია არათუ ჩვენთან, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ნაკრებთან ფავორიტია, მით უმეტეს შინ. ჩვენებს დასაკარგი არაფერი აქვთ, ასეთ დროს ამბობენ, ფსიქოლოგიური უპირატესობა სტუმართა მხარესააო და ალბათ ასეც იქნება 11 ოქტომბერს ანკონაში. მთავარია, ჩვენებმა ითამაშონ ლაღად, არ შეუშინდნენ მეტოქეს და თუ სასწაული მოხდა და იქ რაიმეს მივაღწიეთ... ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ახლა კი კაუნასში გამართულ მატჩს მივუბრუნდეთ.

**7 ოქტომბერი. კაუნასი.**

**7.000 მაყურებელი.**

**ლიტვა — საქართველო 0:4**

**საქართველო:** ***გვარამაძე, სილაგაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია (მენთეშაშვილი 67), ქინქლაძე (ჯამარაული 70), დემეტრაძე (არველაძე 56).***

**გოლები: ქეცბაია — 18,33; ქინქლაძე — 46; არველაძე — 84.**

თამაშის ბედი პრაქტიკულად პირველივე ტაიმში გადაწყდა. მარტო ანგარიშში არ გახლავთ საქმე. ლიტველები ციდან ვარსკვლავებს რომ არ წყვეტდნენ, თამაშამდეც ვიცოდით, თუმცა ასეთი სუსტი ნაკრები თუ ჰყავდათ, ვერც ვიფიქრებდით. არადა, ეს გუნდი სტუმრად 89 წუთი გაუძალიანდა რუმინეთს და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. თამაში ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, როცა კინაღამ ანგარიში გაიხსნა. დემეტრაძის თავური ცარიელი კარიდან გამოიტანეს მასპინძელთა მცველებმა. ქართველები ნელ-ნელა დაეუფლნენ მოედნის ცენტრს, რამაც მალე სასურველი შედეგი გამოიღო. ქეცბაია პირისპირ დარჩა ლიტველთა მეკარესთან და არ გასჭირვებია ანგარიშის გახსნა. ამის შემდეგ იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე გიორგი ქინქლაძემ ჯერ ყაველაშვილი დატოვა მეკარესთან პირისპირ, შემდეგ დემეტრაძე, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ ივარგა. ლიტველები ეპიზოდურად გადმოდიოდნენ ჩვენს ნახევარზე. 34-ე წუთზე ისევ ქეცბაიამ გაიბრწყინა, ორ მცველს გასცდა და დაახლოებით 27-28 მეტრიდან უზუსტესად დაარტყა — 0:2. ამის შემდეგ ყაველაშვილმა ერთი მომენტიც გააფუჭა და ტაიმიც დასრულდა. მეორე ნახევარი ერთი წუთის დაწყებული იყო, როცა გიორგი ქინქლაძემ დემეტრაძის ზუსტი პასი მიიღო და მესამედ დაამწუხრა მასპინძელთა მეკარე. თამაშის დაწვრილებით გარჩევას აღარ მივყვებით: 4-5 ნაღდი საგოლე მომენტის გამოუყენებლობის შემდეგ, ჩვენებურთაგან არჩილ არველაძემ ივარგა და მეოთხე გაიტანა. მანამდე ორჯერ ჩვენს ძელს მოხვდა ბურთი, ორჯერ ლიტველთა კარი შეზანზარდა. ეს იყო და ეს.

რა შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს ნაკრებმა?

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა სახით ძოძუაშვილის და ყიფიანის ნაკრებს უსუსტესი მეტოქე ჰყავდა. მაგრამ მთავარი ეს არ გახლავთ, მათზე სუსტებთანაც წაგვიგია. საქმე ის არის, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნაკრები მართლა დამსგავსებია გუნდს. იგრძნობოდა მწვრთნელთა ხელიც, ფეხბურთელთა დიდი პასუხისმგებლობაც და ისიც, რომ გუნდი კაუნასში მოსაგებად იყო ჩასული. არც თავდამსხმელები თაკილობდნენ საკუთარ საჯარიმოში ჩამოსვლას და მცველებიც დროულად ერთვებოდნენ შეტევაში. მეკარე გვარამაძეს მაინცდამაინც მძიმე სამუშაო არ ჰქონია. იმ 2-3 მომენტში, როცა ჩვენს მეკარეს თამაშში ჩართვა დასჭირდა, გვარამაძეს თავი არ შეურცხვენია. განსაკუთრებით სასიხარულოა ჩვენი „აქილევსის ქუსლის“ — დაცვის საიმედო თამაში და ის, რომ 90 წუთი კარი მშრალად შეინახეს. ნახევარდაცვაში შეუდარებელნი იყვნენ ქინქლაძეც და ქეცბაიაც, სწორედ მათ მოუწევთ ლიდერის როლის კისრება იტალიასთან გასვლით მატჩში და ალბათ ამიტომაც დაასვენა მწვრთნელებმა ორივე მათგანი, როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. რაც შეეხება თავდასხმას — მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა კარში 4 გოლი გავიდა, დემეტრაძის, არველაძისა და განსაკუთრებით ყაველაშვილისაგან მეტი ყურადღებაა საჭირო, თორემ ამდენი მომენტის გამოუყენებლობას ნორმალური გუნდები არ გვაპატიებენ. ორიოდე სიტყვა მწვრთნელებზეც ვთქვათ: არც მართლა ისეა საქმე, თამაშს მოთამაშეები იგებენ, მწვრთნელები კი აგებენო. ჩვენს გუნდს აშკარად ეტყობოდა მწვრთნელთა ხელი. ყიფიანსა და ძოძუაშვილს კაუნასში ბიჭებმა გაუმართლეს და მათაც მშვენიერი სტიმული მიიღეს უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის.

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 2. | საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 3. | რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 4. | უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 5. | ლიტვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

ლოს ნაკრების გულშემატკივართათვის ყველაზე საინტერესო მილანში გამართული შეხვედრა იყო. „სან სიროზე“ ქართველთა მომავალმა მეტოქეებმა — იტალიამ და რუმინეთმა გააგორეს ბურთი — მასპინძლებმა სამჯერ აიძულეს რუმინელთა თავხოტორა მეკარე ბოგდან სტელია კარიდან გამოეტანა ბურთი, ფრანჩესკო ტოლდო თითქმის მთელი მატჩის მანძილზე უქმად იდგა, იტალიელებისა რა გითხრათ, მაგრამ რუმინელთა თამაშის შემხედვარე, მათი დამარცხება სულაც არ უნდა იყოს მიუღწეველი ოცნება. ჩვენი ჯგუფის მეხუთე გუნდი — უნგრეთი, შაბათს ისვენებდა. გაგაცნობთ 7 ოქტომბერს გამართული მატჩების შედეგებს:



ფრანჩესკო ტოტის მესამე გოლი გააქვს

**I ჯგუფი**
შვეიცარია-ფარერები 5:1
ლუქსემბურგი — სლოვენია 1:2

**II ჯგუფი**
ანდორა — ესტონეთი 1:2
კვიპროსი — ჰოლანდია 0:4
პორტუგალია — ირლანდია 1:1

**III ჯგუფი**
ჩრ. ირლანდია — დანია 1:1
ჩეხეთი — ისლანდია 4:0
ბულგარეთი — მალტა 3:0

**IV ჯგუფი**
შვედეთი — თურქეთი 1:1
მოლდოვა — სლოვაკეთი 0:1
მაკედონია — აზერბაიჯანი 3:0

**V ჯგუფი**
უელსი — ნორვეგია 1:1
სომხეთი — უკრაინა 2:3
პოლონეთი — ბელარუსი 3:1

**VI ჯგუფი**
სან მარინო — შოტლანდია 0:2
ლატვია — ბელგია 0:4

**VII ჯგუფი**
ლიხტენშტეინი — ავსტრია 0:1
ესპანეთი — ისრაელი 2:0

**VIII ჯგუფი**
ლიტვა — საქართველო 0:4
იტალია — რუმინეთი 3:0

**IX ჯგუფი**
ინგლისი — გერმანია 0:1
საბერძნეთი — ფინეთი 1:0

# ფიოლერმა „უემბლი“ დაახურა!



ჰამანი გოლს ზეიმობს

შაბათს ევროპის ცხრავე შესარჩევ ჯგუფში გაიმართა შეხვედრები, სულ 22 მატჩი, მაგრამ მათგან ერთი იყო გამორჩეული, ისეთი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფარგლებს სცდება. ინგლისისა და გერმანიის დაპირისპირება ამხანაგურიც რომ იყოს, მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, მით უმეტეს ახლა, როცა ძველი მეტოქენი მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად ებრძოდნენ ერთმანეთს და თანაც ლეგენდარული „უემბლი“ საუკუნისა და თავისი არსებობის ბოლო მატჩს მასპინძლობდა. ამრიგად, „უემბლიზე“ გამართული მატჩი ისტორიული გახლდათ და იგი ინგლისელთათვის სამარცხვინოდ დასრულდა. სადღა იყო ერიხ რიბეკის მისავათებული ნაკრები, ისეთი როგორიც სამიოდე თვის წინ გვახსოვს ევრო — 2000-ზე. რუდი ფიოლერმა გერმანელებს ახალი სული შთაბერა, ჯერ ესპანეთი გაანადგურა 4:1, შემდეგ იოლად სძლია საბერძნეთს 2:0 და ინგლისში ჩაიყვანა გუნდი, რომელსაც ნებისმიერი სიმაღლის დაპყრობა შეუძლია, შედეგი სახეზეა, გავრისკავთ და ვიტყვით, რომ მსოფლიოს ნებსმიერ გუნდს — ბრაზილია იქნებოდა, იტალია თუ არგენტინა — ძლიერ გაუჭირდებოდა „უემბლიზე“ ასეთი მატჩის მოგება. გერმანელებმა საოცარი დისციპლინის, თავგამოდებისა და დაცვაში ბრწყინვალე თამაშის ხარჯზე შეძლეს მასპინძელთა დამარცხება. არ იფიქროთ, ინგლისის ნაკრებს ეთამაშოს ურიგოდ. უბრალოდ ის დღე სტუმრებისა გახლდათ. ეს იყო უმაღლესი კლასის ფეხბურთი უმაღლესი კლასის ოსტატების მონაწილეობით. მატჩის ერთადერთი გოლი დიტმარ ჰამანმა გაიტანა შეხვედრის 14-ე წუთზე. დასანანია ბრიტანელთა მარცხი, „უემბლი“ მათი ეროვნული სიამაყეა და ასეთი დახურვა მას არ ეკადრებოდა — რას იზამ — ფეხბურთში ყველაფერი ხდება. გერმანელებმა ინგლისელთა მთავარი მწვრთნელის კევინ კიგანის სანაკრებო კარიერაც იმსხვერპლეს — „მიკი მაუსად“ წოდებულმა კიგანმა თამაშის დასრულებისთანავე განაცხადა — მივდივარო. ბრიტანელები მის შესაძლო მემკვიდრედ ტერი ვენეიბლსს ასახელებენ. გერმანიაში კი რუდი ფიოლერი გმირად მონათლეს. ასე თუ გაგრძელდა, ძლიერ საეჭვოა, ივლისში ფიოლერმა გერმანელთა თავკაცობა კრისტოფ დაუმს დაუთმოს.

სხვა შეხვედრებში განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ სომხები თითქმის მთელი მატჩის მანძილზე უგებდნენ უკრაინას და თამაშის უკანასკნელ წუთებში გაატანეს სამი ქულა წყალს. ვინ მოევლინებოდა უკრაინელებს მშველელად, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ისევ შევჩენკომ ივაჟკაცა და ერევანში ორი გოლი გაიტანა. საქართვე-

# დიდი მწვრთნელთა ცვლა ევროპაში

ასეთი რამ საფეხბურთო ევროპას არ ახსოვს. გასულ კვირას კონტინენტის მოწინავე კლუბები ეროვნულ ჩემპიონატებში ისვენებდნენ. სუპერკლუბთა პრეზიდენტებმა კი დრო იხელთეს და ერთი-მეორის მიყოლებით გაათავისუფლეს რამდენიმე სახელგანთქმული მწვრთნელი. მას შემდეგ, რაც „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინა ჯან ლუკა ვიალის, იტალიელის ბედი კონტინენტის რამდენიმე სუპერკლუბის თავკაცმა გაიზიარა.

იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში დამარცხება უსახელო „რეჯინასთან“ ძვირად დაუჯდა მილანის „ინტერის“ მწვრთნელს — მარჩელო ლიპის. ხუთშაბათს იტალიურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ კლუბის პრეზიდენტთან მასიმო მორატისთან შეხვედრის შემდეგ ლიპიმ უფლებამოსილება მოიხსნა. „ინტერმა“ წელს კატასტროფული სტარტი აიღო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შვედურ „ჰელსინგბორგთან“ დამარცხდა. შემდეგ სუპერთასი დაუთმო „ლაციოს“, სერია A-ს პირველ ტურში „რეჯინასთანაც“ წააგო და მორატის მოთმინების ფიალა აევსო. მარჩელო ლიპი, რომელმაც ტურინის „იუვენტუსში“ მუშაობისას მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მილანში ვერაფერს გახდა. უეფას თასის მფლობელი კლუბი ჩაიბარა და „ინტერის“ მრავალრიცხოვან ტიტულებს ვერაფერი ღირებული შემატა.

„ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე თავიდან ორი კანდიდატურა განიხილებოდა. ურუგვაის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი დანიელ პასარელა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მარკო ტარდელი. პარასკევს ამ ორს მესამე კანდიდატიც დაემატა — ლოთარ მათეუსი, რომელმაც საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები სწორედ მილანურ კლუბში გაატარა, ამჟამად კი ამერიკის პროფესიულ ლიგაში თამაშით ირთობს თავს. შაბათს საღამოს „ინტერის“ შეფობამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო — ამიერიდან მილანურ გრანდს მარკო ტარდელი გაწვრთნის.

მწვრთნელთა ცვლა მიმდინარეობს ბუნდესლიგაშიც. „კაიზერსლაუტერნის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა „მეფედ“ წოდებულმა ოტო რეჰაგელმა, დატოვა კი არა — დაატოვებინეს. ბუნდესლიგაში აღებული ცუდი სტარტი „კაიზერმა“ ლიგის ყველაზე სუსტ გუნდთან — „კოტბუსთან“ საშინაო ყაიმით „დააგვირგვინა“, რასაც შეეწირა კიდეც ოტო რეჰაგელი, რომელმაც ორიოდე წლის წინ „კაიზერს“ ჩემპიონის გვირგვინი დაადგა. გათავისუფლებამდე მწვრთნელს რამდენიმე ფეხბურთელი აუმხედრდა, მათ შორის მარიო ბასლერიც. ამბობენ იმასაც, რომ რეჰაგელს თავად აღარ სურდა კლუბის სათავეში ყოფნა და უახლოეს მომავალში ალბათ იტალიის ან ესპანეთის რომელიმე კლუბს მიაშურებსო. ამასობაში „კაიზერსლაუტერნს“ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. ეს გახლავთ წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ამავე კლუბის ყოფილი წევრი, მსოფლიო ჩემპიონი ანდრეას ბრემე. კონტრაქტი უახლოეს დღეებში გაფორმდება.

მიუხედავად იმისა, რომ რეჰაგელის გადადგომა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, გერმანული გაზეთების პირველი გვერდები ამჟამად არა „კაიზერის“ ყოფილი მწვრთნელის, არამედ ლევერკუზენის „ბაიერის“ თავკაცის კრისტოფ დაუმის ფოტოებითაა აჭრელებული. არა, დაუმი კლუბიდან არ გაუშვიათ, საქმე ის გახლავთ, რომ „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა დაუმი მწვავედ გააკრიტიკა და აღიარა, რომ კაცს, რომელიც ბევრჯერ შენიშნეს მეძავებთან ურთიერთობაში, მორალური უფლება არა აქვს, ივლისში გერმანიის ეროვნული ნაკრები ჩაიბაროს. ჰიონესმა კრისტოფ დაუმი კოკაინის მოხმარებაშიც ამხილა, პასუხად მომავალმა ნაკრების მწვრთნელმა სასამართლოში უჩივლა „ბაიერნის“ მენეჯერს და არავინ იცის, რით დასრულდება ეს საქმე. სავსებით შესაძლებელია, გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა რუდი ფიოლერმა ივლისის შემდგომაც შეინარჩუნოს.



მარჩელო ლიპის „ინტერში“ არ ულხინდა

შავად მისდის საქმე ესპანურ „ბარსელონას“. შეიძლება რეჰაგელისა და მარჩელო ლიპის გზას კატალონიელთა ამჟამინდელი თავკაცი ლორენს სერ ფერერიც გაუყვეს. თავად განსაჯეთ, „ბარსამ“ 3:0 წააგო „ბეშიქთაშთან“, ამის შემდეგ ერთნაირი ანგარიშით 2:0 დამარცხდა ჯერ შინ, „მილანთან“, შემდეგ სტუმრად „დეპორტივოსთან“, ისიც გასაკვირია ამდენი ხანი როგორ უთმენენ ამბიციური კატალონიელები ფერერს. „ბარსას“ მწვრთნელის ბედი უახლოეს მომავალში გადაწყდება. ამ თვეში კატალონიელებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით, შინ მადრიდის „რეალთან“ და სტუმრად მილანში. ალბათ მხოლოდ „რეალის“ დამარცხება თუ მოულბობს გულს „ბარსას“ ფანებს.

**P.S. გერმანიასთან „უემბლიზე“ წაგებული მატჩის შემდეგ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა კევინ კიგანმა. შეგახსენებთ იმასაც, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ მისი ბედი ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა ვანდერლეი ლუქსემბურგომაც გაიზიარა.**

***მოამზადა მათე კბილაძემ***

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლg8-h8!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **ორ** სვლაში.





## ბელგიაში სამეფო კარზე ომია

ერთი წელიც არ გასულა, რაც ბელგიის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ფილიპმა ცოლად შეირთო ულამაზესი არისტოკრატი ქალი მატილდა და სამეფო ოჯახში უკვე დიდი სკანდალი დატრიალდა. მიზეზი რძალ-დედამთილს შორის არსებული განხეთქილებაა.

პირველი მეხი მაშინ გავარდა, როცა ახალშეუღლებულები საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდნენ. შედგა თუ არა ფეხი სასახლეში, თავის აპარტამენტებში, მატილდა საშინლად გაბრაზდა და ხმამაღლა აყვირდა გამეფებული უგემოვნობის გამო. აღმოჩნდა, რომ სანამ ახალგაზრდები მოგზაურობდნენ, პრინცის დედამ, დედოფალმა პაოლამ გადაწყვიტა სიურპრიზი მოეწყო და მათი ოთახები თავისი გემოვნებით მორთო. მატილდამ კი ამ საქციელში დედის მზრუნველობა კი არ დაინახა, არამედ ის, რომ ამ სახლში დიასახლისი მხოლოდ და მხოლოდ პაოლაა. მისი მბრძანებლური ხასიათი კი მთელი ბელგიისთვისაა ცნობილი. ჯერ კიდევ საქორწინო მენიუს შედგენისას იჩინა თავი დედოფლის ამპარტავნებამ, როცა საჭიროდ არც კი ჩათვალა პატარძალსაც შეთანხმებოდა. შეხლა-შემოხლა ყოფით ნიადაგზე რძალ-დედამთილს შორის თითქმის ყოველდღიურად ხდება. მატილდა პოზიციებს არ თმობს, თუმცა კარგად ესმის, რომ წინ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ელის. ბელგიელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ამ ორთაბრძოლას, მათი სიმპათიები უფრო პრინცესას მხარეზეა, რაც, ცხადია, აღიზიანებს დედოფალს. პრინცი ფილიპი კი ბრძნულ ნეიტრალიტეტს იცავს.

*ოქდოხნი №40*

## შეყვარებული „მამიკოს გოგო“



ჩელსი კლინტონს თეთრ სახლში მოფერებით „მამიკოს გოგოს“ ეძახიან. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ის ყოველთვის მამასთან ერთად არის. მის შესახებ ხუმრობდნენ — „ალბათ არც გათხოვდება, მამას ხომ არ მიატოვებსო“. მაგრამ სიყვარული ჩელსისაც ეწვია. მისი გულის სწორი 21 წლის ჯერემი კაინია. კაინი სტამფორდის სტუდენტია და მიჩიგანიდან გახლავთ. ახალგაზრდების ურთიერთობა იმდენად საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რომ მათ მომაბეზრებელი პაპარაცებისგან თავის დასაღწევად ხშირად უხდებათ ათასი ოინის გამოგონება. თუმცა ჩელსისათვის, ჯერჯერობით, უმთავრესი მისი „დიდი ოჯახია“. ის ამერიკის აღმოსავლეთში მარტო გაემგზავრა, რათა დაეხმაროს დედას, რომელიც კლინტონების ოჯახის უკვე ტრადიციად ქცეულ საქმეში — არჩევნებშია ჩართული.

*ნიუ ზუიქი*

## მელაპარაკე, დედა...

იცით თუ არა, რომ თქვენი შვილის განვითარება და მეტყველების ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უნარიანად ახერხებთ მასთან ურთიერთობას და განა ყოველთვის სწორად საუბრობთ თქვენს პატარასთან?

გთავაზობთ ფსიქოლოგების რჩევებს:

**ძუძუთა ბავშვი.** ჩვილ ბავშვთან ურთიერთობისას, უმჯობესია მიეწდოთ ინსტინქტს; მიმართოთ მოკლე სიტყვებით: მამა, დედა, ბებია და ა.შ. ბავშვის ყურადღება მიიპყარით აქცენტირებული მიმიკით (ღიმილი, წარბების მოძრაობა). გაიმეორეთ ის ბგერები, რომლებსაც ბავშვი წარმოთქვამს. არ ილაპარაკოთ სწრაფად, მიეცით მას დრო მშვიდად მოსმენისა და რეაგირებისათვის.

**6 თვის შემდეგ.** ამ ასაკში ყველაზე რთული აზრი გამოიტანეთ ბგერებიდან, რომელსაც ბავშვი წარმოთქვამს და თუ გაგებას მაინც მოახერხებთ, ნელ-ნელა წარმოთქვით ფრაზა, რისი თქმაც მას სურდა.

**14 თვის შემდეგ.** ამ დროიდან თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ „ენის მოჩლექით“ ლაპარაკი, რადგან ბავშვს უკვე კარგად ესმის და რეაგირებს იმაზე, რისი თქმაც გინდათ.

**2 წლის შემდეგ.** ლაპარაკის დროს ხშირად გამოიყენეთ სიტყვები „მე“ და „შენ“. მიეცით ბავშვს საშუალება გიპასუხოს და გამოხატოს თავისი სურვილი. ეს ის ასაკია, როდესაც ბავშვი დაუსრულებლად კითხულობს: „რატომ?“, „რისთვის?“, „რა არის?“ და ა.შ. როგორც წესი, შეეცადეთ, გასცეთ პასუხი თუ ვერ ახერხებთ, უპასუხეთ: „ახლა დაღლილი ვარ“ (და არა „მე შენ დაღლილი“. „გიპასუხებ, მაგრამ ახლა არა“). არ შეშინდეთ თუ ბავშვი დაუსრულებლივ იმეორებს რომელიმე სიტყვას, ის „კბილს უსინჯავს მას“.

**3 წლის შემდეგ.** ამ ასაკში ბავშვი უფრო სწრაფად ფიქრობს და აზროვნებს, ვიდრე ლაპარაკობს, მას თავში სიტყვები ერევა და დროდადრო ენა ებორკება. ამიტომ მასთან განსაკუთრებით მშვიდად ილაპარაკეთ, უკარნახეთ სიტყვები, რომელთა გამოთქმაც უჭირს, დაეხმარეთ ფრაზის დასრულებაში. ხშირად გაიმეორეთ სიტყვა, რომელსაც ამოიჩემებს — ამით, არა მარტო გაუსწორებთ შეცდომას, არამედ აგრძნობინებთ, რომ მისი გესმით, არ გაუწყრეთ და ხშირად ნუ გაუმეორებთ: „ნუ ჩქარობ, ღრმად ისუნთქე“. თქვენ უნდა დაეხმაროთ ბავშვს — თავი გაართვას ახალი სიტყვების ნიაღვარს.

**4-5 წლის შემდეგ.** ნუ იქნებით ძალიან მომთხოვნი ბავშვის ლაპარაკის მანერის მიმართ. თუ ის იყენებს „ბავშვურ“ სიტყვებს, ამაში არაფერია საშიში. უბრალოდ „გადაიღეთ“ მისი მეტყველება უფროსების ენაზე, რათა ბავშვს გაუადვილდეს სწავლების მომდევნო ეტაპზე გადასვლა. ხშირად დაუსვით შეკითხვები და სთხოვეთ აგიხსნათ, რისი თქმა სურდა. ნუ შეაწყვეტინებთ ლაპარაკს პატარას ან არ მიიღოთ ისეთი სახე, თითქოს ვერ გაიგეთ. თუ ბავშვმა რომელიმე სიტყვა ისე არ წარმოთქვა, როგორც თქვენ გსურდათ, რეაქცია ნუ მოახდენთ, უმჯობესელად გაასწორეთ. ნუ აიძულებთ ბავშვს, ბევრი ილაპარაკოს, თუ მას ეს არ სურს.

*ჩასტნაია ჟიზნ №13*

## მითხარი, სპორტის რომელ სახეობას მისდევ და გეტყვი, ვინ ხარ

*თურმე, სპორტის სახეობა, რომელსაც ადამიანი მისდევს, ნათლად მეტყველებს მის პირად თვისებებზე. — ის, ვინც ტრუსებით დარბის, ამბიციური და გაბედული ყოფილა, მზად არის... ყველაფერი გაიღოს, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოს.*

**ჩოგბურთის მოყვარული** — თავდაჯერებული, დამოუკიდებელი, პრაქტიკული და დისციპლინირებული პიროვნებაა, იწვის შეჯიბრებაში გამარჯვების სურვილით.

**კალათბურთის და ფრენბურთის მიმდევარი** მეგობრული, გულღია და ადვილად აღგზნებადი ადამიანია.

**მოცურავე** — იღბლიანი, საიმედო, თვითდაჯერებული და თავისუფალია, ყოველთვის შეიძლება გქონდეს მისი იმედი.

**მოციგავე** — ემოციური, გულისხმიერი და რომანტიკული ადამიანია.

**გოლფის მოთამაშე** — ადვილად ეგუება სიტუაციას, გახსნილია, მაგრამ ნაღველიც ადვილად უუღლება.

**გამაჯანსაღებელი კაბინეტის ხშირი სტუმარი** — მეგობრული, ლოიალური და გულისხმიერი ადამიანია. ამავე დროს, კარგი მეოჯახეა და შეუძლია, სხვის რჩევას ყური დაუგდოს.

**იოგას თაყვანისმცემელი** — დაფიქრებული და თავის თავში ჩაღრმავებულია, აფასებს სულიერ სიმშვიდეს.

**სირბილის მოყვარული** — გაწონასწორებული და ინტელექტუალურია, არ უყვარს ანქარება.

**ველოსპორტის მიმდევარი** — სრულყოფილი, მომთმენი და ერთგულია, უყვარს მეგობრები.

**ცხენოსნები** — გამოირჩევიან თავზეხელაღებულობით, აზარტული მოთამაშენი და ენამოსწრებულები არიან.

ვინ არიან ის ადამიანები, რომელთაც სპორტი არ უყვართ? ისინი ჯიუტი კონფორმისტები და მეამბოხე სულისანი არიან.

*ფავორიტი №124*



## პატივცემულო რედაქციავ!

***გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გვიპასუხოთ, ცოცხალია თუ არა ბრიჟიტ ბარდო? მე ვიცი, რომ ცოცხალია, სხვები მიმტკიცებენ, რომ დაიღუპა.***

*თქვენი ერთგული მკითხველი*



60-იანი წლების ფრანგი სექს-სიმბოლო ბრიჟიტ ბარდო ცოცხალია, თავს მშვენივრად გრძნობს და კვლავ საფრანგეთში ცხოვრობს. ჰყავს ქმარი. მსახიობი უპატრონო ცხოველების თავგამოდებული დამცველია — აქტიურად მონაწილეობს ცხოველთა დაცვის კამპანიაში, დიდძალ თანხებს ხარჯავს მათ გამოსაკვებად და სამკურნალოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიჟიტ ბარდო დიდი ხანია ჩამოშორდა კინემატოგრაფს, თაყვანისმცემლები მას ალბათ მალე იხილავენ ეკრანზე ახალ ფილმში, სადაც მსახიობის პარტნიორები იქნებიან რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი და ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი.



## ლამაზი ქვები – სიყვარულისა და ჯანმრთელობის საწინდარი

ოდითგანვე თვლიდნენ, რომ მფლობელისათვის ყოველ ქვას შეუძლია გარკვეული სარგებლობისა და სიკეთის მოტანა. ქალს, რომელიც აირჩევს სარდონიქსის მძივს, სიყვარულში ბედნიერება ელის, არ უღალატებს მეგობარი ქალი. თეთრი ონიქსის ქვას — შეუძლია მოგიტანოთ სიმშვიდე და აგაშოროთ გაბრაზება, აქატი — აგაშორებთ ავადმყოფობას, უგუნებობას, მებაღეებს დაეხმარება კარგი მოსავლის მიღებაში. სარდიონი — სიყვარულის ქვაა. ერთი კი, ალქიმიკოსები ამტკიცებდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სარდიონის ოქროში ჩასმა, რადგან ის ეკარგება მაგიური ძალა, ვერცხლში ჩასმულს კი — შეუძლია საანწაულების მოხდენაო.

წარმატებებისა და ჯანმრთელობის საწინდარია — ქარვა, მისი სამკურნალო თვისებების სჯეროდათ ძველ რომაელებს, არაბებს, რომელთაც სამარი მგზავრობის დროს თან მიჰქონდათ მზის ქვები. ისინი ქარვის ფხვნილს ურევდნენ ვარდის ზეთს, თაფლს და იღებდნენ სხვადასხვა დაავადების დროს. ალბათ ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრი დაავადებისგან იცავს ადამიანს ნეფრიტი. განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს ოქროსფერ ტოპაზს — სიყვარულის და ერთგულების. ის მფლობელს აჯილდოებს სიმშვიდით და სიკეთით. თუ თქვენ გაქვთ ვერცხლში ჩასმული ტოპაზი — თავს დააღწევთ უძილობას, ახიშის შეტევებს. ერთ-ერთი უიშვიათესი და ძვირფასი ქვაა — ზურმუხტი. ძველი დროიდანვე მას ჩუქნიდნენ ფეხმძიმე ქალებს, ჩვილს უდებდნენ აკვანში. თვლიდნენ, რომ ის აძლიერებს ორგანიზმს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი ამშვიდებს ადამიანს ძლიერი სულიერი განცდების დროს.

*ლიზა №38*

## პოლიტიკოსებო, ნუ ითამაშებთ გოლფს!



ბევრ ცნობილ პოლიტიკოსს თავი მოაქვს მადალი მორალით — აქაოდა, ასეთი კარგი ვარ, ცოლს არ ვღალატობ, საიმუშო შვილებს ვზრდიო და ა.შ. მიუხედავად ამისა, ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის გახმაურებულმა ამბავმა ბევრი დაიჭირა ტლიერთა ამა ქვეყნისათა ზნეობრიობაში. და თურმე, არცთუ უსაფუძვლოდ — ახალმა ფაქტორებმა ცხადყო, პოლიტიკოსთა უმრავლესობა თავაშვებული მექალთანე გამოდგა.

ამას წინათ ყველასთვის მოულოდნელად გაირკვა ერთ-ერთი უძველესი პრივილეგირებული ბრიტანული გოლფ-კლუბის პოპულარობის მიზეზი. მისი დაარსების, 1906 წლიდან აქ ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი თამაშობდა გოლფს. კლუბის ხშირი სტუმარი იყო მარგარეტ ტეთჩერის მეუღლე დენის ტეთჩერი. აქაურ მინდორზე ჩაუტარა ბილ კლინტონმა გოლფის გაკვეთილი ბრიტანეთის პრემიერს ტონი ბლერს. ინგლისური პარლამენტის წევრებს, ამერიკელ დიპლომატებს, გავლენიან ბიზნესმენებს ძალიან უყვარათ უქმე დღეების აქ კლუბში გატარება.

მაგრამ მთავარი, არა გოლფის მოედანზე, არამედ სათამაშო მინდვრიდან ათიოდე მეტრით დაშორებულ მაშულში ელისბორომში ხდებოდა. ოფიციალურად იქ მოთამაშეებს მასაჟს უკეთებენ — მამაკაცებს ერთი ქალბატონი მასპინძლობს, რომელსაც პროფესიონალი მეძავების შტატი ჰყავს და ფასიც ძვირი არ არის — 50 ფუნტი. როცა ლონდონის გაზეთის რეპორტიორი „მასაჟისტთან“ შევიდა, მისთვის ტონუსის ასაწევად მასაჟისტი 30 ფუნტსაც დათანხმდა, სამაგიეროდ, ნებისმიერ ინტიმურ მომსახურებას გაუწევდა. რეპორტიორმა ტყუილუბრალოდ აღარ დახარჯა რედაქციის ფული და სენსაციური რეპორტიორული მონაპოვრით კმაყოფილი, სკანდალური რეპორტაჟის დასაწერად გაიქცა.

ახლა შესაძლოა, ბევრ ბრიტანელ პარლამენტარს მოუწიოს მთელი ქვეყნის წინაშე თავის მართლება და მონანიება.

*ვოტ ტაკ №40*

## ხელი არ ახლოთ სიძველეს



ამერიკაში, პირველი სადგამიანი მიქსერი 1919 წელს გამოუშვეს და დღემდე ის ერთგვარად ამერიკის სიმბოლოდაც კი არის მიჩნეული. სწორედ ამიტომ, როდესაც ერთ-ერთმა კომპანიამ გამოაცხადა, სადგამიანი მიქსერის გამოშვებას ვიწყებთ ძველი მიქსერისგან რომ მკვეთრად განსხვავდებოდესო, — ამას უკმაყოფილების ნიაღვარი მოჰყვა. პრესაში გაჩნდა წერილები, სადაც ეწერა, რომ მიკი-მაუსის ყურები, კოკა-კოლას ბოთლი და სადგამიანი მიქსერი, იმდენად განუყოფელ ატრიბუტებად იქცა ამერიკული სინამდვილისთვის, რომ მათი შეცვლა — „ამერიკული სულის“ შეცვლის ტოლფასია. კომპანია იძულებული შეიქნა, გახსნებაზეზე უარი ეთქვათ და სადგამიანი მიქსერი — ძველის მიბაძვით გამოეშვათ. შედეგმა არ დააყოვნა — მოთხოვნამ ასეთ მიქსერზე მოლოდინს გადააჭარბა და კომპანიას მიქსერების ასაწყობად სასწრაფო სამუშაო დღის შემოღება მოუხდა, თვით ნივთი კი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ხოლო ოქტომბერში კი „ამერიკული სულის“ სიმბოლოს, პარიზში, პომპიდუს ცენტრში გამოიფინება.

*პოსლედნიე ნოვოსტი*



**თარაზულად:** 1. კავკასიონი, ევერესტი; 5. ეტნა, ვეზუვი; 9. მღვდელი, კიმონო; 10. ამერიკა, ხარი; 11. კონცერტი, ფურცელი; 12. ლუდი, ბოკალი; 15. არშია, ფილოსოფოსი; 17. კამათელი, წყვილი; 18. კლიოს, მისწრაფება; 19. ხე, რქა; 21. გაზეთი, ებრაელი; 23. ნათლობა, ზეთი; 25. მაგდანა, ბიზნესი; 27. ხორბალი, ფლავი; 29. პოლიცია, რევოზა; 31. ჰოლივუდი, „პალმის რტო“; 34. იაპონია, სიცილია; 35. ციმბირი, რინგ; 36. სათვალე, ფირმა; 37. ძალლი, ნიღაბი.

**ვერტიკალურად:** 2. ჩაი, ციტრუსი; 3. ტოკიო, ლარი; 4. ბაშიაჩუკი, შლაპა; 5. ფილარმონია, უბანი; 6. ორსულობა, კრახი; 7. ლობიო, ხაჭაპური; 8. მოთხრობა, ნაწყვეტი; 12. ლიტერატურა, შეფასება; 13. სიძე, მამა; 14. შაქარი, სოფელი; 16. ოფიცერა, ნავი; 20. მხატვარი, ქსოვილი; 22. ბავარია, თოფადი; 23. არბატი, კრემლი; 24. ვენდეტა, კუნძული; 26. საცივი, ჩიტი; 28. ქვითარი, ნიმუში; 30. აგენტი, სერიალი; 32. სესხი, ფული; 33. ქუხილი, შუქი.

**წინა კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ეპიტაფია; 6. მაკრონი; 10. გლობუსი; 11. ცხვარი; 12. გრანდი; 17. შმორი; 18. ფაკულტეტი; 19. სფერო; 20. კუკარაჩა; 21. ტრადიცია; 25. შაური; 26. ანთრაციტი; 27. ირისი; 30. კალამი; 33. ბაზარი; 34. ჭინჭარი; 35. მუზარადი; 36. სპილენძი.

**ვერტიკალურად:** 1. მინორი; 2. ნისლი; 3. ტაქსი; 4. ტომარა; 7. ვახშამი; 8. ეპილოგი; 9. ბედაური; 13. პროკურორი; 14. მანდარინი; 15. სტომატიტი; 16. ეფრეიტორი; 22. თამბაქო; 23. კარიბჭე; 24. ისტერია; 28. ემბაზი; 29. ბანანი; 31. ჯილდო; 32. ტრაპი.

## №40 (209) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 767 მკითხველი გამოეხმაურა. 11 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 297-მა ქალმა და 459-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა არის განტვირთვის ყველაზე ოპტიმალური საშუალება?“**

რესპონდენტთა 52-მა განტვირთვის ყველაზე საუკეთესო საშუალებად ძილი დაასახელა. **7,49** საშუალო ქულით „ძილი“ პირველ ადგილზეა. მკითხველთა მხოლოდ 2-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა.

შემდეგ ადგილზე „შხაპია“, საშუალო ქულაა 6,40. მუსიკას რესპონდენტთა დაახლოებით 10 ანიჭებს უპირატესობას, 6,23 საშუალო ქულით იგი მესამე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა (0,66) სწორედ „მუსიკამ“ დაიმსახურა.

ჩვენი მკითხველების აზრით, სასმელს, ყავასა და ტელეფონს, აქ ჩამოთვლილთა შორის შედარებით ნაკლებად ძალუძს ადამიანის განტვირთვა. ყველაზე ნაკლებად კი — ტელეფონს. რესპონდენტთა 40-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა, მაქსიმალურით კი მხოლოდ 0,53-მა შეაფასა.

აღსანიშნავია, რომ 50 წელს გადაცილებული მკითხველები მუსიკაზე მეტ უპირატესობას შხაპს ანიჭებენ, ვარჯიში კი მათთვის ტელევიზორზე უკეთესი საშუალებაა განსატვირთავად. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სასმელს ყავაზე წინ მხოლოდ 30 წლამდე ასაკის მკითხველები აყენებენ.

რაც შეეხება ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის განსხვავებას, იგი შემდეგში მდგომარეობს — ქალებს, მამაკაცებისაგან განსხვავებით, მუსიკას შხაპი ურჩევნიათ; მამაკაცები სასმელს ვარჯიშზე წინ აყენებენ, ქალები კი სულაც არ ფიქრობენ ასე, მათ სასმელს ყავაც ურჩევნიათ და ვარჯიშიც.




რეიტინგს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები არიან: თბილისელები 32 წლის **ნინო ჩიტაური** და 67 წლის **ოთარ მამაცაშვილი.** მათ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ყავას“ ორის ნაცვლად სამი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნეს, „სასმელს“ კი პირიქით — სამის ნაცვლად — ორი (მერვე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 10 ოქტომბერს, 17 საათზე.

## №41 (210) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის ლოტერეაში.

**№41 (210) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 11 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 12 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №41 (210) — ტელეგადაცემები

**როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№41(210) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ტელეგადაცემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მუსიკალურ-გასართობი | |
| 2 | კრიმინალური ქრონიკები | |
| 3 | ტელევიქტორინები | |
| 4 | ანალიტიკური | |
| 5 | ჟურნალისტური გამოძიება | |
| 6 | ტელესერიალი | |
| 7 | იუმორისტული | |
| 8 | სპორტული | |
| 9 | საინფორმაციო | |

მკითხველის ლოტერეა *

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე მდიდარი ადამიანი საქართველოში?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას 732-მა მკითხველმა უპასუხა. კითხვა ასეთი იყო: **„ერთი წლის წინანდელთან შედარებით, საქართველოში კორუფციის დონე გაიზარდა, შემცირდა თუ დარჩა იგივე?“**

უნდა აღინიშნოს, რომ 732 რესპონდენტიდან მხოლოდ ერთ მკითხველს გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

რესპონდენტთა უმრავლესობის — 63,3-ის აზრით, ერთი წლის მანძილზე საქართველოში კორუფციის დონე გაიზარდა; 31,4 თვლის, რომ დარჩა იმავე დონეზე; მკითხველთა 5,3 კი აცხადებს, რომ გასულ წელთან შედარებით საქართველოში კორუფციის დონე შემცირდა.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია

**დ.თ.** — შენ თუ 12 კაცს ასე დარდობ, მაშინ მე რაღა უნდა ვქნა, ნახევარი ჯარი გაქცევაშია.

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

**დ.თ.** — გვირაბიდან ორ-ორი გასულან ხელიხელჩაკიდებულნი, ნეტავ როგორ მოახერხეს?

**ჯ.ხ.** — ალბათ ლავუაზიეს კანონი გამოიყენეს.

***რამაზ ცერცვაძე, თბილისი***

**დ.თ.** — ეს წილია აბსანძისაგან.

**ჯ.ხ.** — ცოტა განიერი გვირაბი ვერ გაუთხარეთ? ხომ ხედავთ, არ სჯერა ხალხს.

***ფუნჩულა ნადირაშვილი, თბილისი***

**დ.თ.** — ხანდახან მგონია, რომ ვლაპარაკობ რაღაცას, მაგრამ თურმე ჩუმად ვარ.

**ჯ.ხ.** — ხმა ამოიღე რა, რას გაჩუმებულხარ!

***ვალოდია, თბილისი***

თავდაცვის მინისტრი საკვალიფიკაციო გამოცდაზე:

**დ.თ.** — ჯონი, თუ ძმა ხარ, ერთ ტანკს მეტი ძალა აქვს თუ ორს?

**ჯ.ხ.** — გააჩნია რა შემთხვევაში.

(კ/ფ „ღიმილის ბიჭები“)

***გიგა მეგრელაძე***



ჯონი ხეცურიანი, დავით თევზაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 131 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**დ.თ.** — ჯიგარი ხარ, ჯონი. შენ მიერ გამოგზავნილი ის 12 მუშა მართლაც რომ კარგად მუშაობს. ჩემი ვენახი 2 დღეში დაკრიფეს. გთხოვ, კიდევ ცოტა ხნით დავიტოვებ, ტყე მაქვს მოსაჭრელი.

***ვახტანგ ნანავა, თბილისი***

**დ.თ.** — აკი გეუბნებოდი გაფრინდებიან... გაძვრებიან-მეთქი, შე ჰალსტუხიანო პეპელავ! აბა, გააღე პირი და თქვი — ააა...

(კ/ფ „შერეკილები“)

***„რაჭველო“, თბილისი***

**დ.თ.** — ჯონი, შესასვლელ ხვრელშიც შევაგზავნე ჩემი ბიჭები და გამოსასვლელ ხვრელშიც, მაგრამ გაქცეული პატიმრები არც იქ, არც აქ არ არიან.

(კ/ფ „შერეკილების“ მიხედვით)

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

**ჯ.ხ.** — თხა და გიგო წაგიკითხავს?

**დ.თ.** — არა, მაგრამ გამიგონია.

**ჯ.ხ.** — ჰო და ეგრე ვარ ამ დაწყევლილ პენიტენციანულ სისტემაში.

***მევლუდ თევდორაშვილი, რუსთავი***

**დ.თ.** — ბატონო ჯონი, იქნებ დამიზუსტო იურიდიული თვალსაზრისით უთავო მხედარი სჯობს, თუ უჯარო გენერალი?

**ჯ.ხ.** — ჩემო დათო! თეორიულად მაგის განსაზღვრა ძალიან ძნელია, თუმც პრაქტიკულად ეგ ორივე ერთად, ჩვენ რომ გვჭირს, ის უბედურებაა.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

კითხულობენ გაქცეულების დატოვებულ წერილს:

„არ გეწყინოთ, ბიჭებო, გაგეხუმრეთ. ისე, ბატონ თარგამაძეს, გაზეთის წინა ნომერში ირინას სასიყვარულო წერილების კითხვას, სჯობდა ჩვენი ამბავი ეკითხა. ერთ თვეზე მეტი ხანი ვემზადებოდით გასაქცევად.

***კუკუშკა, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— მე კომპოსტოში მიპოვეს, თქვენ?




## წინა სკანვორდის პასუხები



## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები ი[...]ება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტრო[...]ლიტ[...]ის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის [...]ესას[...]ელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის [...]ლო[...] ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე [...]რიწ[...] ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით [...]მაშე[...]ლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის [...]მზ. [...]სკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედა[...]; ნაძ[...]ადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტ[...]იონ[...]; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერ[...]მის [...]მდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭა[...]ვაძი[...] 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. [...]ვ.ფშ[...]ელას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩ[...]ებას[...]ნ; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და [...]აიო[...]ში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუ[...]აის[...] წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთ[...]ქო[...]ულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სი[...]ნაღ[...] ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***[...]რსებ[...]ი „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ბო[...]ნი[...]ა და ახმეტაში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირის ოთხშაბა[...] 10 სთ.-დან.***

**ყურადღ[...]ბა: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპ[...]ნდ[...]ნტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კა[...]ონით.©**

---

(41) **უ[...]ა[...]ო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№41 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 12 ოქტომბრის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.




**პირველად საქართველოში**
**14 ოქტომბრიდან**
**ეგზოტიკური ცხოველების ზოოპარკი**
**„ჩვენი პლანეტის მონსტრები“**
ცოცხალი, მეტად საშიში, ტროპიკების, უდაბნოების და წყალსატევების ბინადრების უნიკალური კოლექცია.



**სპორტის სასახლე, ყოველდღე, 10-18 სთ-მდე**

## შოკისმომგვრელი სილამაზე

ნიუ-იორკში ოქტომბრის ბოლოს მოეწყობა „ქრისთის“ აუქციონი. წარმოდგენილი იქნება „ქრისთის“ სამკაულების უნიკალური კოლექცია, ჯერჯერობით კი, ჰონგკონგში ზოგი სამკაულის წინასააუქციონო ჩვენება მოეწყო. დამსწრენი აღაფრთოვანა საიუველირო ხელოვნების ნიმუშებმა, ნაკეთობათა შესრულების ორიგინალურმა მანერამ.



საყოველთაო გაოცება გამოიწვია სამკაულების საწყისმა ფასმა. მაგალითად, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი — 15,12 კარატი (ფოტოზე) ღირს 1,5-2 მილიონი დოლარი, იმავე ქვებისგან მოოჭვილი ყელსაბამი კი, მილიონი დოლარი დააფასეს.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.